

როზა გაფრინდაშვილი

ქართულ ფოლკლორში დამალული ფსიქოლოგიური საიდუმლოები

ფსიქოთერაპიის, განწყობის შექმნისა და წარმატების
მიღწევის მეთოდები, პიარ-ტექნოლოგიები და ა.შ.

„ცრურწმენებში“

ზღაპრებსა და თქმულებებში

ანეკდოტებსა და ანდაზებში

თბილისი

2018

როზა გაფრინდაშვილი: ქართულ ფოლკლორში დამალული
ფსიქოლოგიური საიდუმლოები

ანუ სწავლების სახალისო ძველ-ქართული მეთოდები

(„ცრურწმენებში“, ზღაპრებსა და თქმულებებში, ანეკდოტებსა და ანდაზებში)

გამომცემლობა - „საარი“ თბ., 2018, გვ. 216.

რედაქტორი: მარი ბანძელაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ასმათ ფიფია

ელ-ფოსტა: r.gaprindaShvili@gtu.ge

ISBN 978-9941-477-29-4

წინასიტყვაობა:

ერთხელ მეექვსე კლასელმა ელენეკმ მკითხა:

- ზეზია თქვენ ინტერნეტი გქონდაათ?

- არა!

- მობილური?

- არა!

- კომპიუტერი?

- არა!

მცირე პაუზის შემდეგ, შვილიშვილი ეშმაკური დიმილით მეკითხება

- ზე! თქვენ დინოზავრები გახსოვთ?

ანუ, ჩვენ შვილიშვილებს ჰგონიათ, რომ ჩვენ, „დინოზავრების თაობამ“, რაკი ინტერნეტის სიკეთეები გვაკლდა . . .

ახლა მინდა მათ ის ფსიქოლოგიური სიბრძნეები შევახსენო, რაც ჩვენ წინაპრებს (და საერთოდ კაცობრიობას) ფსიქიკის შესახებ მეცნიერებამდელ პერიოდში გაუცნობიერებია (ანუ ის, რაც „ვიცოდით, მაგრამ არ ვიცოდით რომ ვიცოდით“) და თანამედროვე დასავლურ ფსიქოლოგიასთან მისი ნათესაობაც შევახსენო!

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა: -----2

თავი 1. ფსიქოთერაპიის „ცრუ“ მეთოდები?

ნატერის ხე-----10

მუნჯობის შოკური თუ ცრუ „თერაპია?“-----15

„ცრურწმენებით“ გაყუჩებული ტკივილები-----16

ბატონები - მითი თუ რეალობა-----18

მცირე ხიფათის თუ ზარალის „ცრუ“ სიკეთეები-----20

მარხვის „ცრუ“ ტრადიცია-----18

თავი 2. წარმატებების მომტანი „ცრურწმენები“ და ხუმრობა-შეშინებები

რწმენის ფსიქოლოგია-----20

სანთელი, ლოცვა -----22

მსხვერპლშეწირვა - ცრუ იმედი?-----24

ჭიაკოკონობა - გარემოს მოვლის „ცრუ“ მეთოდი?-----25

წარმატებებისთვის მოსამზადებელი პატარ-პატარა პიარ-ტექნოლოგიები ---27

ბედობის დღის რეალური შედეგები-----32

პატარძლის თაიგულის „ჯადოსნური ძალა“-----33

“ემშაკის“ ცნების საიდუმლო-----34

თავი 3. ზნეობრივი ღირებულებების ჩენერგვის „ცრუ“ მეთოდები

ანგარებიანი სიკეთიდან უანგარობამდე ანუ, „ვინც იძახის არასა“-----38

ჩიტყაფობა - ფრინველებზე ზრუნვის ჩვევების აღზრდა-----39

ჩაკეტილობის მავნეობა-----41

სინდისი - შინაგანი ცენზორი (თვითკონტროლი) ანუ - პატარა ღმერთი ჩემში-----42

ბურატინოს ცხვირის ზრდის „საიდუმლო“, ქართული ზღაპრებისთვის კი

უპატიებელი „იდეოლოგიები“ -----44

თავი 4. „წინასწარხედვის საიდუმლო“ თუ აღუქმელ გამლიზიანებელთა ზემოქმედების ეფექტი?

სიზმარი-----46
ბედისკვერი, სარკეში დანახული საბედო თუ აღუქმელი გამლიზიანებლები-----50
„მოლაპარაკე ფოთლების“ და „ქოთანში დამწყვდეული ყვავის“ სიბრძნე-----54
„შავ სიაში შეტანილი“ ძაღლის ყმულის „საიდუმლო“-----56

თავი 5. ზღაპრებსა და თქმულებებში დაშიფრული ფსიქოლოგიური საიდუმლოები

ნასცარქეკიაში „დამალული“ „ჭკვიანურები“

(შინ დაბრუნების იდეა, ეშმაკობა-მოხერხებულობით თავის დამკვიდრების ხერხები თუ იმპერიებთან ურთიერთობების სტრატეგიები)-----58
გულუხვის, ძუნწისა და მიქელგაბრიელის ზღაპარი ანუ, სტუმართმოყვარეობის ხიბლი-----61
სიზარმაცე, დარდიმანღობა თუ უაზრო კანონმორჩილება-----62
ფულის შოვნის ზღაპრული ხერხი-----63
სისუსტის საკომპენსაციო „გმირობა“ თუ დედასთან ფალავანიო“-----65
„ჯადოსნური ქოთნის“ საიდუმლო ანუ „არაფერი ზედმდეტი!“-----66
„მრისხანების ცოდვის“ სიკეთე-ბოროტობები ანუ მტრული ქვეყნის გახელების საფრთხეები-----68
„ჯერ თავო და თავო . . .“ თუ სხვისი მოიმედობა-----70
ოპტიმიზმის ზღაპრული აპოლოგია ანუ „ასე ჯობია“-----72
თანდათანობის ეფექტი ანუ ნაცრის სანხრეკში გაცვლილი ცხენი-----75
ბოროტების კანონი ანუ „არც შენ შეგჩნებაო“-----79
მითიურ „საიდუმლოებში“ დაშიფრული სიბრძნეები-----82
„ჯვრის მისტერია“ მითოლოგიის საკაცობრიო ოკეანეში----- 83

თავი 6. იუმორი გადაარჩენს კაცობრიობას! (?) ანუ ანეკდოტების ფსიქო-

თერაპიული ფუნქციები

პოლიტიკური ხუმრობების სევდისმომგვრელი იუმორი-----85

კურიოზების ქვეყანა

დიდი პოლიტიკოსები საიქიოში

სტალინი – ლენინის ანდერძის მოლოდინში

უდანაშაულო დალაქები

მოტყუებული „აკროლებული ბავშვი“

ვინ ვგულებოდა ხალხს პრეზიდენტში?

რით ინარჩუნებენ ქალები ოჯახს?

„დამპალი კაპიტალიზმის სუნი“

კუთხური ფსიქიკის თავისებურებები ანეკდოტებში..... 84

გურულების წკიპურტები

მეგრელების შესაშური სოლიდარობა

კახური გულახდილობა-გულწრფელობის ღირსება-ნაკლოვანებები

იმერულ ანეკდოტებში „გაპარული“ კომპლექსები

რაჭული სიდიხის ღიმილისმომგვრელი ეპიზოდები

ამაყი სვანების ანეკდოტები და სიამაყის „საფრთხეები“

„ჭკვიანურბები“ საერთო-სახალხო ანეკდოტებში..... 107

ჯოჯოხეთის კუპრში მოთუხთუხე ცოდვილების ეთნიკურ-ფსიქიკური

თავისებურებები

რატომ არ შეიძლება თეთრ დათვებზე ფიქრი

ექვსი გენიოსი ებრაელის ანეკდოტი

თანამედროვე ანეკდოტი

დაფიქრებული ასფეხას და ბურიდანის ვირის ტრაგედია

მიხოს „მოდალატე არაცნობიერი“ ანუ

„რი ატამი, რა ატამი-----152

დაფიქრებული ასფეხას და ბურიდანის ვირის ტრაგედია

თავი 7. ქართულ ანდაზებში დაშიფრული ფსქოანალიზური სიბრძნეები

„სადაც არის ბედი შენი...“ და „ოიდიპოსის კომპლექსი“.....	118
„ეოკასა შიგან რაცა ღვას...“	121
„ფუჟე თავთავის...“ ალეგორია.....	123
„შარო, საიდან მოდიხარო“.....	125
„ტყუილად შრომის“ სიკეთე.....	127
„ცოდვა – გამხელილი...“	128
გაუცხოებული კაცობრიობა თუ „რაც აკვანში, ის საფლაგში“	130
„ქურძნის სიყვარულით...“	134
„კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო...“.....	
„აგადმყოფი რომ მორჩება, ექიმი შეძულდებაო“.....	135
„კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“.....	137
„ურჩი მიუშვი ნებასა...“	141
„სინდისიც კაი საქონელია“, რის გამოც მისი გაყიდვა არ შეიძლება.....	142
„წარსდგა მშიერი და არა შიშველიო“.....	145
„როგორიც ვერო, ისეთი ბერიო“.....	146
„აკრძალული ხილის“ „ბუმერანგის ეფექტი“.....	146
ეძიებდე და ჰპოვებდეო.....	149
როდის არის ზოგიერთი ჭირი მარგებელი.....	150
„საერთო საკუთრების ტრაგედია“ ანუ „საზიარო ყანაო...“.....	152
„ჯერ თავოდათავო...“თუ“სხვისი მოიმედება.....	153
რა ჯობია - სიბერემდე სწავლისთვის განწყობა თუ ფსიქიკის კონსერვატიული ბუნება	155

შესავალი

ამ ნარკვევების მიზანი ჩვენი წინაპრების მიერ ნაანდერძევი „ფსიქოლოგიური აღმოჩენების“ გახსენება-გააზრებაა. ამისათვის XX საუკუნის დიდი ქართველი ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, ბატონი დიმიტრი უზნაძის მიერ შექმნილი – განწყობის თეორიის გახსენება დაგვეხმარება:

განწყობა აქტივობის უნივერსალური მექანიზმია, რაც ექსპერიმენტებით დასტურდება; იგივე ექსპერიმენტები გვარწმუნებს, რომ ადამიანის ფსიქიკის მართვა – შესაძლებელია. ანუ, ექსპერიმენტატორს შეუძლია ცდის პირებს ხელოვნურად ისეთი განწყობა შეუქმნას, რაც წინასწარ ნავარაუდევ „მცდარ აღქმას“ გამოიწვევს.

ცდის ერთ-ერთ ვარიანტში, თვალახვეულ ცდისპირებს, ორივე ხელში სხვადასხვა ზომის ბურთები რამდენჯერმე მიეწოდებოდა; რვა-ათიოდე სუანსის შემდეგ, იმავე ცდისპირებს, ორივე ხელში ტოლ ბურთებს აძლევდნენ; ისინი ბურთებს სხვადასხვა ზომისად აღიქვამდნენ; იმ ხელში, რომელშიც პატარა ბურთი ეჭირათ, როგორც წესი, უფრო დიდი ზომის ბურთის შეგრძნება ჰქონდათ, რაკი ის, უწინდელი განწყობის ფონზე, დიდად შეიგრძნებოდა და პირიქით, დიდ ბურთს პატარად აღიქვამდნენ, რაკი უფრო დიდის აღსაქმელად იყვნენ განწყობილები.

პროფესორი ბარნაბ ხაჭაპურიძის ექსპერიმენტებში, ცდისპირებს ეკრანზე 3-5 წუთის განმავლობაში თეთრ-რუხი განათების ციმციმს აჩვენებდნენ; ამის შემდეგ მაგიდაზე დაწყობილი სხვადასხვა ზომის, ფორმის და ფერის გეომეტრიული ფიგურებიდან ერთერთის ამორჩევას სთხოვდნენ; ისინი სწორედ იმ ფიგურებს ირჩევდნენ, რასაც ეკრანზე ისე „ხედავდნენ“, რომ „არ იცოდნენ, რომ ხედავდნენ“ ანუ ქვეზღურბლოვანი (აღუქმელი) გამღიზიანებლის სახით ეს ფიგურები ისე იყო პროექტირებული, რომ ცდის პირები მას მხოლოდ სინათლის ციმციმად აღიქვამდნენ.

როგორც ჩანს ფსიქიკის ეს მართვადი ბუნება ჩვენმა წინაპრებმა მეცნიერებამდელ პერიოდშიც იცოდნენ და საზოგადოებისთვის საჭირო (სასურველი) ქცევამოქმედებების მიმართ ხალხს (მოზარდ თაობას) გართობითი ფორმით ისეთი რიტუალები და დღესასწაულები დაუწესეს რაც სიამოვნებით სრულდებოდა და რის გამოც ისინი ხალხით გაითავისეს. დროთა განმავლობაში ამ რიტუალების შესრულების პროცესში, თანდათანობით, ფიქსირებული სოციალური განწყობები

შეიქმნა; ბევრმა მათგანმა, „დრომოჭმული ტრადიციების“ და „ცრურწმენების“ სახით, ჩვენამდეც მოაღწია, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგია ადამიანთა მესხიერებიდან მათ ამოძირკვას დიდი გულმოდგინებით ცდილობდა, თუმცა ქ. წ. „ცრურწმენებს“, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ბევრი სასარგებლო და შედეგი ახლდა.

ახლა, თანამედროვე ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ **დაწყებით კლასებში სჯობს თამაშით სწავლებაზე გადავიდეთ, რაკი ბავშვები ასე უფრო იოლად და ხალისით სწავლობენ, ვიდრე დამრიგებლურ-მენტორული მეთოდებით.**

ჩვენი ვარაუდით „ცრუ“ რიტუალების ან ქცევა-მოქმედებების საშუალებით (რასაც თან გართობა და სასიამოვნო ემოციებიც ახლავს), ბავშვის ფსიქიკაში რაიმე ღირებულებების ჩამოყალიბება (ჩანერგვა) და მისი შესატყვისი ქცევა-მოქმედებისთვის მზაობა – განწყობა იქმნება (ბატონი დიმიტრი უზნაძის ცნობილი – ბურთების ზემოქმედების მსგავსად), რაც დადებითი შედეგების მიღწევის დიდ ალბათობას ქმნის **და რასაც დღესაც დიდ მონღუბით გვასწავლან დასავლური ფსიქოლოგის თანამედროვე კრიტიკები.**

ხშირად კი ქართული ზეპირსიტყვიერება უფრო მეტის ვარაუდის საფუძველსაც გვაძლევს: მასში („ცრურწმენებში“ ზღაპრებსა, ანეკდოტებსა და ანდაზებში) უხვად გვხვდება ხალისით შესასრულებელი ფსიქოთერაპიული მეთოდები, პიარ-ტექნოლოგიები, წარმატებისკენ სწრაფვის მასტიმულირებელი რიტუალები, პოლიტიკური თუ ამა თუ იმ ეთნიკური კუთვნილების მოსახლეობისთვის რაიმე ნაკლის იუმორით ნათქვამი და სახალისო კრიტიკა, რაც ვინმესთვის საწყენი არასოდეს არაა და რასაც მეტწილად გულწრფელ ღიმილთან ერთად სასარგებლო შედეგებიც ახლავს.

განვიხილოთ ამ აზრის დამადასტურებელი ზოგიერთი ნიმუში:

თავი პირველი: ფსიქოთერაპიის „ცრუ“ მეთოდები?

ნატურის ხე

„ნატურის ხე“ წარმართობის დროინდელი ტრადიციაა, იგი პირველად, ნახევარი საუკუნის წინ, თიანეთში ექსკურსიის დროს, გზის პირას ვნახე. იქ, ხის ტოტემზე შებმული სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ზომის ნაჭრები ფრიალებდნენ, ზოგი ქარისა და წვიმისაგან გახუნებული, ზოგიც ახლათახალი, ხასხასა ფერისა. მაშინ ვღაცამ თქვა - აქაურების რწმენით თუ ხეს შენს დარდებს, ფიქრებს და ოცნებებს გაუზიარებ, დარდს გაგიქარვებს, ოცნებებს კი შეგისრულებსო; ნაჭერი კი იმიტომ უნდა შეაბა, რომ ხემ შენი თხოვნა დაიმასხვოსო.

მაშინ ჩვენ, ცრურწმენების გამოხის იდეოლოგიაზე გაზრდილებს, ის ადამიანები შეგვეცოდა, ვისაც ასეთი სიცრუეებისა სჯეროდა.

მოგვიანებით, როცა ჩვენმა თაობამ მეტი „სიბრძნე და გამოცდილება“ შეიძინა და აღარც იდეოლოგიურ წნეხს განვიცდიდით, ის „აღმოვაჩინეთ“, რაც „ვიცოდით, მაგრამ არ ვიცოდით რომ ვიცოდით“: აღსარება, ცოდვის გამხელა და დარდის (სიხარულისაც) გაზიარება, ადამიანს დიდ შვებას ანიჭებს და ეს მეთოდი, თანამედროვე ფსიქოთერაპიაშიც წარმატებით გამოიყენება.

აქედან გამომდინარე, იქ, სადაც ეკლესიის მადლი აკლდათ და არც ადამიანებს ეცალათ ერთმანეთისთვის (ცხადია არც ფსიქოთერაპიაზე ჰქონდათ წარმოდგენა), „აღსარების ჩამბარებლის“ ფუნქცია ხეს დააკისრეს, რაც იმ საზოგადოების მიხვედრილობაზე და ფსიქიკურ პროცესებზე დაკვირვების დიდ უნარზე მეტყველებს. ეს „ცრუ“ რიტუალი, ადამიანს საკუთარი ცხოვრების სტილზე დაფიქრებას, მის ერთგვარ ანალიზსაც ასწავლის; „თუ სახლში უფროსი არა გყავს, დედაბოძს დაეკითხეო“, უთქვამს ჩვენს წინაპარს; ამასთან, „შემის“ პროცესში, ადამიანის მიერ თავისი დარდის („საწუხარის“) ლოგიზაცია - სიტყვიერად გამოხატვა ხდება, რის გამოც ადამიანს სამოქმედო გეგმის თუ უკვე ნამოქმედარის შეფასება უადვილდება; დიდი ალბათობით ეს ყოველივე შეცდომების ალბათობასაც ამცირებს და ნევროზებსა და მასთან დაკავშირებულ დაავადებებსაც თავიდან აშორებს; ალბათ ამის გამო თქვა ჩვენმა წინაპარმა - „ლხენააო ჭირთა თქმანი!“

□ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ამერიკაში, ექსპერიმენტული პოლიკლინიკა გახსნილა. მოსაცდელი ოთახი კომფორტულად მოუწყვიათ - ერთიმეორის გვერდით ორ-ორი სავარძელი დაუდგამთ, ლამაზი ფარდები და ყვავილები სიმყუდროვის სასიამოვნო გარემოს ქმნიდა. ყველა პირობა იყო, პაციენტებს თავი რომ კომფორტულად ეგრძნოთ, თუმცა არსად იყო ტელევიზორი, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, თავი რომ გაერთოთ; არადა მათ, სპეციალურად, დიდი ხნით აცდევინებდნენ.

ახლადმოსულ პაციენტებს წყვილწყვილად დადგმულ თითო სავარძელში მათზე ადრე მოსული „პაციენტი“ ხვდებოდა; ისინი, სინამდვილეში ე.წ. „ნასედკები“ („ჩამშვებები“) ანუ ექსპერიმენტის

მონაწილეები იყვნენ. ახლადმოსულები მათ გვერდით ჯდებოდნენ; მალე „ნასედკების“ ინიციატივით, მათსა და ნამდვილ პაციენტებს შორის საუბრები იმართებოდა, სრულიად ნეიტრალურ თემებზე. შემდეგ ისინი თანდან „უხსნიდნენ გულს“ ერთმანეთს და ზოგჯერ ისეთ „საიდუმლოებსაც“ უმხელდნენ რასაც უფრო ახლობელთან ვერ ამბობდნენ.

ექსპერიმენტების შედეგებშია უჩვენა, რომ მათ, ვინც ტყუილ-მართალის სხვისთვის განდობით „გული მოიხა“ ნაკლები მედიკამენტები დასჭირდათ და უფრო მალეც გამოჯანმრთელდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი პაციენტები.

ცნობილია, რომ ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მეთოდი - მთხველოთერაპიაა, რაც სწორედ საკუთარი სულიერ-ფსიქიკური პროცესების სხვისთვის (მკითხველისათვის) „განდობას“ გულისხმობს (თურმე „ტრაზახსაც“ შეუძლია ფსიქოთერაპიის როლის შესრულება!).

რითაა ნაკლები ხის ტოტებზე შებმული ფერადფერადი ნაჭრები?

ამერიკელი სოციალ-ფსიქოლოგების ექსპერიმენტებმა ისიც შეგვახსენა, ადამიანს რომ სიხარულის გაზიარებაც (თქმა) ისევე ანიჭებს შვებას, როგორც დარდისა და მწუხარებისა. ჩვენს წინაპრებს ასეთი სადღეგრემლოც კი ჰქონიათ - „ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელს გაუმარჯოსო“. ეს ის ღრმა აზრია, რასაც პასკალის აფორიზმებში საპატო ადგელი უჭირავს - „მეგობარი ის კი არაა, ვინც მხოლოდ ჭირში გვერდზე გიდგას, არამედ ის, ვისაც შენი ლხინი უხარიაო“.

□ მეოცე საუკუნის ცნობილ პოეტს - იოსებ გრიშაშვილს, ასეთი ბალადა გაუღიქსავს: (სათაური აღარ მახსოვს) კაცმა ქალს სიყვარული აუხსნა, თან გააფრთხილა არავის უთხრაო. ერთ ხანს ქალი ბედნიერი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში „ლხინი ჭირად ექცა“, ქალი „გაუბედურდა“, რაკი მისი ბედნიერების ამბავი არავინ იცოდა, ძილი და მოსვენება დაკარგა. ბოლოს გამოსავალი მოიფიქრა - მდინარის პირას მიიღბინა, ორმო ამოთხარა და შიგ ჩაჰყვირა - „მას უყვარვარ! მას უყვარვარო“, ორმოს მიწა მიაცარა და შინ მშვიდად გაეშურა. . . . მერე იმ ორმოდან ლერწამი ამოვიდა, მწყემსმა მოჭრა, მისგან სალამური გააკეთა და მას შემდეგ სალამური გაუმხელებელი სიყვარულის ტრაგედიაზე კვნესისო.

ანუ, ადამიანს ჭირდება ლხინისა თუ „ჭირის“ გამზიარებელი; როცა აზრის გაზიარების დეფიციტია, ის უზენაესს, უხილავ არსებას - სულიერს თუ უსულოს მიმართავს და წარმოსახულ თანაგრძნობაში შვებას ხედავს. **ანუ - „შვება“ რეალურია და ის „ცრუ“ სულაც არაა.**

. . . ამასთან, გზის პირებზე, ხეებზე მოფრიალე ფერადფერადი ნაჭრების ფრიალიც ერთგვარი გზავნილია, რაც ასე მშვენიერი ფორმით უდაოდ ნოვატორული ხედვისა და პოეტური სულის ადამიანებმა მოიფიქრეს.

მუნჯობის შოკური თუ „ცრუ“ თერაპია?

ბებიას ნაამბობი: ჩემ მშობლებს ოთხი გოგო და ერთი ბიჭი ვყავდით; ნაბოლარა იროდი ოთხი წლისა ის ისე გახდა, რომ არ ლაპარაკობდა, თუმცა კარგი სმენა ჰქონდა და სამეტყველო აპარატიც – ნორმალური. ოჯახისთვის დიდი ტრაგედია იყო – ერთი ბიჭი და ისიც მუნჯი?

ერთხელ, ჩვენ სოფელში გამგლეღმა ქალმა ჩემ დას ჰკითხა – გოგო, შენი ძმა კიდევ არ ლაპარაკობს? დააბით და ალაპარაკებო, უთქვამს.

ჩემმა დამ ეს ამბავი ოჯახში რომ მოიტანა, მშობლები გადაირივნენ – ეს რა სისულელე უთქვამს იმ კუდიანსო!

ჩემი უფროსი და, ერთი თაენება და თავისნათქვამა გოგო იყო, თავისი სიჯიუტის გამო მშობლები მუდამ ეჩხუბებოდნენ. მაშინაც, თურმე, მან ჩვენი ძმა შორს, ტყეში წაიყვანა, ხეზე მიაბა და უთხრა – მე სახლში მივდივარ, შენ აქ დარჩიო და წამოვიდა.

მცირე მანძილი რომ გაიარა, უკნიდან ყვირილი მოესმა - სად მიდიხააარ, აქ არ დამტოვოოოო!

მასსოვს და-ძმა შინ რა გახარებულები დაბრუნდნენ! მას შემდეგ იროდის ენა აღარ გაუჩერებიაო, დაასრულა თხრობა ბებიამ.

ჩემი აზრით, ესაა „შოკური თერაპიის“ ერთერთი მეთოდი, რაც ჩვენს წინაპრებს მანამ „აღმოუჩენიათ“, სანამ ფსიქოლოგიის შესახებ რამე ეცოდინებოდათ.

მოგვიანებით, როცა ეს ამბავი სხვას ვუამბე, მითხრა - ასეთი რამისთვის მეც მომიკრავს ყურიო.

გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ბავშვს თავიდანვე ალაპარაკება ცოტათი მაინც დაუგვიანდა, მერე ალაპარაკება უჭირს, რადგან, ამასობაში თავმოყვარეობა უვითარდება და თავისი „ჩიქორთულით“ ნათქვამისა რცხვენია – შინაურები ხომ ამ შემთხვევებში ხალისით აიტაცებენ ყოველ შეცდომით ნათქვამს, ბევრ ბავშვს (განსაკუთრებით ვაჟებს) უჭირთ მისი შეცდომებით გამოწვეული მახლობელი ადამიანების სიცილისა და მხიარულების „ხუმრობაში გატარება“ (ასეთი ბავშვები, როგორც წესი, მოზრდილობისას, მეტ წილად პატივმოყვარეები არიან); ესეც შეიძლება იყოს ე.წ. „მუნჯობის“ ერთერთი, დროებითი მიზეზი; ხშირად ისინი, როცა ამის აუცილებლობა არაა აქვთ,

ლაპარაკის დაწყებას არ ჩქარობენ! მშობლები ხომ ნაბოლარას, მითუმეტეს ვაჟს, ყველაფერს მზამზარეულად მიართმევენ!

- ამასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტიც მახსენდება, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მოვისმინე: კახეთში, ერთ ოჯახში მუნჯი ვაჟი დაიბადა. ამის გამო ოჯახის წუხილს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ, როცა ბიჭი უკვე 10-12 წლისა იყო, სადილობისას ბიჭმა საგანგებოდ დაბოხებული ხმით, ხმამაღლა ჩაილაპარაკა - ხაშლამას მარილი აკლია!

ოჯახში მხიარული ყოყინა ატყდა

- შეილო, თუ ლაპარაკი შეგეძლო, აქამდე რატომ არაფერს ამბობდიო?
- აქამდე არ აკლდა! დინჯად თქვა ოჯახის საამაყო შვილმა, და „ტრაგედია“ ამით დასრულდა.

ბებიას ნაამბობშიც და ამ ანეკდოტშიც ის სიბრძნეა გადმოცემული, რომ ზოგჯერ შინაგანი, თანშობილი უნარების გააქტიურებას გარეგანი – ცხოვრების პირობების მიერ ნაკარნახევი დაკვეთები უწყობს ხელს: ანუ, ზოგჯერ „ხაშლამას მარილი უნდა აკლდეს...“! ანუ – „ზოგი ჭირი მარგებელია!“.

ხოლო თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, „დაბმის“ მეთოდიც, ერთგვარი - ფსიქოთერაპიის მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს.

„ცრურწმენით“ გაყურებული ტკივილები

ოცდაათიოდე წლის წინ, ჩვენი სამეგობროდან ერთერთ მარტოხეხალა ქალბატონს მეოთხე კატეგორიის სიმსივნე აღმოაჩნდა; მკურნალობა დაგვიანებული იყო; მალე ისეთი აუტანელი ტკივილები დაეწყო, რომ ეს ყველა გაჭირვების და სატკივარის მომთმენი ქალბატონი მთელი ქუჩის გსაგონად კიოდა. ექიმებმა მას ნარკოტიკი დაუნიშნეს, რასაც სპეციალური მინდობილობით, უბნის პოლიციის განყოფილებაში უფასოდ აძლევდნენ.

ჩვენ მას მორიგებით, ორ საათში ერთხელ ვუკეთებდით. მისი მკურნალი (უფრო სწორად – კონსულტატი) ექიმი გვირჩევდა – იქნებ როგორმე მოახერხოთ და ნემსებს შორის ინტერვალი გაზარდოთ, თორემ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუართლდება, ნარკოტიკმა მას საჭმლის მომნელებელი სისტემა დაუღამბლავა, კიდევ უფრო აუტანელი ტკივილები დაეწყებაო.

ექიმის ვარაუდი ლოგიკური იყო, მაგრამ ეს როგორ უნდა მოგვეხერხებინა, ავადმყოფი ხომ ყოველი ნემსის გაკეთების დროს მოუთმენლად ელოდა?

ერთხელ როცა მასთან ნემსის გასაკეთებლად და სამორიგოდ მივიჩქაროდი, მისი კენესა-ტირილი შორიდანვე შემომესმა. აჩნქარდი; კარი რომ შევადე (რაც არასოდეს იკეტებოდა) – მიშველევ, ჩქარა მიშველეო, შემომტირა.

ხელი სანქაროდ დაეიბანე, მოწყობილობა გავამზადე და უეცრად „ბლეფზე“ წასვლა გადავწყვიტე; ერთჯერადი შპრიცი გავამზადე, ამჟულას თავი ვითომ წავატეხე და ზუსტად იგივე მოძრაობები შევასრულე, რაც წამლის ამოღებას და შპრიციდან ჰაერის გამოშვებას სჭირდებოდა (ავადმყოფი, ისე რომ ეჭვი არაფერში შეპარვია, თვალმომორებლად მიყურებდა); მერე დუნდულა სპირტიანი ბამბით მართლა დაეუმუშავე, ნემსიანი ხელი კუნთზე მსუბუქად დაეკარი, მცირე ხანს დაეაყოვნე (ხანამ „წამალი“ ვითომ კუნთში შევიდოდა), მერე „ნანემსარი“ ბამბით გავუწმინდე, მცირე მასაჟი გავუკეთე და საბანი წავაფარე.

ქალბატონმა შევებით ამოისუნთქა – შენმა ხელებმა გაიხარაო, თქვა, გადაბრუნდა და დაიძინა. ორი საათის შემდეგ ნემსი მართლა გავუკეთე – შემეშინდა სიცრუეში არ გამოვუჭირე; შემდეგი „ბლეფი“ ისევ წარმატებული გამოდგა. იმ დღეს ორგანიზმს ორი ნემსით შედავათი მივეცი.

შემდეგი ნემსი ჩემ შემცვლელს უნდა გაეკეთებინა; ვასწავლე ერთის გამოტოვებით როგორ უნდა ეცრუა, მაგრამ ის, ავადმყოფმა, პირველივე მცდელობისას „გამოიჭირა“.

არ ვიცი რა დამტკიცდა ამ „ექსპერიმენტით“ ჩემი შემცვლელის მოუსხერხებლობა თუ ჩემი „ტყუილის ხელოვნება“ (რის გამოც ნამდვილად ვერ ვიამაყებ - მე ხომ ის მოვატყუე, ვისაც დაუეჭვებლად სჯეროდა ჩემი!), მაგრამ „ცრუ რწმენის“ რეალური, დადებითი შედეგი კი ნამდვილად სახეზე იყო.

„ბატონები“ – მითი თუ რეალობა?

ამასწინათ სატელევიზიო გადაცემაში – „ექიმები“, საზგასმით ითქვა, რომ ის, რაც ხალხს „ბატონები“ ჰგონია, სინამდვილეში ნერეული სისტემის ინფექციური დაავადებაა და აქ „ბატონები“ არაფერშია. ერთერთმა იმათგანმა კი გაიხსენა როგორ ანებივრებდნენ თავად მას, როცა „წითელა ბატონები“ შეეყვარა და თვალეები ნეტარებით მილულა.

ექიმებმა დაავადების რეალური მდგომარეობა აგვიხსნეს, მაგრამ ვერ დაგვარწმუნეს, რომ „ბატონების“ მოფერება-განებიერება არის – მითი!

ცხადია ნებისმიერ დაავადებას ექიმი და წამალი სჭიდება, რაშიც მათ ვერ შეედავები, მაგრამ ნერვული დაავადებების მკურნალობას და წამლის ეფექტურობას რომ ფსიქიკური ფონის შექმნა და ავადმყოფის განებიერება-მოფერება სჭირდება, არც ამის უარყოფა შეიძლება.

რა ხდებოდა ძველად, როცა ამდენი ექიმი, წამალი და აფთიაქი არ გვექონდა?

ბატონებიან ავადმყოფს (ძირითადად ბევშეებს), ოჯახში, მართლაც „ბატონკაცურ“ გარემოს უქმნიდნენ; მაშინ ოჯახის წევრები გამორიცხავდნენ ყოველგვარ ჩხუბსა და უსიამოვნებას, ცხოველის (ქათმის, გოჭის თუ ინდაურის) დაკვლაც არ შეიძლებოდა (აუცილებლობის შემთხვევაში ამას ოჯახს გარეთ აკეთებდნენ ისე, რომ ამის შესახებ ავადმყოფს არაფერი გაეგო), ტანსაცმელსაც ფერადფერადს არჩევდნენ, მხიარულების ატმოსფეროს შესაქმნელად; უკრავდნენ და მღეროდნენ; რაკი სათამაშოები ნაკლებად ჰქონდათ, ცომით ძერწავდნენ და აცხობდნენ (ცხოველებს, ფრინველებს, სხვადასხვა ზომის და ფერის კეკრცხებს, ყვავილებს და ა.შ.). საზეიმოდ მორთულ ხონჩაზე ალაგებდნენ და ავადმყოფის სასთუმალთან დებდნენ; ავადმყოფობის დამთავრების შემდეგ კი – „ბადაულოცავდნენ“ ანუ, სადღაც, ტყეში მიჰქონდათ, ბუნქზე შემოდებდნენ, რაღაც ლოცვებს წაიკთხავდნენ და შინ მხიარულები ბრუნდებოდნენ. ზოგჯერ რაღაც რიტუალებსაც ასრულებდნენ, რაც ბატონებიან ავადმყოფში, მისი არა-ჩვეულებრივობის გამო დადებით ემოციებს იწვევდა, რაკი ავადმყოფისთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც ეს ყველაფერი სასიამოვნო სანახაობა-გასართობი იყო; შინგამომცხვარ ჩიტებსა და ნაირნაირ ფიგურებსე კი – ნადიმს ტყის ბინადრები აგრძელებდნენ.

ცხადია ახლა, თანამედროვე გასართობებით და სათამაშოებით განებიერებულ ბავშვებს ცომით გამომცხვარი სათამაშოებით და ოჯახური - „ბატონების გადალოცვის თეატრალიზებული“ სანახაობებით ვეღარ მოეხიბლათ, მაგრამ, რაკი ის ამჟამად უჩვეულო რამ არის, შესაძლოა უფრო დადებითი ეფექტიც კი ჰქონდეს ბავშვის ფსიქიკაზე ზემოქმედების მხრივ.

აღბათ არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ოჯახებში ჩხუბი და აყალმაყალი თანამედროვე ბავშვებს არ აკლია, რაც უდავოდ ცუდად მოქმედებს ბავშვის

ფსიქიკაზე, მითუმეტს თუ ის ნერვული დაავადებითაა ინფიცირებული. ცხადია იმის თქმა არ მინდა, რომ სამედიცინო ჩარევა საჭირო არაა; გადმოცემით ბევრმა ჩვენგანმა იცის ზოგჯერ რა სავალალო შედეგებით მთავრდებოდა „მკურნალობის“ ეს ხალხური გართობა-განებიერებები, მაგრამ წამალთან ერთად რომ ავადმყოფის გახალისება-გართობა-განებიერებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის დავიწყებაც სწორი არაა; დაე ბავშვმა თავი ზრაპრულ სამყაროში იგრძნოს, მითუმეტს დღეს, როცა ყოველგვარი ცივილური გასართობი მათთვის ყოველდღიურობადაა ქცეული და მობეზრებულცი კი აქვთ! წამალთან ერთად ძველებურს კი, უფრო გამართობი და გამოჯანსაღებისთვის ხელშემწყობი ეფექტი ექნება.

მაშასადამე, „ბატონების“ (და არამარტო ნერვული დაავადებების) განკურნების საქმეში ძველი მეთოდები, მითი სულაც არაა.

ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ყოველ მითში რაღაც დიდი სიბრძნეა ნაგულისხმევი და მას გაანალიზება-ამოცნობა სჭირდება და არა - „გადაგდება“.

ამერიკელ სოციალ-ფსიქოლოგებს 90-იან წლებში ექსპერიმენტულად გამოუკვლევიათ თუ რა როლს ასრულებს ე.წ. „ადამიანის ფაქტორი“ ავადმყოფების გამოჯანმრთელების საქმეში, რაც ავადმყოფისადმი „თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას“ - მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. აღმოჩნდა, რომ იქ, სადაც ასეთი ურთიერთობები დანერგეს, ავადმყოფები ორჯერ უფრო ადრე გამოჯანმრთელდნენ და წამლებიც ნაკლები დასჭირდათ, ვიდრე ანალოგიურ ავადმყოფებს, სადაც ავტორიტარული მეთოდით მკურნალობდნენ, სადაც ექიმი და ავადმყოფი ერთმანეთისაგან გაუცხოებულები არიან; ხშირად ექიმი – შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს და პაციენტის პიროვნულ ღირსებებს არაფრად აგდებს; ზოგჯერ, ავადმყოფს რომ სხეულზე მეტად სული სტკივა და მკურნალობისას წამალთან ერთად ადამიანურად, გულისხმიერად მოპყრობა სჭირდება – ამაზე არ ფიქრობენ (ზოგჯერ!).

□ ორიოდ წლის წინ თბილისის ერთერთ წამყვან საავადმყოფოში ასეთი ამბის თვითმხილველი გავხდი: ერთ საღამოს, პალატის ექიმმა ყოველგვარი ახსნა განმარტებისა და გაფრთხილების გარეშე, სანიტრებს „თავისი პალატიდან“ ორი ავადმყოფი გააყვანინა; მათ გრძელი კორიდორი გაატარეს და სადღაც შეაგორეს, იგივენაირ, მაგრამ გაუმთბარ პალატაში. ავადმყოფები განერვიულდნენ – იფიქრეს, რომ ეს გაყვანილი პალატა „უპატრონო“ ან „უიქმელო“ ავადმყოფებისთვის ჰქონდათ გადანახული; ამ ეჭვებმა ისინი შოკში

ჩააგლო. ავადმყოფები ამოდ ითხოვდნენ შველას, თავს დაუცველად და შეურაცხოვრილად გრძობდნენ, მათთვის არავის ეცალა. მერე მათ ტელეფონებზე ისტერიული რეკვა ატეხეს – შინაურებს საშველად უხმობდნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ ადგილზე ორი მძიმე ავადმყოფი მიიყვანეს, რაკი სუნთქვის აპარატები მხოლოდ იქ ჰქონიათ და მათი სხვაგან მოთავსება შეუძლებელი ყოფილა; გაყინული კი იმიტომ იყო, რომ გათბობა დროებით მთელ საავადმყოფოში გამოურთავთ, რასაც მალე ისევ ჩართავდნენ.

ის ინცინდენტი იმ საღამოსვე მოგვარდა, მაგრამ იმ ავადმყოფებს ნერვულმა სტრესმა საქმე გაურთულათ. პალატის ექიმს კი თავი თვითონ მიანდა შეურაცხოვრილად, რაკი მის კეთილშობილებაში ეჭვი უსაფუძვლოდ შეიტანეს.

„ბატონების მითმა“ ექიმის პროფესიულ ეთიკამდე მიგვიყვანა, რის შესახებაც, ჩვენს ექიმებს, ზოგჯერ, საკმარისი სწავლება ან გულისხმიერება არ ყოფნით.

მცირე ხიფათის თუ ზარალის „ცრუ სიკეთეები“

ერთ-ერთი ცრურწმენა-გადმონაშთია „მცირე ხიფათის“ (ზარალის) ახსნა, როგორც სხვა უბედურებისაგან თავდაცვის მაუწყებელი; როცა ვინმეს მცირე ხიფათი (ზარალი) შეემთხვევა, ახლობლები ამშვიდებენ – არაუშავს, ამით რაღაც სხვა უბედურებას გადარჩი, ან პირიქით, შეიძლება კარგიც კი იყოსო! (ეს შეიძლება იყოს ფულის ან ნივთის დაკარგვა, რაიმეს გატეხვა, დაცემა და ა.შ.); როგორც წესი, ამ დროს ეუბნებიან – „შენი ჭირიც წაუღიაო“, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

რატომ ეგონა ჩვენს წინაპარს, რომ „ხიფათმა“ (ზარალმა) შეიძლება „ჭირი წაიღოს“, „მარგებელი“ იყოს ანუ აღამიანი უბედურებისგან დაიცვას?

ქართული ანდაზაა – „ზოგი ჭირი მარგებელიაო“; გერმანული ანდაზა – „ზარალი კაცს მოაჭკვიანებსო“, ხოლო ინგლისური – „კაცი ისე არ დაბრძენდება, თუ რაიმე უბედურება არ ეწვიაო“

საქმე იმაშია, რომ, ასეთი ცრუ ნუგეშისცემა „ცრუ“ სულაც არაა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში ნუგეშისცემა-გამხნელება-თანაგრძნობა, რაც უნდა უშედეგო იყოს, მაინც კარგია, სასიამოვნოა, მაგრამ, რაკი ხიფათები, როგორც წესი გაუფრთხილებლობისა და უყურადღებობის ბრალია, დიდი ალბათობით მას,

ადამიანის „გამოფხიზლება“, ყურადღების მობილიზება უნდა მოჰყვეს, რასაც არათუ რაიმეს „თავიდან აშორება“, არამედ შესაძლოა რაღაც სასარგებლო საქმეც კი მოჰყვეს. ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა ადამიანი „თავის შეცდომაზე სწავლობს ჭკუას“, მაგრამ არც ის მინდა ვთქვა, რომ „ხიფათი“ „გამომაფხიზლებლის“ ფუნქციას ყველასთვის ყოველთვის ასრულებს.

ხიფათი (ზარალი) მხოლოდ წინდახედულ ადამიანებს შეეკით, მათ, ვისაც საზიანოდან სასარგებლო დასკვნების გაკეთება შეუძლია და ის, **ზოგჯერ ფსიქოთერაპიის ფუნქციასაც ასრულებს!**

- აქ „მოლას ანეკდოტის“ გახსენებაც შეიძლება: მოლას ვირი მოჰპარეს; ცხადია, მალთან შეწუხდა, მაგრამ თავის გამხნეება მაინც შეძლო - კიდევ კარგი, ზედ არ ვიჯექიო, თქვა და გზა მშვიდად, ფეხით განაგრძო!

ანუ, ანეკდოტი - გაგვაცინებს, გაგვამხნეებს, ხოლო მეცნიერება (ფსიქოლოგია) კი გვასწავლის - ხიფათს (ზარალს) შედარებით ადვილად გადავიტანთ, თუ თუ მას რაიმე დადებით მხარეს მოვუძებნით, „ცუდი“ ხომ „კარგის“ გარეშე არ არსებობს და მის - ხიფათის (ზარალის) გონებისმიერი ახსნას - კოგნიტური ფსიქოთერაპია ჰქვია.

მარხვის „ცრუ“ ტრადიცია

ერთხელ ჩვენი ათეიზმის ლექტორმა, მარხვაზე საუბრისას თქვა – მარხვა მშრომელი ხალხის გასაბრძოლებლად მოგონილი სიცრუეა; გაბატონებულ კლასებს სურდათ მშრომელ ხალხს ცხოველური საკვებისგან თავი შეეკავებინათ, თვითონ კი არაფერს იკლებდნენ, მათთვის ყოველთვის ყველაფერი ნებადართული იყო (ლექტორების უმრავლესობა ამგვარ ახსნას იზიარებდა და კიდევ ასწავლიდა).

ჩვენ ვგრძობდით ლექტორი რომ უნებლიედ ტყუოდა (ან ცდებოდა), მაგრამ რაკი საწინააღმდეგო არგუმენტები არ გაგვანდა (თანაც დუმილს ვიყვით მიჩვეული), გაპროტესტება აზრად არავის მოსვლია და ლექციამ მშვიდად ჩაიარა.

მოგვიანებით, როცა ბევრი „დამალული საიდუმლო“ გაცხადდა გავიგეთ (და თქმაც გავბედეთ), რომ – „გაბატონებული კლასების“ ერთი ნაწილის „ათეისტური კვების“ მიუხედავად, მარხვის ტრადიცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ბევრი სიკეთის მომტანია!

ახლა ყველამ ვიცით – „მარხვის საიდუმლო“ მხოლოდ ცხოველური საკვებისგან თავის შეკავება არაა; ეკონომიკურ ფუნქციასთან ერთად მას აქვს:

ორგანიზმის სულიერი და სხეულებრივი განვითარების - ცოდვების მონანიებისა და კათარზისის ფუნქცია.

ამ დროს ცხოველურ საკვებში აგრესიის ჰორმონი ყოფილა მომატებული, რაც ადამიანის ორგანიზმშიც გადადის და მის ქცევებზეც აისახება;

ზოგჯერ მარხვა (დიდი მარხვა) ცხოველების გამრავლების პერიოდს ემთხვევა – როცა ნამატს მშობლის რძით კვება სჭირდება და ადამიანის საკვებად მისი გამოყენება მიზანშეუწონელია;

ამასთან, მარხვა, როგორც დემოგრაფიული პობლემის ერთგვარი მარეგულირებელი მექანიზმი, ადამიანს იცავს არასასურველ პერიოდში ჩასახვისაგან, რაკი მარხვის დროს ჩასახული ბავშვი ავადმყოფობისაგან დაზღვეული ნაკლებად ყოფილა; ამიტომ ითვლება ცოდვად ამ დროს ქორწინებითი (ცოლქმრული) ურთიერთობები (ცხოველებს გამრავლების პერიოდი წელიწადის მხოლოდ განსაზღვრულ დროს აქვთ).

მარხვა გახსნილების ზეიმით მთავრდებოდა; ეს ოყო სურნელოვანი, თაფლის სანთლებით გაჩირადნებულ კელესებში, საეკლესიო საგალობლების ზემოქმედებით უხარმაზარი ტბობა, შემდეგ კი საკუთარ ოჯახებში, მონატრებული და იმ დღისათვის საგანგებოდ მომზადებული საზეიმო სადილ-ვახშამი;

მარხვის დროს მორწმუნეს მოთმინების უნარი უფთარდება, რაც მეტად საჭირო ფსიქიკური ფუნქციაა როგორც თავად ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზრუნვის, ასევე სხვებთან ურთიერთობისათვისაც.

მოთმინების უნარი, ისე როგორც სხვა ყველაფერი, ხან კარგია, ხან ცუდი; ცუდი მაშინაა, როცა ადამიანს გარემოება უსამართლობის მოთმენას აიძულებს. ის (უარყოფითი ემოციების შეკავება), ცუდ სამსახურს უწევს როგორც თავად მომთმენის ჯანმრთელობას, ასევე ქვეყნად წესრიგის დამყარებასაც; მაგრამ არც უსამართლობაზე სწრაფი რეაგირებაა რეკომენდებული; იმისათვის, რომ უსამართლო მხარემ თავისი ბრალი გააცნობიეროს, კონფლიქტიდან მცირე დრომ მაინც უნდა გაიაროს, რათა „დამნაშავე“ მხარეს აფექტმა გაუაროს, რაკი აფექტისას მისი ფსიქიკა „დახურულია“, რაც ხელს უშლის „ბრალის“ გაცნობიერებას (საერთოდ, ემოციები და აზროვნება ვერ ჰგუობენ ერთმანეთს. ამიტომ

გვირგევენ ფსიქოლოგები - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ემოციურ მდგომარეობაში არ მივიღოთ და მშვიდ მდგომარეობას დაველოდოთ).

მაშასადამე, მარხვას ახლდა: გახსნილების დღესასწაული, რწმენის განმტკიცება, ჯანმრთელი თაობის დაბადება, სულიერი და სხეულებრივი კათარზისი, „განახლება“ ცხოვრების დაწყების სიხარული, შვებისა და ნეტარების განცდა, ურთიერთობებისთვის საჭირო - მოთმინების უნარის განმტკიცება, რის გამოც მას აქვს თერაპიული ეფექტიც და დანაშაულია, რომ მას „ცრუ“ ვუწოდეთ.

თავი 2. წარმატების მომტანი „ცრურწმენები“ და ხუმრობა-შეშინებები

რწმენის ფსიქოლოგია

გწამს? მაშასადამე არსებობს! (პრაგმატიზმის ფილოსოფიიდან);

თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ (წმიდა ილია მართალი)

რწმენა – ღვთიური ნიჭია (ბლემ პასკალი)

რაც ერთისთვის რწმენაა, მეორისთვის უაზრობაა (პასკალი)

პრაგმატიზმის ფილოსოფიის ფუძემდებლების აზრით (უილიამ ჯემსი, ჩარლზ პირსი, ჯონ დიუი) „თუ ღმერთი გწამს – არსებობს, თუ არა გწამს – არ არსებობს“. ამ მტკიცებულების საბუთად „ცრურწმენების“ რეალური შედეგები მიაჩნიათ; მნიშვნელობა არა აქვს, ხედავ „მას“ თუ ვერა, რწმენის სასარგებლო შედეგები ხომ სახეზეა!

ამ მტკიცების „საბუთად“ ჩვენ შეგვიძლია „ქრისტეს იგავებიდან“ თუნდაც ერთ-ერთი გავისხენოთ: იესო ქრისტემ მორწმუნე ბრძანებებს თვალები აუხილა; გახარებული მორწმუნე ქრისტეს მუხლებზე მოეხვია – შენ მე მიშველეო!

– შენ შენმა რწმენამ გიშველაო! უპასუხა იესომ.

შემთხვევით არ წერია „9 ნეტარებაში“ – „ნეტარ არიან მორწმუნენიო!“. რატომ არიან ნეტარნი? იმიტომ, რომ რწმენა არის ძალა და იმედი; იმედი არის – სიმშვიდე; სიმშვიდე არის – სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა! გწამს? ესე იგი არსებობსო, – სწორედ ამიტომ ამტკიცებენ პრაგმატიზმის ფუძემდებლები.

მაგრამ რწმენის ეს „ყოვლისშემძლეობა“ მის „მაგნიობასაც“ არ გამორიცხავს, რაკი სამყაროული წესრიგი, წონასწორობის პრინციპითაა გარანტირებული (საქმე გავიოლოთ და ნუ შევხებით იმ საკითხს, თუ ვინ შექმნა ან როგორ შექმნა ეს პრინციპი). მაგალითად, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა კარგია, მაგრამ არსებობს „ცრუ ოპტიმიზმის“ ცნებაც, რაც სწორედ რწმენის მაგნიობას გულისხმობს – ეს ის შემთხვევაა, როცა საკუთარი თავისა და ძალის რწმენა უსაფუძვლოა; რაც უნდა ძლიერ სწამდეს ნაცარქექიას საკუთარი

შესაძლებლობებისა. ფიზიკურად ის მაინც ვერ მოერევა დევებს. თუ თავისი სისუსტის საკომპენსაციოდ რაიმე ხერხი არ მოიგონა (მოიფიქრა); რწმენა საფუძვლიანი უნდა იყოს, ხოლო „საფუძველს“ ჭირდება სიბრძნე (ჭკუა, გონება), ამ სიბრძნის გამოყენების უნარი“, გამოცდილება და მიზნის განხორციელებისთვის საჭირო გარემო პირობები; ეს ყველაფერი ერთად არის ადამიანის (საზოგადოების, ქვეყნის) წარმატებული მოღვაწეობის პირობა.

აქ ერთი ფრიად რთული კითხვა იზადება - როგორ უნდა გავიგოთ ან ვინ გვასწავლის ჩვენი რწმენა საფუძვლიანია თუ უსაფუძვლო? სოკრატეს აზრით ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ ბრძენს შეუძლია; მაგრამ ვინაა ბრძენი? ლევ ტოლსტოის (დიდი რუსი მწერლის) აზრით, ქვეყნად ძნელად იპოვება თავისი ჭკუით უკმაყოფილო ადამიანი, ყველას თავისი თავი ასე თუ ისე ბრძენი ჰგონია! (თავისი ბედით კმაყოფილი ადამიანიც იშვიათია), რაც ადამიანებს შორის (საზოგადოებებს, სახელმწიფოებს და ა. შ. შორის) აზრთა სხვადასხვაობისა და კონფლიქტების მიზეზი ხდება. ამიტომ შეცვალა თავისი პასუხი ამ კითხვაზე ბრძენმა სოკრატემ და სიბრძნის მასწავლებლად კანონი გამოაცხადა - კანონი, რომელსაც ბრძენი-ფილოსოფოსები მიიღებენ და რომელიც საყოველთაო-სავალდებულოდ გამოცხადდება. ამიტომ გახდა განვითარებულ ქვეყნებში „კანონის უზენაესობა“ - დოგმა, ხოლო კანონდამცველთა ავტორიტეტი - ხელშეუხებელი! თუ ქვეყანაში არაა ღმერთისა და ღვთისმსახურების და/ან კანონისა და კანონდამცველების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და სტრუქტურების მიმართ რწმენა, ქაოსი მოიცავს მას!

ალბათ ამიტომ იკრძალება ზოგიერთ ქვეყნებში ამ სტრუქტურების მაკომპრომეტირებელი ინფორმაციების გავრცელება, რაც უკანონობასთან ბრძოლის ნაკლებად ეფექტური საშუალებაა. არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ კაცობრიობას მხოლოდ განათლება/კანონის ცოდნა გადაარჩენს! მაგრამ თუ „განათლების“ ცნებაში მხოლოდ ინფორმაციის/კანონის „ცოდნას“ ვიგულისხმებთ (ვთქვათ, ვიცით, გვასწავლეს, რომ არ უნდა ვიცრუოთ) და არ გვექნება იმის რწმენა, რომ „სიცრუე და ორპირობა, ავნებს სულსა, მერმედ ხორცსა“, ასეთ „ცოდნას“ არც სასურველი შედეგი მოჰყვება.

საქმე იმაშია, რომ დანაშაული, რასაც რელიგია „ცოდვას“ უწოდებს, პირველ რიგში თავად დამნაშავეს სჯის (იხ. „სინდისი - პატარა ღმერთი ჩემში“), მხოლოდ ამის შემდეგ - მსხვერპლს! (იხ. ბოროტების კანონი) ადამიანებისთვის ამის გაცნობიერება და რწმენაა მთავარი და არა მარტო აკრძალვის ცოდნა! ცოდნასთან ერთად თუ კანონის რწმენაც არ არსებობს, დამნაშავეს ჰგონია, რომ თუ დანაშაულს მოხერხებულად დამალავს, ქრთამით ან ნათესაობით სასამართლოს თავს აარიდებს, სასჯელს გადაურჩება! მას შეგნებული არააქვს, არ სწამს, რომ დანაშაულში თავისთავად არის მოცემული სასჯელი! ისევე სოკრატე დავიმოწმეთ - დამნაშავემ რომ იცოდეს (შეგნებული რომ ჰქონდეს)

დანაშაული რომ მისთვისვე არის საზიანო, არასოდეს მას არ ჩაიდენდაო! (ანუ, „ცოდნას + რწმენა=„შეგნებას“).

საბოლოოდ კი იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ „კანონის ცოდნა“, რომელსაც კანონით აკრძალულის მავნეობის რწმენაც თან არ ახლავს, უსაფრთხოების საიმედო გარანტია არაა.

სანთელი, ლოცვა

ჩვენი ქვეყნის ათეისტურ პერიოდში ისეთი წმიდა რიტუალებიც ცრურწმენად ითვლებოდა, როგორც სანთლის ანთება და ლოცვა.

მაშინ საზოგადოების უმრავლესობა, პოლიტიკური მოტივებით, იშვიათად ანთებდა სანთლებს და ლოცულობდა (ბევრნი იმის იმედით, რომ ღმერთი მოწყალეა და გვაპატიებს, რაკი ეს „თავშეკავება“ ჩვენი ბრალი არააო); ისეთებსაც ვიცნობდით, ვინც დილაობთ, ფანჯარასთან იდგა სანთლით ხელში და ლოცულობდა (ბებია, დედა). ალბათ ისეთი ათეისტებიც ბევრნი იყვნენ, ვისაც გულწრფელად სჯეროდა სამყაროული წესრიგის ევოლუციური კანონზომიერება და ისეთებიც, ვინც თანამდებობით მოხიბლულმა „დაიჯერა“ ღმერთის არარსებობა; თავად მე კი, წმიდა სანთლის მნიშვნელობის აღმოჩენაში ერთი შემთხვევა დამეხმარა, რაც ჩემი ახლობლებისთვის არაერთხელ მომიყოლია.

ერთხელ, მასიური ათეიზმის პერიოდში, ერთერთ რაიონში საქმიანი ღონისძიების შემდეგ რესტორანში კარგად მოვილხინეთ. შემდეგ ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების დათვალიერებისას, ეკლესიაშიც შევიარეთ. იქ სანთლები ყველამ აანთო, სტუმრებმაც და მასპინძლებმაც - რაიკომის მდივანმა, აღმასკომის თავმჯდომარემ და სხვებმა, მათ შორის მეც. ვიდექი ანთებული სანთლით ხელში და თავლის სანთლების სუნით და ციმციმით მოხიბლული კედლებს შევცქეროდი, როცა ჩვენი ჯგუფის წევრი (პროფესორი) მომოახლოვდა; ალბათ შემატყო სანთელი „ზრდილობისთვის“ რომ მეჭირა და წამწურჭულა - სანთელი ეგრე კი არ უნდა აანთო, უნდა ჩაუთქვა და სურვილი აგისრულდებო.

დიახ, უნდა ჩავუთქვა! მაგრამ რა ჩავუთქვა? იმდენი კი ვიცოდი, რომ არ უნდა მომეხსენიებინა უფალი „ამაოსა ზედა“ (უფალს ახალ ფეხსაცმელს ან ქურქს ხომ არ ვთხოვდი!), მაგრამ რა მინდა ისეთი, რაც არაა „ამაო?“ ვიფიქრე, ვიფიქრე და მივხვდი - როცა ოცდაათი წლის გაუთხოვარმა ქალმა არ იცის რა უნდა და რა თხოვოს უფალს, ის ღირსი არაა ქონდეს ის, რაც ქალისთვის მთავარია - საკუთარი ოჯახი და შვილები!

ასე „აღმოვაჩინე“, რომ ის, ვინც არ იცის ცხოვრების მოცემულ ეტეპზე რა არის მისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი, საეჭვოა რომ წარმატებას მიაღწიოს. როცა ადამიანმა იცის თავის სამოქმედო მიზანი, რაზეც ის ლოცულობს და რისთვისაც სანთელს ანთებს (თავის სურვილს, მიზანს, სიტყვიერად აყალიბებს და იცნობიერებს) - ის მის ფსიქიკაში დომინანტი ხდება! ლოცვა კი იმ რწმენას და ფსიქიკურ ენერგიას ანიჭებს, რაც მიზნის მიღწევისათვის არის საჭირო.

მასოვს, მასიური ათეიზმის დროს, დედაჩემს ბებია ეტყოდა - საქმეზე წასვლის წინ უნდა ილოცო და ის საქმე, რაზეც მიდიხარ, უსათუოდ გამოგივაო. მე ეს შეგონება „ცრურწმენა“ მეგონა, რაკი მიმაჩნდა, რომ წინა თაობა „ცრურწმენებზე“ იყო გაზრდილი.

მოგვიანებით, როცა ვნახე, რომ სტუდენტების უმრავლესობა სემინარებსა და გამოცდებზე უპასუხისმგებლოდ, დაბნეულები მოდიოდნენ, დავიწყებოდათ რვეულის ან პასტის წამოღება, წინა დღეებში მომზადებული მასალა და ა. შ., ბებიას შეგონება გამახსენდა - წასვლის წინ უნდა ილოცოთო; მივხვდი, რომ „ცრურწმენაზე გაზრდილი წინა თაობა“ არ ცდებოდა - „საქმეზე“ წასვლის წინ ლოცვა იმ განწყობის შექმნის მექანიზმია, რაც წარმატებული აქტივობისთვისაა საჭირო; მაშასადამე, გარკვეული რიტუალის შესრულებით (სანთლის ანთებით და ლოცვით) ადამიანი განწყობას იქმნის, რაც დაბნეულობის, მღელვარების და სხვა გაუთვალისწინებელი ხელისშემშლელი ფაქტორების თავიდან აშორებაში ეხმარება - მას არც პასტა და რვეული დაავიწყდება და არც სასემინაროდ (საგამოცდოდ) მომზადებული მასალა.

ამგვარად, ლოცვისას ადამიანი საკუთარ სურვილს და შესაძლებლობებს აცნობიერებს; მაგრამ როცა არ იცის რა სურს, არც მის ცხოვრებაში მოხდება რაიმე, კარგი, რაკი არც მიზანი აქვს გაცნობიერებული და არც ის განწყობა აქვს, რაც წარმატების მიღწევისთვის აუცილებელია. ლოცვა - სურვილებში პრიორიტეტებს გამოჰყოფს და მას ინტენსივობას შესძენს, რაც მიზნის მიღწევის დიდ ალბათობას ქმნის. ხოლო ზოგიერთი რელიგიური სექტის მიხედვით „ცრუდ“ მიჩნეული წმიდა სანთელი და ლოვა, თუ ის რწმენით სრულდება, „ცრუ“ სულაც არაა.

ამასწინათ ტეიევიზიით ერთი ახალგაზრდა, უცხოეთში განსწავლული გოგონას ლექციას გადმოსცემდნენ; ის ადამიანის წარმატებისთვის საჭირო ფსიქიკურ ფაქტორებზე საუბრობდა და საამისოდ დღეისათვის ფსიქოლოგიის მიერ აპრობირებულ მეთოდებს გვიხიარებდა: იმისათვის, რომ წარმატებებს მივაღწიოთ, მან გვიჩვენა ქაღალდზე ჩამოვწეროთ ყველა ის მიზანი, რაც ჩვენ ამჟამად დასახული გვაქვს, სარკესთან მივაკრათ და ყოველ დღე, როცა სარკეში ჩავიხედავთ, ყურადღებით წავიკითხოთ და შევიხსენოთ; ამასობაში ის მიზნები ჩვენი სამოქმედო გეგმების ორგანიზაციის ნაწილი გახდება, რაც ზრდის მისი მიღწევის შანსს!

ეს შეგონება რჩევა-დარიგებები მართლაც „მუშაობს“ მიზნის მიღწევის პროცესში, რის გაცნობიერებაც დიდ მიღწევად ეთვლება თანამედროვე ფსიქოლოგებს. თუმცა, ესაა „ძველი ჭეშმარიტების“ ხელახალი „აღმოჩენა“, რის „კარგად დავიწყება“ კაცობრიობამ ვერ მოასწრო და რასაც ძველთაგანვე წმიდა სანთელთან ლოცვა ასრულებდა.

თანამედროვეობამ შეცვალა ადამიანთა სამოქმედო მიზნები და მისი მიღწევის საშუალებები; ვგვირბ, რომ მიზნის მიღწევის ძველი „საშუალებები“ - წმიდა სანთელი და ლოცვა, გაცილებით უფრო მორალური და ლამაზი, მეტი ფსიქიკური ენერჯის წყაროა ვიდრე თანამედროვე - სარკესთან დაკიდული ხელნაწერი ფურცელი, რაც ახალგაზრდამ „ხშირხშირად უნდა გადაიკითხო“, რათა ის მის ფსიქიკაში დომინანტი გახდეს და მოქმედებების იმპულსის ძალა შეიძინოს.

მაგრამ ახლა იმაზე დავა - ძველი ჯობდა თუ ახალი, მნიშვნელოვანი არაა; მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა წარმატებას უნდა მიაღწიოს, თუკი მისი მიზანი ამასთან ერთად მორალურიც იქნება, ამის გარანტიას კი, ქაღალდზე ჩამოწერა ნაკლებად იძლევა.

ანუ, თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, თავლის სანთელთან გულწრფელი ლოცვა - ცრუ სულაც არაა!

მსხვერპლ შეწირვა – ცრუ იმედი?

თუ დავაკვირდებით, მსხვერპლ შეწირვის „ცრუ“ რიტუალის შესრულებისას ადამიანის ცნობიერებაში მიზნის მიღწევის მყარი რწმენა - იმედი ჩნდება, რაც უშედეგოდ თითქმის არასოდეს მთავრდება.

საბედნიეროდ, დღეს კაცობრიობას აღარც კი ახსოვს რა ბარბაროსული ფორმები და მასშტაბები ჰქონია წარმართობის ხანაში ამ ტრადიციას. ჩვენამდე მხოლოდ აქა-იქ, ქათმის ან ცხვრის მსხვერპლად შეწირვის შემთხვევებმა მოაღწია; სპეციალური ლიტერატურიდან კი მისი ისეთი ფორმებია ცნობილი, რაც თანამედროვეთათვის წარმოუდგენელია.

მაგალითად, უწინ, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ალბანელებს, სცოდნიათ ღვთაებისთვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა. იმ ადამიანს, ვისაც შემთხვევით თავიანთ ტყვეებში დაიჭერდნენ, სპეციალურ გომურში ამწყვედევდნენ, მსუქედ კვებავდნენ, ასუქებდნენ და მერე თავიანთ ღვთაებას საკულტო ადგილზე დაუკლავდნენო.

სამოცდაათიან წლებში მარტვილის რაიონში სტუმრობისას, მასპინძლებმა „დიდი ჭყონი“ – დიდი მუხა გვიჩვენეს და გვითხრეს, რომ ამ ადგილას, წარმართობის პერიოდში, დედები მსხვერპლად შეიღებეს სწირავდნენო.

ბერძული მითოლოგიის ზოგიერთი ავტორის (გუსტავ შვაბის) მიხედვით, ტროას ერთერთმა გმირმა – აგამემნონმა, ომში წასვლის წინ პოსეიდონს გამარჯვებაში დახმარება სთხოვა და მისი სიმპათიის დასამსახურებლად, მსხვერპლად თავისი უსაყვარლესი ქალიშვილი – იფიგენია შესწირა (ომში ის ზღვით მიემგზავრებოდა). ამან მას უზარმაზარი ტკივილი მიანიჭა, რამაც ასევე უზარმაზარი ენერგია შესძინა, რის გამოც „არ შეიძლებოდა ომში გამირულად არ ებრძოლაო“ წერს შტაინერი.

ამ ბარბაროსული „მსხვერპლ შეწირვების“ გახსენების შემდეგ შეიძლება სიამაყით ვთქვათ, რომ დღეს, ქრისტიანული სარწმუნოების წყალობით,

საზოგადოებამ დაივიწყა სისხლიანი ტრადიციები, მაგრამ რაიმე ღირებულებისადმი (წარმატებისათვის) „მსხვერპლის გაღება“ ადამიანს დღესაც უწევს. ესაა განათლებისთვის, სიღამაზისთვის, სიყვარულისთვის, ჯანმრთელობისთვის და ა.შ. ფულის, შრომის, დროის, სწავლის, თავშეკავებისა და სხვა სახით გაღებული სულიერი თუ მატერიალური „მსხვერპლები“ და რაც უფრო დიდია (ძვირი) „მსხვერპლი“, მით უფრო ეფექტურია მისი შედეგები.

- ერთმა ყოფილმა ფილოსოფოსმა, როცა ის უმუშევარი დარჩა, **წიგნებით გაჭრობა** დაიწყო (როგორც ამბობენ, მას ეს საქმიანობა გაცილებით უფრო გამოადგა), მითხრა – ხუთ ლარიან წიგნს ვინ იყიდის, ან წაიკითხავს, მითუმეტეს ვინ ისწავლის, დააფასეთ ოცდაათი, ორმოცი ლარი და სულ ზეპირად ისწავლიანო! ის ფილოსოფოსი არ ცდებოდა – ფაქტია, რომ სტუდენტები „ძვირ“ უნივერსიტეტებში, ერთსა და იმავე ლექტორებთან გაცილებით უკეთ სწავლობენ და ძვირი წამლებიც რომ უფრო ეფექტურია. სხვათაშორის, როგორც წესი, ადამიანები კარგად („ძვირად“) ჩაცმულ ექიმებს, ადვოკატებს, მასწავლებლებს და ა.შ. უფრო ენდობიან და უფრო სჯერათ მათი, ვიდრე უბრალოდ, ჩვეულებრივად ჩაცმულებს.

ისიც შესაძლებელია, რომ ვინმეს, საკუთარი მცდელობის გარეშე, თავისთავად და ბუნებრივად ჰქონდეს რაიმე ღირებულება - ის, რასაც ფსიქოლოგიაში - „ნასახი“ ანუ „ნიჭის ჩანასახი“ ჰქვია, მისი განვითარება კი მაინც ფსიქიკურ მსხვერპლს - ნებისყოფას, მონდომებას, მცდელობას მოითხოვს; ესაა საკუთარი ძალისხმევის დახმარებით შეძენილი ჩვევის დაუფლების პროცესი; მაგალითად: სპორტული სრულყოფილების მისაღწევად ან მუსიკალური ნიჭის განვითარება-სრულყოფასათვის საჭირო ვარჯიში, მეცნიერული ინტერესების გაღვივება-განვითარება, მატერიალური დოვლათის შექმნა-გამრავლებისთვის დახარჯული შრომა და საერთოდ, ნებისმიერი წარმატებისთვის დახარჯული შრომა! ანუ, „უმსხვერპლოდ“ (უმრომელად) მისი განვითარება - **საეჭვოა**.

- ძველი აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის: დათესავ ქცევას, მოიმკი - ჩვევას; დათესავ ჩვევას, მოიმკი - ხასიათს! დათესავ ხასიათს - მოიმკი - ბედს!

თუ ამ შეგონებას გავაანალიზებთ ვნახავთ, რომ მასთან ბევრი საერთო აქვს თანამედროვე ბიჰევიორალურ მედიცინას („ბიჰევიორ“ ნიშნავს ქცევას!).

მისი მეთოდის მარტივად ასახსნელად ერთი ქალბატონის წერილის გახსენება დაგვეხმარება: ის წერს - „ახალგაზრდობაში თავისუფალი ყოფაქცევის ქალი ვიყავი . . . მოგვიანებით ერთი ტრადიციული ღირებულებების ვაჟზე გათხოვება გადაწყვიტე და მის მოსახიბლად ტრადიციული ქალბატონის როლის თამაში დავიწყე; დროთაგანმავლობაში აღმოვაჩინე, რომ სინამდვილეში, მე, სწორედ ეს „ახალი ქალბატონი“ ვარ და არა ის, ვინც აქამდე მეგონა რომ ვიყავი!“ ანუ, ბიჰევიორიზმი ასწავლის, რომ ადამიანს შეუძლია გახდეს ისეთი, როგორც მას სურს რომ იყოს - როგორ ქცევასაც „დასთესს“ ისეთ ჩვევებს შეიძენს, ანუ - „მოიმკის ჩვევას“, რაც მისი ხასიათის ფუნდამენტი და მისი ბედის განმსაზღვრელიც გახდება.

ანუ, ადამიანი თავად ქმნის თავის ბედს და საამისოდ დახარჯულ შრომას შეგვიძლია მსხვერპლი ვუწოდოთ (აქ შეგვიძლია ისევე ჩვენი წინაპრების ნაანდერძევი შეგონება გავიხსენოთ - სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში - გატკბილდების!“).

ამგვარად, შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „მსხვერპლშეწირვა“ კი არაა „ცრუ“, არამედ მისი ფორმაა მისაღები ან მიუღებელი, და ის საზოგადოების განვითარების დონეზეა დამოკიდებული.

ჭიაკოკონობა - გარემოს მოვლის „ცრუ“ ტრადიცია?

ფოლკლორული „ცრუ სიბრძნეების“ ერთერთი ყველაზე უფრო პოპულარული და გავრცელებული ნიმუში **ჭიაკოკონობის ტრადიციაა**.

როგორ გაუძლო მან საუკუნეებს ან კომუნისტურ იდეოლოგიას, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგები დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ მათს ამოშლას ჩვენი შეგნებიდან? რა ხიბლი ჰქონდა მას, ნუთუ მხოლოდ იმიტომ შეიყვარა ხალხმა, რომ ბავშვების კარგი გასართობი იყო ან მართლა კუდიანებისა ეშინოდათ? ამ კითხვებზე პასუხს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, სრულიად შემთხვევით მივაგენი.

ერთხელ, გაზაფხულზე, ჩვენს მიტოვებულ და დიდი ხნის მონატრებულ სოფელში წავედით. ეზოს რომ მივადექით, ჭიშკარი ვერ შევადეთ, რაკი გაზაფხულის წვიმებით გაჯერებულ ნიადაგს ბალახთან და ყვავილებთან ერთად

ეკალბარდებიც უხვად მოსდებოდა. ჭიშკრის გაღებას ღობის ძირებში შემოდგომიდან შემორჩენილი ჩაშავებულ-ჩაშმორებული ფოთლებიც ხელს უშლიდა.

– ხედავ შვილო, დაპატრონებიან ჩვენს ეზოს ეშმაკები და ესააო, სევდიანად თქვა დედამ.

უეცრად „განათდა“ გონებაში – დედა იმ „ეშმაკებზე“ ლაპარაკობდა, რაზეც დიდი ხნის წინ ბებია გვეუბნებოდა – ვის ეზოშიც ადღგომის წინა კვირაში ჭიაკოკონა არ დაინთება, იმ ეზოს ეშმაკები დეპატრონებიანო.

მაშინ, მასწავლებლების ავტორიტეტით შთაგონებული ვფიქრობდით – ვისაც „ეშმაკების“ არსებობა სჯერა, ჭკვიანურს ვერაფერს გვირჩევსო და ბებიას ნათქვამი „ერთ ყურში რომ შევუშვიო...“

საცხოვრებლად ქალაქში რომ გადავედით, სოფლის მისახედად აღარ გვეცალა; ადღგომის წინა კვირაში, ქალაქში, გაზონებში, აურიამულებული ბიჭების მიერ დანთებულ „ჭიაკოკონას“ – ცეცხლწაიღებული მანქანის საბურავებს, მესუთე სართულიდან გადავცქეროდით, თან კარ-ფანჯრებს მჭიდროდ ვხურავდით შავ მყრალ კვამლს რომ არ შევეწუხებინეთ; მერე კი, წვიმის მოსვლამდე, ნაკოცონარ ჭვარტლსა და ნაცარს ფეხის დასერის შიშით გვერდს ვუვლიდით და მეფხოვეზე ვბრაზობდით.

დედამ რომ თქვა – „დაპატრონებიან ჩვენს ეზოს ეშმაკებიო“, მხოლოდ მაშინ მივხვდი რა ეშმაკებზეც ლაპარაკობდა დიდი ხნის წინ ბებია. ის „ეშმაკი“ ადამიანის სულში ჩაბუდებული სიზარმაცე, დაუდევრობა, უვიცობა, შური, ავხორცობა და მისი მსგავსი მანიკერებები ყოფილა.

ჭიაკოკონობის ტრადიცია კი სიზარმაცესაც (სულიერს) ებრძვის და ეკოლოგიურ პრობლემებსაც; მაშინ, სკოლამდელ ასაკში, ბებიები გვასწავლიდნენ – ყველაზე მაღალი ჭიაკოკონა რომ ანთოთ, ეზო-გარემოს გასუფთავებისას მოგროვილი ფინხი, საქონლის საკვების ნარჩენები, წინა წლის გამხმარი ეკალ-ბარდები და სხვა ხარახურა თავად უნდა მოაგროვოთ! (სად იყო მაშინ დასაწავი საბურავები! ვფიქრობ ახლაც შეიძლება ამ ტრადიციის დაკავშირება კორპუსების გასუფთავების ხარჯზე კოცონის ანთებასთან). ბებია გვიშლიდა – ჩალა არ დაწვათ, საქონელს არ დააკლოთ, ღმერთი გვიწყენსო. ამიტომ, „სხვაზე უფრო მაღალი ჭიაკოკონის“ სურვილით ეზო-გარემოც „სხვაზე უფრო სუფთა და გაკრიალებული“ გვქონდა.

ამგვარად, მასწავლებლების ჩაგონებით „ცრუ“ ტრადიციაზე უარის თქმამ ისე ჩაგვიხერგა ეზოში შესასვლელი, რომ დიდი შრომა დაგვჭირდა ეს რომ მოგვეხერხებინა (შემდგომში კი უფრო სერიოზული პრობლემებიც შეგვიქმნა).

ძველი ჭიაკონობა მართლაც კარგი ტრადიცია იყო, საუკუნეების განმავლობაში დახვეწილი და განმტკიცებული. მართალია დღესაც ბევრი ტრადიცია იქმნება, მაგრამ „ახლებს“ ის ნაკლი აქვს, რომ ზეიმობს – უმცირესობა, ხალხი კი – მაყურებელია. „თბილისობაზე“ რაიონებიდან ჩამოტანილი და გამოფენილი პურმარილი, მხოლოდ ქალაქში მცხოვრები უახლოესი ნაცნობ-მეგობრებისთვისაა განკუთვნილი, მოზეიმეთა უმრავლესობა – მათი „ლხინის“ მაყურებელია. სასაქონლო პროდუქტი კი ჩვეულებრივ ფასებში ან უმნიშვნელო ფასდაკლებებით იყიდება, რაზეც ისეთი რიგები დგება, რომ იქ დგომას სჯობს საერთოდ არაფერი ჭამოს ადამიანმა. არადა, სახალხო ზეიმმა ყველა ოჯახში უნდა შეაღწიოს, რაც ზემდგომი ორგანიზაციების გადაწყვეტილებით არ ხდება – ის სახალისოდ უნდა იყოს, ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომიც, სასარგებლოც და სასიამოვნოც, რასაც წინ მოსალოდნელი სიხარულის მოლოდინი უნდა უძღოდეს, თუნდაც ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი იშვიათი კერძის ან ნუგბარის სახით, როგორცაა საახალწლოდ – გოზინაყი, საშობაოდ – ღორი, სააღდგომოდ – წითელი კვერცხი, დაბადების დღის – ტორტი და ა.შ. ცხადია რომ, როცა ეს ყოველივე ყოველდღიური და ჩვეულებრივი საკვები გახდება (ისე, როგორც დღესაა გოზინაყი, ტორტი, წითელი კვერცხი), მას აღარც სასიამოვნო მოლოდინები ახლავს და აღარც სიხარულის მოტანა შეუძლია.

დღესასწაულების მოყვარულებს (და დამწესებლებსაც) უნდა ახსოვდეთ, რომ ის, რაც ყოველდღიურობად გადაიქცევა, აღარ შეუძლია სიხარულის და ზეიმურობის განცდა მიანიჭოს ადამიანებს, რისი მოლოდინიც მათ ძალიან სჭირდებათ.

პატარპატარა „ცრუ“ პიარ-ტექნოლოგიები

თანამედროვეობამ კიდევ ერთი ახალი ცოდნის დარგი – **საზოგადოებრივი ურთიერთობები (პიარი)** შემოგვთავაზა (თავად „საზოგადოებასთან ურთიერთობების ხელოვნება“ უძველესი მეთოდია, მაგრამ ოფიციალურად ის მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა), რომლის ერთერთ მეთოდს – „ღუზა სიტყვა“ თუ „ღუზა მოქმედება“ ჰქვია; მისი მიზანია – საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელოვან

ღირებულებას ისეთი სიტყვა ან მოქმედება დაუკავშიროს, რაც ამ მოქმედებისთვის „ღუზის“ მნიშვნელობას შეასრულებს (ანუ - მას „ქარი და „ზღვის ტალღები“ ოილად ვერ „წაიღებს“, ანუ, ვერ ამოშლის ადამიანების მეხსიერებიდან).

„ღუზა სიტყვის“ (თუ მოქმედების) აზრი უფრო გასაგები რომ გახდეს, ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილი ფაქტი მოვიშველიოთ: სოკრატეს, ხელისუფლებამ, საწამლაკით სიკვდილი მიუსაჯა (ოფიციალური ვერსიით - ხელისუფლებას არ მოსწონდა მისი სწავლება, რაც თავისუფალმოაზროვნობის საფრთხეს ქმნიდა); მისმა გავლენიანმა მოწაფეებმა მას საპატიმროდან გაქცევა შესთავაზა, რაზეც დიდ ფილოსოფოსს უარი განუცხადებია - მე რომ თქვენი წინადადება მივიღო სიცოცხლეს კი შევინარჩუნებ, მაგრამ მთელი ჩემი მოძღვრების საწინააღმდეგოდ მოვიქცევი, რასაც ვერ დავთანხმდებო (როგორც ცნობილია, ის კანონის უზენაესობას აღიარებდა და მოითხოვდა). მეორე დღეს ცნობილმა ფილოსოფოსმა საკუთარი ნებით, საკუთარი ხელით შესვა საწამლაკით!

ფილოსოფიის ისტორიკოსები ამბობენ - სოკრატემ თავისი სიკვდილით იმაზე უფრო დიდი ღვაწლი დასდო თავის მოძღვრებას, ვიდრე მთელი თავისი მოღვაწეობით! ანუ, „ღუზა მოქმედება“ ისეთი პიარ-ტექნოლოგიაა, რაც ადამიანის ფსიქიკაში რაიმე ღირებულებას თანდათანობით და შეუმჩნეველად ჩანერგავს და რაც შემდგომ საზოგადოებისთვის არათუ მისაღები, არამედ სამართლიანი და აუცილებელიც გახდება.

საქმე იმაშია, რომ საოცრება და საამაყო, ჩვენი წინაპრების აქ მოტანილი „ცრურწმენები“ კი არაა, არამედ მთავარი, თავად ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური მეთოდის აღმოჩენაა ანუ საჭირო და სასურველი ჩვევების გამომუშავებისთვის სახალისო, გასართობი და იუმორისტული რიტუალების დაკავშირება, რათა მომავალმა თაობამ ის თანდათან და საკუთარი ნებით გაითავისოს და შეითვისოს!

ახლა ამ აზრის დასაბუთების რამდენიმე მაგალითი - „ცრურწმენა“ მინდა ერთად გავიხსენოთ, სადაც სასურველ ქცევებთან ისეთი „ხუმრობა-შეშინებები“

დაკავშირებული, რომელთა გამო მომავალი თაობა შეუმჩნევლად და თანდათანობით, მზად არის „მსხვერპლი გაიღოს, რათა „შემამინებელ ხიფათს“ თავი აარიდოს:

□ **თეფშზე დატოვებული კერძის არასასურველი შედეგები:**

ჩვენში დღემდეა შემორჩენილი ბავშვის „შეშინება“ – **თუ ჭამის დროს თეფშზე კერძს დატოვებ (ბოლომდე არ შეჭამ), ულამაზო მეუღლე (ცოლი ან ქმარი) შეგხვდება ან - შეყვარებული დატოვებსო!**

ჭკვიანი ადამიანების დაკვირვებით, თუ ბავშვი უმადობის მიზეზით სუსტი და უენერგიო გაიზრდება, ადვილი შესაძლებელია, რომ მან ვერც წარმატებას მიაღწიოს და ვერც ღამაზ მეუღლეს „გამოჰკრას ხელი“. ამ „ხუმრობის“ ხშირ-ხშირად შესვენება ბავშვს „ღამაზი მეუღლის“ შერჩევის სურვილს და ადამიანის ერთერთი მთავარი ღირებულებისათვის, სიღამაზისთვის „მსხვერპლის“ გადაებას – არასასურველი ფაფის ჭამას აიძულებს, რის გამოც შემდგომში ბავშვი „მოგებული“ რჩება – ის ენერგიულიცაა, ჯანმრთელიც და თან ისეა „სიღამაზისადმი“ განწყობილი, რომ უთუოდ ეცდება, ფიზიკურად ძლიერი გაიზარდოს (რომ „შეყვარებული ვერავინ წაართვას“) მეუღლე ღამაზი შეარჩიოს, ისე, რომ საძულველი „ფაფა“ ერთხელაც არ გაახსენდება.

□ **მაგიდის კუთხეში დაჯდომის „საკრალური შედეგები“:**

ასევე დღემდეა შემორჩენილი წვეულებისას **მაგიდის კუთხეში** მოხვედრით დაუქორწინებელი ახალგაზრდების „ხუმრობა-შეშინება“ – **შვიდ წელიწადს ვერ დაქორწინდებიო!**

ამ „ცრურწმენისთვის“ სიცრუის იარაღის მოხსნაში იმის გათვალისწინება დაგვეხმარება, თუ გავიხსენებთ წვეულებისას, ჩვეულებრივ, როგორი ადამიანები ხვდებიან მაგიდის კუთხეში; როგორც წესი, ესენი მოკრძალებული, თავმდაბალი ახალგაზრდები არიან, ყველაფერში რომ უპირატესობას სხვას ანიჭებენ. ეს ადამიანები, ხშირად ინაგრებიან თავიანთი თავმდაბლობისა და დამთმობობის გამო და მათ, ხშირად, წათამამება ან „შეშინება“ სჭირდებათ, შეუმჩნეველნი რომ არ დარჩნენ. ანუ, ეს „ცრურწმენა“ ახალგაზრდისთვის იმის შესვენების მეთოდია, რომ „ცხოვრების გაშლილ სუფრაზე“ საპატიო ადგილის დაკავებას სიყონადე და გაბედულება სჭირდება!

„ცრურწმენებში“ მოიაზრება აგრეთვე, მოზარდი თაობისთვის წარმატებისა და თავის ტოლებში პირველობის მოპოვების ისეთი მასტიმულირებელი – „შეშინების“ მეთოდი, რაც ახლ მინდ გავიხსენო

□ **ცივი წყლით ფეხის დაბანის „საფრთხე“:**

ბავშვობისას, ზაფხულობით, ნაწვიმარზე, მინდორში ფეხშიშველა სირბილი დიდ სიამოვნებას მგვრიდა. ცუდი ის იყო, რომ ხშირად, შინ დაბრუნებულს, ბებია **ცივი წყლით ფეხების დაბანას** მაიძულებდა. ზოგჯერ მე ამ უსიამო პროცედურისას მარჯვენა ფეხს მარცხენით ვიბანდი და პირიქით; როცა ბებია თვალს შემასწრებდა, შენიშვნას მაძლევდა – ასე არასოდეს მოიქცე თორემ ტოლი გაჯობებსო. მაშინ, დაწყებითი სკოლის მოსწავლეს, ეს შეგონებაც „ცრუ“ მეგონა და ჩუმად ვიციხოდი – რა სისულელეა თქო! მოგვიანებით მივხვდი – ბებიას, ჩემში, ამ შეგონებით წარმატებისთვის ბრძოლის უინის გაღვივება სურდა, ალბათ გრძნობდა ზედმეტად ხათრიანი რომ ვიყავი და ეწინოდა „ქვეყნის მაჩანჩალა“ არ გამოვსულიყავი.

□ **ეზოში გადაყრილი თმის „თავისტკივილები“:**

ბევრჯერ მომისმენია - თავის დავარცხნის დროს სავარცხელზე შერჩენილი თმის ბუწუწების უკონტროლოდ გადაყრას, თავის ტკივილები ახლავსო!

ცხადია ახალ, შეგნებულ თაობას ვერ მოატყუებ - თავისტკივილი ბუწუწებთან მართლაც არაფერშუაშია, მაგრამ მოგვიანებით, იმ ოჯახების ეზო-გარემოს, სადაც ამ „ცრურწმენისა“ არ სჯეროდათ და „ბუწუწებს“ არხეინად ფანტავდნენ, პრაქტიკამ, სტუმარ-მასპინძლიანა, დიდი უხერხულობა შეუქმნა; მათ დაუდევრობას, როგორც შინ, ისე გარეთ, გავლა-გამოვლისას თუ დასუფთავებისას, მცირე, მაგრამ დამატებითი სირთულეები და უსიამო განცდები მოჰყვა. ცხადია არავის სიამოვნებს ფეხსაცმელზე თუ ცოცხზე გაბლანდული ქალის გრძელი ბუწუწები, რის თავიდან მოშორებას საკმაოდ გულისამრევი პროცედურა ახლავს!

ისე, ამ უსიამოვნებას, მართლაც თავის ტკივილი სჯობია!

□ **ჩხუბი - სუფრაზე დაბნეული მარილის გამო:**

არ ვიცი სხვაგან როგორ იყო, მაგრამ ჩემ ბავშვობაში, თუ სუფრაზე ვინმე გაუფრთხილებლად მოიქცეოდა და მარილს დაბნევდა, ღიმილით ეტყოდნენ - ჩხუბი იცისო!

როგორც ბებიამ ამიხსნა, ამ გაფრთხილებით მხოლოდ ბავშვებს მიმართავდნენ, ისიც იმიტომ, რომ სუფრაზე გაუფრთხილებლად მოქცევა ყოველთვის იმსახურებს უფროსების შენიშვნებს და გამორიცხული არაა მას რომ შელაპარაკება მოჰყვეს, მითუმეტეს, ძველად, როცა ჩვენში მარილი საკმაოდ ძნელად იშოვებოდა (აღზევანიდან შემოჰქონდათ) და გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, მარილის დაბნევა ბავშვებთან ჩხუბით რომ დამთავრებულიყო!

დროთა განმავლობაში, სხვა ქვეყნებთან განვითარებულმა ურთიერთობებმა გააიოლა და გააიფა მარილის შოვნა და შემოტანა; ამიტომ ახლა, ამ შენიშვნას ხუმრობის ხასიათი უფრო აქვს და მას გაფრთხილების მიზნით მხოლოდ ბავშვებს აძლევენ, რაც ზედმეტი თითქმის არასოდეს არაა!

ამ ახსნა-განმარტებას კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: გარკვეული გონივრული საფუძველი ყველა ტრადიციას თუ რიტუალს აქვს, როგორ „ცრუდაც“ უნდა გვეჩვენებოდეს ის; ცხადია ახალმა თაობამ „დრომოჭმული“ ტრადიციები უნდა დაივიწყოს, მაგრამ თუ ახალი თაობა მასში იმ გონივრულ საფუძველსაც დაინახავს რაც დრომ და განვითარებამ ზედმეტი გახადა, უფროს თაობასთან ურთიერთობისას ქედმაღლურად აღარ მოიქცეოდნენ და რელიგიური ათი მცნების (პატივი ევით დედასა და მამასა თქვენსა, რამეთუ . . .) დარღვევის ცოდვას გადარჩებოდნენ.

□ **მაგიდაზე დადებული ხელჩანთის ეკონომიკური „უბედურობები“:**

დაახლოებით ამ რანგის ხუმრობა-შეშინების ხასიათს ატარებს სტუმრისთვის თუ შინაურისთვის იმის შესხსენება, რომ, **ხელჩანთის მაგიდაზე დადებამ, უფულობა იცის!** აქ ასახსნელიც არაფერია, რკი ყველასთვის ცხადია, რომ ქუჩიდან, ტრანსპორტიდან, სამსახურებიდან თუ გასართობი ადგილებიდან მოსული სტუმრის თუ შინაურის ხელჩანთის ადგილი, თუნდაც მხოლოდ ჰიგიენის გათვალისწინებით, მაგიდაზე ნამდვილად არ არის და არც ამის შესხსენება სტუმრისთვის სასიამოვნო. იუმორი კი ხსნის ყოველგვარ უხერხულობას და ადამიანს კარგ ხასიათზეც კი აყენებს!

გარდა ამისა დღეს, განათლების დარგის მკვლევარები ხშირად საუბრობენ თამაშით სწავლების მეთოდების სიკეთეებზე, რაკი მოზარდებს, იუმორი თუ თამაშის ფორმით სწავლება ნებისმიერი ქცევის შესრულების მოთხოვნილებას უყალიბებს, რაც შესაბამის სიტუაციაში იძულების გარეშე, საკუთარი სურვილით ქცევის შესრულებას უზრუნველყოფს.

„ბედობის დღის“ რეალური შედეგები

ერთგვარ „ცრურწმენად“ ითვლება (ითვლებოდა), აგრეთვე, ახალი წლის მეორე – ბედობის დღეც; იგი მოსახლეობაში გაერცვლებული რწმენაა, რომლის მიხედვით მოელი წლის განმავლობაში ოჯახის წარმატებულობა იმაზეა დამოკიდებული, ვინ იქნება მეკვლე – წარმატებული და მასპინძლის ოჯახის ერთგული ადამიანი თუ პირიქით; ამ რწმენიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმრავლესობა, ზოგი სერიოზულად, ზოგიც - იუმორით, საგანგებოდ ემზადება – ცდილობენ ამ დღეს მათ ოჯახში ასეთი სასურველი ადამიანი პირველი სტუმარი იყოს.

განსაკუთრებით ამისათვის წარმატებებზე ორიენტირებული ადამიანები აქტიურობენ – საგანგებოდ ეძებენ და პატიუბენ სასურველ ადამიანს ვინც, მათი რწმენით ოჯახს კეთილდღეობას მოუტანს და პურმარილსაც სადღესასწაულოს ამზადებენ.

ცხადია მასპინძლის მცდელობას არავითარი წარმატება არ შეიძლება მოჰყვეს, თუ მისი მიღწევის რეალური საფუძველი არ არსებობს; მაგრამ მთავარი, აქ, მომავალი წლისთვის რაღაც **მიზნის მიღწევის სათანადო განწყობის შექმნაა**; ოჯახის სამზადისი – სათანადო კანდიდატურის ძებნა, მოპატიუება, მზადება, ხარჯი, მოლოდინი, შემდეგ კი მასპინძლობა, ის აქტიურობაა, რაც წარმატების (რაიმე მიზნის) მიღწევის განწყობას ქმნის; ყველაფერი ეს ოჯახის წევრების ორგანიზებულობას, ფსიქიკური ენერჯის მობილიზებას, რაღაცის მიღწევისთვის მზადყოფნას გამოხატავს და, ცხადია, არც თუ იშვიათად, ასეთი ოჯახები, მართლაც წარმატებულები არიან, თავისი მცდელობა-აქტიურობით ფიქსირებული განწყობის გამო.

მაგრამ როცა (თუ) ოჯახი ალაღბებულა მინდობილი, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს და არ სწამთ ვინ მივა იმ დღეს მათთან, ეს ნიშნავს, რომ იქ, ძირითადად,

წინასწარ არაფერს გეგმავენ, რაც შესაძლოა მშენიერია, მაგრამ რეალური მიღწევები სათუაოა, თუ ამ პასიურ სიმშვიდეს სხვა საკომპენსაციო აქტიურობა არ „მიეშველა“.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ცუდი სულაც არაა თუ „ცრურწმენებიდან“ ჩვენც ვისწავლით და საზოგადოებას თანამედროვე მეთოდებით მის გაცნობიერებაში დავეხმარებით.

რაც შეეხება ზოგიერთი ცრურწმენის მანეობას, ვერ უარვყოფთ, რომ განწყობის შექმნის მექანიზმები ასოციალური მიზნითაც შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგრამ ამგვარი საშიშროებისგან არც მეცნიერული აღმოჩენებია დაზღვეული, რის გამოც მათზე უარის თქმა, დღეს, აზრად არავის მოუვა.

პატარძლის თაიგულის „ჯადოსნური ძალა“

თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული „ცრურწმენა“ – ქორწილში, პატარძალი რომ მექორწინებისკენ მხარუკუღმა თაიგულს გადაისვრის, ვინც დაიჭერს, ყველაზე ადრე ის დაქორწინდება (როგორც წესი, ამ „ხერხს“ ძირითადად გასათხოვარი ქალიშვილები მიმართავენ, ცხადია ხუმრობით).

აღბათ ეს „ცრურწმენა“ შედარებით ახალი გადმოღებულია, რაკი მის შესახებ არც ბავშვობისას მომისმენია და არც ფოლკლორში შევხვედრივარ.

მოგვიანებით, როცა საგრძნობლად თამამი ახალგაზრდობა მოვიდა და რამდენჯერმე თავადაც შევესწარი ამ მხიარულ რიტუალს, მივხვდი – ამ ხერხს მოლოდ დაქორწინებისთვის მონდომებული გოგონები ან ვაჟები მიმართავენ, რაც მათ სითამამეს, ძალას და ენერჯიას აძლევთ თაიგულის მოსაპოვებლად. ასეთ შემთხვევებში, ცხადია წარმატება აუცილებლად მოვა.

მახსოვს, ერთხელ, ნაცნობი კბილის ექიმის კაბინეტში, სავარძელში ვიჯექი; სანამ ექიმი ჩემი ხელოვნური კბილის ესთეტიკურ მხარეზე ზრუნავდა, ერთმა ბუზმა „დამიბოძივა“ – განუწყვეტლივ ბზუოდა, თავს დამტრიალებდა და სახეზე დაჯდომასაც მიპირებდა. მე მას ხელის აქნევით ვიშორებდი, მაგრამ, როცა მის აბეზარ ახალახალ შეტევებს ვეღარ გაუუძელი, ხელი მოვიქნიე და ბუზი მუკში მოვიმწყვდი; ერთხანს მუკში მყავდა; ის ფართხალებდა და ხელისგულზე მიღივინებდა; დიდხანს ვერ გაუუძელი, ავდექი, ფანჯარასთან მივედი, კარგახანს მის გაღებაზე ვიწვალე და ბუზი გარეთ გავისროლე.

ამასობაში ექიმისის მეუღლე შემოვიდა, მომესალმა და მაშინვე მკითხა

– გოგო, შენ კიდევ გაუთხოვარი ხააარ?

ექიმი, რომელიც თავის საქმეს უხალისოდ ჩაჰკირკიტებდა, თითქოს ვერც ამჩნევდა ირგვლივ რა ხდებოდა, მაგრამ ცოლის შეკითხვაზე გამოცოცხლდა და ჩემი აზრით ფრიად სამართლიანი რეპლიკით „შემეშველა“ – მაგან ბუზი ვერ მოკლა და რას გათხოვდებოდა!

– ვითომ ბუზის მოკვლა რამეს ნიშნავსთქო? ზრდილობისთვის ვიკითხე.

– როგორ არ ნიშნავს, ჩემო კეთილო, როგორ არ ნიშნავს! მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დაასრულა ექიმმა ჩვენი საუბარი.

. . . მაშინ ერთხელ კიდევ მივხვდი, ყველა სერიოზულ „საქმეს“ რომ სითამამე-გაბედულება სჭირდება, რასაც „ვაჟაკობის სათნოებას“ უწოდებდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები.

ეს ამბავი თაიგულისთვის ჰაერში ამხტარი გოგონების „ვაჟაკობაში“ გამახსენა, რაც მე თავის დროზე არ გამახნდა და რამაც 36 წლამდე გაუთხოვარი დამტოვა (თუმცა ეს არასოდეს მინანია).

ეშმაკის ცნების „საიდუმლო“

სიტყვა „ეშმაკი“ („აიშმა“), ძველ ირანულ ენაზე ბოროტ სულს ნიშნავს; რელიგიური გაგებით ის იყო ბოროტი, ავი, მავნე სული და უსახური, რაც წარმოდგენაში გვეძლევა როგორც ბანჯგვლიანი და თვალსისხლიანი არსება; მას რქები, კუდი, გრძელი ყურები და წვეტიანი ფრჩხილები აქვს; შეუძლია გარდასახვა – პატარა ბავშვის, შავი კატის, ძაღლის, ღორის და სხვ. სახის მიღება.

„ეშმაკი“ შედარებით მოგვიანებით გახდა ქართული ზეპირსიტყვიერების პერსონაჟი (ბიბლიის ქართულ ტექსტში ის ბოროტი სულის აღმნიშვნელი ერთადერთი სიტყვა ყოფილა).

ეშმაკის თემით მაშინ დაინტერესდით, როცა სტუდენტობისას, ძველბერძნული მითების „ბოროტი“ პერსონაჟი – თანატოსი „გავიცანი“, გოეთეს გამონათქვამი ამოვიკითხე – ერთ ყურში რომ ანგელოზი მეჭურჩულდება, მეორე ყურში – ეშმაკიო, თან ჰეკელის „დაპირისპირებულ ძალთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი“ გვასწავლეს. ამან „კეთილისა და ბოროტის“ - დაპირისპირებულთა ბრძოლა-ერთიანობის აუცილებლობაში დამარწმუნა.

- ჩემმა ოთხი წლის ვაჟმა, თავისი გაუთავებელი შეკითხვებით, სიცოცხლის გაგრძელების მთავარი მექანიზმის „საიდუმლოზე“ მიმანიშნა:
 - სიკვდილი კაი...აა...? - აჰა ღმერთი გლახა რამეს გამეიგონებდაა?
 - აჰა ხო გეიმსებოდა ქვეყანა ბებრებით და ჩვენ ვეღარ დევეტუოდით!

სიკეთუბოროტების ბრძოლა-ერთიანობის შესახებ ბევრ ცნობილ მოაზროვნეს აქვს აზრი გამოთქმული. ფსიქონალიზმა კი კეთილი და ბოროტი საწყისი – შექმნა-განადგურების იმპულსი, ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში დაინახა. ამ უერთიერთ დაპირისპირებული ძალების არსებობის დასტურად ფროიდმა ბერძნული მითოლოგიიდან სიცოცხლისა და სიკვდილის ღვთაებები – ეროსი და თანატოსი მოიშველია.

ეროსი – ბერძნული მითოლოგიის უძველესი ღვთაებაა; თავდაპირველად ის სამყაროს საწყისად იყო მიხნეული, მოგვიანებით – სიყვარულის, ახალი სიცოცხლის ჩასახვისა და ცხოვრებით ტკობის ღმერთი გახდა, ოქროსფერი თმით, მშვილდ-ისრითა და კაპარჭით ხელში. მისგან ნასროლი ისარი ადამიანებს სიყვარულის მძაფრი გრძნობით ავადებს, რასაც თან ახლავს შთამომავლობის გაჩენა, სიცოცხლის გაგრძელება და სხეულებრივი ტკობა.

თანატოსი – სიკვდილის ღმერთია, ეროსთან დაპირისპირებული, შავი ტანსაცმლით და ცვლით ხელში, რაც მას, ვითომ სიცოცხლის მოსათიბად სჭირდება; რკინის გული აქვს და არავინ ებრალება, ღმერთებსაც ეჯავრებათ და ადამიანებსაც (ქართულ მითოლოგიაში მას მიქელგაბრიელი ჰქვია). ფროიდმა მისი სახელი აგრესიის, ნგრევისა და სიკვდილისადმი არაცნობიერი ლტოლვის აღსანიშნავად გამოიყენა.

ფროიდის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს სიკვდილის ეშინიათ, მისი გახსენება თავზარსა სცემთ და მასზე საუბარს თავს არიდებენ, არაცნობიერად მინც მისკენ მიისწრაფიან; აქედან იღებს სათავეს ნარკოტიკის, ალკოჰოლისა და სასიკვდილო იარაღის სიყვარული, გემოთმაძიებლობის ცოდვა – ნაყროვანებისადმი მიდრეკილება, რასაც ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის და მას სიკვდილთან აახლოვებს.

- ერთხელ, გემრიელი საჭმელების (ტკბილეული, ცხიმოვანი, შემწვარ-მოხრაკული) შეზღუდვებით თავმოებზრებულმა, სამი წლის ელენემ მკითხა

- ბებო, რაც გემრიელია, რატომ არის ყველაფერი მაწინარი?
- ამას, როცა გაიზრდები, მაშინ მიხვდები, ახლა კი დაიჯერე, რასაც უფროსები გეტყვიან!

ჩემი ვარაუდით კი ამ კითხვაზე ასე უნდა შეპასუხნა: – იმიტომ, რომ განვითარების კანონის მიხედვით ახალი თაობა რომ მოვიდეს, მას ძველმა თაობამ ადგილი უნდა დაუთმოს, უნდა წავიდეს; ყოველი სიახლე ძველის წასვლით არის შესაძლებელი, ესაა თაობათა ცვლის და საერთოდ განვითარების ბუნებრივი მექანიზმი; შემოქმედმა „საკუთარი ნებით ადგილის დათმობის“ ერთერთ მექანიზმად გემრიელი სმაჭამა დააწესა, თან ადამიანები გააფრთხილა გემოთმადიებლობას (ნაყროვანებას) რომ საგალალო შედეგები - ჯანმრთელობის პრობლემები ახლავს. თუ ადამიანები გაითვალისწინებენ ამ გაფრთხილებას და კვებასთან დაკავშირებით ზომიერებას დაიცავენ, მათი ამქვეყნიდან „წასვლის“ ვადა დიდი ხნით გადაიწევეს, თუ ვერ/არ დაიცავეს, მაშინ უფრო ადრე „წავა“ და ეს მათთვის თავს უნდა დააბრალონ.

არსებობს „საკუთარი ნებით ადგილის დათმობის“ და ამქვეყნიდან „წასვლის“ სხვა მექანიზმებიც, რაზეც ადამიანები წინასწარ არიან გაფრთხილებულები – „ათ მცნებაში“ ის აკრძალვებია მოცემული, რომელთა დაცვა საჭიროა, ხოლო დარღვევა - ცოდვად არის მიჩნეული და ის, ყოველგვარი გარეგანი სადამსჯელო ინსტიტუტების გარეშეც, თავისთავად ისჯება შემოქმედის მიერ შექმნილი „თვითრეგულაციის მექანიზმის“ – შინაგანი „ცენზორის“ – სინდისის მიერ (დღევანდელი ადამიანები, როგორც წესი, „ათი მცნების“ შეძლებისდაგვარად კეთილსინდისიერი დამცველები ყოფილან).

ამქვეყნად ყველა ადამიანმა როდი იცის ცოდვები რომ თავისთავად ისჯება და ადამიანს თავად რომ შეუძლია „აირჩიოს“ ამ ქვეყნიდან ადრე წავიდეს თუ გვიან; ვისაც სწამს საეკლესიო სწავლებანი და იცავს მას - „ნეტარნი არიან“ ანუ, ცოდვილებთან (ურწმუნოებთან) შედარებით ცოდვებით გამოწვეული ავადმყოფობებით ნაკლებად იტანჯებიან და ამქვეყნიდანაც დიდი ხნის შემდეგ, უტანჯველად „მიდიან“ (ეს მაშინ, თუ მათ ავადმყოფობა წინაპრებისგან მემკვიდრეობით არ მიუღიათ).

მამასადამე, რწმენით (უნერვიულიდ) თავშეკავება-ზომიერება ყველასთვის სასარგებლოა, რაკი ამ გზით ადამიანი საკუთარ ჯანმრთელობასაც უფროთხილდება,

რის გამო მას თერაპიული მნიშვნელობაც აქვს! მართალია უცოდველად ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი შედარებითია ანუ, ყველაფერი მეტ-ნაკლებად შესაძლებელია!

ფსიქონალიზის მიხედვით, კულტურები ზღუდავენ ეროსული და თანატოსური ლტოლვების თვითნებურ დაკმაყოფილებას და საზოგადოებას გარკვეულ მარეგულირებელ ნორმებსა და აკრძალვებს - **ტაბუს** (აკრძალვას) უწევენ; სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობები, თანამშრომლობა და განვითარება.

რეგულირებული და აკრძალული ლტოლვების საფუძველზე აღმოცენებული და დაგროვილი ენერგიები კი სუბლიმირდება (დაგროვდება, შეჯამდება), „სხვა არსებში“ გადაირთვება და კულტურის სხვადასხვა დარგებში - კონსტრუქციულ საქმიანობაში რეალიზდება. დაუხარჯავი ენერგია კი დესტრუქციულ საქმიანობაში იჩენს თავს, ან „ანგრევს ფსიქიკას“ და საქმე ფსიქიკურ აშლილობამდე მიდის.

აგრესიის მიზეზია ბოროტისადმი და კონფლიქტისადმი (სხისთვის ტკივილის მიყენებისადმი) გაუცნობიერებელი ლტოლვა რაც ადამიანის ფსიქიკაში იმთავითვეა „ნადებული“ და სათანადო პირობებში იჩენს თავს (ამას ადამიანის სიხლის ანალიზში აგრესიის ჰორმონის – ტესტოსტერონის აღმოჩენაც ადასტურებს; ტესტოსტერონს, სხვაგვარად, მამაკაცურ ჰორმონსაც უწოდებენ); აგრესიის მიზეზებში ასახელებენ: ფრუსტრაციას (მოლოდინის, იმედის გაცრუებას), ამპარტავენებას დაადიდი ინტენსივობის ან უკონტროლოდ გაზრდილ ფიზიკურ თუ სულიერ დაუკმაყოფილებელ სურვილებსაც .

აგრესიულობის არსებობას ადასტურებს ყველა კულტურული რელიგიის მიერ აღიარებული – კეთილსა და ბოროტს შორის მუდმივად არსებული ბრძოლაც.

ალბათ ამით უნდა აიხსნას კაცობრიობას ბევრჯერ ამოდ რომ დაპირდნენ საყოველთაო ჰარმონიასა და ბედნიერ ცხოვრებას ხან დმერთის, ხან მეცნიერების, ხანაც სამართლიანი პოლიტიკური წყობილების იმედით. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სამი მთავარი ბოროტებიდან (ავადმყოფობა, სიღატაკე, უვიცობა) ვერც ერთის დამარცხება ვერ მოხერხდა. ბოროტობები, ახალი პირობების შესაბამისად, მხოლოდ სახეს იცვლიან, რის გამოც, კაცობრიობა, ბოლოს და

ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადამიანები „უბოროტებო არსებობაზე“, ანუ „ამჟვენიურ სამოთხეზე“ ტყუილად ოცნებობენ.

როგორც ჩანს იმ აზრს უნდა შევევუოთ, რომ **„კეთილი და ბოროტი“ ანუ ეშმაკი და ანგელოზი, სიცოცხლის ორი აუცილებელი მხარეა;** ადამიანს კი, ამ ორ დაპირისპირებას შორის ლავირების საშუალება აქვს, რაშიც მას მთელი რიგი ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმები – რელიგია, ზნეობა, ტრადიციები, სახელმწიფო, სამართალი, მეცნიერება, ხელოვნება და „ცრურწმენებიც“ კი ეხმარება. ამათგან თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს ადამიანთა მშვიდობიანი ურთიერთობებისა და კაცობრიობის წინსვლა-განვითარების პროცესში. ადამიანი ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად, ზოგ რამეს ცვლის ამ „მექანიზმებში“, რაშიც მას ღმერთის რწმენა, სიბრძნე, გამოცდილება და დიდი მასწავლებლების შეგონებებიც ეხმარება.

ქართულ ფოლკლორში დაპირისპირებულთა ბრძოლა-ერთიანობის გაცნობიერების დამადასტურებელი ანდაზებია: „აღმართს დაღმართიც მოსდევსო“, „გაცივბა-გაციხელება – ორივე ერთადო“; „ერთი პირიდან სიტბოც ამოდის და სიცივეცაო“; „ჭირი ღხინის მოზიარეაო“; „ჯერ დაბადება მტკივა, მერე სიკვდილიო“; „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიანო“ და ა. შ.

თავი 3. ზნეობრივი ღირებულებების ჩანერგვის „ცრუ“ მეთოდები

„ვინც იძახის არასა...“

მასსოვს, ბავშვობაში, ბებია ფელამუშს რომ აღუღებდა, როგორც წესი, ბავშვები გარს ვეხვიეთ. ბებია უზარმაზარ ქვას ცეცხლზე შემოდგამდა, შიგ ყურძნის ახლად დაწურულ წვენს ჩაასხამდა, ტკბილი რომ შეთბებოდა შიგ ფქვილს ჩაყრიდა, ხის დიდი კოვზით (ციცხვით) ურევდა და გვასწავლიდა – განუწყვეტლივ უნდა ურიოთ, თან უნდა იმეოროთ – „ვინც იძახის არასა, მისი ბარაქა - ამასა“! ნახაეთ, რომ ფაფა თანდათან შესქედდება; ის ადამიანი, ვინც გაჭირვებულს დახმარებაზე „არას“ ეუბნება, ღმერთი ბარაქას ართმევს და ვინც უარს არ ეუბნება – მას აძლევსო;

მართლაც, სულ მალე ქვაბში ტკბილი სითხე, ციციხის თანაბარი მოძრაობისა და ბებიას ბუტბუტის „გაფლენით“ თანდათან სქელდებოდა და უგემრიელეს ფელამუშად გარდაიქმნებოდა

ბავშვებზე ეს ყველაფერი, გემრიელ და ჯანსაღ საკვებთან ერთად, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო „ჯადოსნურ“ სიტყვებზე შესქელებული ფელამუში. მაშინ გვჯეროდა, რომ გაჭირვებულს „არა“ არ უნდა ვუთხრათ თორემ, „ჩვენ წაგვერთმევა და სხვას - ვინც აძლევს, მას მიეცემა“.

ცხადია ქველმოქმედების ეს ეგოისტური პრინციპი მთლად ზნეობრივი არაა, უანგარობა-ზნეობა მაღალი საფეხურია, რაც გონებრივ განვითარებასთან ერთად მიიღწევა; მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს ანუ სანამ ბავშვის შეგნება უანგარო ქცევის სიკეთეს გააცნობიერებს, „ბრმა რწმენით“ ჩადენილი „სიკეთეც“ მისაღებია; ბავშვისთვის „თხოვნაზე უარის არ თქმის“ რწმენის ჩანერგვა კი - უანგარო სიკეთის მიღწევის პირველი საფეხურია.

როგორც ჩანს ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ - მოზარდისთვის, შეუგნებლად, მხოლოდ საკუთარი ინტერესები რომ მნიშვნელობს . . . ბებიას მიერ „ანგარებიანი სიკეთის“ ჩანერგვის ეს მექანიზმი - „ცრურწმენა“ გასაღანძლი სულაც არ იყო, რაკი ის „მაღალი ზნეობისთვის“ ამზადებს ნიადაგს. როცა მოზარდი მშრალი დიდაქტიკური მოწოდების ნაცვლად თუნდაც „ანგარებიანი სიკეთის“ სასარგებლო შედეგს იხილავს, ის უანგარობის ღირსებებსაც ადვილად ირწმუნებს და მენევეა.

ახლა კი დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: ბავშვის ბუნებრივ - საკუთრების ინსტინქტზე დაფუძნებული სიკეთე, შემდგომი, შეგნებული სიკეთისქმედების საიმედო გარანტიაა და ადამიანისთვის შეურაცხყოფელი სულაც არაა კულტურადური, მორალური ნორმები რომ „ინსტინქტების მართვის ხელოვნებაა“, რის დანერგვასაც „ცრურწმენები“ და სხვა სოციალური ინსტიტუტები ახერხებდნენ, მითუმეტეს, რომ მაღლის მქმნელს, მაღლი (სიკეთე, ბარაქა), დიდი ალბათობით უკანვე უბრუნდება.

ამგვარი მექანიზმების გაცნობიერება გვაფიქრებინებს - **რა ბედნიერებაა ადამიანი რომ გაუცხოებულია!** ანუ, ადამინს, მისი ცხოველური - მტაცებლური ინსტინქტი რომ შეძლებისდაგვარად დაკარგული აქვს!

ჩიტიფაფობა - ფრინველებზე ზრუნვის მოთხოვნილების აღზრდა

ადამიანს რომ დღესასწაულები და დრო და დრო ხალისიანი გართობა სჭირდება (განსაკუთრებით ბავშვებს) ამას მტკიცება არ უნდა; ჩვენს წინაპრებს დიდ დღესასწაულებთან ერთად ბევრი პატარპატარა, ტრადიციით დაცული რიტუალი სცოდნია, რასაც ბავშვები დღესასწაულად აღიქვამდნენ.

ერთერთი ასეთი პატარა, სახლისო და თვის მნიშვნელობით დიდად სასარგებლო დღესასწაული ჩიტი-ფაფობა ყოფილა, რის შესახებაც დიდი ხნის წინ დედა მიამბობდა.

დედაჩემი იმერეთში გამოთხოვილი რაჭველი იყო; ეს ტრადიცია, ბავშვობიდან, კარგად ახსოვდა და თოვლიანი ზამთრის რომელიღაც დღეს ჩვენშიც ხშირად მართავდა: ოჯახში ფაფა იხარშებოდა (ის უსათუოდ სქელი და უმარილო უნდა ყოფილიყო); ჩვენ მას დედის დახმარებით საგანგებოდ ამისთვის შერჩეულ ფართო-ფართო ნაფორტებზე ვასხამდით, ეზოში გავიტანდით, თოვლზე დავაღვავებდით და მერე ფრინველების „ნადიმს“ ფანჯრიდან ვუთვალთვალებდით.

მახსოვს ბავშვობა როგორ გავვიღამაზა ამ ტრადიციამ; თოვლზე დაწოვილ ფაფიან ნაფორტებს ძირითადად ბელურები დაეხეოდნენ; შიგადაშიგ შაში, ჩხართვი, ოფოფი ან რომელიმე მოზრდილი ფრინველიც გამოჩნდებოდა; მახსოვს, ერთი უღამაზესი, შაშვისხელა ჭრელი ფრინველიც; ბაბუა ამბობდა – მოლალურიაო. ზოგჯერ იქ პატარპატარა კონფლიქტები ან სასიყვროლო სცენებიც იმართებოდა.

მერე, ძილის წინ დედა იმ სვედიან ზღაპარს მიამბობდა, სადაც დედინაცვლის მიერ წვიმიან და ქარიან ღამეში, დაკარგული ხარების საძებნელად გარეთ გამოყრილი და შეშინებული პატარა ბავშვები როგორ გადაიქცნენ მოლალურებად. მას შემდეგ, ვითომ ის ბავშვი-მოლალურები დაფრინავენ და ერთმანეთს სვედიანი ხმით გასძახიან – „ვერანახევე?“ საპასუხოდ, საიდანღაც უსათუოდ გაისმის სხვა მოლალურის ასევე სვედიანი ხმა – „ვევერა, ვევერააა!“

ჩიტიფაფობას ბავშვების გართობასთან ერთად სხვა სასარგებლო შედეგიც ახლდა. ფრინველებისადმი გამოჩენილი ეს მცირე მზრუნველობა მოსახლეობის მადლიერებას გამოხატავდა ჩვენი ფრთოსანი მეგობრების მიმართ იმ დიდი დეაწლის გამო, რითაც ისინი ჩვენს მოსავალს გარკვეულ სამსახურს უწევენ, ჩვენ კი არსებობას გვიღამაზებენ.

□ აქ იმ „უბედურებაზე“ საუბრისაგან თავშეკავება მიჭირს, რაც ახლახან, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში „დაგვემუქრა“: წელს საზაფხულო არდადეგებზე, ზემოიმერეთის ულამაზეს სოფელში „ვისვენებდი“: ერთდროს იქ, ისე როგორც ყველგან, საქართველოში, უმდიდრესი ფლორა და ფაუნა გვანებიერებდა; წლების წინ მხოლოდ დაკვირვებული ადამიანები წუხდნენ - ჩვენში ტრადიციული ნადირ-ფრინველის კლების ტენდენციაზე; უკვე რამდენიმე წელია რაც ამ ფაქტს საგანგებო დაკვირვება აღარ ჭირდება - წელს, ჩვენს ეზოებში, „ცვრიან მინდორზე ფეხშიშველა სიარული“ უკვე შეუძლებელი გახდა - ან ძლიერი ქარი „ანგრევდა“ ჩვენს ეზო-გარემოს (რაკი მარგანეცის „მოხალისე მომპოვებლების“ მიერ გაჩეხილი ტყეები ქარს აღარ უმკლავდებოდნენ); ერთ დროს დილის ნამით მწვანედ აბიზინებული მინდვრები კი ყავისფრად შრბოდნენ (და კვდებოდნენ) მზისგულზე; ერთ დროს ეზოს მახლობლად ასწლოვანი ხეებით და ტყის ბარაქით დახუნძლული ტყიდან კი, დილა-საღამოს აღარ ისმოდა ნაირნაირი ფრინველის ჭიკჭიკ-ჭყვილი! უთუოდ ამის გამო, მომრავლდნენ მავნე მწერების აქამდე არნახული სახეობები; სადამოობით ჩვენი გრილი და ფართო აივნები, სადაც რამდენიმე წლის წინ, ერთმანეთს მონატრებული მეზობლები ვიკრიბებოდით და ტკბილად ვსაუბრობდით, ახლა ჩაბნელებული გვექონდა, რაკი სინათლის შუქზე იქ იმდენი ღამის პეპელა, კალია, ხოჭო, ბზიკი და კრაზანა იკრიბებოდა და იკბინებოდა, რომ მათგან თავის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა (არ ვიცი სხვაგან როგორაა, მაგრამ ზემოიმერეთის სოფლებს რომ ტურები შეესივნენ, სადამოობით რომ მათი ყურისწამლები ყმეილი აყრუებს სოფელს, თავზარსასცემს ბავშვებს და სიმინდის აქაიქ შემორჩენილ ყანებსაც ანადგიურებენ, ჩემი თვალთ მათქვს ნანახი და ყურით გაგონილი) . . . ძველი თაობის წარმომადგენლები ახლად ვხვდებით რა დავაშავეთ როცა მსგავსი „ცრურწმმნენები“ თავიდან მოვიშორეთ და მთლიანად მთავრობისგან ველოდებით ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე ზ რუნვას! (ერთდროს, სოფლის გზების კეთილმოწყობაზე, სანიაღვრე არხების გაწმენდაზე, წყლის პრობლემების

მოგვარებაზე და ა. შ. თავად სოფლის მცხოვრებლები ზრუნავდნენ! ეს პრობლემები ახლაც შეიძლება მოგვარდეს თუ „სოფლის საკრებულოს“ მსგავსი ჩამოყალიბდება, შეირჩევა რამდენიმე გამოცდილი მეურნე და სოფლის გადაუდებელ საჭიროებებზე ზრუნვას უხელმძღვანელებენ).

ჩიტიაფობის ტრადიციას სხვა სიკეთეც ახლდა; იგი მხოლოდ ფრინველებისთვის როდი იყო სასარგებლო – ის, მოზარდ თაობას, ბუნების სიყვარულის თანდაყოლილი უნარის განვითარებაში ეხმარებოდა, მის გაფთხილებას და მისი დაცვის საჭიროებას შთააგონებდა; ბუნებაზე ზრუნვის მოთხოვნების განვითარება კი, ადამიანის შესაძლებლობების იმ რეზერვებს ამოქმედებს, რაც ამჟამად დავიწყებულია და ადამიანის ფსიქიკაში თვლემს.

– სტუდენტობისას წავიკითხე – თურმე, ერთხანს, ჩინელები ბელურებზე გაბრაზებულან – ისინი ბრინჯის ყანებს ანადგურებენო; მართლაც, თუ ბრინჯის ყანაში ქვას გადააგდებდი, იქედან რამდენიმე ასეული ბელურა ერთბაშად ამოფრინდებოდა, ისე, რომ ცას შავად გადაფარავდნენო. ამიტომ, ჩინელებს ბელურებზე ნადირობა გამოუცხადებიათ; ჯილდოც კი დაწესებიათ – თუ სათანადო დაწესებულებაში რამდენიმე წვეილ ბელურის ფეხს მიიტანდი, გარკვეულ საფასურს მიიღებდი.

ასეთი მრავალწლიანი „ომის“ შემდეგ ბელურები მართლაც გადაშენებულან. მაგრამ არც ნათესებს დასდგომია კარგი დღე – ბრინჯის მოსავალი განადგურდა, რაკი, თურმე ბელურები იმ ჭიადუას სპობდნენ, რომლებიც ბრინჯით იკვებებოდნენ.

ამის შემდეგ ჩინელები იძულებულნი გამხდარან ბელურები ამერიკიდან ათასობით და ათიათასობით წვეილი შემოეყვანათ; ანუ, ის ზარალი, რასაც ნათესებს ბელურები აყენებდნენ, უმნიშვნელო ყოფილა იმასთან შედარებით, რაც მათ პარაზიტებმა დაჰმართესო. ბუნების მკვლევართა აზრით ბელურების მაგალითი მართლაც მაგალითი უნდა გახდეს ფერმერებისთვისო.

ამ მაგალითის გათვალისწინებით, თავს უფლებას ვაძლევ დავასკვნა, რომ „ჩიტიაფობის“ ტრადიცია არაფრით ჩამოუვარდება ამერიკულ „მადლიერების დღეს“. სამწუხაროდ არ ვიცი ამ ლამაზი და სასრგებლო ტრადიციის დავიწყება კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა დაეაბრალოთ თუ ქალაქური ცხოვრების წესის გაფეტიშებას; იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ბებია-ბაბუების

დროინდელი ხალხური გართობა-დღესასწაულები არც დღეს იქნება მოკლებული ხალისსა და გართობის ფუნქციას.

„ჩაკეტილობის“ მავნეობა

ბავშვობისას ასეთი ამბის მოწმე გავხდით: საავადმყოფოში, ჩვენ მეზობელს მშობიარობა გაურთულდა – ხუთი დღე და ღამე კიოდა თურმე საწყალი, მენჯები არ გაეხსნაო, ვიწვიშებდნენ მეზობლები. ექიმები ვერაფერს შეელოდნენ (მაშინ ვის ეცალა „საკეისროსთვის“!).

ერთხელ, თურმე, პალატის დამლაგებელმა სხვათაშორის ჰკითხა – შვილო, სახლში დაკეტილი ხომ არაფერი დაგიტოვებიაო? – კიოო, უპასუხნია მშობიარეს. – გაახსნევენე თქვენებს ყველაფერი, რაც კი ჩაკეტილი დატოვეო, დაარიგა თურმე დამლაგებელმა.

მშობიარეს, საავადმყოფოს ბალიშის ქვეშიდან გასაღებების აცმა გამოუღია და ქმრისთვის გაუზახანია – ყველაფერი გააღე, მაინც ოხრად მრჩება ყველაფერი, რა ჭირად მინდა რამე, თუ მე არ ვიქნებიო, შეუთვლია შინაურებისთვის.

თურმე ის ქალბატონი იმავე ღამეს განთავისუფლდა და მშვენიერი ვაჟიც დაიბადაო – ჰყვებოდნენ იმით გაოცებული მეზობლები, რომ ვერ აეხსნათ რა შუაში იყო განჯინის გასაღებები მშობიარის მენჯებთან.

ცხადია, მაშინ მეც გაოცებული ვიყავი ამ „ჯადოსნობით“, მაგრამ წლების შემდეგ, ცოდნა და გამოცდილება რომ მოვიდა, მივხვდი – განჯინის დაკეტილი უჯრების გახსნის გადაწყვეტილების შემდეგ ის შინაგანი ფსიქიკური დაძაბულობა მოიხსნა, რასაც „საკუთრების დაკარგვის შიში“ იწვევდა და რასაც მშობიარის კუნთების დაძაბულობა-შეკუმშვა ახლდა, ხოლო „ხელჩაქნეულობაში“, „გახსნილობაში“ – დაძაბულობის მოხსნა და შვება მოიტანა!

ამ შემთხვევას თუ განვაზოგადებთ, ხელგაშლილობის, გულწრფელობის, გულახდილობა-გულწრფელობის სათნოებებამდე მივალთ (ამ ყველაფერს შეიძლება „ლიაობის“ ანუ „გულწრფელობის სათნოებაც“ ეწოდოს); ის „დაკეტილი უჯრა“ საკუთრების დაკარგვის შიშით – სიძუნწით არის გამოწვეული (რაც თავის მხრივ ადამიანის ნერვული სისტემის დაძაბვას იწვევს), ასევე გულში „შენახული“ და დამალული საიდუმლოც – იგი ქვეცნობიერად ძაბავს და ანერვიულებს ადამიანს; ადამიანმა „იცის“ ახლობლისთვის, შინაურისთვის რაიმეს დამალვა-ჩაკეტვა ცოდვად რომ ეთვლება, მაგრამ „არ იცის რომ იცის“; ამ ცოდვის სხვისთვის გამხელა და

მონანიება-გულწრფელობა („ლიაობა“ - გულწრფელობა) კი სულიერი სიჯანსაღის პირობაა, რაც ფიზიკურ სიჯანსაღეს უდევს საფუძვლად.

ასეა ერთმანეთთან გადაჯაჭვული სულიერი და სხეულებრივი პროცესები – ხან ფიზიოლოგიური (ბიოლოგიური ფაქტორი) იწვევს სულიერს (ფსიქიკურს), ხან პირიქით, სულიერი – კუნთურს, ფიზიკურს.

ახლა, მრავალი წლის შემდეგ ის მიკვირს – საიდან ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ადამიანის ფსიქიკის „საიდუმლოების“ ისეთი ღრმა ცოდნა, რაზეც მაშინდელ ექიმებსაც კი ხელი არ მიუწვდებოდათ?

სინდისი – შინაგანი თვითკონტროლი ანუ „პატარა ღმერთი ჩემში“

ხშირად ადამიანს ექვება სწორია თუ არა თავისი განზრახვის ან უკვე ნამოქმედარის შეფასება; მაშინ მორწმუნე მოძღვარს მიმართავს და საიმედო რჩევას მისგან იღებს; მაშინ შეცდომებიც და მასზე პასუხისმგებლობაც ნაკლებია; მაგრამ ადამიანების დიდ უმრავლესობას თვითკრიტიკის უნარი არა აქვს (სოციოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, კრიტიკული აზროვნების უნარი თანამედროვე ადამიანების მხოლოდ 7-14 პროცენტს აქვს); ამის გამო ისინი თავის შეცდომებს დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ხედავენ; მაგრამ სინდისი ანუ „პატარა ღმერთი ჩემში“ ყველაფერს „ხედავს“, „მას არაფერი ავიწყდება“, რის გამოც ადამიანები სულიერ სიშიდეს ვერ პოულობენ, თუმცა ამის მიზეზი არ იციან, რაკი ცნობიერ „მეს“ არ „სურს“ საკუთარი ბრალის გაცნობიერება. ანუ, თუ „არ აწუხებთ“, ეს ნიშნავს, რომ მათ „არ იციან, რომ აწუხებთ“, არ იციან, თავისი ცოდვების გამო რომ ისჯებიან და მიზეზს გარეთ, სხვებში და სხვაგან ეძებენ; ორივე შემთხვევაში ისინი რეალურად, სხვადასხვაგვარად ისჯებიან, რაკი სინდისი, ეს შინაგანი „მკაცრი მსაჯული“ მათ მანამ არ მოასვენებთ, სანამ დამნაშავე სათანადოდ არ დაისჯება, თუნდაც აღიარებით, მონანიებით, ავადმყოფობით.

დანაშაულის აღიარება და მონანიებაც უკვე ერთგვარი სასჯელია, რაც მისი განმეორების შესაძლებლობას უფრო მეტად ამცირებს, ვიდრე წლობით დამნაშავეს საპატიმრობებში გამოკეტვა.

ამიტომ მოგვიწოდებდნენ ჩვენი დიდი მასწავლებლები – დიდი თუ მცირე დანაშაული გავაცნობიეროთ, ვადიაროთ, მოვინანიოთ; როცა ადამიანმა არ იცის,

რომ შესცოდა, „პატარა ღმერთი“ იმით „გესჯის“ (მეტწილად გაუცნობიერებლად), რომ მუდმივად ნევროზულ მდგომარეობაში ვართ, ნევროზები კი, ნებისმიერი სხვა დაავადებების საფუძველი ყოფილა.

ძველმა ბერძნულმა მითოლოგიურმა აზროვნებამ ადამიანის ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები მითოლოგიური პერსონაჟების სახით გაათვალსაზიარა. მაგალითად, ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟები, შურისძიების ქალღმერთები – ერინიები; მათ მხოლოდ დამნაშავეები ხედავენ; ისინი მიხუცი, მახინჯი ქალბატონები ბრძანდებიან და დამნაშავესკენ საშინელი კივილით მიიწვევენ; თმების მაგიერ მათ გველები ასხიათ, რომლებიც საზარლად იკლაკნებიან და სისინებენ. ისინი – მკვლელებს, ფიცის გამტეხებს, ტრადიციების უარყოფლებს და სხვ. მანამ სდევნიან და თავზარსა სცემენ, სანამ დამნაშავეები დაიღუპებიან.

ამგვარი მითოლოგიური, იგავური სიბრძნეების ბაზაზე განსწავლული ბერძენი ფილოსოფოსის (სოკრატეს) აზრით, ადამიანს შეგნებული რომ ჰქონდეს ბოროტება მისთვისვე რომ არის საზიანო, მას არასოდეს ჩაიდენდაო; ამ სიბრძნეს ეთიკაში ცნობილი „ბოროტების კანონი“ („ზაკონ ზლა“) გვასწავლის.

ჩვენი წინაპრები, ფსიქოლოგიამდე, ამ სიბრძნეებს ფოლკლორიდან – მითებიდან, ანდაზებიდან, თქმულებებიდან და ა.შ. სწავლობდნენ.

მათ უთქვამთ: „ნუ იქმ ავსა და ავის ნუ გეშინიაო“; „კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდიაო“; „წვევლა – მაწვევარსაო“; „ჭამოს მამამ, ზღოს შეიღმაო“ – თქმის დაუსჯელ დანაშაულზე, რაც, თურმე შთამომავლობით გადადის.

მაგრამ იმასაც დასძენენ – „არცოდნა – არცოდვიაო“.

ქრისტიანული რელიგიის წარმოშობის შემდეგ ადამიანის სულიერ ცხოვრებას საიმედო ქომაგი გამოუჩნდა (რაზე საუბარსაც არაკვალიფიციურობის გამო ვერ გაგებდავ). მეოცე საუკუნიდან კაცობრიობას, დიდ სამსახურს ფსიქოლოგიაც უწევს, თავისი მრავალმეთოდიანი ფსიქოთერაპიების შეთავაზებით.

**ბურატინოს ცხვირის ზრდის საიდუმლო და
ქართული ზღაპრისთვის „უპატიებელი იდეოლოგიები“**

„ბურატინოს თავგადასავალს“, მიუხედავად მისი უცხოური წარმოშობისა, ქართულ ზრაპრებში, საპატიო ადგილი უჭირავს; იგი ქართველმა პატარებმა (დიდებმაც), მშობლიურებით გაითავისეს, რაკი ისიც ზნეობრივი ღირებულებების აღზრდას ემსახურება, მიუხედავად იმისა, მის ავტორს (შარლ პეროს) მიზნად ჰქონდა დასახული ეს, თუ - არა და იმის მიუხედავადაც, რომ ის „სიცრუეზე“ აგებული - ხის ბიჭუნა ხომ ვერასოდეს ალაპარაკდება და არც ცხვირი გაეზრდება სიცრუისას, თუკი ის ოდესმე იცრუებს! ჩვენ, ჩვენი „თოვლის ბაბუა“ დავივიწყეთ და სანტა-კლაუსით ჩავანაცვლეთ! ალბათ იმიტომ, რომ ბევრნი ვფიქრობთ ისე, როგორც ზოგიერთი მაღალი თანამდებობის განათლების სფეროს მუშაკი - ქართულ ზღაპარს, „სიცრუე“ და სისასტიკე - არ ეკადრება და არც ეპატიებაო (?)

ახლა ორიოდე სიტყვა სისასტიკეზეც ვთქვათ, რაკი ესეც ქართულ - ჩიტი-ჩიორას და კომბლეს ზღაპარს უსაყვედურეს:

ცნობილია, რომ სისასტიკე (აგრესია) - თანდაყოლილია და ის ადამიანის აქტივობისას, მოთხოვნილების დაკმაყოფილების დეფიციტის დროს ამოქმედდება; ზღაპარის მთავარი გმირების „სისასტიკის“ მიზეზი მოთხოვნილებებია (მელიასთვის - შიმშილი, ხოლო ჩიტი-ჩიორასთვის - შვილების დაცვის მოთხოვნილება). ცხოველებთან ეს ბუნებრივი პროცესია და „უპრობლემოდ“ გვარდება, ადამიანთან კი ამ პროცესს კულტურა არეგულირებს - ზღუდავს. ზღაპარში გამოვლენილი „უპრობლემო“ ურთიერთობები მსმენელებში (ბავშვებში) პროტესტს იწვევს და ზღაპრის მიზანიც სწორედ ესაა - მათში უარყოფითი ემოცია გამოიწვიოს როგორც მელიის აგრესიამ, ასევე ჩიტი-ჩიორას მორჩილებამაც. ბევრი ზღაპარი („კომბლე“), მითი (მედეას მითი) და ტრაგედია ამ იდეოლოგიაზეა აგებული და მათგან ადამიანში გამოწვეული ემოცია (აღშფოთების, სულიერი „ტკივილის“, ბოროტის სიძულვილს და ა.შ.), **კათარზისის - განწმენდის ფუნქციად** არის შეფასებული (არისტოტელესთან).

ანუ. არც ჩვენს მიერ „გადაყრილი“ ყველა „ცრურწმენა“ ცრუ და არც ზღაპრებში „გაპარული“ სისასტიკეებია მორალურ ეფექტს მოკლებული!

ამიტომ იწვევს უსამართლობის განცდას ჩვენ რომ ყველა „გამოგონილი ცრურწმენა“ (ახლახან კი ზოგიერთი ზღაპარიც) გავლანძღეთ, „ცრუ“ და მავნე“ ვუწოდეთ (ერთი

შეხედვით, მართლაც სისულელეა ვიფიქროთ, რომ, თუ ახალგაზრდა ლხინის დროს, ხშირად „მაგიდის კუთხეში ზის“, მას აუცილებლადის გაუმწელებლა დროულად დაქორწინება! ან - ვერც ეზო-გარემოს დაეპატრონება ეშმაკი, იმიტომ, რომ ის არ არსებობს!); მაგრამ იმ ცხოვრებისეულ სიბრძნეების დანახვას, რაც ხშირად „ცრურწმენებშია“ დაშიფრული, ჭკუასთან ერთად საკუთარის ღირსების დანახვა-დაფასების უნარიც ჭირდება (რის დეფიციტიც, სამწუხაროდ, ჩვენს თვითშეფასებებში ხშირად შეინიშნება).

მაგრამ ხშირად, საკუთარი ღირსებების დაუნახაობის (თავმდაბლობის) და სხვისის გაფეტიშების მიზეზი უთუოდ საკუთარი სიპატარევის, სისუსტის, დაბალი თვითშეფასების (არასრულფასოვნების) კომპლექსია), რასაც ფსიქოანალიზის მიხედვით შემფასებლის პირადი არასრულფასოვნება უდევს საფუძვლად. ამგვარად, ქართულ ფოლკლორში შემონახულ საგანძურს გაფრთხილება, შესწავლა-გააზრება და დაფასება-მოწონება უფრო მოუხდება, ვიდრე მისი გაუაზრებელი კრიტიკა და სხვისის წაბაძვა-გაფეტიშება!

გამორიცხული არაა, რომ ამგვარი „თავმდაბლობა“ და ეროვნული ფოლკლორული საგანძურის დამცირება რომელიმე სხვა, მდიდარი ქვეყნის/ქვეყნების წინაშე ქედისმოდრეკით და მათ საამებლად იყოს ჩაფიქრებული?

ამ ვარაუდის გასაქარწყლებლედ უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი გლობალიზაციის პროცესი, თავისთავად, სულაც არ გულისხმობს კულტურალური თავისებურებების გაქრობას! პირიქით! ცნობილია რომ ამერიკამ, კონტინენტის ადგილობრივი მცხოვრებლების განდევნა-შევიწროება შეწყვიტა (მართალია ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც ხომ შეწყვიტა!), არათუ მარტო „შეწყვიტა“, არამედ რეზერვაციებშიც კი შეუქმნა, რათა მათ თავიანთი კულტურალური თავისებურებები არ დაეკარგათ. მარქსიზმი, კულტურულ ღირებულებათა გაფრთხილებისაკენ დიდი გულმოდგინებით მოუწოდებდა თუმცა, საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნის პროგნოზსაც აანონსებდა!

ასე, რომ, თუ რომელიმე ფუნქციონერს ემინია რომ საკუთარი წარსულის ღირსებების გახსენება რომელიმე ჩვენს მიერ გაფეტიშებულ ქვეყანას „ჩრდილს“ მიაყენებს, ძალიან ცდება! ამ ვარაუდით კი ნამდვილად შეურაცხყოფს მას!

თავი 4.

„წინასწარხედვის საიდუმლო“ - აღუქმელ გამდიზიანებელთა ზემოქმედების ეფექტი

სიზმარი

გამხედილი საიდუმლოს სიკეთეს ეხება წყლისთვის „ცუდი სიზმრის წყალს გატანების“ ცრურწმენაც, რაც ამ შემთხვევაშიც „თქმასთან“ გვაქვს საქმე, მაგრამ მას მხოლოდ მაშინ აქვს დამამშვილებელი ეფექტი, თუ „წყალს გატანება“ - გწამს! თუ ადამიანს სწამს რომ რაღაც უბედურება „წყალს მიაქვს“ ის მას უსათუოდ უშველის – შიშისგან გაათავისუფლებს და ეს ცოტა არაა; მაგრამ ამგვარი „შველა“ მხოლოდ მაშინაა მოსალოდნელი, როცა სიზმარი „წინასწარმეტყველური“ არაა და ის რაღაც შემთხვევითი მიზეზითაა გამოწვეული, მაგალითად, ისეთი გარეგანი ფაქტორით, როგორცაა რაიმე ხმაური (ქექაქუხილი, ძაღლის ყევა, კარებზე ბრახუნნი, ცუდი სუნნი და ა. შ.); მაგრამ თუ სიზმრით გამოწვეული შიშის მიზეზი რაიმე შინაგანი დისკომფორტია და გწამს, რომ მისი წყალს გატანება გიშველის, უსათუოდ გიშველის! თუ არ გწამს, შესაძლოა შიშმა თავად გამოიწვიოს რაღაც უბედურება, ან გააუარესოს ჯერ კიდევ აღუქმელი დაავადების მდგომარეობა.

რწმენის დიდ ძალის შესახებ სახარებიდან ცნობილია ეპიზოდი: როცა ქრისტემ ბრმას თვალები აუხილა, ბედნიერმა კაცმა ქრისტეს თავგანი სცა – შენ მე მიშველეო! რაზეც ქრისტემ მიუგო – შენ შენმა რწმენამ გიშველაო.

„რწმენა“ ყოველთვის როდი შველის ადამიანს; თუ მას პირიქით სწამს – არაფერი მიშველისო, მართლაც საეჭვოა რომ ფსიქიკურმა ფაქტორებმა უშველოს;

ანუ რწმენა, მეტ წილად, მორწმუნეებს შეველით, ურწმუნოებს – ნაკლებად (ნეტარ არიან მორწმუნენი).

ცრურწმენად ითვლებოდა და დაცინვის საგანი ხდებოდა ის, ვისაც სიზმრის სჯეროდა და მის ასახსნელად გამოცდილ ადამიანს ან „მკითხავს“ მიმართავდა.

ზოგჯერ მკითხავს მართლაც შეუძლია სიმართლესთან მიახლოებული პასუხის გაცემა; უფრო ხშირად კი სიზმარი „ცრუ განგაშის“ მიზეზი ხდება, რაკი მას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთა ამოცნობას ფსიქონალიზი სჭირდება, რაც დიდ პროფესიონალიზმსა და შესწავლას საჭიროებს; ვარაუდზე დაფუძნებული ასხნა კი სიზუსტის გარანტიას არ იძლევა. ალბათ ამიტომ შერაცხეს ის „ცრულ“, თუმცა, მის მიმართ ინტერესი მაინც არ განელეზულა.

აქ უმჯობესია თავად სიზმრის მიზეზებზე ვისაუბროთ, რაც უხსოვარი დროიდან ადამიანის ინტერესს იმსახურებდა.

სიზმრის გამომწვევი მიზეზი მრავალი რამ შეიძლება იყოს. ესენია:

შემთხვევითი გამღიზიანებლები: ფანჯრიდან მონაბერი ნიავი, შიშშილი, წყურვილი, სუნი, რომელიმე ბუნებრივი მოთხოვნილება და ა.შ. (ბაბუა, ბავშვებს სიზმარს ასე უხსნიდა – ალბათ ქარი შეგეპარაო, რაზეც უფროსები გულიანად იცინოდნენ); სუნამოს სუნმა შეიძლება სურნელოვანი ყვავილებით აჭრელებული მინდორი ან, ასევე სასიამოვნო ადამიანთა გარემოცვა დაგასიმროს, უსიამოვნო სუნმა კი – პირიქით.

სიზმარი შეიძლება გამოიწვიოს მოხერხებულმა ან პირიქით, მოუხერხებელმა საწოლმა, სხეულის მდგომარეობამ; მაგალითად, ვისაც გულის ან სუნთქვის პრობლემა აქვს შეიძლება კოშმარული სიზმრები დაესიზმროს და ა.შ.

სიზმრის მიზეზი შეიძლება გახდეს ტკივილი; დღისით, როცა ადამიანის ფსიქიკაზე მრავალი გამღიზიანებელი ერთდროულად ზემოქმედებს, მცირე ინტენსივობის ტკივილის შეგრძნება შეიძლება აღუქმელი დარჩეს. ძილის დროს კი, სხვა გამღიზიანებლებისგან იზოლაციისას, ის აღქმადი ხდება, რაც შესაძლოა რაიმე უსიამოვნო ცხოველის, ადამიანის, საშიში სიუჟეტის ან სხვა სახის კოშმარული სიზმრის გამომწვევი გახდეს.

ერთხელ, პირველ კურსზე რომ ვიყავით, არდადეგებზე, მთელი ჯგუფი ბაკურიანში წავედით. სათხილამუროდ დილით ადრე გავდიოდით, მაგრამ ლერის (წვენ ჯგუფელს) დილით ადგომა უჭირდა. ვუცდიდით და ვბრაზობდით, მაგრამ მისი მარტო დატოვებაც არ გვინდოდა. ერთხელაც, მძინარესთან გივი მივიდა, ლერის შუბლზე ფრჩხილი გადაუსვა – ახლა ექსპერიმენტული სიზმარს ენახავთო,

თქვა და შედეგს დაველოდეთ. მალე ეზოში ჩავედით და ისე გავერთეთ, რომ ლერიც და „ექსპერიმენტული სიზმარიც“ დაგვაფიწყდა. ლერი მცირე ხანის შემდეგ აივანზე გადმოდგა, დაბნეულმა შეგვათვალიერა და გადმოგებახა – აუ ბიჭოლო! ახლა მე ტიპებმა გამაბრტყელეეს! თურმე ლერის სიზმრად ვილაც ბიჭებმა სცემეს, უთუოდ მაშინ, როცა მას გვიმ შუბლზე ფრჩხილი გადაუსვა.

სიზმრის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე, **ადამიანის ემოციური მდგომარეობა** – სიყვარული, მონატრება, სინდისის ქენჯნა, გაუცნობიერებელი სურვილები, შემთხვევითი გამღიზიანებლებით გამოწვეული ასოციაციები და ა.შ.

რიგითი ადამიანების მიერ სიზმრის ადექვატური ახსნა მცდარობის დიდ ალბათობას შეიცავს, მოსალოდნელი არასასურველი შედეგებით (ალბათ ამ მიზეზით შერაცხეს ის ცრუდ);

თუმცა, ხალხმა მას ე. წ. „წინასწარმეტყველური“ ფუნქციაც კი მიაწერა.

ზოგჯერ მართლაც შეიძლება ადამიანმა სიზმარში რაიმე ცუდის ან კარგის მაუწყებელი შეტყობინება მიიღოს.

პლუტარქეს გადმოცემით: აგუსტუსი მეგობრის სიზმარმა აიძულა თავისი კარავი დაეტოვებინა; რამდენიმე საათის შემდეგ კარავი მართლაც მტერმა აიღო, იმპერატორის საწოლი კი ხმლით აკუწეს. იულიუს კეისარს რომ სიზმრის რწმენა ჰქონოდა, ის ცოლის გაფრთხილებას გაითვალისწინებდა და იმ დღეს სენატში არ წავიდოდაო, წერენ ამ საკითხით **დაინტერესებული იყოსი ოლოები**

ციცერონი გვიამბობს: ორმა მოგზაურმა ღამე სხვადასხვა ადგილას გაათია; ერთმა – ფუნდუკში, მეორემ – კერძო სახლში. ამ მეორეს დაესიზმრა ვითომ მისი მეგობარი დასახმარებლად ეძახდა; გაეღვიძა, მაგრამ სიზმარს ყურადღება არ მიაქცია და ხელახლა დაიძინა; მეგობარი მას მეორედაც დაესიზმრა, რომელმაც უთხრა – უკვე გვიანაა, რადგან უკვე მკვდარი ვარ, ჩემი სხეული კი ნეხეშია დამარხულიო. დილით მისი სხეული საზიდავის ქვეშ იპოვეს. ციცერონი შენიშნავს რომ, როცა ღმერთებს ადამიანები უყვართ ისინი მათ თავიანთ განზრახვებს სიზმარში გაუმხევენ ხოლმეო.

თურმე პლატონი იმ აზრს იზიარებდა, რომ „გული, სიზმრად ღვთიური აღმოჩენებისთვის იხსნება“. არისტოტელეს უთქვამს – სიზმრისეული წინასწარმეტყველება სრულიად სარწმუნოაო.

დაპიპნოზებულ ქალს თავისი მომაკვდავი დედის მდგომარეობა აღუწერია. აღმოჩნდა, რომ ის, რაც მან დაინახა ყველაფერი ზუსტად ისე მოხდაო, კკითხულობთ ფრანგი ასტრონომის წიგნში „იდუმალი“.

ამ „საოცრებების“ ახსნა „აღუქმელ გამლიზიანებელთა“ ფსიქოლოგიის დახმარებით შეიძლება ვცადოთ:

აღუქმელი გამლიზიანებლები: გასათვალისწინებელია, რომ, მცირე ინტენსივობის დღისით აღუქმელი გამლიზიანებლები ადამიანს სიზმარში „ახსენდება“ და აღქმადი ხდება, რასაც მართლაც შეუძლია ადამიანს შენიღბული ფორმით რაღაც სასიამოვნო, ან უსიამოვნო ინფორმაცია მიაწოდოს; ადამიანს, არაცნობიერად არ სურს უსიამოვნო სიმართლის გაგება (რასაც ფსიქიკის დამცავ ფუნქციას უწოდებენ), თუმცა, ორგანიზმი მას მაინც აწვდის მცირე ინტენსივობის ინფორმაციას, რაც მას ინტუიციის დონეზე აგრძნობინებს, რაღაც რიგზე რომ არაა.

როგორც დიდი ფსიქოლოგები გვასწავლიან, ადამიანებმა საკუთარი თავის შესახებ იმაზე გაცილებით უფრო ბევრი რამ იციან, ვიდრე მათ ჰგონიათ რომ იციან. „ცოდნაში“ სუსტი ინტენსივობის გამლიზიანებლები (ინფორმაცია) იგულისხმება – მაგალითად, ტკივილის ისეთი სუსტი შეგრძნება, რაც დასაწყის ფაზაში არ აღიქმება, მაგრამ ერთგვარ „არაცნობიერ ცოდნად“ მაინც შეიძლება მივიჩნიოთ; როცა ტკივილი გარკვეულ ინტენსივობას შეიძენს, ის ჯერ შეგრძნებადი, ბოლოს კი უკვე აღქმადი ხდება და სახეზეა აღქმადი ტკივილი, რომლის შევლაც, შესაძლოა უკვე დაგვიანებული იყოს. ანუ, ადამიანი ტკივილს დასაწყის ფაზაში ვერ შეიგრძნობს (მითუმეტეს ვერ აღიქვამს), რაკი ის იმდენად სუსტია, რომ მას სხვა, უფრო ძლიერი გამლიზიანებლები გადაფარევენ. სიზმარში კი, როცა ადამიანის ცნობიერებაზე „სხვა გამლიზიანებლები“ ვეღარ ზემოქმედებენ, ის „შეუმჩნეველი გამლიზიანებელი“ შესამჩნევი ხდება და ტკივილის შეგრძნება, ძილმდვიდარე ადამიანის ცნობიერებაში, გარკვეული ან გაურკვეველი ფორმით „ამოდის“, რის გაშიფრვასაც ფსიქოანალიზური ცოდნა და დიდი გამოცდილება სჭირდება.

ფსიქოანალიზი სიზმრების შესახებ: ფსიქოანალიზის მიხედვით სიზმრების მიზეზებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ადამიანისთვის მიუღებელი და ცნობიერებიდან არაცნობიერში (ე.წ. „სარდაფში“) განდევნილ, კულტურის მიერ ტაბუდადებულ (ინსტიქტურ) ლტოლვებს. მათი „დარაჯია“ „ზე-მე“ („სუპერ-ეგო“),

შინაგანი „ცენზორია“, რასაც ეთიკაში „სინდისს“ უწოდებენ. იგი ადამიანს „უფლებას არ აძლევს“ გააცნობიეროს (მითუმეტეს განახორციელოს) ის „ბრძოლის პროცესი“, რაც ადამიანის არაცნობიერ ღტოლვებსა და შინაგან ცენზორს („ზემეს“) შორის ფარულად მიმდინარეობს.

ძილის დროს კი, როცა „შინაგანი ცენზორის“ ფუნქციობა შესუსტებულია, პიროვნებისთვის მიუღებელი და „განდევნილი“ ღტოლვები სიზმრებში, „შენიღბული“ სახით ამოდიან, რაც თურმე ადამიანს ტაბუირებული მოთხოვნისგან „განტვირთვაში“ ესმარება.

ერთხელ, ერთმა ჩემმა თამამმა მეგობარმა დიდი ხნის ქვრივს, ფრიად ღირსეულ და სიმპათიურ ქალბატონს, ეშმაკური ღიმილით ჰკითხა – დეიდა ნინა, უქმროდ არ გაგიჭირდათ ცხოვრებაო? – არა, სიზმრებშიო! დაუფიქრებლად უპასუხა დეიდა ნინამ.

ერთხელ კი, გაუთხოვრად შემორჩენილმა ისევ იმ მეგობარმა, რომელიც მუდამ უცნობ ვაჟებზე იყო შეყვარებული, მეგობრების ვიწრო წრეში „დაინივლა“ – ხშირად ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრება – ვითომ ჩემი სიმპათია მოდის, უნდა მომეხეიოს, მაგრამ სწორედ მაშინ მეღვიძება, რა უბედური ვარ, სიზმარშიც კი არ მეღირსაო, იცინოდა. ამ სიზმრის „უბედურების“ მიზეზი კი ჩემი მეგობრის „ძვალრბილში გამჯდარი“ მყარი რწმენა იყო – უკანონოდ და უეკლესოდ ინტიმური ურთიერთობები არ შეიძლებაო!

ანუ სიზმარში, მეტ წილად, კულტურისათვის მიუღებელი ქცევა-მოქმედებების ჩანაცვლება ხდება, კულტურისათვის უფრო მისაღები შინაარსებით.

ეს იყო დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ. ახლა კი, ალბათ ქალიშვილები ასეთ სიზმრებს აღარ ხედავენ; როგორც ჩანს მათი „ზემე“ (შინაგანი ცენზორი, სინდისი) უფრო ღმობიერი და „ჰუმანური“; მას აღარ სჭირდება ის „აღვირი“ რაც დიდი ფილოსოფოსის – პლატონის აზრით ადამიანებს მუდამ ხელში უნდა ეჭიროთ, რათა ის ვნებები მართონ, რაც ადამიანებს „უფსკრულში გადაჩეხვით“ ემუქრებაო.

დროა თანამედროვეობამ კითხვა დასვას – საჭიროა თუ არა „აღვირი“?

ემუქრება თუ არა ადამიანობას უფსკრულში გადაჩეხვა, თუ თავისი ვნებების მართვის სადავეებს (აღვირს) ხელიდან გაუშვებს?

ბედისკვერი, სარკეში დანახული საბედო თუ ალუქმელი გამლიზიანებლები

„ბედისკვერის“ ჭამის და საბედოს „სარკეში დანახვის“ ცრურწმენების შესახებ, პირველად ბავშვობისას მოვისმინე, უფროსი ასაკის გოგონებისგან. სტუდენტობისას კი ბევრს ლაპარაკობდნენ სპირიტუალიზმზე და მის ტექნოლოგიებზე, რამაც ცხადია მეც დამაინტერესა. თუმცა არც ერთი ამათგანის არასოდეს მჯეროდა, მე მხოლოდ მათი ფსიქიკა მაინტერესებდა, ვისაც ამ „ცრურწმენებისა“ სჯეროდა.

მაგრამ მოგვიანებით, როცა უკვე გაბედულეობა (ვაჟაკობას რომ ეძახდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები) შევიძინე და ჩემ ცოდნებსაც კრიტიკულად გადავხედე, მივხვდი, რომ „ცრურწმენებში“ ბევრი სიბრძნეებია ნაგულისხმევი (ცხადია ამ „მიხვედრებში“ ჩვენი დიდი მასწავლებლები დამეხმარნენ).

მაგალითად, ქართული – „ბედისკვერის“ ცრურწმენა: ფსიქოლოგიამდელი საზოგადოების დიდ ნაწილს სჯეროდა, რომ თუ ახალგაზრდა მარილიან კვერს შეჭამდა (რაც სპეციალურად ამისათვის უნდა დამზადებულიყო), სიზმარში თავის საბედოს ნახავდა. როგორ?

ბედისკვერი მას თავად (ან ბებიას) ისე უნდა გამოეცხო, რომ ხმა არ უნდა ამოეღო. „ძალიან მარილიანი კვერის“ შემჭმელს (მეტწილად გოგონებს), ცხადია წყალი მოსწეურდებოდა, რაც მთელი დღის განმავლობაში „ბედისკვერის მჭამელს“ კატეგორიულად ეკრძალებოდა, რათა მას წყლის დალევის ძლიერი სურვილი (მოთხოვნილება) გასჩენოდა. ვინც მას სიზმრად წყალს დააღვინებდა, ის იქნებოდა მისი მეუღლე. ამბობდნენ, ძალიან ბევრი ქალბატონი ამტკიცებს, რომ თავისი მეუღლე სწორედ ამგვარად, სიზმარში ნახაო.

ცხადია ამ რწმენის საიმედოობა მთლად „საიმედო“ არაა, მაგრამ იმდენი დავიდარაბის შემდეგ, რაც ახალგაზრდას სიზმრის ნახვამდე თავს უნდა გადახდენოდა, არც ისაა გამორიცხული, რომ ახალგაზრდას ისეთი განწყობა შექმნოდა, რაც მის რჩეულს (ან მას მიმსგავსებულს) მართლა დაასიზმრებდა.

თუ ფსიქოლოგიის დიდ მასწავლებლებს დაუჯერებთ, თურმე ჩვენ საკუთარი თავის შესახებ ბევრი ისეთი რამ „ვიციტ“, რაც „არ ვიციტ რომ ვიციტ“. სწორედ იმას ვნახულობთ სიზმრად, რაც „ვიციტ, მაგრამ არ ვიციტ რომ ვიციტ“, ადამიანი ხომ გაუცხოებულია – აღზრდამ მას იმდენი ამკრძალავი ნორმები დაუწესა, რომ „დაავიწყდა“ რაც სინამდვილეში სურს და მხოლოდ (ან უმეტესად) იმას

აცნობიერებს, რის „ნებასაც“ შინაგანი „ცენზორი“ - სინდისი და საზოგადოების მიერ სანქციონირებული მორალური ნორმები აძლევს.

ჩვენმა წინაპრებმა სწორედ იმ მეთოდებს მიაგნო, რაც სიზმრად, ნაწილობრივ მაინც დაგვანახებდა საკუთარ ნამდვილ „მეს“. მაგრამ, ამისათვის, წინასწარ, რაღაც რიტუალები უნდა შეგვესრულებინა, რათა სათანადო განწყობა შეგვექმნოდა.

ასე იქმნებოდა საბედოს სარკეში დანახვის განწყობაც. იმისათვის, რომ ახალგაზრდას სარკეში ჩახედვისას „საბედო“ დაენახა, მთელი რიგი მოთხოვნები უნდა შეესრულებინა: სისხამ დილით, უბარზე (სანამ ვინმეს დაელაპერეკებოდა), წყაროდან წყალი უნდა მოეტანა; გზად თუ ვინმე შეხედებოდა, მისთვის ხმა არ უნდა გაეცა; საბედო რომ სარკეში დაენახა, სარკე მისთვის ჩაუხედავი უნდა ყოფილიყო (ე.ი. სარკე ისეთი მეზობლისთვის უნდა ეთხოვა, ვის სარკეშიც მას არასოდეს ჩაუხედავს), სარკის წინ დადგმულ ჭიქაში, მის მიერ მოტანილ წყალში ჯვარნაწერი ბეჭედი უნდა ჩაეგდო და შუალამისას, თაფლის სანთლის შუქზე, ჯერ სარკეში, სარკიდან კი ბეჭედში უნდა ჩაეხედა, სადაც ის თავის საბედოს „დაინახავდა“; ცხადია ამდენი აზრიანი თუ უაზრო აქტიურობები მას იმის განწყობას შეუქმნიდა, რომ მისთვის სასურველი ადამიანი ან მისი მსგავსი მაინც რომ „დაენახა“. ანუ, ესეც საკუთარ არაცნობიერში „ჩახედვის“ ერთერთი მეთოდი იყო, იმის მცდელობა, რომ „დაენახა“ ის, რაც მისმა არაცნობიერმა „მეშ“ იცოდა, მაგრამ რაც ცნობიერმა „მეშ“ არ იცოდა, რომ იცოდა.

- ლ, სტუდენტობისას, მეგობრებმა ღამის „სპირიტუალურ სეანსზე“ დამპატივეს. მიუხედავად ჩემი ურწმუნობისა, მაინც წავედი; მის შესახებ ბევრი რამ წაკითხული მქონდა და მინდოდა ჩემი თვალთ მენახა ეს პროცესი; მისვლისთანავე ერთი ვაჟი ზედმეტად სერიოზული, დაბლვერილი და თავის აღმატებულობაში დარწმუნებული მეჩვენა. ჩაი ისე დავლიეთ, რომ ჩვენს ღმრთობაში მონაწილეობა არ მიუღია.

მოგვიანებით მივხვდი, რომ მას ასეთი „პოზა“ ჩვენი შინაგანი განწყობის შესაქმნელად სჭირდებოდა; შუალამისას მან მაგიდაზე უზარმაზარი თეთრი ქაღალდი გაშალა, რაზეც ასევე უზარმაზარი წრე იყო შემოხაზული. მის ირგვლივ ქართული ანბანი იყო მიწერილი; ვაჟმა ქაღალდზე ღამაზი, პრიალა, ამობრუნებული ფინჯანი დაამხო, და სერიოზული სახით რაღაც მარტივი ლიტანია შეასრულა; მერე თვალები

მალღა მიაპყრო და უხმოდ მცირე ლოცვა აღავლინა. მერე ამობრუნებული ლამბაქის ფსკერზე სანეენებელი თითის დადება გეთხოვა და თავისი ადრე გარდაცვლილი მეგობრის სული გამოიძახა.

მცირე ლოდინის შემდეგ ლამბაქი შეინძრა, რაც თითქოს იმის მაუწყებელი იყო, რომ „სული მოვიდა“! მერე, არანორმალურად შემზარავი ხმით მიმართა – ჩვენ, შენი მეგობრები მოგესალმებით; გვინდა რამდენიმე კითხვით მოგმართოთ და გავიგოთ უახლოეს დღეებში რა გველოდება. თანახმა ხარ თუ არა, რომ გვიპასუხო?

ლამბაქი წრის ირგვლივ გასრიალდა და იქ შეჩერდა, სადაც ასო „დ“ ეწერა, შემდეგ „ო“, შემდეგ – „ა“, „ხ“ დაიწერა – ე. ი. „დიახო“.

მედიუმის (შუამავალს ნიშნავს) დასერიოზულებამ და უცნაურმა ხმამ ღიმილი მომგვარა, რაც მედიუმმა მაშინვე შეამჩნია და მოხოვა – თქვენ დღეს მზად არახართ სულებთან სასაუბროდ, გთხოვთ ხელს ნუ შეგვიშლითო და ლამბაქიდან ხელის აღება მოხოვა, რაც დაუყოვნებლივ შეეპარულე – გარე დამკვირვებლის როლში ყოფნა გაცილებით მერჩია.

ამის შემდეგ დაიწყო შეკითხვები, მათ შორის ასეთებიც: – რას ფიქრობთ მზიაზე? – როდის აპირებთ მასზე დაქორწინებას? და ა.შ. რაზეც „სულმა დაგვიწერა“ – შემოდგომაზე დაქორწინდებითო.

თავდაპირველად მზია გახარებული იყო, მაგრამ დაქორწინების ვადის დასახელებამ, ეჭვი გაუჩინა – ჯერ მას იმ ვაჟთან ისეთი ურთიერთობა არ ჰქონია, ასე მალე რომ ქორწინებით დამთავრებულიყო.

განთიადმდე ვისხედით და ჩვენი მედიუმის მიერ „ამოკითხულ“ წინასწარმეტყველებებს ვისმენდით, თუმცა მის მიმართ მხოლოდ მე როდი ვიყავი სკეპტიკურად განწყობილი; რომ დავიშალეთ, პირვანდელი აღფრთოვანება აღარავის ეტყობოდა.

ამ ღამემ მე საკუთარი „თავის შეცნობის“ მექანიზმი აღმომაჩენინა – სუანსის მონაწილეებში სათანადო განწყობის შექმნით, მართლაც შეუძლია ზემოქმედობიარე მედიუმს (მას ჩვეულებრივი ადამიანის მიერ აღუქმელი გამღიზიანებლის აღქმა შეუძლია) ის ინფორმაცია „აღიქვას“, რასაც სუანსის ის მონაწილე გაცემს ვის შესახებაც შეკითხვაა დასმული; მაგალითად, როცა შეყვარებული ადამიანი (ჩვენ ექსპერიმენტში – მზია) მედიუმს სთხოვს – თავის გარდაცვლილ მეგობარს მისი

შეყვარებულის სახელი ჰკითხოს, ცხადია მთელი მისი ბიო-ფსიქიკური არსება იმ ვაჟის სახელს „თავის გულში“ „ყვირის“, რასაც „ზემგრძობიარე მედიუმი“ „ადიქვამს“ და ახმოვანებს; მაგრამ ეს „ზემგრძობიარე მედიუმები“ ცხოვრებაში ჯერჯერობით იშვიათია; ვარაუდობენ, რომ მომავალში ეს უნარი ბევრს ექნება; დღეს კი, მეტ წილად, ამგვარ სეანსებში მედიუმი ეშმაკობს და ლამბაქს ცნობიერად „დაარბენინებს“, თუმცა, გამორიცხული არაა, სეანსის მონაწილეთა შორის ვინმე მართლაც ისეთი „არანორმალურად მგრძობიარე“ აღმოჩნდეს, ვინც ერთერთი იმათგანის ძლიერ სურვილს ჯერ კიდევ მაშინ „ამოიცნობს“ სანამ თავად ის „ერთერთი“ ამას გააცნობიერებს.

ანუ, სპირიტუალიზმი არც მთლად ცრუა და არც მთლად უტყუარი. „მედიუმმა“ კითხვას რომ სინამდვილესთან მიახლოებული პასუხი გასცეს შეგრძნების ზემგრძობიარე უნარი და სათანადოდ განწყობილი, შთაგონებადი პარტნიორები უნდა ჰყავდეს.

ჩვენს იმდამინდელ „ამოიცნობს“ (მედიუმს) კი, მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა, ეს უნარი არ აღმოაჩნდა – რის გამოც ის, რაც მან ჩვენ გოგონებს უწინასწარმეტყველა, ერთიც არ ასრულებულა.

თუმცა, იმ ვაჟის სურვილი, რომ გოგონებისთვის სასიამოვნო ინფორმაციები მიეწოდებინა და ისინი გაემხნეებინა, დიდად დასაფასებელი იყო.

„მოლაპარაკე ფოთლები“ და ქოთანში დამწყვდეული „ყვავის სიბრძნე“

ბევრ ჩვენგანს წაუკითხავს ან გაუგონია როგორ ამხილა ტყუილში ილია ჭავჭავაძემ მევახშე, რომელიც გლეხს ვალის დაუბრუნებლობის გამო ედავებოდა, მაგრამ ახლა მაინც გავიხსენოთ ეს როგორ მოხდა: ერთხელ, როცა ბატონი ილია თიანეთის რაიონში მოსამართლედ მუშაობდა, მასთან მომწივანი მევახშე და მოპასუხე გლეხი მისულა. მევახშე, გლეხს, ვალის დაუბრუნებლობაში სდებდა ბრალს. გლეხი იფიცებოდა – დაუბრუნეო; ცხადია ამის საბუთი გამოუცდელ გლეხს არ აღმოაჩნდა. მევახშეც იფიცებოდა – არაო, არ დაუბრუნებიაო!

– თუ გახსოვს მაშინ სად იყავით, როცა ვალი დაუბრუნეო? ჰკითხა ილიამ გლეხს; – როგორ არ გახსოვს, სოფლის განაპირას, დიდი მუხის ძირასო!

– ჰოდა, წადი ახლა და იმ მუხის ფოთლები აქ მომიტანე, ისინი სიმართლეს იტყვიანო; – რას ამბობთ კაცო, იქამდე მისვლას ნახევარი დღე დასჭირდება, ნახევარი დღე უკან დაბრუნებასო, შეჰყვირა მეველემ, რომელიც ძალიან გვიან მიხვდა „მახეში გაბმული“ რომ იყო.

იმ ხერხს, ილიამ რომ მიმართა, მართლმსაჯულება მისი „სიცრუის“ გამო არ სცნობს და სამართლიანადაც, რაკი ესაა „ერთჯერადი სიბრძნე“, რომელიც სხვა დროს აღარ გამოდგება; საქმე იმაშია, რომ, რაკი „მეფასშეები“ ამ „ანკესზე“ ერთხელ წამოუგებიან, მეორედ „ჭკუას ისწავლიან“ და უფრო მოხერხებულად იცრუებენ.

„ცრურწმენების“ სასარგებლოდ მაგალითების მოტანა კლასიკური ლიტერატურიდანაც შეიძლება.

ჯეკ ლონდონის ერთერთი ნოველა ალასკაზე მცხოვრები იმ ხალხის ერთ ეპიზოდზე მოგვითხრობს, რომლებიც ჯერ კიდევ შამანების და ტომის ბელადების გაელენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ამავე სოფელში ცივილური სამყაროდან ჩასული ათეისტიც ცხოვრობდა; ის „ცრურწმენებში ჩაფლული“ სოფლელების „თვალის ახელას“ და ცოდნისკენ, განათლებისკენ მათ „შემობრუნებას“ ცდილობდა, მაგრამ მან ერთის მეტი ვერაფერი გადაიბირა. ის ერთი ადგილობრივი ათეისტი დიდი ხალხით ეხმარებოდა „დიდი მიწიდან ჩასულს“ შამანის გაელენისაგან „ხალხის დახსნის“ საქმეში.

ერთხელ, ტომის ბელადს, ამრიკელი სტუმრის მიერ ნაჩუქარი ჭრელი საბანი მოპარეს; ეს იყო სოფლის ცხოვრებაში უჩვეულო ამბავი, რაკი იქ არასოდეს არავის არაფერი დაუკარგავს (რაკი დასაკავიც არაფერი ჰქონდათ).

ადგილობრივმა ათეისტმა გაიხარა; თუ მას აქამდე არავინ უსმენდა, ახლა დრო იხელთა, შამანის გაბითურების მიზეზი მიეცა – იპოვოს ახლა თქვენმა „ბრძენმა“ დაკარგული საბანი, ის ხომ გულთმისანილო, იცინოდა.

შამანი მშვიდად იყო – ვიპოვით, ვიპოვითო, გაიძახოდა;

შემდეგ კი აი რა მოხდა:

შამანის მითითებით სოფლის მცხოვრებლები, უჩვეულო სანახაობის მოლოდინში მოედანზე შეიკრიბნენ. იქ კარავი გაეშალათ, შიგ კი თავმოკრული ქოთანნი ჩაედგათ, სადაც ყვავი იჯდა; სოფლის მცხოვრებლები კარავში სათითაოდ უნდა შესულიყვნენ, ქოთანზე ხელი მოეხვათ და როცა ქოთანს ქურდის ხელი შეეხებოდა, ყვავი დაინახავლებდა.

ათვისტი ხარხარებდა – ხომ გეუბნებოდით, ამდენ ხალხს ერთი კაცი გასულელებო! როგორ გჯერათ, რომ ყვაევი ქურდს გამოიცნობსო?

მაგრამ კარავში მაინც ყველა შედიოდა და შედეგს ინტერესით ელოდა.

სულ ბოლოს კარავში ადგილობრივი ათვისტიც შევიდა, რაკი შამანის გადაწყვეტილებას ისიც უნდა დამორჩილებოდა.

...მაგრამ ყვაემა არ დაინახავლა!

სოფელი ღელავდა, ათვისტი ზეიმობდა, შამანი ერთსა და იმავეს მშვიდად იმეორებდა – დაიცათ, დაიცათ, ქურდს უსათუოდ ვიპოვიო!

ბოლოს, შამანის მითითებით, სოფელები წრეზე დადგნენ, წინ ხელებგაშვრილები, ხელისგულებით ზემოთ. ხალხი, „სასწაულის“ მოლოდინში, გარინდული იდგა და ელოდა.

ბოლოს, შამანმა რანდენიმე თანასოფელთან ერთად წრეზე ჩმოიარა, თან სოფელებს ხელისგულებზე გულმოდგინედ აკვირდებოდა. ბოლოს, ხელი ერთ კაცს დაადო – საბანი ამ კაცს წაუღიაო, თქვა და კაცები მის სახლში ნაქურდალის წამოსაღებად გაგზავნა. ისინი მალე შალის საბნით დაბრუნდნენ, რასაც გაოცებული სოფელები ყოყინით და შამანის მიხვედრილობით აღტაცებულები შეხვდნენ.

გაირკვა, რომ ქოთანში არავითარი ყვაევი არ მჯდარა; ქოთანი კი გამურული ყოფილა; ბრძენმა შამანმა, რაკი კარგად იცოდა ადამიანის ფსიქიკის „საიდუმლოები“, სწორად ივარაუდა – იმ ქოთანს ქურდი ხელს რომ არ მოუსვამდა; მართლაც, ყველას აჩნდა ხელის გულზე მურის კვალი, ერთს გარდა და ეს იყო... თუ მიხვდებით ვინ? სწორია, ათვისტი!

ამ პატარა ნოველაში ავტორმა ხალხური სიბრძნის სიკეთე შეგვახსენა და ისიც თქვა, ყველა ადამიანი რომ მორწმუნეა, მიუხედავად იმისა, იცის მან ეს თუ არა. როცა ათვისტი „გამოცდის“ წინაშე დადგა, – დამარცხდა; მან ქოთანს ხელი ვერ შეახო, რისი მიზეზიც შინაგანი, გაუცნობიერებელი რწმენა იყო, რასაც ის ვითომ ებრძოდა. ანუ, ავტორმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა – შემოქმედმა „წინასწარ იზრუნა“ და ადამიანში შინაგანი „ცენზორი“ – სინდისი იმთავითვე ჩანერგა; დიდი ილია ხომ ბრძანებს –სინდისი – ესაა პატარა ღმერთი ჩემშიო!

შავ სიაში შეტანილი „ძაღლის ყმუილის

საიდუმლო“

აღბათ ბევრ ჩვენგანს ახსოვს ნოდარ დუმბაძის ნოველა – „ძაღლი“; აღბათ ბევრს ცრემლიც დაუღვრია ჩვენი საყვარელი, უტყუი მეგობრებისადმი იმ უმაღური დამოკიდებულების გამო რაც იქაა მოთხრობილი – ძაღლებს მთელი სოფელი იმის გამო განუდგა, რომ ერთის ყმუილს მთელი სოფლის ძაღლებიც აჰყენენ; ეს ფაქტი უბედურების მომასწავებლად მიიჩნის, რის გამოც სოფელმა ყველა მცხოვრებს საკუთარი ძაღლის მოკვლა დაავალა; როგორ მოხდა, რომ სოფელმა ასე სასტიკად გამოხატა იმ ტრადიციის მიმართ თავის დამოკიდებულება, რომელიც ასე დიდხანს შემორჩა ხალხის მეხსიერებას?

ამ კითხვაზე პასუხი ცოტა შირიდან უნდა დავიწყეთ:

ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა შეგრძნებების ორგანოებზეა დამოკიდებული; ესენია მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხების და ტკივილის შეგრძნების ორგანოები (ლაპარაკობენ აგრეთვე „მეექვსე გრძნობის ორგანოზე“, რაშიც ძირითადად ინტუიციით მისაწვდომი შინაარსები იგულისხმება, რისი განხილვის საჭიროება აქ არაა).

ადამიანების შეგრძნების ორგანოების ფუნქციობა, მცირე ინდივიდუალური სხვაობებით, თითქმის ყველასი, ერთნაირია; სხვაობები კი როგორც რეცეპტორების ფიზიოლოგიურ აგებულებაზე, ისე ინტერინდივიდუალურ ფსიქიკურ სხვაობებზეა დამოკიდებული; მაგალითად, ზოგის სმენის რეცეპტორი სხვის სმენის რეცეპტორზე უფრო გავარჯიშებულია (ან თავიდანვე სხვისაზე უფრო მგრძნობიარე იყო), რის გამოც ის უფრო მცირე ინტენსივობის ბგერებს აღიქვამს, ვიდრე სხვა. ასევეა ყველა შეგრძნების ორგანოს „მუშაობის საიდუმლო“ – სუნისადმი ან ტკივილისადმი ზოგი უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე სხვა და ა.შ.

არსებობს ისეთი შემთხვევები, როცა „ადამიანი ტკივილს არასოდეს უწიოდა, მაგრამ უეცრად რაღაც დაავადებით გარდაიცვალა“ ანუ, საშიშროების მოახლოების გამო ის „ტკივილმა თავის დროზე არ გააფრთხილა“, რაკი მისი ტკივილის შეგრძნების რეცეპტორი ნაკლებ მგრძნობიარე იყო. ამიტომ ამბობენ – ტკივილი ადამიანის მეგობარია! ადამიანს ტკივილი ავადმყოფობის დაწყებისთანავე „აფრთხილებს“ და სათანადო ზომების საჭიროებას შესხენებს.

რაც შეეხება ინტერინდივიდუალურ ფსიქიკურ განსხვავებულობებს, ის ამა თუ იმ სახეობისადმი მიკუთვნებულობაზე ან აღზრდის სტილზეც არის დამოკიდებული.

მაგალითად, ზოგიერთ ხალხებში ღორის ხორცის მწვადების დანახვა ზიზღის შეგრძნებას იწვევს, ზოგიერთში, იგივე განცდას იწვევს – ლოკოკინებით ან ბაყაყით მომზადებული კერძები; ან, ერთსა და იმავე კულტურის ადამიანებში, ზოგს კლასიკური მუსიკა ანიჭებს ტკობას, ზოგს – მეტალიკა და ა.შ.

მაგრამ ახლა ჩვენ „აყმუვლებული ძაღლის“ ტრაგედიის მიზეზის ასხნა გვინტერესებს: ცნობილია, რომ ძაღლებს, როგორც წესი, ყნოსვის უნარი განსაკუთრებულად განვითარებული აქვთ; როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ის „მომაკვლავი ადამიანის სუნს“ ექვსი თვით უფრო ადრე გრძნობს, სანამ თავად ავადმყოფი ტკივილს შეიგრძნობს.

ამიტომ ყმუის „საწყალი ძაღლი“ – ის გრძნობს „სიკვდილის სუნს“, მაგრამ მისი არავის ესმის; ადამიანებს ჰგონიათ სიკვდილი ძაღლის ყმუილმა გამოიწვია! თურმე ამ შემთხვევაში უბედურების მიზეზი ძაღლი კი არა, ადამიანის შეცდომაა!

სავარაუდოდ, ძაღლის ყმუილის სიკვდილთან (ავადმყოფობასთან ან მსგავს ხიფათთან) დაკავშირება ძველთაძველი სიბრძნე იყო, რის მიზეზიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა, დარჩა მხოლოდ მისი შედეგი – უბედურება, რამაც დროთა განმავლობაში მიზეზის სახე შეიძინა და რასაც მრავალი „ჭკვიანი და ერთგული“ ძაღლის სიცოცხლე შეეწირა.

ცხადია ადამიანთა ამ შეცდომას დღეს მედიცინამ ფარდა ახადა და ძაღლის მიერ პატრონის „გაფრთხილებაში“ თავის ფუნქცია დაკარგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ეს უნარი მაინც დასაფასებელია, რაკი ის, თავის დროზე ხიფათის მოახლოების მაუწყებელი იყო და სასჯელს სულაც არ იმსახურებდა.

მაშასადამე, ამ „ცრურწმენის“ მიზეზი „ცრუ“ სულაც არაა რაკი, ძაღლის ყმული – საფრთხის მოახლოების მაცნე ყოფილა; ცრუ ის რწმენა იყო, ადამიანები რომ ხელიდან უშვებდნენ ამ შანსს, საწყალი ძაღლის ყმული კი „შავ სიაში“ ადამიანთა უვიცობის გამო მოხვდა.

თავი 5. დაშიფრული ფსიქოლოგიური „საიდუმლოები“ ზღაპრებსა და თქმულებებში

ნაცარქექია

(ოჯახიდან წასვლის და შინ დაბრუნების იდეა, იმპერიებთან ურთიერთობების

სტრატეგიები თუ მატერიალური სარგებლის სურვილით ნაკარნახევი ეშმაკობები?)

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, ცნობილი ქართველი მოღვაწეების (აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი) მიერ გაიმართა დისკუსია ქართული სულის სპეციფიკაზე, სათაურით - „სათავეებთან“. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყოველი ქართველისთვის ცნობილი და საყვარელი ფოლკლორული გმირი ნაცარქექიაა. ამის ერთერთი მიზეზი ისაა, რომ ყოველ ქართველში პატარა ნაცარქექია „ზის“. იგი ზარმაცი, ღარიბი, მაგრამ კარგი ცხოვრების მოყვარულია, რასაც კიდევ აღწევს მოხერხებულობა-ეშმაკობით. ამის გამოა ეს ზღაპარი ყოველი ქართველის სულს რომ ეხმიანება, რის გამოც ის ქართველებმა შეიყვარეს.

იქვე ითქვა, რომ ქართული სულის სპეციფიკად მხოლოდ მატერიალური სიკეთეების მისაღებად ეშმაკობა-მოხერხებულობის გამოცხადება არ გამოდგება, რამდენადაც იოლად დოვლათის ხელში ჩაგდებაზე არც სხვა ერის ფოლკლორული გმირები ამბობენ უარს.

მათი აზრით, ქართული სულის სპეციფიკა მცირე და სუსტი ქვეყნისთვის დამახასიათებელი საკუთარი სიპატარაის კომპლექსია, რის საკომპენსაციოდ მოხერხებულობა-ეშმაკობით, დაპირისპირებული მხარის – ბაყბაყდეების გაცურება-მოტყუება გამოდგება. საქართველო ხომ მუდამ „ბაყბაყდეების“ გარემოცვაში ცხოვრობდა, მის „ჩაყლაპვას“ რომ ღამობდნენ! გადარჩენის გზად, ტანად პატარა ნაცარქექიას ჭკუამ (აღლომ) ეშმაკობა-მოხერხებულობა უკარნახა („ხერხი სჯობია ღონესა...“). რითაც მან, ასე თუ ისე, არსებობის შენარჩუნებაც მოახერხა და თავისთვის და თავის ძმებისთვის დოვლათი და უსაფრთხოებაც გაინაღდა.

ასეთივე მოტივებზეა შექმნილი „ხუთკუნჭულაც“ და ბევრიც სხვა ზღაპარიც, რომელთა გმირები ჭკვიანი, მაგრამ ღარიბი პერსონაჟები არიან; ცხოვრებამ მათ არსებობის უფლების და საარსებო საშუალებების მოპოვების ხერხი – ეშმაკობა-მოხერხებულობა და ბაყბაყდეების დამარცხება ასწავლა.

ანუ, ჩვენმა წინაპრებმა ამ ზღაპრებში „ბაყბაყ-დევებთან“ – იმპერიებთან საურთიერთობო პროგრამაც დაგვიტოვეს – როცა პატარა, სუსტი, ღარიბი და უმეგობრო-უნათესაო ქვეყანა ხარ და მეზობელ „ბაყბაყ-დევებს“ შენი „ჩაყლაპვა“ სურთ, მტრებს ჭკუით, ხერხით უნდა აჯობო, თორემ დაიღუპები; იმპერიებთან ურთიერთობა კი ის შემთხვევაა, როცა შესაძლოა ქვეყნის გადარჩენისთვის „სახელოვან სიკვდილს“ „ნაძრახი სიცოცხლე“ სჯობდეს, რაკი საქმე ქვეყნის გადარჩენას ეხება და არა ცალკეული პიროვნებისას, ვისაც აქვს უფლება განაგოს საკუთარი ყოფნა-არყოფნის საკითხი (ეს იდეა ჩემმა შვილმა - მეექვსე კლასელმა გელამ მომაწოდა, როცა მან „საყოველთაო ჭეშმარიტებებს“ კრიტიკულად გადახედა).

ანუ, მორალი, ზნეობა, თავდაცვის ინსტინქტის საუქველზე წარმოშობილი კულტურალური წარმონაქმნია და მაღალგანვითარებულ არსებებს – ადამიანებს, საწყისი ფორმით, თანდაყოლილი აქვთ; ზოგჯერ ამტკიცებენ – ცხოველებსაცო; თურმე, ზოგიერთ ცხოველს, დანაშაულის გამო, სინდისიც კი აწუხებს (ძაღვს, ცხენს). თავისივე მსგავსის მიმართ თანაგრძობის უნარი კი თანდაყოლილიაო (მგლებს, როცა საერთო მტერი გამოუჩნდებათ, ურთიერთქიშიში „ავიწყდებათ“ და მტერს ერთად უტყევენ), კულტურა (აღზრდა) კი, ადამიანს კარგის და ცუდის, სიკეთის და ბოროტების ერთმანეთისგან გარჩევა-გაცნობიერებაში და ბოროტის დამარცხებაში ეხმარება.

არსებობს ამ ზღაპრის სხვაგვარი და საინტერესო გაგებაც, რაც ყოველმხრივ მისაღებია და მას სულაც არ უშლის ხელს (არ ეწინააღმდეგება) ზღაპარში აღმოჩენილი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციები; ესაა ნაცარქექიას (ოდისევსის მსგავსად) შინ დაბრუნების (ჯერჯერობით) მარადიული იდეა, რაც ასევე ადამიანის ბუნებრივი და ყველასთვის ნაცნობი ლტოლვაა (თუ მომავალში მას გლობალიზაციის პროცესი არ დაემუქრება).

გულუხვი, ძუნწი და მიქელ-გაბრიელი ანუ სტუმართმოყვარეობის ხიბლი

ერთხელ ერთ კაცს მიქელ-გაბრიელი მიადგა – მოემზადე, უნდა წაგიყვანო.

კაცმა „სტუმარს“ გაუღიმა, გუგლიად შინ შეიპატიჟა – მოდი, ჯერ ჭიქა ღვინო დამიღიეო; გაუშალა პურმარილი; სეეს, ჭამეს, შექეიფიანდნენ, სიმღერაც კი შემოსძახეს.

მიქელ-გაბრიელი კარგ ხასიათზე დადგა – შენ კაი კაცი ყოფილხარ, მიდი იცხოვრე, კარგად იყავიო – უთხრა, დაემშვიდობა და წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ მეზობლის ოჯახში წივილ-კივილი ატყდა – არიქა უშველეთ, ოჯახის უფროსი მიქელ-გაბრიელმა წაიყვანაო... მაგრამ ვიღა უშველიდა!

კარგმა კაცმა ხელი დანანებით ჩაიქნია – ევეეჰ! ხომ ვამბობდი, მაგ საცოდავს დაღუპავს თავისი სიძუნწეთქო!

ეს ზღაპარი ქართული სტუმართმოყვრული ფსიქიკის ფანტაზიითაა შექმნილი. ხომ ამბობენ – ფოლკლორში იმ ხალხის სული ჩანს, ვინც მისი შემქმნელიაო! ოლონდ, ზოგჯერ, სტუმრის „გადაჭარბებულ“ სიყვარულს სიყალბის ელფერი დაჰკრავს, რასაც ისეთივე საფრთხეს ემუქრება, როგორც ყველაფერ ზედმეტს! მას

სტუმრის „მეტისმეტ“ სიყვარულს, ზოგიერთმა ხალხურმა ანდაზამ და სათნოებათა ფსიქონალიზურმა გაგებამ „წყალი შეუყენა“.

ქართული კლასიკური ლიტერატურიდან (იხ. კლდიაშვილის მოთხრობები) ყველას გვახსოვს იმერული, ღიმილისმომგვრელი სტუმარ-მასპინძლობა; სტუმრის „განსაკუთრებულ სიყვარულს“ მოლას ანეკდოტებშიც ვხვდებით, რაც „ყალბი სტუმართმოყვარობის“ მიმართ ჩვენი და არაბული კულტურის ერთნაირი დამოკიდებულების მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს (მოლამ სტუმარი შინ შეიპატიჟა. – ცხენი სად დავაბაო? იკითხა სტუმარმა; – ამ ჩემი ენის წვერზეო! უპასუხა თავისი „სტუმართმოყვარობით“ თავის თავზე გაბრაზებულმა მოლამ).

ყალბი სტუმართმოყვარობის შეფასებები ანდაზებშიც ბევრგან გვხვდება: „დილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ცოტა შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“; „სტუმარი თევზსა ჰგავს, მესამე დღეს – ყროლდებაო“ და ა.შ.

ფსიქონალიზმა კი მოლად „ბოლო მოულო“ სტუმარ-მასპინძლობის მშვენიერ ტრადიციას! მის მიხედვით, თურმე, სტუმრის „თან გადაყოლა და სიყვარული“ მისი „არსიყვარულის“ კომპენსაციაა. დავაზუსტოთ: იგულისხმება „სიყვარულის“

მეტისმეტად გამოხატვა და არა საერთოდ ახლობლებთან ურთიერთობების სიხარული.

ანუ, „ზომიერების უნივერსალური პრინციპი“ სტუმართმოყვარეობის გამოხატვისასაც სახელმძღვანელო და გასათვალისწინებელი ყოფილა. ზომიერი და გულწრფელი სტუმარ-მასპინძლობამ კი არც სტუმარს შეაწუხებს და არც მასპინძელს.

სიზარმაცე, წინდახედულება თუ უაზრო კანონმორჩილება

ფოლკლორი რომ ერის სულის გამოხატულებაა, ამაზე ძველი თქმულებაც მეტყველებს (რითაც ქართველები ხან თავს იწონებენ, ხანაც – იდანაშაულებენ). ეს თქმულება თითქმის ყველა ქართველმა (ალბათ არაქართველმაც) კარგად იცის, მაგრამ აქ მაინც უნდა გავიშორო:

ღვთისმშობელი, სხვა და სხვა ხალხებს შორის მიწებს (ტერიტორიებს) ანაწილებდა; თქმულების ერთერთი ვარიანტის მიხედვით ამ დროს **ქართველებს ეძინათ; სხვა ვარიანტში – ქეიფობდნენ**; ორივე ვარიანტი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველები ამქვეყნიური, პრაქტიკული ინტერესებისგან შორს იყვნენ/არიან – დროს ძილში ან ქეიფში ატარებდნენ. ბოლოს გაუმართლათ, როცა გონს მოეგნენ და ღვთისმშობელთან გამოცხადდნენ, ტერიტორიები უკვე განაწილებული იყო, მაგრამ ღვთისმშობელს დარდიმანდი და არაპრაქტიკული ქართველები უყვარდა, უნაწილოდ ვერ დატოვა და ის მიწები (ტერიტორიები) უბოძა, რაც თავისთვის ჰქონდა გადანახული.

ჩვენმა წინაპრებმა ამ თქმულებით გამოხატეს თავადაც კარგად რომ ჰქონდათ გაცნობიერებული საკუთარი ერთდროულად ნაკლიცა და ღირსებაც – დოვლათის მოხვეჭა-მოგროვება-ოფლისდგვრას მეგობრებთან ურთიერთობა, ქეიფი და დროსტარება რომ ერჩიათ. ამგვარ ცხოვრებაზე ალბათ არც ერთი ხალხი უარს არ იტყოდა, მაგრამ ბუნებამ ქართველებივით ყველა როდი გაანებებრა; თუმცა, თურმე კარგმა ბუნებრივმა პირობებმაც შეიძლება ქვეყანას ცუდი სამსახური გაუწიოს; აკი **შეიძლება რომ ყველაფერი კარგი ცუდში გადაიზარდოს!** სშირად ადამიანს ნიჭერებაც „ცუდ სამსახურს“ უწევს – ის შრომის უნარს ვერ ინვითარებს, რაკი ნიჭიერი, ბავშვობიდანვე ყველაფერს ადვილად, უშრომელად სწავლობს! ამიტომ ამბობდნენ ჩვენი წინაპრები – ნიჭს გაფრთხილება უნდაო!

ასე რომ, ქართველებს მაშინ, ძილის (თუ ქეიფის) გამო ბევრი არაფერი დაუკარგავთ, პირიქით, ღვთისმშობლის წილხვედრი ტერიტორიები ერგოთ და თავს ძილისაც და „ქეიფის“ უფლებასაც აძლევდნენ; თან, ძირითადად ამ ტერიტორიების მტრებისგან დაცვით იყვნენ დაკავებულები; მაგრამ, როცა ნახეს ამასობაში მწირმიწიან ხალხს რა გულმოდგინებით მოუვლიათ თავიანთი კუთვნილი ტერიტორიებისთვის, როგორი შრომისუნარიანობა შეუძენიათ და ტექნიკაც შეუქმნიანაააააა!..

ქართული ფსიქიკის (სულის?) შესახებ ანეკდოტიც მოგვითხრობს; ამ თემაზე საუბარს მეშვიდე თავში ვაპირებ, მაგრამ ახლა აქ ის ისე მჭირდება, რომ მისი გახსენებისგან თავს ვერ ვიკავებ:

დაჯდა ქართველი სკამზე; შეერჭო ქინძისთავი; – ვინ ოხერმა დაარჭო აქ ქინძისთავიო! დაიდრიალა და ქინძისთავი შორს მოისროლა (ქართული დაუდევრობა!). დაჯდა სომეხი, შეერჭო. – ვაა, ქინძისთავი? კარგად დაათვალიერა და გულისპირში გაირჭო, გამომადგებაო (სომხური წინდახედულება); დაჯდა რუსი, შეერჭო; – ვა! ქინძისთავი? ესეიგი ასეა საჭიროო! თქვა, ისევ იმ ადგილას დაარჭო და მერე ზედ დაჯდა (რაა ეს, „კანონის პატივისცემა“? თუ „მონური“ მორჩილება?).

ეს ანეკდოტი ერთნაირად დასცინის ქართულ დაუდევრობასაც, სომხურ წინდახედულებასაც და რუსულ „კანონმორჩილებასაც“, მაგრამ თუ ობიექტურები ვიქნებით, დასაცინი სულაც არაა არც წინდახედულება და არც კანონმორჩილება, თუმცა, რუსის შემთხვევაში ის მართლაც სასაცილოა, რაკი იქ „კანონი“ არაფერ შუაშია, იქ სწორედ დასაცინ კომფორტულობასთან გვაქვს საქმე; რაც შეეხება „ქართულ დაუდევრობას“, ის ღიმილისმომგვრელია, მაგრამ როცა დაუდევრობა ერის მახასიათებელია, „წერილმანშიც“ და „მსხვილმანშიც“ – მართლაც დამაფიქრებელია.

თავი 6: წინაპრების მიერ არაცნობიერში აღმოჩენილი „ჭკვიანურები“

ფულის შოვნის ზღაპრული ხერხი

ქართულ ზღაპრებში მთავარი გმირები, ძირითადად, წარმატებებს ინდივიდუალურად, მარტოხელები, ეშმაკობით, ტყუილით, მოხერხებულობით ან დიდი ფიზიკური ძალით აღწევენ; ძნელად მაგონდება შრომის, სწავლის ან

ჯგუფური სოლიდარობის მაგალითები (რაც ქართულ ფოლკლორში იშვიათია, თუმცა გვაქვს ყველასთვის ცნობილი ანდაზა - „მალა - ერთობაშია“).

იმ იშვიათ გამონაკლისებს შორის არის ერთი პატიოსანი მშრომელი კაცი, ვინც ადამიანობის სპეცოფიკას - შრომის აუცილებლობას აღიარებს და მოითხოვს, რითაც ეს ზღაპარი საკაცობრიო მორალის სფეროს და ცხოვრების წესს ეხმიანება და უერთდება.

იმ კაცს თავისი შრომით ღონიერი ოჯახი შეუქმნია, მაგრამ როცა ერთხელ ეს კაცი ავად გახდა და ლოგინს მიეჯაჭვა, ძლიერ შეწუხდა – მისი ერთადერთი ვაჟი არაფრისმაქნისი, ერთი ზარმაცი ვინმე იყო, ოჯახის გაძღოლის თავი არ ჰქონდა. შვილი დაიბარა და უთხრა – მე ვკვდები შვილო, შენ კი ფულის შოვნის თავი არა გაქვს; ქონება რომ დაგიტოვო, სულ მალე გაანიაცვებ, ამიტომ გადავწყვიტე რომ, რაც მიშოვნია, სხვას დავეტოვო;

– რას ამბობ მამა, ფულის შოვნას რა უნდა, შენ ქონება დამიტოვე და ნახავ თუ არ შემოდლიაო!

მამამ მოითხოვა – ჯერ მანვენე, რომ შრომა შეგიძლია და მერე დაგიტოვებო.

ვაჟის დედამ შვილი ანუგეშა – არ შეგეშინდეს, ფულს მე მოგცემ, მამაშენს აჩვენე და ქონებას დაგიტოვებსო.

ვაჟმა დედას ფული გამოართვა, ქალაქში წავიდა, ერთხანს იქ გაერთო, მერე შინ დაბრუნდა, დარჩენილი ფული მამას მიუტანა და უთხრა – მამო, აი ფული თუ ვერ ვიშოვეო! მამამ გამოართვა, ფული ერთხანს ხელში ატრიალა, მერე დაეწოსა და ბუხარში შეყარა – არა შვილო, ეს ფული შენი შრომით ნაშოფნი არააო.

ვაჟმა გაიცინა, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დედასთან გავიდა. დედამ ისევ ანუგეშა, ფული კიდევ მისცა და ისევ „ფულს საშოფნელად“ გაუშვა.

ვაჟმა ისევ დროსტარება არჩია, მამასთან კი, რაც გართობას გადარჩა, იმ ფულით დაბრუნდა. მამა ისევე მოიქცა, როგორც პირველად, ფული ცეცხლში შეყარა – არა შვილო, არც ეს ფულია შენი შრომით ნაშოფნიო!

დედამ უთხრა – წადი და რომ დაბრუნდები, დაღლილი სახე მიიღე, ვითომ შრომობდი და მამა დაგიჯერებსო. ვაჟიც ისე მოიქცა, როგორც დედამ დაარბა – ტანსაცმელები მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა, მტვერში ამოიგანგლა, თმები აიბურძგნა, მაგრამ მამამ ფული ისევ ცეცხლში შეყარა – არც ესაა შენი შრომით ნაშოფნიო.

მაშინ დედამ უთხრა – ხომ ხედავ რომ ვერ ვატყუებთ, ახლა წადი, რაიმე საქმე იშოფნე, გაისარჯე, ფული თავად იშოფნე და მამა თავის ქონებას დაგიტოვებსო.

ვაჟი ქალაქში წავიდა, იქ ბაზარში, ხალხს ხან მიიმე ტომრების გადატანაში დაეხმარა, ხან ხილის ყუთები ზიდა და მცირე ფული იშოვნა. შინ დაღლილი დაბრუნდა, მამას ფული ჩააბარა და დაელოდა რას იტყოდა. მამამ ფული აიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დაყნოსა და უთხრა – არა შვილო, არც ესაა შენი შრომით ნაშოვნო და ცხელში შეყარა.

- რას შეგები მამა! ეგ რა ჰქენი, ფული როგორ დაწვიო! ვაჟი ბუხარს ეცა, ნაცარი და ნაკვერჩხლები გაქეჭა, გადარჩენილი ფული ფრთხილად ამოკრიფა და სათუთად შეინახა.
- აი ახლა კი ვხედავ, ფული რომ შენი შრომით გაქვს ნაშოვნი; ასეა შვილო, რაზეც ოფლი არ დაგიღვრია, ის არც გიყვარს და არც გენანება. ახლა დავრწმუნდი, რომ შრომით ფულის შოვნა შეუძლებია, ესეიგი, მისი შენარჩუნებაც არ გაგიჭირდებაო და ქონება თავის შვილს უანდერძა.

ვფიქრობ ეს ამბავი არაკი უფროა, ვიდრე ზღაპარი; ის ფულის ეკონომიკურ ფუნქციაზე დაფიქრების სტიმულსაც გვაძლევს და იმ კაცის „გულუხეობაზეც“ ჩაგვაფიქრებს, ვინც ფული უშრომლად იშოვნა – ის ფული, რომელიც შრომით შექმნილი არაა, არც რეალური საქმის ექვივალენტია, უშედეგოა! ასეთი „ფული“ „უნაყოფო, უზნეო, მკვდარი ფულია“, რაკი მას ვინმესთვის სასარგებლო შედეგი - საქმე, (პროდუქტი) არ მოჰყოლია, ანუ არაფერი შეუქმნია და არც ის კაცია გულუხვი, ვინც „არმად ნაშოვნ“ ფულს დაუნანებლად ფლანგავს!

სისუსტის საკომპენსაციო “გმირობა” თუ დედასთან ფალავანი?

ეს ზღაპარი (თუ თქმულება?) წარმოშობით სპრსული ყოფილა, მაგრამ რაკი ის ქართულმა ხალხურმა ფოლკლორმა შეითვისა, ესეიგი ქართული ფსიქიკისთვისაც „ნაცნობი ჭირი“ ყოფილა. ამიტომ ზედმეტი არც ქართული ყოფისთვის უნდა იყოს მისი გაცნობა.

ზღაპრის მიხედვით ერთ სოფელში ერთი დიდი ღონის ვაჟი ცხოვრობდა, როგორც ამბობენ – სოფლის ფალავანი.

ერთხელ, სხვა სოფლიდან სხვა ფალავანი ჩამოიყვანეს მასთან საჭიდაოდ. მოსულ-დამხვედური ერთმანეთს შეახვედრეს, მაგრამ დამხვედური მის აღნაგობას და ლად გარეგნობას შეუშინებია, მოსულმა აჯობა და დამხვედური ფალავანი ბეჭებზე დასცა.

დამხვედური სახელში გამწარებული გაიქცა; მას ერთადერთი ახლობელი, დედა შეეგება – მოდი შეიღო, გასადილო. დამარცხებულ-გამწარებულმა ფალავანმა დედას ხელი სტაცა, პაერში დაატრიალა და აკივლებული ქალი სოხანეზე (მიწის იატაკზე) დაანარცხა (სწორედ ასეთ „ვაჟაკზე“ ამბობენ დედასთან – ფალავანიო!).

ცნობილი კარიკატურისტის – ბიდსტრუპის ოთხტომეულში ასეთი ნახატიცაა: კაბინეტში ღიპიანი და გაბღენძილი უფროსის წინ წელში მოხრილი, შიშით დაპატარავებული, თავდახრილი ჩინოვნიკი დგას და ჩანს, უფროსის ლანძღვას მოთმინებით უსმენს. ამის შემდეგ იგივე ჩინოვნიკი, ოჯახში, დამუქრებული და მუშტმომარჯვებული, დედის, ცოლის და ბავშვების წინაშე მრისხანე და დაუნდობელი, ბრაზით „ცოფებს ყრის“, ოჯახის წევრები კი მის წინ თავდახრილები, შეშინებულები და ატირებულები დგანან.

ეს ზღაპარიც და კარიკატურაც ისეთ „ვაჟაკებს“ დასცინის, ვინც „გარეთ“ ანუ სხვასთან (უფროსთან, მდიდართან, უცნობთან) გაუბედავია, შინაურებში კი (ცოლთან, დედასთან, შვილებთან) გაბედულიცაა და განსაკუთრებული აგრესიითაც გამოირჩევა.

ფსიქოლოგიაში, ასეთ უსამართლო-უაზრო განრისხებას, ანუ უზნეობას, არასრულფასოვნების კომპლექსით ხსნიან, რასაც ხშირად სუსტი, უძლური ადამიანები თავისი ნაკლის (სისუსტის) საკომპენსაციოდ მიმართავენ; ღირსეულ და ძლიერ პიროვნებას კი არ უჭირს სხვისი უპირატესობის აღიარება, რამეთუ - მჯობნის მჯობნი - არ დაილევს!

„ჯადოსნური“ ქოთანის საიდუმლო ანუ „არაფერი ზედმეტი!“

ერთმა კაცმა გზაში შემხვედრ ბერიკაცს გზა მიასწავლა, მან კი მაღლიერების ნიშნად ჯადოსნური ქოთანი აჩუქა, თან ორი ჯადოსნური სიტყვა ასწავლა - ერთს რომ იტყოდა, ქოთანი ფაფის ხარშვას იწყებდა ისე, რომ არც წყალი იყო საჭირო, არც ცეცხლი, არც ბურღული, ცხიმი და მარილი. მეორე სიტყვას რომ იტყოდა, ქოთანი ფაფის ხარშვას შეწყვეტდა.

გახარებულმა კაცმა ქოთანი შინ მიიტანა, მაგიდაზე შემოდგა, ჯადოსნური სიტყვა თქვა და ქოთანმა სურნელოვანი ფაფის ხარშვა დაიწყო.

ოჯახის წევრებმა გაიხარეს, ფაფით აავსეს ჯამები, ქვებები და ყველა ჭურჭელი, რაც ოჯახში ჰქონდათ; მაგრამ ღარიბ კაცს დააუწყდა მეორე სიტყვა, რითაც ქოთანი უნდა შეეწერებინა. ფაფა მაგიდაზე გადმოიდგარა, აავსო მაგიდა, გადმოვიდა იატაკზე, აავსო ოთახი, ფაფაში დაიხრჩუნენ ოჯახის წევრები, ქოთანი კი დუღდა და გადმოდუღდა; მერე ფაფამ გამოანგრია ოთახის კარები, ფანჯრები და ეზოში გაიჭრა; მორბოდნენ გახარებული თანასოფლელები ჯამებით, ქვებებით, ქოთნებით ფაფის მარაგი რომ აეღოთ; ფაფა კი დუღდა და გადმოდუღდა; მალე მან წააღწია სოფელი და მდინარედ თავიქვე დაეშვა, სხვა სოფლების წასაღებად...

ეს ზრპარი (თუ იგავი?) მაშინ გამახსენდა, ქუჩაში გამოსვლა თანდათან რომ გაგეჭირდა – მანქანური ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად, საცობებში საათობით რომ ვდგევართ, სასუნთქი გზების დაავადებები რომ გახშირდა; ერთ ხანს სპეციალურად რკინის ფარეხებში საიმედოდ დაცული მანქანები დღეს ქუჩებში რომ დგანან და დაცვას აღარ საჭიროებენ – მათ არა თუ გაიტაცებს ვინმე, არამედ, ალბათ, რომ აჩუქო, ვეღარც კი იჩუქებენ, რაკი სულ მალე აღარც მოძრაობის საშუალება ექნებათ, აღარც მანქანის დასაყენებელი ადგილი, თუნდაც ქუჩაში. არც არის გასაკვირი! კაცობრიობას ხომ ის „ჯადოსნური სიტყვა“ დააუწყდა, რომელიც „ფაფის დუღილს“ – მანქანების წარმოებას შეაჩერებს, ადამიანებს ფეხით სიარულს გაახსენებს, ფილტვებს და გარემოს შეღავათს მისცემს. მანქანური წარმოება კი „დუღს და გადმოდუღს“; მანქანური ინდუსტრიის „მამები“ სულ ახალ და ახალ დიზაინს სთავაზობენ პრესტიჟს გამოდევნებულ ადამიანებს, რათა ხალმა გაყიდვები უფრო გაზარდოს და მწარმოებლების მოგება გაზარდოს! ეკოლოგიური საფრთხეები და მისი შედეგები, ადამიანთა ჯანმრთელობა და კაცობრიობის მომავალი კი მხოლოდ „ცხოვრებაში ხელმოცარულებს“ (უფულოებს) ადარდებს!

იგივე ითქმის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზეც – ადამიანებს იმდენი საჭირო თუ არასაჭირო ნივთები – ავეჯი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ელექტრო მოწყობილობები - მობილური ტელეფონები, კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკა დაუგროვდა, რომ გაივსო ჩვენი ტრადიციული საცხოვრებელი ბინები, კარადები და განჯინები, გარაუბები, სადარბაზოები და ეზოები... სწორედ ის მდგომარეობაა, ადამიანი „ნივთებში რომ იხრჩობა“ („ფაფაში“). აკი ჩვენმა წინაპრებმა ანდაზად დაგვიტოვეს – **„მეტისმეტი – რეტის რეტით!“** ჩვენ წინაპრებს ჯერ კიდევ ძველ

ბერძნულამდე სცოდნიათ ზომიერების ფარგლებში რომ ყველაფერი კარგია, უზომოდ კი ყველაფერი ცუდი!

ანუ, ის ერთი ჯადოსნური სიტყვა, ზღაპრის გმირს რომ დაავიწყდა არის ზომიერება! ანუ, ძველბერძნული მოწოდება – არაფერი ზედმეტი!

იქნებ ის მეცნიერები მართლანი არიან ვინც ამტკიცებს – ფოლკლორული სიბრძნეები მომავლის საფრთხეებზე მიგვანიშნებენ და კარგი იქნება, თუ მას გავითვალისწინებთო! იქნებ ისინიც მართლები არიან, ვინც ამტკიცებდა – კომფორტი დაღუპავს კაცობრიობასო? იქნებ ბიბლიური „ყვითელი მამონა“ (ყვითელი – ოქრო; მამონა – ეშმაკი) მართლა დაემუქრა კაცობრიობას? აკი დღეს ისაა ქვეყნის განმგებელი!

მრისხანების ცოდვის სიკეთე-ბოროტობები ანუ მტრული ქვეყნის

გახელების საფრთხეები

ერთ ზაფხულს (70-იან წლებში), ბიჭვინთაში აფხაზ გოგონასთან ვმეგობრობდი; მან ისეთი გულისშემძვრელი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესო თქმულება მიაძმო, რომ დღემდე არ დამვიწყებია; ახლა მინდა ის თქვენც გიაძმოთ:

ორი ძმა ჭიუხებში წასულა, სანადიროდ. სამი დღის უშედეგო ხეტიალის შემდეგ შინ ხელცარიელი ბრუნდებოდნენ. „გზა“ თვალუწვდენელი უფსკრულის პირას გადიოდა. უცბათ მოწინავე ძმას ფეხი დაუსხლტა, მაგრამ უფსკრულში გადაჩეხვას გადაურჩა – კლდის ნაპრალში ამოხრდილ ხეხ ჩაეჭიდა და ჰაერში გამოეკიდა; ბილიკზე დარჩენილი ძმა საშველად კლდის ქიმზე გაწვა, ძმას ხელი ძლივს მიაწვდინა, მაგრამ ღონე არ ეყო, რომ ამოეყვანა. გადასაჩეხად განწირული ძმა სასოწარკვეთილი გმინავდა – შენი გზით წადი, მე აღარაფერი მეშველებათ; ბილიკზე დარჩენილი ეხვეწებოდა – ღონე მოიკრიბე, შენც ეცადე დამეხმარო, რომ გადაგარჩინო; ჰაერში გამოკიდული ძმა ერთხანს ამაოდ ცდილობდა თავისთვის ძალა დაეტანებინა, ენერჯია მოეკრიბა და ტანი აეშატებინა; სულ მალე მან მცდელობა შეწყვიტა – მე აღარაფერი მეშველებათ და ბედს შევეჯუა. მაშინ ბილიკზე დარჩენილი უკანასკნელი „ღონე“ იხმარა, მცდელობა თავადაც შეწყვიტა, ძმას ხელი უშვა, ფეხზე წამოდგა და ჰაერში გამოკიდულ ძმას შანის მოგებით მიაძახა – ძალიანაც კარგი! ახლა წავად და შენ საცოდეს ცოლად მე შევიერთავო!

უფსკრულის თავზე ხის ტოტს ხელნაკიდებულ ძმას ამ სიტყვებმა ძალა შემატა, ბრაზით „გაცოფებულმა“ მეორე ხელის მოშველიებაც მოახერხა, ორივე ხელზე აიწია და ბილიკზე ამოწონდა, წამოდგა, ხელთ მოხვედრილი კლდის ნატეხი აიღო, ბილიკზე მიმავალ ძმას წამოეწია და თავში ღონივრად ჩაარტყა: თავგაპობილი ძმა იქვე დატოვა, მისი თოფი აიღო და შინისაკენ გზა გააგრძელა.

ამ თქმულებამ თავზარი დამცა, მაგრამ იმ ხალხის დაკვირვების უნარმაც გამოცა, ვინც ეს ამბავი უძველეს დროში შეთხზა; „მრისხანების ცოდვა“, ზოგჯერ, ადამიანს მართლაც უზარმაზარ ძალას – ფსიქიკურ ენერგიას ანიჭებს; ცალკეულ შემთხვევებში მისი სასიკეთოდ გამოყენებაც შეიძლება; თუ განრისხებული ადამიანი გონს მოეგება, შეუძლია ეს ძალა სხვა, ისეთი საქმისთვის გამოიყენოს, რაც, ძალის გამოყენებას, თუნდაც უაზროდ, საჭიროებს. ქართულ ფოლკლორში, ერთი შეხედვით ასეთი „უაზრო“ შრომის ნიმუშად ცნობილია „წყლის გაშოლტვა“; თუ დავეკვირდებით, ის „უაზრო“ სულაც არაა, რაკი „წყლის გაშოლტვისას“ ადამიანი ბრახს დაიცხრობს და დიდი ცოდვის (დანაშაულის) ჩადენას გდარჩება.

„მრისხანების“ (ბრაზის), როგორც ძალის მომცემ წყაროზე ბევრი დაკვირვება და ხალხური თქმულება არსებობს – ერთ ზღაპარში, გაბრაზებულმა საპყარმა კაცმა მთა მოგლიჯა, შორს მოისროლა, მდინარე ჩაკეტა, დაგუბებულმა წყალმა კი მშვენიერი ტბა გააჩინა;

ერთმა ცოლზე გაბრაზებულმა ქმარმა „ჯავრი იმით ამოიყარა“ (ეს გამოთქმაც ძველქართულია), რომ შინ დიდი ხნის წინ დანგრეული ბუხარი ააშენა, რითაც ცოლი სინდისის ქენჯნით „დასაჯა“.

გმირობების მაგალითებსაც, უსამართლობის გამო განრისხებული ადამიანები აჩვენებენ; დიდი ხნის წინ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამოვიკითხე – რომელიღაც კონტინენტის აბორიგენებს სცოდნიათ – კონფლიქტის მხარეებს ერთმანეთთან აჩხუბებდნენ. ვინც გაიმარჯვებდა, მართალიც ის იყო. მათი რწმენით, სიმართლის დასადგენად ეს ხერხი საუკეთესოა, რაკი „მართალ კაცს“ თავისი სიმართლის რწმენა იმხელა ძალას აძლევს, რომ „გოლიათს გაუშკლავდება!“.

ზოგჯერ ეს აზრი ანეკდოტური ფორმითაც კი არის გამოთქმული;

ამის ერთერთი მაგალითია ქალაქში, კინტოების მიერ გალახული რაჭველის ანეკდოტი; როცა ის მშობლიურ სოფელში ცხვირგატეხილი დაბრუნდა, თანასოფლელების დაცინვა-ხუმრობაზე – ამხელა ძალ-ღონის კაცს, ქალაქელი

კინტოები როგორ მოგერიენო, მას „უნებელი სიბრძნე“ წამოსცდა – ქვე გულის მოსვლა არ დამაცადესო...

იგივე თემაზეა გადაღებული ყველასთვის საყვარელი ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რეკორდი“, სადაც ფილმის მთავარი გმირი „მტერს“ „ეხვეწება“ – შემაგინე და გესვრიო!

ცხადია მთელი ამ ხუმრობანარევი „ფილოსოფოსობის“ მიზანი სამართლის მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ძველი არქაული მეთოდების რეაბილიტაცია როდია, მაგრამ თუ ამ ყველაფრიდან რაიმე სასარგებლო დასკვნას გამოვიტანთ, ზედმეტი არ იქნება. კერძოდ: 1. „მტერი“ (არც მოყვარე), იმისათვის, რომ ჩვენ „გული მოვიფხანოთ“, არ უნდა გავაბრაზოთ (განვარისხოთ), თორემ ამით მას ისეთ ძალას და ენერგიას შეეძენთ, რომ მისი დამარცხება გაგვიჭირდება. 2. თუ მრისხანების (ბრაზის) დამორჩილებას (მართვას) ვისწავლით, ის, შეიძლება სასარგებლოდაც და „საგმირო საქმეებისთვისაც“ კი გამოვიყენოთ.

ეს სიბრძნე ჩვენს წინაპრებს კარგად ჰქონიათ გაცნობიერებული; ამ „კარგად დაიწყოებული სიბრძნით“ სარგებლობა არც ახლა გვაწევს, ჩვენზე უფრო ძლიერ ქვეყნებთან ურთიერთობისას.

„ჯერ თავო და თავო“ თუ სხვისი მომედება?

ჩვენი წინაპრების მიერ დიდი ხნის წინ აღმოჩენილი ფსიქოლოგიური სიბრძნის საჩვენებლად ისევ ბებიას ნაამბობს მივმართავ:

ერთ ქალს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა; რომ იტყვიან – „თან ჰყვებოდა“, მისთვის ცოცხლობდა, „ცივ ნიავს არ აკარებდა“, „მისთვის ცოცხლობდა“, „თავს დაჰკანკალებდა“ და ა.შ.

ერთხელ, ვაჟმა იფიქრა – მოდი გამოვცდი, მართლა ასე ძალიან უყვარვარ დედაჩემს? მქონდეს მისი იმედი, რომ ჩემი გულისთვის თავს გასწირავსო?

წინასწარ თადარიგი დაიჭირა და როცა შესაფერი დრო იხელთა, შინ სპეციალურად ნარბენ-აქოშინებული შევარდა, დედას მოეხვია და შეევედრა – მიშველე დედა, დამძალე, მიქელ-გაბრიელი მომდევს, უნდა წამოყვანოსო . . . - ნუ გეშინია შვილო, მე აქა ვარ, მე გიშველიო!

სტაცა ხელი და თავლაში გაარბენინა, ბაგაში ჩააწვინა, ზემოდან ჩალა გადააყარა და თავად შინ დაბრუნდა.

ვაჟი წამოხტა, წინასწარ მომზადებულ შავ მოსასხამში გაეხვია, სახეზეც შავი ჩამოიფარა, ხელში ცელი დაიჭირა, ხმა დაიბოხა და დედას მიადგა – დედაკაცო! ჩქარა შენი შვილი გამოიყვანე, უნდა წავეყვანო! დამალვა არ გაბედო, დავინახე ახლა რომ შინ შემოვიდაო!

დედა „გადაირია“ – არაო, არ მოსულაო, იფიცებოდა;

- მაშინ, შენ უნდა წაგიყვანო, დაუღრიალა „მიქელ-გაბრიელმა“ და დედას ხელი სტაცა.

ქალს შიშისაგან ენა დაემა და ესლა ამოიღულულა – ბა-ბა-ბაბა, ბაბა სკედილო!

ეს ძველისძველი თქმულება (თუ იგავი?) იმ ფსიქონალიზურ “საიდუმლოდ” შეიძლება ჩაითვალოს, ფსიქოლოგიაში „ახლახან“, მეოცე საუკუნეში რომ გაუღდერდა – ბუნების მიერ მინიჭებული „შვილის სიყვარული“ მაშინ „მოთარდება“, როცა ის ზრდას დაასრულებს და დამოუკიდებელ არსებობას შეძლებს. რაც შეეხება შვილზე „თანგადაყოლას“, ესაა არაბუნებრივი და მასასადამე ყალბი, კულტურის მიერ, უფრო სწორად – „უზომოდ გაკულტურებული“ ადამიანების მიერ „თავსმოხვეული“ სიყვარულია. აკი თანამედროვე ფსიქოლოგები გვარწმუნებენ – შვილის ჭეშმარიტი სიყვარული ისაა, რომ ის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოვამზადოთ, ხოლო როცა ე.წ. „სათბურს“ ვუქმნით – მშობლები ყველაფერს მზამზარეულად მივართმევთ, ამით თავად ვანევეთ პარაზიტულ ცხოვრებას, ანუ მათ „დათვურ სამსახურს“ ვუწვეთ – სხვის მოიმედედ ვზრდით; ისინი წარმატების მისაღწევად სხვისგან ითხოვენ (ან მოითხოვენ) დახმარებასო! ამიტომ ფსიქოლოგები მოგვიწოდებენ – მშობლებო! თუ შეიძლება ცოტა ნაკლებად გიყვარდეთ თქვენი შვილებიო!

ზემით მოტანილ თქმულებაში (თუ იგავში?), როცა ექსტრემალურ სიტუაციაში არჩევანი სიკვდილ-სიცოცხლეს შორისაა, თავდაცვის ინსტინქტის კარნახით (ინსტინქტურად), დედაც კი საკუთარ სიცოცხლეს ირჩევს; ანდაზის სახით ქართული სიბრძნეც ამავეს გვეუბნება მოკლედ, ნათლად და გასაგებად – „ჯერ თავო და თავო, მერე – ცოლო და შვილო (თუმცა, თუ დედა არჩევანის წინაშე, დაფიქრების შემდეგ დადგება, სავარაუდოდ, შვილის სიცოცხლეს აირჩევდა).

ერთ თურქულ სერიალში ბიზნესმენის ოჯახში, განებივრებული, შრომის უუნარო ვაჟი გაიზარდა. კაზინოში დიდი ფული წააგო, რის გადახდის უნარი, ან მშობლების დახმარების იმედი მას არ ჰქონდა. ამიტომ, მან მამამისის საწარმო

გაქურდა, რის გამოც ციხეში მოხვდა. ოჯახური ტრაგედიის მიზეზების ანალიზისას, ბიზნესმენის ცოლმა, (უაღრესად ჭკვიანმა და აკარგიანმა ქალბატონმა) კმართან საუბრისას, ერთი ძველი ამბავი გაახსენა – გახსოვს ჩვენ ბაღში, ბუნქუე ჩიტს რომ ბუდე ჰქონდა? ერთ დღეს ვნახე, რომ იმ ბუდიდან ბარტყი გადმოვარდნილიყო; ის საბრალობლად წიოდა, ფართხალებდა, დედას საშველად უხმობდა, მაგრამ დედა იქვე, მაღლა, ბუნქუე იჯდა და მიშველებას არც აპირებდა. ბარტყმა ბევრი იწვალა, იწვალა და ბოლოს გაფრინდა.

ხედავ? ჩიტმა თავის ბარტყს ფრენა ასწავლა, ჩვენ კი შვილს „ფრენა“ ვერ ვასწავლეთ, ყველა პრობლემას ჩვენ ვუგვარებდით, ის კი უსუსური დარჩაო! (სამწუხაროდ, ამგვარ სერიאלებს, ჩვენ, სშირად იუმორით მოვიხსენიებთ; ქართული სერიאלები კი სიბრძნეებს არ საჭიროებენ, იქ სიშიშვლისა და ბილწისტყვაობის კულტია).

როგორც ფსიქოლოგები გვირჩევენ, აღზრდის პროცესში არავითარი „თან გადაყოლა“, არავითარი „ცივი ნიავის შიში“! ფსიქოლოგიამდელიც და თანამედროვე ფსიქოლოგიაც გვირჩევენ – „არ დაკარგოთ ზომიერება! შვილების აღზრდისას იმდენი სიყვარული და იმდენი სიმკაცრე გამოიჩინეთ, რამდენიც შვილის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის არის საჭირო, რათა ის სხვის მოიმედდეს, პარაზიტად არ გაზარდოთ!“ აკი ქართული ანდაზაც გვასწავლის – „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო!“ რასაც გამოცდილი ადამიანებიც ადასტურებენ.

ანუ, რას გვასწავლის ეს ზღაპარი? სხვის (თუნდაც მშობლის) იმედად ყოფნას თუ – სხვის (თუნდაც მშობლის) იმედად ყოფნის (სხვის მოიმედობის) სავალალო შედეგებს? თუ დამოუკიდებლობის, როგორც ჭეშმარიტი თავისუფლების მიმნიჭებელ, უმაღლეს ღირებულებას?

ოპტიმიზმის ზღაპრული აპოლოგია

ანუ „ასე ჯობია“

არ მასხოვს რომელი ხალხის ფოლკლორში ამოვიკითხე ზღაპარი – „ასე ჯობია“, მაგრამ ვფიქრობ, მიკუთვნებულობაზე უფრო მნიშვნელოვანი ის აზრია, რაც მასშია გაცნობიერებული და რაც ქართულმა ფსიქიკამ საკუთარივით შეისისხლხორცა (ახლა ჩვენი მთავარი მიზანი ფოლკლორული სიბრძნეების გაცნობიერებაა და არა იმის გარკვევა - რომელი ზღაპარი რომელი ხალხის შექმნილია).

ამ ზღაპარში დაახლოებით იგივე აზრია გამოთქმული, რასაც დიდი რუსთაველი ამბობს – კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელიაო! ეს აფორიზმი, ჩვენ დროში ხშირად გამხდარა კამათის საგანი, რაკი კეთილი და ბოროტი მუდამ ერთმანეთს ცვლიან; მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს საკითხი საკამათო მათთვისაა, ვინც ცხოვრებას მოკლე დროით განზომილებაში უყურებს.

საქმე იმაშია, რომ აწმყოში, მოვლენები, როგორც წესი სიკეთე, ან ბოროტება; მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გამოჩნდება, ბოროტი (სისასტიკე), რომ სიკეთის მომტანი ყოფილა და პირიქით, რაც ერთ დროს სიკეთედ აღიქმებოდა, თურმე ბოროტება ყოფილა. სიკეთის უნივერსალურობას ეჭვქვეშ პრაქტიკა აყენებს, რაკი ადამიანების მიერ ფაქტების შეფასება ხშირად ერთმანეთის საპირისპიროა და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენებოდეს, თავის „სასარგებლო“ არგუმენტები ორივე მხარეს აქვს.

ამ საკითხის გააზრებაში ფსიქოლოგების ის დაკვირვება გამოგვაღებება, რასაც ადამიანის პესიმისტად ან ოპტიმისტად შეფასებისთვის გეთავაზობენ: თუ ადამიანი ამბობს „ჭიქა ნახევრად სავსეაო“, ის ოპტიმისტად მიიჩნევა, ხოლო თუ ამბობს – „ნახევრად ცარიელიაო“ – ის პესიმისტია; ასევეა სიკეთე ბოროტების საკითხის შეფასებისასაც. ზოგი, პესიმისტი, მოვლენებში, ცუდს უფრო ხედავს, ზოგიც პირიქით. ამის მიზეზი შეიძლება იყოს – მისი ამა თუ იმ ტემპერამენტის ტიპისადმი მიკუთვნებულობა (სანგვინიკია თუ ქოლერიკი), ჯანმრთელობა, ცხოვრების წესი ან გუნება-განწყობილება; როცა ის კარგ გუნებაზეა, მოვლენების მისეული აღქმაც უფრო ოპტიმისტურია და პირიქით.

ერთხელ შეილიშვილმა მოხოვა – მოდი შარის მოდებობანა ვითამაშოთო.

დავთანხმდი; როცა რამეზე ვიტყოდი „კარგიათქო“, ის ამ შეფასების საწინააღმდეგოს მიმტკიცებდა; მაგალთად, მე ვამბობ – ნახე რა ღამაზად თოვს?

ის: – მერე რა არის ამაში კარგი! ეგ ფანტელები დადნება, მერე მოყინავს, ვიღაცას ყინულზე ფეხი აუსრიალდება, დაეცემა, მოიტეხავს... კარგია?

ამ თამაშით ერთი და იგივე ფაქტის თუ მოვლენის სრულიად სხვა და სხვა მხრიდან დანახვა-აღქმა და შეფასება შეიძლება; ამის გაცნობიერება ადამიანებს სხვებთან ურთიერთობისას გაუგებრობების თავიდან აშორებაში ეხმარება – კონფლიქტები ხომ ძირითადად ფაქტებისა და მოვლენების სხვა და სხვა მხრიდან აღქმის მიზეზით ხდება!

კონფლიქტის მხარეებს შორის კონტაქტი და კომუნიკაცია, წესით, ორივე მხარეს ერთიმეორის ინტერესებისა და საჭიროებების გაგებასა და ურთიერთ თანაგრობის მიღწევაში უნდა დაეხმაროს.

ზღაპარი „ასე ჯობია“ ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანების შექმნილია, რაკი ყველა ბოროტებაში სიკეთეა დანახული (თუმცა, შესაძლოა მასში სხვამ ბოროტება დაინახოს).

მისი შინაარსი კი ასეთია:

ერთ მეფეს ვეზირი ჰყავდა, რომელიც ყველა ფაქტს ოპტიმისტურად ხსნიდა, ყველაფერზე იძახდა – ასე ჯობიაო;

ერთხელ, მეფეს, ნადირობისას დაშავებული თითი მოაჭრეს; დაღონებულმა ეს ამბავი თავის მრჩეველს შესჩივლა

– ასე ჯობიაო, უთხრა მან.

მეფე გაბრაზდა და მრჩეველი დიღუგში ჩასვა;

– ასე ჯობიაო, ისევ თქვა ვეზირმა.

სულ მალე მეფე თავის ამალით ლაშქრობაში გაემგზავრა; გზაში მათ თავს დაესხა რომელიღაც ველური ტომი – ყველანი დაიჭირეს, შებორკეს და სათითაოდ მათ კოცონზე შებრაწვას და ნადიმს შეუდგნენ.

მეფის შეწვის რიგმა რომ მოაღწია, ველურებმა შეამჩნიეს, მსხვერპლს რომ მახინჯი ხელის მტევანი ჰქონდა, რომლის შეჭმა, მათი რწმენით არ შეიძლებოდა. ამ მიზეზით დაწუნებული მეფე – გაუშვეს.

გადარჩენილ მეფეს მოაგონდა თითის დაკარგვის შეფასებისთვის თავისი ვეზირი დიღუგში რომ ჰყავდა დამწყვედელი; მაშინვე მისი გათავისუფლება ბრძანა, თან მოუბოდიშა – მე შენი სიბრძნე ვერ დავაფასეო . . . და განაგრძეს ძველებურად ცხოვრება.

ერთხელ მეფე ისევ შარის ხასიათზე დადგა – თავის მრჩეველს აუხიორდა: – ვთქვათ და ჩემი თითის დაკარგვა, შემთხვევით, მართლაც „ჯობდა“. აი შენ რომ დილეგში კარგახანს მოგიწია ჯდომა, ამაზე რას იტყვი? – დილეგში ჯდომამ მე სიცოცხლე შემინარჩუნა; ასე რომ არ ყოფილიყო, მეც შენთან ერთად დამატყვევებდნენ! მე არანაირი მიზეზი არ მქონდა, რატომაც შესაჭმელად უვარგისად ჩამთვლიდნენ და სხვებთან ერთად ჩამახრამუნებდნენ; ასე რომ, მაშინაც მართალი ვიყავი, როცა ვთქვი „ასე ჯობია“ – უპასუხა მჩველმა.

ამ ზღაპრის მორალი ნათელია – ყოველ ბოროტებაში არის თავისი წილი სიკეთე, რასაც დანახვა და დაფასება სჭირდება, ეს კი მხოლოდ ბრძენს ხელეწიფება.

იგივეს ამბობს ქართული ანდაზაც – ზოგი ჭირი მარგებელიაო! (რუსული ანდაზაა – „нет худо без добри“).

უფრო კატეგორიულია ძველინდური რელიგიის – მაჰამუდრას შეგონება – ბუნებაში არ არსებობს „კარგი“ და „ცუდი“; ეს ცნებები ადამიანის მოგონილია; ადამიანის აზრით „კარგი“ ისაა, რაც მას „აწყობს“ და პირიქით, რაც „არ აწყობს“ – ცუდი. მან (ადამიანმა) არ იცის, რომ ყველაფერი, რაც ღმერთის შექმნილია – კარგია, მაგრამ მას (ადამიანს) ჰგონია, რომ ის ცუდია, რაკი მოცემულ მომენტში ის მას „არ აწყობს“; შესაძლოა ამას მომავალში მიხვდეს კიდევ, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ვერასოდეს მიხვდესო!

ჩვენ კი, უმჯობესია ოპტიმისტური დასკვნა გაგაკეთოთ – **რა ცუდადაც უნდა ვგრძნობდეთ თავს, გეჯვროდეს, რომ ის უსათუოდ, უსათუოდ სიკეთით შეიცვლება;** თავის მხრივ სიკეთეც, ადრე თუ გვიან...

სათქმელი გამიგრძელდა, თუმცა დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემი აზრი ნათლად გამოვხატე. ამიტომ, ისევ ჩემი ხუთი წლის ვაჟის მიერ წამოცდენილ „სიბრძნეს“ მოვიშველიებ – სიკვდილი კაია, აპა ხო გეიმსებოდა ქვეყანა ბებრებით!

ძველისძველ ხალხურ ლექსში კი, მთელი ეს „ფილოსოფია“ ერთ სევდიან სტრიქონშია გადმოცემული – ჩვენს ნასახლარზე ოდესმე, ბალახი აბიბინდება!

თანდათანობის ეფექტი ანუ ნაცრის საჩხრეკში გაცვლილი ცხენი

ერთმა კაცმა ბაზარში გასაყიდად ცხენი წაიყვანა. გზად, მინდორში, ბიჭები ძროხებს მწყემსავდნენ; მისალმებისა და მიკითხვა-მოკითხვების შემდეგ ბიჭებმა

შეამჩნიეს, რომ ცხენის გამყიდველი „ჭკუასთან მწერალად“ იყო და მისი გაბრიყვება სცადეს – ძიაკაცო, არ გინდა, რომ მაგ ცხენი ძროხაში გაგიცვალოთ? ხომ იცი ძროხა ოჯახისთვის რა სასარგებლოა, რძე, ყველი და კარაქი მუდამ გექნება, ყოველ წლიურად ხბოს გაგინენს, გაზრდი, გაყიდი... ცხენს კი... და ა.შ.

ბიჭებმა ცხენის გამყიდველს ისეთი მომხიბვლელი სურათებით დაუხატეს ძროხის სიკეთე რომ, როცა გაცვალეს, შინ მათი დიდი მადლობელი წავიდა და ძროხაც თან გაიყოლა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ახლა ცხვრების გამყიდველები შემოხვდნენ. მგზავრები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. როცა ცხვრების გამყიდველებმა ცხენის გამყიდველის ამბავი შეიტყვეს, ახლა მათ გაუჩნდათ „სარფიანი გარიგების“ სურვილი:

– ძროხა კი კარგია, მაგრამ ძალიან ძნელი მოსაველეია, მარტო მისი თავლის გასუფთავება რა რთულია!

– საკვები? ზამთრისთვის უნდა მოუმარაგო, მერე ცოტა კი არ უნდა! – მისი შეჯვარება რა ხათაბააა! ერთმანეთს არ აცდიდნენ ცხვრების გამყიდველები ძროხის მოვლის სირთულეებზე ლაპარაკს.

– ცხვარი სულ სხვაა! საკვებიც ცოტა ჭირდება, სადგომიც პატარა! – მინდორშიც, სხვა ცხვრებთან ისე მშვიდობიანად ძოვს მთელი დღის განმავლობაში, რომ... – თან, რძესაც გაძლევს, ყველსაც, ხორცსაც, მატყლსაც და ნამატსაც...

– ორ-სამ ბატკანს წელიწადში... და ა.შ.

გამყიდველებმა ისე ლამაზად დაუხატეს ცხვრის სიკეთე, რომ კაცმა თავად თხოვა – ძროხაში ხომ არ გამიცვლითო?

გაცვალეს და ცხენის გამყიდველი შინ გახარებული გაეშურა.

გზაში დაიღალა და დაისვენა. გამოიარეს ბატების გამყიდველებმა; ახლა მათ გამოელაპარაკა; ბატების გამყიდველებმა ცხენის გამყიდველის ამბავი რომ შეიტყვეს, ერთმანეთს თვალებით რაღაც ანიშნეს და ახლა მათ დაიწყეს თავიანთი ბატების ქება:

- რა მალე მრავლდებიან ...
- ახლა ის ნახე ბატის ჭუკები, რა ლამაზები არიან!
- მერედა როგორ ყიდულობენ მათ მდიდრები, ბავშვების გასართობად!
- რა გემრიელია შებრაწული ბატი ბრინჯის სატენით!...

ამასობაში მოშიებულ ცხენის გამყიდველს სული „აუკაწკაწდა“; ცხადია ცხვარი სიამოვნებით გაცვალა ბატში და შინისაკენ გზა განაგრძო.

სახლში მისვლას ბევრი აღარაფერი უკლდა, გზისპირას მოთამაშე პატარა ბიჭებს რომ წააწვდა. კაცი კეთილი იყო და მათაც სიამოვნებით გამოეღებარაკა. ისინი ცეცხლის საჩხრეკით გზისპირას ორმოს თხრიდნენ, მერე შორიდან შიგ კენჭებს ისროდნენ და ყოველ ჩვარდნილ კენჭზე მხიარულად ყიჟინებდნენ. კაცმა ერთხანს უქურა, მერე თავადაც სცადა კენჭის ორმოში ჩაგდება, მერე იქვე დაგდებული ცეცხლის საჩხრეკი შეათვალიერა, მოეწონა, წარმოიდგინა რა მოხერხებულად გამოიღებდა ამით მისი ცოლი ბუხრიდან დაბრაწულ პურებს და დღევანდელი გამოცდილებით წაქეზებულმა, ბიჭებს თხოვა – ბატი ცეცხლის საჩქრეკში გამიცვალეთ!

გაცვალეს. ცხადია ცოლმა „დიდად გაიხარა“ ქმარმა რომ შინ ცეცხლის საჩხრეკი მიუტანა, მაგრამ „დაბრაწული პურის გამოღების“ მაგიერ, ზურგში ერთი-ორი მაინც უთავაზა (ამ ცოლებს ხომ ვერაფრით ასიამოვნებს კაცი!).

ახლა იმის გარკვევა ვცადოთ – რას გვასწავლის ეს ზრაპარი, გარდა იმისა, რომ ის ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობ განცდებს გვთავაზობს, გვართობს და გვახალისებს?

თანამედროვე ფსიქოლოგიამ ბევრ „საიდუმლოს“ ახადა ფარდა, მათ შორის – ყიდვა-გაყიდვის „საიდუმლოსაც“; დღეს რეკლამის ფსიქოლოგიაში ასწავლიან თუ როგორ უნდა განათავსონ მაღაზიაში საქონელი, ისე, რომ მომხმარებელმა ნაკლებ მტკივნეულად განიცადოს მისი მაღალი ფასი;

ერთერთი ასეთი „საიდუმლოა“ – მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის შეთავაზება ძვირადღირებული საქონლის შემდეგ; ვთქვათ, სვიტერი ღირს 45 ლარი; ის მყიდველს ძვირად ეჩვენება, თუ მას მანამდე პერანგში 15 ლარი აქვს გადახდილი; მაგრამ თუ მან ჯერ 120 ლარად ღირებული პიჯაკი შეიძინა ან სიძვირის გამო ვერ შეიძინა, 45 – ლარი იაფად ეჩვენება (აღიქმება).

ეს და მსგავსი „საიდუმლოები“ სულ რაღაც ნახევარი სუკუნის „აღმოჩენილი“ ძვირადღირებული „საიდუმლოებია“ (იხ. წიგნები „რეკლამის ფსიქოლოგიაში“) არადა ჩვენი წინაპრები მას სრულიად უანგაროდ „არიგებდნენ“ ზღაპრების, ანდაზების თუ ანეკდოტების სახით. თუ დავაკვირდებით, ამ ზრაპარში იგივე „ტექნოლოგიაა“ – ჩვენი ზღაპრის „გმირისთვის“ ვნმეს ცხენის მაგიერ თავიდანვე ბატი რომ შეეთავაზებინა (მითუმეტეს საჩხრეკი), რაც უნდა ბრიყვი ყოფილიყო, ამას

არასგზით დათანხმდებოდა, მაგრამ მისი „დათანხმება“ ისე თანდათანობით მომზადდა, რომ ვერც კი შეამჩნია რა აფიორაში გაეხევა.

ანუ, რაიმე ფაქტის თუ მოვლენის აღქმა და მისი განცდა იმაზეა დამოკიდებული, მანამდე რა განცდები ჰქონდა ადამიანს; თუ მას ჯერ წიწილა მოუკვდა, მერე – ხბო. ცხადია ეს უკანასკნელი სერიოზულ ზარალად განიცდება; მაგრამ თუ ჯერ ხბო ეზარალათ, ამის შემდეგ კი წიწილა ბოლო ზარალი თითქმის არარც კი განიცდება.

მაშასადამე, ერთი და იგივე ფაქტის (ან მოვლენის) ემოციური ეფექტი თანდათანობით მზადდება.

იგივე ეფექტს, პრაქტიკაშიც ხშირად იყენებენ გამოცდილი ადამიანები;

ერთმა ქალმა მიამბო – ჩემმა შვილმა სკოლაში ერთ დღეს ორი ორიანი მიიღო; შევშინდი – ამას რომ ჩემი ქმარი გაიგებს, გადაირევა, მოკლავს ბავშვსთქო! მთელი დღე ვნერვიულობდი, როგორ მეთქვა ეს ამბავი ჩემი ქმრისთვის. ბოლოს, სათქმელი უცბათ მოვიდა: საღამოს, მეუღლე რომ შინ დაბრუნდა, სერიოზული და ფიქრიანი გამომეტყველებით ვკითხე

– შეგიძლია მშვიდად მომისინინო?

– რაშია საქმე?

– „საქმე“ ჩვენ შვილს ეხება; ვთქვი და მოღუშული, კარგახანს ვღუმდი;

შევატყვე, რომ მეუღლე რაღაც ავის მოლოდინში შეშინებული შემომაცქერდა;

– შენ არ ინერვიულო, ვეცდები მე გამოვასწორო საქმე;

– აღარ იტყვი რა მოხდა? ჩაწყვეტილი ხმით მითხრა;

– ორიანი მიიღო!

– ოჰ! მე გული გამისკდა! ორიანის გამოსწორებას რა უნდა, ბავშვი დღეს ორიანს მიიღებს, ხვად – ხუთიანს, მაგის დარდი გაქვს? გამამხნევა ჩემმა მეუღლემ და მოსალოდნელი კონფლიქტიც ჩაქრა. სხვა დროს ასეთ რამეებს მტკივნეულად განიცდიდა.

თანდათანობის ეფექტი ანელებს (ამცირებს) ან ზრდის ემოციების ინტენსივობას; ეს ერთნაირედ ეხება პოზიტიურ ემოციებსაც და ნეგატიურსაც;

თურმე ჯალათების მომზადებისასაც თანდათანობის ეფექტს მიმართავენ: ახალგაზრდა ვაჟებს თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო გარჩევებს აყურებიან, მერე, ერთხანს ბადრბად ამუშავებენ, მერე

დასჯას აყურებინებენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ თავად დასაჯონ ადამიანებიო, წერენ ფსიქოლოგები.

პირ-სამსახურები (უცხოური) თანდათანობის ეფექტს, საზოგადოებაში კარგის თუ ცუდი იდეის ჩანერგვისთვისაც იყენებენ – თინეიჯერებს კომპიუტერში ან ტელევიზიით, ჯერ მომხიბვლელი და შიშველი ვაუებისა და ქალიშვილების საინტერესო შოუებს აცქერინებენ, შემდეგ მათ უფრო „თავაშვებულ“ ქცევა-მოქმედებებს, ბოლოს, ახალი თაობა, „სექსუალური თავისუფლების“ მიმართ უფრო შემწყნარებლები არიან (სხვა საკითხია - კარგია ეს, თუ ცუდი).

ამასწინათ, ფეისბუქით, რომელმაც სერიოზული სოციოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპერიმენტი გაავრცელეს, სადაც ნაჩვენებია როგორ რეაგირებენ თინეიჯერები ერთნაირსქესიანთა სექსუალურ ურთიერთობებზე: ამ ასაკის 4-5 ვაქს ტელევიზიით ახალგაზრდა, ღამაში ვაუების სასიყვარულო სცენებს აჩვენებენ; მაყურებლები (თინეიჯერი ვაუები) ცნობისმოყვარე, აღფრთოვანებული თვალებით და გამამხნეველები ყოიანით შესცქეროდნენ ეკრანს. იგივე რეაქცია ჰქონდათ გოგონებს მსგავსი ექსპერიმენტის დროსაც; მნიშვნელობა არა აქვს მართლა ჩატარდა ეს ექსპერიმენტი თუ ვარაუდით, ხელოვნურად დაამონტაჟეს, თინეიჯერებზე ზემოქმედების ეფექტი („უბედურება“) თავად ამ ინფორმაციის გავრცელებას ახლავს – „აკრძალული ხილის“ ძალა ხომ ყველას მოგვესხნება! შეჩვევა-შეგუების ეფექტიც კარგად ვიცით! ჰო და, კარგად მეყოფეთ!

განათლებაც (ცოდნაც) ასე თანდათან შეიძინება, ზნეობაც და უზნეობაც;

ჩავთვალოთ, რომ ზღაპარმა, ამ შემთხვევაშიც სასარგებლო დასკვნების საშუალება მოგვცა – კარგი ან ცუდი, თავისთავად, არ არსებობს: ცოდნა ხომ ძალაა! რწმენაც! შეგუებაც, მემამოხეობაც, აზროვნებაც, ფანტაზიის უნარიც; მაგრამ გაანია მას როგორ გამოიყენებს ადამიანი; „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“ – ამაზე უფრო დიდი ჭეშმარიტება ძნელი წარმოსადგენია! ანუ, ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული როგორ „მოიხმარს“ იმ უნარებს, რაც მას შემოქმედმა დაანათლა.

ჩვენი ზღაპრის გმირი აზროვნების უნარის და გამოცდილების უკმარობამ ჩააგდო სასაცილო მდგომარეობაში; თუმცა, ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა – თავის მაგალითით ბევრს მისცა გაბრიყვებისგან თავდაცვის შანსი!

ბოროტების კანონი ანუ - „არც შენ შეგრჩებაო!“

ერთ ზღაპარში მებაღემ მეფეს მოახსენა – თქვენ საყვარელ ვარდის ბუჩქზე ჩიტს ბუდე გაუკეთებია, რას მიბრძანებ, დაუუნგრიო თუ თავი დაგანებო?

- შენ თავი დაანებე, მას კი ეს თავხედობა ისეც არ შერჩებაო, უპასუხა მეფემ; გავიდა ხანი და მებაღემ მეფეს უთხრა – იმ ჩიტს გველმა ბარტყები შეუჭამაო;
- ხომ გითხარი არ შერჩებათქო! არც იმ გველს შერჩება! უპასუხა მეფემ.

ერთხელ მებაღე ბალახს თიბავდა; ცელი რომ მოიქნია, შემთხვევით გველს თავი წააცადა. მეფეს რომ უამბო რაც მოხდა, მან გიცინა და მებაღეს უთხრა – არც შენ შეგრჩებაო.

გავიდა ხანი. ერთხელ მებაღემ დაინახა – მეფის ქალიშვილები ბანაობდნენ; ბუჩქებს ამოეფარა და ჩუმად უცქეროდა. ეს რომ შეიტყო, მეფე განრისხდა და მებაღის სიკვდილით დასჯა მოითხოვა. სანამ დასჯიდნენ, მებაღემ მეფეს თავისივე სიტყვები შეახსენა და უთხრა – არც შენ შეგრჩება მეფეო!

ზღაპრის ერთ ვარიანტში, ამ სიტყვებზე მეფემ გაიცინა და მებაღეს დანაშაული აპატია; სხვა ვარიანტში – მებაღე სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, კარისკაცებმა მეფეს შეთქმულება მოუწყვეს და მოწამლეს.

ზღაპარი აქ მთავრდება, მაგრამ ცხადია მეფის მოწამულა არც კარისკაცებს შერჩებოდათ!

ამ ზღაპარში, წინაპრების მიერ უძველეს წარსულში აღმოჩენილი – **„ბოროტების კანონია“** გადმოცემული, ყველასთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით; ანუ, ესაა ის „ვარაუდი“, რის მიხედვითაც დანაშაულს (ცოდვას), ადრე თუ გვიან სასჯელი უსათუოდ, თავისთავად მოჰყვება შემოქმედის მიერ შექმნილი თვითრეგულაციის მექანიზმის შედეგად.

ამ საკითხთან ამგვარი კატეგორიულობა, კომუნისტური იდეოლოგიისთვის, მიუღებელი იყო, რაკი ადამიანთა უმეტესობამ კარგად იცის რა შეიძლება და რა არ შეიძლება, მაგრამ მაინც სწადიან დანაშაულსო (ბოროტებასო).

ერთი შესხედვით ეს მართლაც ასეა, რის გამოც ბრძენი სოკრატეს დებულება - ადამიანმა რომ იცოდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაული პირველ რიგში თავად მისთვის რომ არის საზიანო და მხოლოდ მერე - სხვისთვის, არასოდეს მას არ ჩაიდენდაო!“ - მართლაც ულოგიკობად გვეჩვენება; მაგრამ თუ სიტყვა – „ცოდნას“ შევცვლით სიტყვა – „შეგნებით“ ყველაფერი უმჯველ გახდება; ე. ი. უნდა ითარგმნოს ასე:

„ადამიანს შეგნებული რომ ჰქონდეს“ . . . (ანუ, არა - „რომ იციდეს . . .“ არამედ, „შეგნებული რომ ჰქონდეს“ ან - „რომ იცოდეს და სწამდეს . . .“)

ე.ი., „ცოდნა“ და „შეგნება“ ერთი და იგივე არაა, რასაც ხშირად ვუგრევთ ერთმანეთში. ცოდნა – მეხსიერების „დამსახურებაა“ შეგნება – აზროვნების, ანუ ინფორმაციის ფლობა და მიხვედრის უნარი - აზროვნება, ერთი და იგივე არაა. თუ „ცოდნა“ ინფორმირებულობას გულისხმობს, „შეგნება“ – იმ მიზეზის გაცნობიერება და მიხვედრაა თუ რატომაა ბოროტება „პირველ რიგში მისთვისვე საზიანო“.

არსებითად ბოროტების კანონს გვასწავლის ქართული ანდაზები: „ავს ნუ იზამ და ავის ნუ გეშინიაო“; „რასაც დათესავ, იმას მოიმკიო“; „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!“, „ნუ იქმ ავსა და ავის ნუ გეშინიაო“, „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“, „კაცს თავისი ბრალი ზურგზე ჰკიდიაო“ და ა.შ.

„ბოროტების კანონის“ (და აქ მოტანილი ანდაზებისაც) ლოგიკური დასაბუთება კი ასეთია:

ადამიანის ფსიქიკაში იმთავითვე მოცემული თვითკონტროლის უნარი (თვითრეგულაციის მექანიზმი), რასაც წმიდა ილია მართალი „პატარა ღმერთს“ უწოდებს. მეტ-ნაკლები ინტენსივობით ის ყველა ადამიანშია („მე თქვენში ვარ“ – ეუბნება იესო ადამიანებს).

თვითკონტროლის (სინდისის) უნარის ინტენსივობა ადამიანის შეგნებულობის ხარისხზე დამოკიდებული – ზოგს ის მაღალ დონეზე აქვს განვითარებული, ზოგს უფრო ნაკლებად, ზოგსაც – საერთოდ არა აქვს განვითარებული. საეკლესიო სწავლებანი, ადამიანებს, სწორედ მის გაცნობიერება-განვითარებაში ეხმარება; დღეს იგივე ფუნქციას უნდა ასრულებდნენ ეთიკა და ფსიქოლოგია; ანუ, ადამიანს იმ „პატარა ღმერთის“ თავისთავში აღმოჩენაში უნდა დაეხმარონ, რაც ყველა წამალზე უფრო საუკეთესო საშუალებაა მათივე ჯანმრთელობისთვისაც და ერთმანეთთან ურთიერთობისთვისაც.

სამართლებრივ სასჯელთან ერთად ბოროტებას თან ახლავს ურთიერთობების გაუარესება და ჯანმრთელობის პრობლემები, რასაც თან მატერიალური დანაკარგებიც ახლავს.

შესაძლოა ადამიანმა დამალოს ან დაივიწყოს მის მიერ ჩადენილი ცოდვა, მაგრამ ის მუდამ „ახსოვს“ „პატარა ღმერთს“ – სინდისს და ხან მეტად, ხანაც

ნაკლებად აწუხებს (ტანჯავს) ცოდვილს, იმის მიხედვით, დიდია თუ მცირე მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

სამწუხაროდ, უცოდველი ადამიანი არ არსებობს.

ისიც საკითხავია – ცუდია ეს „თვითრეგულირებადი მექანიზმი“ თუ არა; ამის პასუხად მინდა ისევ ხუთი წლის გელას „წამოცდენილი“ ფრაზა გავისხენო – „სიკვდილი კაია, აპა რაა! ხო გეიმსებოდა ქვეყანა ბებრებით!“ ე. ი. ადამიანის ამ ქვეყნიდან „წასვლა“ აუცილებელია, რათა „ქვეყანა ბებრებით არ გაივსოს“. რაკი ასეა, ამ ქვეყანაზე ადგილი პირველ რიგში ისევ მისმა წინაპარმა უნდა დათმოს, ალბათ ეს უფრო სამართლიანია.

ანუ, უცოდველი ადამიანი არ არსებობს და ადრე თუ გვიან ჩვენივე ცოდვების გამო (ან მშობლების, წინაპრების, ახლობლების, ანუ იმათი ცოდვების გამო) ვისჯებით, ვავადლებით, ვბერდებით და საიქიოს მივგეგზავრებით (სწორედ ესაა სიცოცხლის გავრძელების თვითრეგულირებადი მექანიზმი).

ადამიანებს კი მხოლოდ ის შეგვიძლია რომ, თუ ცოდვებს შევამცირებთ (ან გულწრფელად მოვინანიებთ), ავადმყოფობებსაც შევამცირებთ, რითაც სიცოცხლეს მხოლოდ გავიხანგრძლივებთ (და არა – სამუდამოდ შევინარჩუნებთ).

ე. ი. თუ ანდაზებს – „აგს ნუ იზამ და ავის ნუ გეშინია“; „რასაც დათესავ, იმას მოიმკი“; „რაც მოგივა დავითა, ყველა შენი თავითა!“ და ა. შ. – გავიცნობიერებთ და ცოდვებს შეძლებისდაგვარად თავიდან ავიცილებთ, ამით ჩვენ შთამომავლობასაც ჯანმრთელობას ვუანდერძებთ და თავადაც სიცოცხლეს გავიხანგრძლივებთ.

მითიურ „საიდუმლოებში“ დაშიფრული სიბრძნეები

ერთხელ 5 წლის გელას ბერძნულ მითებს ვუკითხავდი; ოდიპოსის მითში სფინქსით დაინტერესდა; ის ქალაქის გალავანზე იჯდა და იქაურ მცხოვრებლებს თავზარსა სცემდა – ყოველ დღე საკვებად ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქის აოხრებით იმუქრებოდა. მისგან თავდასხნის ერთადერთი საშუალება იმ გამოცანების ამოხსნა იყო, რასაც სფინქსი მასთან მოსალაპარაკებლად მისულ მოქალაქეებს აძლევდა.

დრო გადიოდა, გამოცანებს ვერავინ ხსნიდა, ქალაქი თანდათან ნადგურდებოდა.

სწორედ ამ დროს მიადგა ქალაქს ლტოლვილი ოდიპოსი; როცა ქალაქელების გასაჭირი შეიტყო, გამოცანების ამოსახსნელად სფინქსთან მივიდა; გამოიცნო; სფინქსმა ერთი საზარლად დაინახავლა და პირობისამებრ – გაფრინდა (მითის ზოგიერთ ვარიანტში – სხვა ქალაქ-სახელმწიფოს გალავანზე დაჯდა).

ამბის დასასრულს ხუთი წლის გელამ მკითხა – შენ ხო თქვი მითებში ჭკვიანურობებიანო (სიტყვა „ჭკვიანურები“ მან მიკარნახა) აქ რა არის ჭკვიანურობა, გოგოებს და ბიჭებს რო ყლაპავდა?

ამის პასუხი მზად არ მქონდა, დავიბენი; მცირე პაუზის შემდეგ ესლა მოვახერხე

- გამოცანების გამოცნობა „ჭკვიანურობა“ არ იყო?

- სფინქსი ხო ღონიერი იყო, გამოცანები რათ უნდოდა, როცა მოშიგდებოდა ისეც ხო ჭამდა ვინც უნდოდა, ვითამ რაიო? არ დააკმაყოფილა ჩემმა პასუხმა ჩემი შვილი.

- საქმე იმაშია რომ, ისაოლო... ოდიპოსს იმ ქვეყნის მეფობა უნდოდა, ქალაქელები დაპირდნენ თუ სფინქსს თავიდან მოგვაშორებ, გაგამეფებოთ. რომ ვერ გამოეცნო, ხომ არ გაამეფებდნენ!

- ვითამ რაიო, მეფე ჭკვიანი უნდა იყოსო?

დამასწრო პასუხი შევიღმა, რითაც გასაჭირიდანაც მიხსნა – მითის სიბრძნის ამოხსნაშიც დამეხმარა (რაზეც მე არასდროს მიფიქრია) და თავისი გონიერებითაც გამახარა.

„სფინქსის მისტერიის“ დედააზრიც, ალბათ, მართლაც ესაა – ქვეყნის მეთაურს „დაფარული სიბრძნეების“, „საკრალური საიდუმლოების“ ამოხსნის უნარი უნდა ჰქონდეს! თუ ქვეყანაში ერთი ჭკვიანი კაციც კი არაა, ვისაც ეს შეუძლია, ის რა ქვეყანაა!

მაგრამ ჩვენი დიალოგი ამით არ დასრულდებულა;

- კი, მარა, ხალხის შეჭმა რათ უნდოდა, გამოცანას ისე ვერ ეტყოდა? ვითამ რაიო!

ეს უკვე ისეთი შეკითხვაა, რომლისგან „თავის დაძვრენა“ აღარ შეიძლებოდა და ჩემ ვაჟთან „ფილოსოფოსობა“ დავიწვე: - ამ მითის შემქმნელ ხალხს იმის თქმა სურდა, რომ დიდი თუ მცირე ბოროტება (სფინქსი) ადამიანის გააქტიურებას იწვევს, რასაც თან ახლის შექმნა-აღმოჩენები ახლავსთქო და მისი ახსნაც ვცადე.

„ჯვრის მისტერია“ მითოლოგიის საკაცობრიო ოკეანეში

გამოთქმა „ჯვრის მისტერია“ შტაინერის წიგნიდან – „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“ – ვისესხე, სულ რაღაც ოციოდე წლის წინ. რასაც ეს „საიდუმლო“ გულისხმობს, სტუდენტობისას, დიალექტიკის ერთერთი კანონის სახელით გვასწავლეს (ფილოსოფიაში); ესაა „დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი“, რაც ძველისძველ სიბრძნეს გამოხატავს და რაც ჰეგელმა, ძველი სამყაროს მოაზროვნეებთან ერთად, სამყაროული წესრიგის არსებობა-განვითარების პირობად („წონასწორობის პრინციპი“) მიიჩნია.

შტაინერის ფრიად რთულსა და დახლართულ ფილოსოფიაში ეს სიბრძნე დაახლოებით ასეა გადმოცემული: ჯვარი არის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზთა გადაკვეთა, რაც სიმბოლიურად დადებითის, კარგისა და მისი უარყოფის – ცუდის ერთიანობას გამოხატავს; სიცოცხლე (ჰორიზონტალური ან პირიქით – ვერტიკალური ხაზი) - სიკვდილი (ვერტიკალური ან პირიქით, ჰორიზონტალური ხაზი); სიყვარული (ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზი) – სიძულვილი (ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზი; სიკეთე (ჰორიზონტალური) – ბოროტება (ვერტიკალური) და ა. შ. უსასრულოდ.

ანუ, ეს ნიშნავს, რომ კარგი და ცუდი უერთმანეთოდ არ არსებობენ (ისინი შესაძლოა დროში არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს); თუ უარყოფითი (ცუდი) არ იარსებებს, განვითარება შეწყდება; ანუ, ხან სიკეთე (კარგი) სძლევს ბოროტს, ხან – ბოროტი (ცუდი) - კარგს (სიკეთეს); ისინი მონაცვლეობენ და ამის გამო წუხილი უაზრობაა, რაკი წინ მას ვერაფერი აღუდგება (ფრანკლინის უთქვამს – „თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა!“).

სამაგიეროდ მის საფუძველზე ახალი, უკეთესი, უმჯობესი წარმოიშობა, ანუ, რაც აუცილებელია და რისი შეცვლაც ჩვენ არ შეგვიძლია, მას გაგებით უნდა მოვეკიდოთ, მის დაძლევის კი უკეთესის შეთავაზებით უნდა შევეცადოთ, რაც განვითარების მექანიზმია (იხ პატარა გელას „აღმოჩენა“ - სიკვდილი კაია აპაღმერთი გლახა რამეს გამეიგონებდა? აპა ხო გემსებოდა ქვეყანა ბებრებით! მერე ჩვენ ვეღარ დევებოდით!).

მითიური „სფინქსის მისტერია“, ალბათ ამით უნდა აიხსნას - მის სისასტიკეს ოიდიპოსის გამეფება და ქვეყნის გადარჩენა მოჰყვა, თუმცა „გამეფება და სხვა სიკეთეები“ დროებითია და მას კვლავ მისი უარმყოფელი რაიმე უბედურება უსათუოდ დაემუქრება; ამიტომაც ამ ქვეყნად რომ მუდმივი - არაფერია.

და ეს პროფესიცი ასევე განვითარების პირობაა (ოიდიპოსის მითის გაგრძელებაშიც ხომ ასეა - მის გამეფებას დროებითი მშვიდობა მოჰყვა, მაგრამ მერე, ქვეყანაში მოუსავლიანობა, შიმშილი და ეპიდემიები გავრცელდა, რაც ორაკულმა ოიდიპოსის გამეფებით ახსნა („სანამ ქვეყანაში მეფობს მამის მკვლელი, თავისი დედის ქმარი და თავისი და-ძმის მამა, ქვეყანას არაფერი ეშველება!). ასე „დაშიფრული“ ყოფილა მითებში სამყაროული წესრიგი და მას, მხოლოდ დაინტერესებული და ჭკვიანი ადამიანები ამოიცნობენ.

თავი 7. ანექდოტების ფსიქოთერაპიული ფუნქციები

**ხუმრობა - ნაკლოვანებების გამოფლენის
ყველაზე დახვეწილი საშუალებაა (ჰორაციუსი)**

**სადაც ჩლუნგი გონებაა, იქ ხუმრობას
რა ხელი აქვს! (შექსპირი)**

ხუმრობაშიც საჭიროა ზომიერება (ციცერონი)

იუმორი გადაარჩენს კაცობრიობას (?) ანუ ანეკდოტების ფსიქო- თერაპიული ეფექტი

ანეკდოტებში, როგორც ფოლკლორის ერთერთ ჟანრში, ხშირად ხალხური სიბრძნეებია გადმოცემული, სადაც - სახელმწიფო პოლიტიკის სასტიკად აკრძალული კრიტიკა ისე იყო/არის გამოთქმული, რომ ანონიმი ავტორების დასჯა არ ხერხდება, სწორედ მათი ანონიმურობის გამო.

როგორც წესი, ანეკდოტი მსმენელის ღიმილს, სიცილს და კარგ განწყობილებას იწვევს, რის გამოც ის ფსიქოთერაპიის ფუნქციასაც ითავსებს; მისი გაერცვლების მექანიზმი გვაფიქრებინებს, რომ ის ხალხის სათქმელს გამოხატავს, რაკი ისინი ანეკდოტებს თავად, საკუთარი ნებით და ხალისითაც ავრცელებენ.

ხუმრობა-ანეკდოტები „ნაკლოვანებების გამოვლენის ყველაზე დახვეწილი ფორმაა“ და ის ადამიანების ფსიქიკაზე და მორალურ შეგნებაზე (ჯანმრთელობაზეც) დიდ გავლენას ახდენს; უთუოდ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ანეკდოტების მოფიქრების სამსახურებიც კი არსებულა (ზოგჯერ მას პიარ-ტექნოლოგიადაც მოიხსენიებენ), რითაც თურმე, ზოგიერთი სახელმწიფო უწყებაც კი სარგებლობს, რაკი ამ გზით ხელისუფლებითვის სასარგებლო ინფორმაციის (იდეის) გაერცვლება შეუძლიათ; **იუმორით (ხუმრობით) მიღებულ ინფორმაციას (სიახლეს) ხალხი გაცილებით უფრო ადვილად (ხალისით) აღქვამს, ვიდრე დიდაქტიკურ-დამრიგებლური პროპაგანდით.**

ახლა ზოგიერთი ასეთი ანეკდოტის გახსენება გვინდა:

„სიბრძნეები“ - პოლიტიკურ ხუმრობებში

კუროსების ქვეყანა

ერთმა ამერიკელმა სენატორმა სხვადასხვა ქვეყნებში იმოგზაურა; როცა შინ დაბრუნდა, თავის თანამშრომლებს შეხვდა; მიკითხვა-მოკითხვისა და მსუბუქი საუბრის შემდეგ მოგზაურობის შთაბეჭდილებების მოყოლა დაიწყო.

ერთერთი ქვეყანა, რომლის სახელიც თავად არ დაუსახელებია, მსმენელებს თავად უნდა გამოეცნოთ, იყო – კურიოზების ქვეყანა;

კურიოზი 1. იქ, სადაც მე ვიმოგზაურე, არაა უმუშევრობა! (ამ ცნობას დარბაზი გაოცების გამომხატველი ხმაურით შეხვდა);

კურიოზი 2. იქ ყველა მუშაობს, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს (დარბაზში ჩონქოლია!);

კურიოზი 3. არავინ არაფერს აკეთებს, მაგრამ ხელფასს ყველა იღებს (ჩონქოლი);

კურიოზი 4. ხელფასს ყველა იღებს, მაგრამ ამ ფულით ვერაფერს ვერაფერს ყიდულობს (ხმაური დარბაზში).

კურიოზი 5. ხელფასით ვერაფერს ვერაფერს ყიდულობს, მაგრამ სახლში ყველას ყველაფერი აქვს (დიდი ხმაური დარბაზში);

კურიოზი 6. სახლში ყველას ყველაფერი აქვს, მაგრამ მთავრობას ყველა ლანძღავს (დარბაზში იცინიან);

კურიოზი 7. მთავრობას ყველა ლანძღავს, მაგრამ ტაშს მაინც ყველა უკრავს! (დარბაზი ხარხარებს!)

აბა გამოიცანით სად ვიმოგზაურე? სწორია, საბჭოთა კავშირში! დაასრულა სენატორმა თავისი შთაბეჭდილებების გახიარება.

ცხადია ყველამ დასაწყისშივე გამოიცნო, რაკი საბჭოთა კავშირი, მაშინ, ალბათ ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც უმუშევრობა არ არსებობდა.

ერთი დამსახურებული და ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ამბობდა – ამერიკაში სოვეტოლოგების საკმაოდ დიდი არმია მუშაობს, მაგრამ საბჭოთა

კავშირის ასე ზუსტი, მოკლე და ამომწურავი დახასიათება ჯერ არავის მოუცია!

დიდი პოლიტიკოსები საიქიოში

საიქიოში პიტლერი ყელამდე სიბინძურეში დგას, ლამის დაიხრჩოს; იქვე სტალინი დგას იმავე სიბინძურეში, ოღონდ მუხლებამდე;

პიტლერი: – ვითომ შენზე მეტი დანაშაული მაქვს ჩადენილი, მე რომ სიბინძურეში ვიხრჩობი, შენ კი მხოლოდ მუხლებამდე გწვდება?

სტალინი: – მე ლენინზე ვდგევარ, ლენინზე! მშვიდი ღიმილით პასუხობს ბელადი.

ამ ანეკდოტის ანონიმ ავტორს/ავტორებს გაცნობიერებული აქვს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ წარსულში ვის რა როლი აქვს შესრულებული – სოციალიზმის დამახინჯებაში ვინც იყო მთავარი „დამნაშავე“, ამიტომ სასჯელიც „სამართლიანად“ განაწილებული.

სტალინი ლენინის ანდერძის მოლოდინში

სიკვდილის წინ ლენინი წუხს – მე მივდივარ, მაგრამ არ ვიცი ხალხი ვის ჩავაბარო;

სტალინი: – ვლადიმერ ილიჩ, ნუ სწუხართ, მე ჩავიბარებ!

ლენინი: – შენ რომ ჩავაბარო, ხალხი არ გამოგყვება, ქართველი ხარ!

სტალინი: – შენ ჩამაბარე და, ვინც მე არ გამომყვება, იმას შენ გამოგაყოლებ!

როგორც სტალინის გარდაცვალების შემდეგ ითქვა, სტალინმა ვლადიმერ ილიჩს დანაპირები პირნათლად შეუსრულა, საიქიოში მას მართლაც ბევრი „ურჩი“ გააყოფესო – იცინიან ანეკდოტის ავტორებიც დ მსმენელებიც.

უდანაშაულო დალაქები

სტალინი ბოლთას სცემს თავის კაბინეტში შეკრებილი პოლიტიუროს წევრების თვალწინ; ღრმად ჩაფიქრებული ჩიბუხს ეწევა, აშკარაა, რომ გუნებაზე არაა. პოლიტიუროს წევრები შიშით ძრწიან და ბელადის მორიგ მითითებებს ხმაგაკმენდილი ელოდებიან.

- სასწრაფოდ დახვრიტეთ დეკრეტები და დალაქები! გაისმა კაბინეტში სტალინის ფოლადივით ხმა;
- დალაქები რატომ? ხმის კანკალით იკითხა ვილაცამ
- სწორია! დალაქები არ დახვრიტოთ, ისინი დამნაშავეები არ არიან!

ანეკდოტი ვილაც ჭკვიანმა მოიფიქრა, ხალხმა კი აიტაცა და გააფრცვლა, რაკი მან ადამიანების სულში ჰპოვა გამოძახილი;

ამ ანეკდოტში აშკარაა, რომ - არსებულ პოლიტიკურ ცხოვრებაში დეპუტატებიც დამნაშავეები არიან (და მსმენელებიც), რაკი შეკითხვა - „დალაქები რატომ?“ მასმენელებსაც მოსმენისთანავე უჩნდება; ანუ ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ყველანი ერთნაირად პასუხისმგებლები ასრიან, ეს

ყველამ იცის, თუმცა შესაძლოა „არც იცის რომ იცის!“ (როგორც ერიო, ისეთი ზერიო!“ - ხალხური; „ყოველი ქვეყანა თავისი მთავრობის ღისია!“ - ჰეგელი).

მოტყუებული „აკრძლებული ბავშვი“

სტალინის შესახებ მრავალი მითი არსებობდა, მათ შორის ერთერთია მისი სიყვარული ბავშვებისადმი (თუმცა, რატომ „მითი“! სავსებით შესაძლებელია, რომ ადამიანს, რაც უნდა სასტიკი იყოს, ბავშვები მაინც უყვარდეს).

ამ „მითის“ დასტურად დიდი ბელადი გადაღებული იყო 8-9 წლის ტაჯიკ გოგონასთან ერთად, უზარმაზარი თაიგულით ხელში; სტალინს ის ხელში აყვანილი ეჭირა; თეთრ ბაფთიან გოგონას, ბელადისთვის ყელზე ხელეები შემოეხვია და ბედნიერი იდიმებოდა.

ეს სურათები მთელს საბჭოთა კავშირში იყო გავრცელებული წარწერით – „სტალინი და ნათელა“, რაც მაშინდელი საბჭოთა მოსწავლეების მეხსიერებაში მყარად იყო ჩანერგილი.

დააირებული ანეკდოტი კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა:

თურმე, ჯერ კიდევ ბელადის სიცოცხლეში, მთლს საბჭოთა კავშირში ის გოგონა დიდი პატივით სარგებლობდა – სხვადასხვა ქალაქში შეხვედრებს უწყობდნენ, მის საპატივცემულოდ კონცერტებს მართავდნენ, საჯაროდ შეკითხვებს უსვამდნენ.

უკვე ქალბატონი ნათელა ყვებოდა როგორ სიყვარულით შეხვდა ბელადი ბავშვებს, როგორ წაუკითხეს მას ლექსები, რომელიც ბელადს ძალიან მოეწონა, როგორ აიყვანა ხელში მან ნათელა; ისიც კი ახსოვდა რა უთხრა ბელადმა თავის მშობლიურ ენაზე გვერდით მდგომ ქართველ ძიას, როცა ხელში აყვანილი თავს უბედნიერეს ბავშვად გრძნობდა და ა.შ. ერთი სიტყვით, იმ პატარა გოგონამ მთელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის სამუდამო სიყვარული და პატივისცემა იმით დაიმსახურა, რომ ოდესღაც ის დიდმა ბელადმა ხელში აიყვანა და მასთან სურათი გადაიღო.

ამ საყოველთაო აჟიოტაჟის შემხედვარე ქართველებმაც მიბაძეს სხვებს – ბოლოს და ბოლოს სტალინი ხომ ჩვენია, ჩვენ რით ვართ სხვებზე ნაკლებიო და უკვე ასაკოვანი ქალბატონი ნათელა საქართველოში დაპატივის.

საზეიმო ვახშამზე, რასაც მთელი პოლიტიკური ელიტა ესწრებოდა, ქალბატონმა ნათელამ დიდიხნის წინანდელი შეხვედრა და ის ფრაზა ამაყად გაიხსენა, რაც დიდმა ბელადმა მის გვერდით მდგომ ქართველ ძიას თავის მშობლიურ ენაზე გადაუწერწულა – მომაშორეტ ეს აკროლებული ბავაგში!

მხედველობაში მივიდოთ, რომ ესაა ანეკდოტი და სიმართლესთან მას საერთო არაფერი აქვს. **ანეკდოტით ხალხმა იმ ცრუ ატმოსფეროს მიმართ დამოკიდებულება გამოხატა, რაშიც ხელისუფლება ხალხს აცხოვრებდა.**

... ზოგჯერ, სიცრუე ხომ არ ჯობია სიმართლეს?

ვინ ეგულეოდა ხალხს პრეზიდენტში?

სოციალისტურ წარსულში ქალთა საერთაშორისო დღეს – რვა მარტს განსაკუთრებული გულმოდგინებით აღნიშნავდნენ. ჩვენი ანეკდოტიც ერთერთ ამ დღესასწაულს ეხება:

სარეაგირებო დღესასწაულზე სააქტო დარბაზში შეკრებილ პუბლიკას ორგანიზატორი აწესრიგებს, ყველას შესაფერ ადგილს მიუჩენს – ქალბატონებო, ქალიშვილები მარჯვნივ, გათხოვილები კი მარცხნივ მოთავსდით და გათხოვილი სინუშე დაცივით, ზემო რამდენიმე წამში დაიწყებო!

ერთი ქალი ხან მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ აწელება რიგებს და სად დაჯდეს, ვერ გადაუწყვეტია; მერე მასთან დასახმარებლად მისულ ორგანიზატორს კითხვით მიმართავს – უკაცრავად, მე გათხოვილი არა ვარ და არც ქალიშვილი გახლავართ, არ ვიცი სად დაჯდე!

თქვენ პრეზიდენტში დაბრძანდით!, მცირე ყოყმანის შემდეგ მისწავლა ორგანიზატორმა.

ამ ხუმრობაზე ორმოცდაათიოდე წლის წინ გულიანად იცინოდნენ მსმენელები, ახლა კი, ალბათ სულაც არაა იუმორის საგანი თუ გაუთხოვარი ქალები ქალწულები არ არიან, მაგრამ მაინც პრეზიდენტში სხედან.

სად რით ინარჩუნებენ ქალები ოჯახს?

ამ კითხვას „ორმოცდაათიანელი“ ახალგაზრდები ასე პასუხობდნენ:

ფრანგი – სხეულით;

ინგლისელი – მზითევით;

გერმანელი – ინტელექტით;

მაჰმადიანი – ჩადრით;

ქართველი – საზოგადოებრივი აზრით;

პაპუასი – მუშტით;

საბჭოთა ქალი – პარტორგანიზაციით.

კვლავ შეგახსენებთ, რომ ანეკდოტი შორსაა ჭეშმარიტებისაგან, მაგრამ მასში ალბათ არის სიმართლის „მარცვალი“ – **საბჭოთა სინამდვილეში ხომ „ოჯახის დაღატი“ პარტიულ კაცს (მითუმეტეს ქალს) დიდ ცოდვად ეთვლებოდა! თუ შეყვარებულ კაცს (მითუმეტეს ქალს) პარტიულობა რამედ უღირდა, ამ „ცოდვას“ არასდიდებით არ ჩაიდენდა, რაკი მას მსხვერპლად ეწირებოდა პარტიული ბილეთიც და თანამდებობაც.** უპარტიოებს ამ მხრივ „შეღავათი“ ჰქონდათ; მათ, იმის გამო, რომ ჯიბეში პარტიული ბილეთი არ ედოთ და აქედან გამომდინარე – არც რაიმე თანამდებობა ეჭირათ, „დასაკარგიც“ ბევრი არაფერი ჰქონდათ; სამაგიეროდ, ჰქონდათ – „სიყვარულის უფლება!“ რომელი ჯობია?

„დამპალი კაპიტალიზმის სუნი“

ამ ანეკდოტსაც ჯერ კიდევ მაშინ ყვებოდნენ, როცა კაპიტალიზმის ხოტბა სასტიკად ისჯებოდა; მაშინ ცნობილი ქართველი დიპლომატი – ბატონი მელორ სტურუა ამერიკის საელჩოში მუშაობდა; მოსკოვში ჩასვლისას აეროდრომზე ოფიციალური შეხვედრისას პროეკაციული კითხვა დაუსვეს

– როგორაა საქმე ამერიკაში, მართლა ლპება კაპიტალიზმი? (მაშინ, როცა სიტყვა „კაპიტალიზმი“ ახსენებდნენ, უთუოდ უნდა ეთქვათ „ძირმომპალი კაპიტალიზმი!“)

ოფიციალური სტუმარი არ დაიბნა და შეკითხვაზე ისეთი ორაზროვანიპასუხი გასცა, რაზე შეღავებაც შეუძლებელი იყო

– ლპება, ლპება! თანაც ისეთი სუნი ასდიის... დიპლომატმა თვალები ნეტარებით მილულა და წარმოდგენილი სუნი სიამოვნებით შეიყნოსა.

მსგავსა ანეკდოტებმა მოსახლეობას ეჭვი გაუჩინა სოციალიზმის, როგორც მოძღვრებაში „ერთადერთი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების“ შესახებ.

კუთხური თავისებურებები და ფსიქოთერაპიული ფუნქციები

ანეკდოტებში

იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლები (გურულები, მეგრელები, კახელები, იმერლები, რაჭველები, სვანები) მათი განსაკუთრებული თავისებურებებით ყავს დახასიათებული.

საბჭოთა იდეოლოგიას, როგორც ჩანს, არ მოსწონდა კუთხური გამორჩეულობისთვის ხაზგასმა; ალბათ ამის გამო, სანამ საბჭოთა იდეოლოგიას წყალი სერიოზულად არ შეუღდა, „ბუნების კარი“ ჩვენთვის, არასპეციალისტებისთვის, თითქმის უცნობი იყო.

თუმცა, ეს „ხარვეზი“ ხალხურმა შემოქმედებამ თავად შეავსო – ეს ხაზგასმულად თვალშისაცემი თავისებურებები ანეკდოტების სახით ასახა და გააგრძელა.

ახლა გავისხენოთ ზოგიერთი მათგანი:

გურულების წიპურტები

ანეკდოტების ეს მცირე კოლაჟი კოლექტივიზაციის პერიოდის გურულებს ეხება, როცა საბჭოთა კავშირის შემქმნელებმა სოფლის მეურნეობის მოწყობის ფორმად საერთო-სახალხო საკუთრება აირჩიეს – სოფლის სავარგულები ყველას საკუთრებად გამოცხადდა; გლეხები მიწას ერთად ამუშავებდნენ (ცხადია შრომის პროცესში ყველაფერი სათანადოდ აღირიცხებოდა), მოსავალსაც ერთად იღებდნენ, საერთო ბედლებში ინახავდნენ, მერე კი თანაბრად ინაწილებდნენ იმის მიხედვით, ვინ რამდენი შრომადღე გამოიმუშავა.

თავდაპირველად, სანამ ამ იდეის ავტორები და განმხორციელებლები საქმეს თავად უძღვებოდნენ, თითქოს არაუშავდა, მაგრამ როცა ახალი თაობა მოვიდა, არ მოეწონათ საკუთრების ინსტინქტის ჩახშობის მცდელობა და ცხოვრების სტილის არჩევანის უფლების უკიდურესი შეზღუდვა; კოლექტივიზაციის იდეამაც და პრაქტიკამაც ნელნელა კრახი განიცადა; მაგრამ მანამ, სანამ ეს მოხდებოდა, დიდი დრო გავიდა.

კოლექტივიზაციის რღვევის რთულსა და მტკივნეულ პროცესს არც ხალხური იუმორი აკლდა; ზოგიერთ ნიმუშზე დღესაც იღიმებიან, მაშინ კი ხალხი ხარხარებდა – ეს ანეკდოტები მათ გულებს „მაღამოსავით ედებოდა“, რაკი მატერიალური თვალსაზრისით გლეხური ცხოვრების გაუმჯობესების მიუხედავად, „ზემოდან დაგვემილი კეთილდღეობა“ არავის სურდა.

კოლექტივიზაციის თემაზე ერთნაირად იცინოდნენ – შეძლებულებიც და ნაკლებად შეძლებულებიც, ინტელიგენციაც და მუშათა კლასიც (მაშინ, სანამ ქვეყანას საბჭოთა კავშირის შემქმნელები ხელმძღვანელობდნენ, მოსახლეობა, ცხოვრების დონის მიხედვით ერთმანეთისგან მხოლოდ მცირედით განსხვავდებოდა; ბევრი ხელოვნების ნიმუშიც შეიქმნა). მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანებს შეზღუდული ჰქონდა გამოხატვის თავისუფლება, ანეკდოტები კი კონტროლს არ ექვემდებარება, ხალხი ანეკდოტებს თხზავდა, ავრცელებდა და იცინოდა, რამაც ერთგვარი „კოლექტიური ფსიქოთერაპიის“ ფუნქციაც შეასრულა და „შეზღუდული თავისუფლების“ კომპენსაციის ფუნქციისაც.

ახლა გავისხენოთ ზოგიერთი „ფსიქოთერაპიული“ ფუნქციის მატარებელი ანეკდოტი:

გურულს უცხოელი სტუმარი ეკითხება:

- თუ შეიძლება ამისხენით რას ნიშნავს ეს თქვენი „კოლექტივი“?
- რასა და, აი შეხედე! შენ რო მითხრა მე - მამე მაი ჭადი და მოგიტეხავ პაწას-ო! ეეე, ეს არის კოლექტივი!

სხვა დროს, როცა ისევ უცხოელი სტუმარი ეწვიათ, გურული წინასწარ გააფრთხილებს – აბა შენ იცი, უცხოელთან ცუდი არაფერი წამოგცდეს, თორე, ხომ იცი რაც მოგელისო!

უცხოელთან საუბარი მართლაც კორექტულად შედგა:

- შრომის როგორი ანაზღაურება გაქვთ, კმაყოფილები ხართ ხელფასით? იკითხა უცხოელმა;
- ხელფასი ნამეტანი კაი გვაქ, მარა თვეია ძაან გქელი! უპასუხა გურულმა;
- გურულო, ხელფასს რამდენს იღებო? – ათას მანეთსო; – დაქვითვების მერე ხელზე რა გრჩებაო? – ხელზე? ხელზე მაზოლიო!

გურულს, მხარზე თოხი გაუდევს და დღის 12-საათზე კოლექტიურ ყანაში მიდის. წინ შრომის პროცესის შესამოწმებლად რაიკომიდან მომაგრებული წარმომადგენელი შემოხვდა; გაუკვირდა – ამ დროს გლეხს ყანაში მუშაობა თითქმის დასრულებული აქვს, ეს კი ახლა მიდისო?

შუბლშეჭმუნული სტუმარი უკმაყოფილო გამომეტყველებით გურულს წინ გადაუდგა და უფროსის შესაფერი ხმითა და გამომეტყველებით ეკითხება

- რა დროა ახლა!? გურულმა დაუფიქრებლად და ალაღად შეუბრუნა კითხვა
- რავე ბატონო, არც შენ მოგწონს აი დროლო?

სტუმარმა არ გაიცინა, უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბურღუნა.

- ბოდიში, ბატონო, თქვენ ვინ ბრძანდებით? იკითხა გურულმა

- მე მომაგრებული ვარ!

- აგაშენა ბიბიკო ღმერთმა! ხოდა, თუ მომაგრებული ხარ, მე მოფაფგალებული ვარ, აიღე აგი თოხი და ერთი დღე შენც იმუშავე!

გურული მატარებლით მიემგზავრება. გვერდით უცხოელი უზის. მალე დაძმაცადნენ; გურულმა „ბუხის არაყი“ ამოიღო – თქვენ ასეთი გაქვენ? ჰკითხა და უცხოელს გაუმასპინძლდა; უცხოელს არაყი მოეწონა და დანანებით თქვა – არაო.

ახლა უცხოელმა ამოიღო ვისკი და გურულს ჰკითხა – თქვენ თუ გაქვთ ასეთი?

- არა გვაქვს, მარა მალე გვექნება!

უცხოელმა ჰამბურგერი ამოიღო

- თქვენ გაქვთ ასეთი?

- არა გვაქვს, მარა გვექნება!

შემდეგ უცხოელმა დოლარები ამოიღო და ისევ იკითხა

- თქვენ გაქვთ დოლარები?

- არა გვაქვს, მარა გვექნება! ისევ უთხრა გურულმა.

გურულს აღარაფერი ჰქონდა ისეთი, უცხოელი რომ გაეოცებინა და რაც ხელთ მოხვდა – პარტიულის ბილეთი ამოიღო, უცხოელს თვალწინ აუფრიალა და ჰკითხა

- თქვენ გაქვენ ასეთიიი?

- არა გვაქვს, მაგრამ გვექნება! დარწმუნებით უპასუხა უცხოელმა;

- ჰო და, როცა გექნებათ, ვისკები, ჰამბურგერები და დოლარები მაშინ დაიტრახათ! ნიშნისმოგებით უთხრა გურულმა უცხოელს და ანეკდოტიც დასრულდა.

გურულს ჰკითხეს – სახლვარი რომ გახსნან რას გააკეთებო?

- ხეზე გავალო!

- ხეზე რატომო?

– ხალხმა რო არ გადამჯეგოსო!

ამის გამო გურული დაასმინეს – ასე და ასე თქვაო.

მიიყვანეს გურული „სადაც ჯერ არს“; დამსმენები ხალისობენ – ახლა აჩვენებენ სეირს, ნახოს თუ უშველის „ხეზე გასვლაო“.

– რა გითქვამს შე უმადურო? აბა ახლაც გაიმეორე ხეზე რატომ უნდა გახვიდე?

– რატომ და, იქედან რო ხალხი მოაწყდება, აქეთ შემომსვლელები, თუ ხეზე არ გავედი, გადამჯეგავენ!

იდეოლოგიის დამცველები შეცბუნ, რაღას იზამდნენ!

– წადი! ახლა თავისუფალი ხარ, მარა... სხვა დროს ჭკვიანად იყავიო.

გურული წავიდა, კარებში რომ გადიოდა, შემობრუნდა და ირონიული ღიმილით იკითხა – აბა თქვენ რა იფიქრებდით?

თავისი ეშმაკობები გურულმა მაინც ვერ მოიშალა; დაიჭირეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს; სიკვდილის წინ მოითხოვა – ერთადერთი სიტყვის თქმის უფლება მომეცითო; მისცეს. მიკროფონთან მივიდა და დაიყვირა – მიშველეთ!

კაცს კბილი ტკივა და გამწარებული ტირის. მივიდა **გურული** და კითხა

– გინა მოგიჩინო?

– მინდა, როგორ არ მინდა!

ეტაკა გურული და ყური მოაჭამა; აკივლდა ის კაცი - ვაი ყურო, ყურო... ეს რა მიყავიო, შეუტია გურულს;

– ხო გტკიოდა კბილი? – კი, მტკიოდა! – ახლა გტკივა? – კბილი არა, მარა ახლა ყური მტკივა! – რა გინა ძამა, მე კბილის მორჩენას დაგპირდი, ყური ჩემი საქმე არააო, მშვიდად უპასუხა გურულმა.

მაშინ გურულს დასცინოდნენ, ახლა, სევდიანად ამბობენ – რას ვერჩოდით გურულს, მართლა ასე არაა? ექიმებს, ყველას თავთავისი საქმე აქვს, გულის სპეციალისტი გულის წამალს იძლევა, წნევის – წნევისას, სულ არ აინტერესებს რავა იმოქმედებს ის ღვიძლზე, თირკმელზე...

იმედია ექიმებზე ხუმრობაც ისევე შეიტანს თავის წვლილს მეურნალობის ვიწრო სპეციალიზაციაში, როგორც პოლიტიკურმა ანეკდოტებმა თავისი წვლილი შეიტანა „საერთო საკუთრების ტრაგედიის“ დასრულებაში.

მეგრელების შესაშური სოლიდარობა

ძუკუ მოსკოვში ჩავიდა: ვაგზლის წინ, უადგილო ადგილზე ქუჩაზე რომ გადადიოდა, უკან მილიციელი დაედევნა სტვენით და განწირული ყვირილით

– НАЗАААД !

თითის წვერებზე შემდგარმა ძუკუმ ქუჩა ფრთხილად გადაჭრა და

– ამაზე ნახად როგორ გავიარო, ნეტავი! თქვა გაკვირვებულმა.

სანამ მილიციელი დასაჯარიმებლად წამოეწეოდა, უზარმაზარი შენობის თავზე წარწერა დაინახა – „БАКАЛЕЯ ГАСТРОНОМИЯ“. ძუკუმ აღფრთოვანებით უყურა, უყურა და მერე გახარებულმა ჩაილაპარაკა – ყოჩაღ ბაკალია! რამხელა შენობა წამოუჭიმავეს მოსკოვის ცენტრში! (БАКАЛЕЯ – საბაყლო საქონლის მაღაზიას ნიშნავს).

ამ სიხარულის მერე ჯარიმა აღარაფრად ჩაუგდია.

მეგრეღმა დედაქალაქში მაღალი თანამდებობა მიიღო (კომუნისტების დროს). მეორე დღეს დედას წერილი გაუგზავნა

– დედა! მე აქ დიდი გავლენა მაქვს; უთხარი მუკუს, ტუკუს, კუკუს, ნაპოს, ჩამოვიდნენ აქ, სამსახური, მანქანა, ბინა – ჩემზე იყოსო!

მაღალ თანამდებობაზე ახლა კახელი დანიშნეს; მანაც, თელავში, დედას წერილი გაუგზავნა – დედიო! მე ახლა აქ დიდი გავლენა მაქ! იმ ჩემ მძღნერ ძმაი უთხარი, ი ღობე თავი ადგილზე გადაწიოი თვარაააა! რო ჩამოვალ, დედაი... ო!

ძუკუ დედაქალაქში ჩვიდა და „გავლენიან“ ნათესავთან მივიდა – ერთი კარგი სამსახური მიშოვნეო.

ნეთესავი „ყოვლის შემძლე“ და აკარგიანი კაცი იყო – მაინც რა შეგიძლია, რა მოგწონსო? ჰკითხა.

– მე აი ის მომწონს, ოპერაში, ყველაზე წინ რო დგას და ჯოხს რო იქნევსო!

ანეკდოტში არაა ნათქვამი, უშოვნა თუ არა ნათესავმა ის სამსახური, „ჯოხს რომ იქნევენ“, მაგრამ ის კი ნათლად არის გამოხატული, რომ **მეგრეღებს ურთიერთ მხარდაჭერისა და ურთიერთ სოლიდარობის შესაშური გრძნობა ახასიათებთ, თუმცა მათ შემდეგ, არც სხვა კუთხის ხალხის მიმართ არიან გულგრილები.**

კახური გულახდილობის ღირსება-ნაკლოვანებები

მიხოს იმერელი ნათესავი ესტუმრა. მიხომ გაიხარა, სტუმარს უხვი სუფრა გაუშალა, მაგრამ მარტო სასმელ-საჭმელი რა სათქმელია – სტუმარი კიდევ უნდა

გამხიარულოს! იცის, რომ იმერელ სტუმარს თავპატივი უყვარს, რაც უნდა მშიერი იყოს, მაინც უნდა ეხეწო – მიირთვი შენი ჭირიმეო!

მიხო ამას კახურად აკეთებს – ჭამე, ამი დედა...! - დალიე, ნახე რა ღვინოა ე დედა...ო! იმერელი აიმრიზა, დუმს, არც ჭამს, არც სვამს, მცირე ხანს არც ხმას იღებს.

მიხო მხიარულადაა, თავისებურად აგრძელებს – ვაჟოო! რას განერებულხარ, ჩვენებიანთ ვირივითა, ჰააა!!

აქ კი ავესო იმერელს მითმინების ფიალა, წამოხტა, სუფრას ხელი აჰკრა, ამოაყირავა და – შენი ვირიც, შენი დედაც და შენი პურ-ღვინოცაო... შეუკურთხა.

– ეგრე, რაღაა! გამხიარულდი, კაცოოო! დასჭექა მიხომ და პურობაც „ნორმალურ კალაპოტში“ ჩაღვა.

მიხოს პირველი ცოლი იმერელი ჰყავდა. თავდაპირველად მეგობრული ოჯახი ჰქონიათ, მაგრამ საჭმე იმერეთში სტუმრობის შემდეგ არგვიათ. ეს ასე მომხდარა:

მოყვრებში მიმავალ მიხოს გზაში ცოლი არიგებდა – იქ შენებურად არ დაიწყო, იქ იმერეთია, ზრდილობიანი ხალხი ცხოვრობს, რო ჩახვალ, ყველას უნდა მიესალმო, ხელი ჩამოართვა, უნდა მოიკითხო – როგორ ხართ, ოჯახში ხო ყველანი კარგად ბრძანდებით... და ა. შ.

ჩავიდნენ. ეხო სტუმრებითაა სავსე. მიხომ რომ დაიწყო სათითაოდ ყველას მოკითხვაა . . . მიდიოდა და ნაცნობს თუ უცნობს, ქალსა თუ კაცს, ხელს ართმევდა და ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა; შეწუხდა ყველა, სტუმარიც, მასპინძელიც . . .

„გულშეწუხებულმა“ იმერელმა ცოლმა აღერსიანი სახე მიიღო, მიხოს სახელოზე დაქაჩა და – კარგი, რაღა დაგემართა, შეწუხდა ხალხიო, წასწურწულა.

მიხომ არც აცია, არც აცხელა და კახური უეშმაკობით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეჰყვირა – ზდილობითინ თვარა ამათი დედაც . . . ო!

ამბობენ, მაშინ აირია ამათი საჭმეო.

ამ ანეკდოტში იუმორითაა ნაჩვენები ადამიანების მიერ შემოდებული „მეტისმეტი“ ზრდილობის გაფუტისების „საფრთხე“.

ეს ერთი შეხედვით უწყინარი ანეკდოტები ჩვენი დროის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას – ადამიანის გაუცხოების პრობლემას ესმინება.

საჭმე იმაშია, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობების აუცილებელი მარეგულირებელი ნორმები, რაც ადამიანს ცხოვრებამ უკარნახა, დროთა

განმავლობაში თავად ადამიანმა ზედმეტი ნიუანსებით ისე გაართულა რომ, „უაზროდ ამკრძალავი ან დამავალდებულებელი“ ნორმები ადამიანს მძიმე ტვირთად ექცა და ცხოვრება დაუმძიმა, რაც ზოგს მეტად, ზოგსაც ნაკლებად აწუხებს. „საწვალ“ მიხოს მისთვის უცნობი ადამიანებისთვის „უნდა“ დაესვა მისთვის (სხვისთვისაც) სრულიად არასაინტერესო და „არაფრის მაქნისი“ კითხვები. მისი საქციელი წესით იმ საზოგადოებისთვის უფრო სამარცხვინოა, ვინც მისგან ეს აბსურდამდე მისული „თავაზიანობის ხარკი“ მოითხოვა.

ამ „მეტისმეტმა“ თავაზიანობის („ზრდილობის“) ნორმებმა, ის შედეგი გამოიღო, რომ საზოგადოების „ელიტურმა“ ნაწილმა ლამის ყოველგვარ ამკრძალავ ნორმებს შეუტოოს. არსებობს საფრთხე, როცა ამბობენ – არიქა, „ნაბან წვალს ბავშვიც თან არ გადააყოლონო“.

ანუ – უსათუოდ უნდა დაეცვათ ღვთის მიერ დადგენილი ამკრძალავი ქცევის ნორმები! ის, რაც თავად ჩვენივე მოგონილი და ნაკლებად საჭიროა – მათ დაეუბნოთ, ვისაც ეხალისება; ვისთვისაც ის ზედმეტი და უაზრო ტვირთია – დაე უარი თქვან მასზე, ნურც გაგვიცხავთ და ნურც დაგვაგაღებულებთ!

... ისე, კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა „ღია კარის მტვრევა“, ისეც ასე არაა?

მიხოს გურიაში ადვის ღვინო მოსწონებია; ნაქეიფარს უზარმაზარ ხეზე ასულ-ახვეული ვაზი აჩვენეს – ამ ვაზის ღვინო იყო, შენ რომ მოგეწონაო, უთხრეს. მიხომ ხეს ახედა, თვალი ძლივს აუწვდინა, – აქ ან როგორა სხლავთ, ან როგორა რწევთ, ან დასაკრეფად როგორ ადისათო, გაუკვირდა.

– ამას არც გასხვლა ჭირდება, არც მორწყვაო, უპასუხეს და როცა ნაყოფის დაკრეფის ტექნოლოგიაც გააცნეს, მიხო ჩაფიქრდა; მერე დანანებით ჩაილაპარაკა

– მა რა ნამუსითა სვამთ მაგ ღვინოს, თქვე კაი ხალხო!

ამ ანექლოტში ღვთის მიერ ნაკურთხი – შრომით მოპოვებული „ლუკმის“ სიკეთეზეა მინიშნება (სამოთხიდან გამოძევებულ პირველ ადამიანებს უფალმა ხომ დაანათლა – შრომითა შენითა მოიპოვე პური შენით); ღვთისნიერი ადამიანის ფსიქიკაში „ძვალ-რბილშია გამჯდარი“ შრომით მოპოვებული „ლუკმის“ სიკეთის რწმენა;

ცხადია, „უშრომელობა“ გურულ „ადესასთან“ არაფერ შუაშია, აქ საქმე გვაქვს

მიხოს „მოღალატე არაცნობიერი“ ანუ „რი ატამი, რა ატამი“

ზოგი ანეკდოტი, ყველაზე მარტივი და პრიმიტიული ფორმით, ღრმა ფსიქოლოგიურ „საიდუმლოს“ გვიჩვენებს, თუკი მისი გააზრების სურვილი (და შესაძლებლობები) გვექნება.

ამ ანეკდოტში მიხომ მეზობელს ატამი მოპარა; მეორე დღეს, დილით, ყანაში რომ მიდიოდა, იმ „გაქურდული“ მეზობლის ეზოს ჩაუარა.

– მიხოს გაუმარჯოს! ალაღად გამოსძახა „გაქურდულმა“, როგორც ჩანს ჯერ არ გაეგო ვიღაცამ რომ მისი ატმები მოიპარა. მიხომ ნაბიჯს აუჩქარა, მეზობელს ხელი დაუდევრად აუქნია და მართალი კაცივით მიადახა

– რი ატამი, რა ატამი!

ნათქვამია – ანეკდოტს ახსნა არ სჭირდება! მართალია; ანეკდოტზე უნდა იხალისო – გაიცინო, თუ იუმორის გრძნობა გაქვს; მაგრამ ახლა ანეკდოტის კი არა, იმ ხალხური ცოდნა-სიბრძნის ახსნას ვცდილობთ, რაც ამ ანეკდოტის მომფიქრებლებმა კი იცოდნენ, მაგრამ შესაძლოა „არც იცოდნენ რომ იცოდნენ“.

ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტებით დაადგინეს, რომ ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა მის სუბიექტურ მდგომარეობაზე ბევრად არის დამოკიდებული; მისი განცდები – ემოციები ხშირად „ამახინჯებს“ რეალობას, რაც მცდარი აღქმის მიზეზი ხდება.

მიხოს განცდები მისივე წინა დღით ჩადენილი „ქურდობით“ იყო განსაზღვრული, დაახლოებით ისე, ნათქვამი რომ არის – „ქურდს ქუდი ეწეისო“. მან მისალმებისას ის სიტყვები „გაიგონა“ რაც წესით, უნდა მოესმინა, ანუ ის, რის მოლოდინიც ჰქონდა.

ფსიქოლოგიაში ცნობილი ფაქტია – **„ჩვენი მოლოდინები ჩვენივე აღქმებზე ახდენს გავლენას“; ეს გავლენა კი ზოგჯერ მთლიანად ცვლის აღქმის შინაარსს.**

ფსიქოლოგებმა იურიდიული ფაქულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან ასეთი ექსპერიმენტი ჩატარეს: საგანგებოდ მოწვეულ კონფერენციაზე, პრეზიდენტი მსხდომმა პროფესორებმა „ჩხუბი გააჩაღეს“. დარბაზი შეშფოთდა. „ჩხუბი“ ღამის ხელნართულ ბრძოლაში გადაიზარდა, პროფესორები ერთიმეორეს უხეში და სალანძღავი სიტყვებითაც უმასპინძლებოდნენ, ერთიმეორეზე საცემადაც კი მიიწვედნენ, კოლეგები კი აშველებდნენ; დარბაზი აიშალა, ახმაურდა;

მაღე სხდომა დაიხურა; სამი დღის შემდეგ კი „გამოძიება“ დაიწყო; ცხადია „ჩხუბს“ მოწმე-თვითმხილველები ბევრნი ჰყავდნენ – ისინი დამამთავრებელი კურსის იურისტები, სტუდენტები იყვნენ!

მოწმეთა ჩვენებები განსაცვიფრებელი აღმოჩნდა – მომავალმა იურისტებმა ერთიმეორისაგან განსხვავებული ისეთი „ფაქტები“ გაიხსენეს, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია.

განცვიფრებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როცა სტუდენტებს ჩაშლილი კონფერენციის ვიდეოჩანაწერი აჩვენეს – მათი ნაამბობი (ჩვენებების დიდი ნაწილი) სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

ამ ექსპერიმენტით (რაშიც უნივერსიტეტის პროფესურა, სტუდენტები, გადაძვები ჯგუფი და კინოაპარატურა მონაწილეობდა) სტუდენტებს ის დაუმტკიცეს, რაც ჩვენს მიერ აქ მოტანილ ექვს სტროფიან ანეკდოტშია ნათქვამი – მიხომ ის „გაიგონა“, რისი მოლოდინიც ჰქონდა.

სხვა და სხვა კუთხის ქართულები „საცივის“ წარმომავლობაზე კამათობენ: გურული ამბობს – საცივი, პირველად, გურულებმა გააკეთესო; მეგრელი ამბობს – არა, მეგრელებმაო; რაჭველმა დიდხანს მშვიდად უსმინა მათ კამათს, მერე კი ორივენი „რკინის არგუმენტით“ გააჩუმა – თქვენ ქვე არც ერთი არ დააცდიდით ცაცებებს, „საცივი“ ქვე რაჭველებმა მოიგონესო!

ეს ანეკდოტი ხალხმა უთუოდ იმიტომ მოიწონა და გააერცვლა, რომ ახლო იყო „სიმართლესთან“; კერძების მომზადებას ხელმისაწვდომი ინგრედიენტების გარდა პიროვნული ფსიქიკური ფაქტორებიც ხელს უწყობს – რამდენად შრომისმოყვარე, მომთმენი, გურმანი, გულუხვი, მოსიყვარულე, უანგარო და გამმეტებელია მზარეული, ცხადია, სათანადო პირობებში.

მიხომ დიდი სახლი აიშენა, მდიდრულად გააწყო და ახალსახლობაზე მეგობრები მიიპატიჟა; სანამ საქვიფოდ დასხდებოდნენ, მეგობრებს სახლი დაათვალიერებინა; მეორე სართულზე რომ ავიდნენ, სტუმრებს აჩვენა – ეს ჩემი საძინებელი ოთახია, ეს „ზალაა“, ეს ჩემი შვილების, ესეც ჩემი ცოლის საძინებელიო.

სტუმრებმა გაიკვირვეს

– ცოლის საძინებელი ასე შორს რატომ გაქვს, ცოლი რო მოგენატროს, რა უნდა ქნა?

– დავეუსტვენ და მოვა!

– კი, მარა მას რომ მოენატრო?

– მოვა და მკითხავს – მიხო, ხომ არ დაგისტვენიაო?

ეს ანეკდოტი რაღას უნდა დასცინოდეს? ალბათ იმას, რომ დღეს უკვირთ ცოლ-ქმრისთვის ცალცალკე საძინებელი ოთახი; არადა, დიდმა მწერალმა (ჩეხოვმა) ხომ თქვა - მეუღლეებს ყველაფერი შეიძლება საერთო ჰქონეთ, გარდა საძინებელი ოთახისაო!

რაშია საქმე, არ იცოდა დიდმა მწერალმა „სიყვარულის საიდუმლოები“?

საქმე იმაშია, რომ „სიყვარული“ კლასიკური გაგებით სხეულებრივის (გრძნობა-ემოცია-ენება) და სულიერის (ურთიერთ შესაბამისი ინტერესები-ნდობა-ერთგულება-მეგობრობა, ნათესაობა) ერთიანობას გულისხმობს. როცა წყვილების ურთიერთობას „სულიერი სიყვარული“ აკლია და ქორწინების სტიმული მხოლოდ ვნებაა, „სიყვარულს დიდი დღე არ უწერია“, რაკი „ფიზიკური სიახლოვე კლავს ვნებას“. ამაში მთავარი „ბრალი“ ადაპტაციის უნივერსალურ მექანიზმს მიუძღვის, რაც შენეევას გულისხმობს. სულიერი „შენეევა“ კი – პირიქით, აძლიერებს მეუღლეებს შორის კარგ ურთიერთობებს. ვისაც სიყვარული გამოუცდია, ყველამ იცის – ვნება მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მეტი დაბრკოლებები ახლავს (აკრძალული ხილის ფაქტორი). ამის „საბუთია“ ქორწინების შემდეგ, დაბრკოლებების გარეშე რომ ვნება მალე ქრება (ვნების გახანგრძლივებას მარხვის ტრადიცია უწეობს ხელს).

აქ ძალზე „საჭირობოროტო“ საკითხს მივადექით, რაზე საუბარიც ახლა ჩვენი მიზანი არაა, ამიტომ, მოკლედ „მოვჭრათ“ – თუ „ცოლქმრული სიყვარული“ მხოლოდ ვნებაზე, სხეულებრივზეა დაფუძნებული და წყვილებს შორის ინტერესთა და ღირებულებათა ურთიერთშესაბამისობაც არაა (ურთიერთშესაბამისობა და არა „ერთნაირობა“), როცა ადაპტაციის მიზეზით „სიყვარული“, უფრო სწორად – ვნება მალე ქრება, მაშინ განქორწინებისთვის უამრავი საბაბი გამოჩნდება ხოლმე, რაც ყოფილ „შეყვარებულებს“ ნამდვილი მიზეზი ჰგონიათ. „სულიერის“ გარეშე, ქორწინების „გადარჩენა“ კი ტანჯვა-წამების სინონიმი უფროა, ვიდრე „სიყვარულის“. როგორც ჩანს ცალცალკე საძინებელი ოთახი ადაპტაციის პროცესს ახანგრძლივებს, რის საჭიროება თანამედროვეობამ ეჭვქვეშ დააყენა – დღეს ის იუმორის საგანი გამხდარა და „სწყალი მიხოს“ გარდა ის აღარავის ახსოვს!

იმერულ ანეკდოტებში „გაპარული კომპლექსები“

საქართველოს სხვა კუთხეებს შორის, სოციალიზმამდე, ყველაზე ღარიბი რეგიონი ზემო იმერეთი იყო (მგონი ახლაც ასეა); ამიტომ, ხალხმა იუმორის „სამიზნედ“, ძირითადად, სწორედ ეს სფერო აირჩია, რამაც „შედარებითი სიღარიბე“ უფრო ასატანი გახადა.

იმერული იუმორი (არა მარტო იუმორი) ძირითადად ამ კუთხის მოსახლეობის „სიღარიბის კომპლექსებით“ არის ნაკარნახევი, რის გამოც ამ თემაზე ხუმრობებმა „ფრთხილი შეისხა“ და მთელს იმერეთს (არა მარტო იმერეთს) მოეფინა.

ჭიათურელი ჟორია საბარგო მანქანის მძღოლი იყო; სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ პატარპატარა კერძო შეკვეთებსაც ასრულებდა, რასაც თან ასევე პატარპატარა სახალისო თავგადასავლები ახლდა, რაზეც მეორე დღეს მთელი ქალაქი იცინოდა.

ერთხელ მან ჭიათურის ერთერთ სოფელში გლეხს მაღაროდან გამოღებული, წარმოებისთვის უვარგისი ბიგა მიუტანა. დიასახლისმა „მაღარიანად“ კლდიაშვილის სოფელს რომ ეკადრებოდა, ისეთი სუფრა გაუშალა, თან მოუბოდიშა – წიწილები პატარები მყავს, ვერ შემოგკადრეთო...

– არაუშავს, დეიდა, სემიქას ვჭამ და იმაზე პატარა ხო არ იქნება! „ანუგეშა“ ჟორიამ დიასახლისი.

ჟორიამ წარმოებისთვის გამოუსადეგარი ბიგა ამჯერად სხვა ოჯახს მიუტანა (სხვათაშორის, რუსულმა ბიგამ დიდი შედავითი მისცა იმერეთის ბიუჯეტს და მოსახლეობის გათბობის პრობლემებსაც); დიასახლისმა ამჯერად წინასწარ კითხა სტუმარს

- შეილო, ვარია შევწვა თუ მოვხარშო?
- ერთი შეწვი, ერთი მოხარშე! უპასუხა ჟორიამ.

ჟორია სტუმრად: სუფრას ხიზილადაც არ აკლია;

ჟორიამ ხელი არაფერს ახლო, მხოლოდ ხიზილალებიანი თეფშები მოაცარიელა. მასპინძელმა წასწურწურულა – რას შევბი, ჟორია, ეგ ლობიო ხო არ გგონია, იკრა არის ეგ, იკრა!

- იკრა უთხარი შენ! კაი კია და!
- ამ ანეკდოტის სხვა ვარიანტში მასპინძელი ეუბნება
- რას შევბი ჟორია, მაგ ლობიო ხო არ გგონია, იკრა არი, 150 მანეთი ღირს!
- ეღირება, ეღირება! საქმიანად პასუხობს ჟორია და ჭამას ენერგიულად განაგრძობს.

კიდევ სხვა ვარიანტში ჟორია ამხანაგს ეუბნება:

- საჭმელებიდან ყველაზე უფრო გემრიელია ხიხილალა!
- შენ რა იცი?
- მეზობელმა მითხრა;
- მეზობელმა რა იცის?
- მან თავად ნახა, ებრაელი ჭამდა, ოდესაში!

ჟორიას მგზავრები გადაწყვედა ჭიათურიდან რომელიღაც ახლო სოფელში;

მგზავრებმა საფსური წვრილი ფულით გადაუხადეს, ვისაც რამდენი შეეძლო; ერთმა მოხუცმა ქალმა ჩანთიდან მოზრდილი, ლოყაწითელი ვაშლი ამოიღო, გაუწოდა და ჟორიას ხათრიანად უთხრა

- ფული არა მაქვს შეილო, ჩემგან ეს აიღეო და წასვლა დააპირა;

ჟორიამ, ისე, რომ წამითაც არ დაფიქრებულა, მიადახა - მეიცა, მეიცა დეიდა! ხურდა დაგრჩა, ხურდა! და გაცეცხულ „დეიდას“ პატარა, დამჭკნარი ვაშლი ჩაუღო ხელში.

ერთხელ კი, როცა ჟორიას ძმაკაცი ესტუმრა, ნაბახუსევს, სტუმარსაც და მასპინძელსაც „ბორჯომი“ მოუნდათ. საყიდლად ცოლი „გაგარდა“, ჟორიამ ტელეფონი აიღო და ცოლს დაურეკა - თუ იცი რაი, თუ არ იყოს, არ იყიდო!

იმერული „კომპლექსები“ ქართულ ანდაზებში:

„იმერელს მჭადის სახელი დაავიწყდაო“;

„იმერელმა ნალი იპოვა და - ახლა ერთი ცხენისა და სამი ნალის მეტი აღარა მინდა რაო“;

„იმერელს ჰკითხეს - ყველაზე მძიმე რა არისო და - ცარიელი კუჭიო“;

„იმერელს უთქვამს - სტუმარს რომ შემწვარი ხახვი მივართვა, მწვადად ჩამეთვლებო“.

ალექსანდრე დიუმამ (მამამ), როცა კავკასიაში იმოგზაურა (1816-1864 წლის კავკასიის ომის პერიოდში), იმერული თავადი დაემგზავრა („იშვიათი სილამაზის კაცი“), ვისთან ერთადაც მან შორაპნიდან ფოთამდე იმგზავრა; ერთგან ის წერს: „ამ გაკოტრებულ მემამულეებს შეხვდებით გზაზე ცხენით მიმავალთ, მხარზე შევარდნით. . . უკან მოსდევთ თავით ფეხებამდე ოქრო-ვერცხლსა და საუცხოო იარაღში ჩამჯდრი ორი მსახური, ერთს კალათში რამდენიმე მარილიანი თევზი უწევია სამარხეო დღეებისათვის, მეორეს - ქათამი, სახსნილო დღეებისთვის . . .“

ჩვენი ნაცნობი იმერელი ვახშამზე მოვიპატიუეთ . . . თვითონ ორი დამარილებული თევზი ჰქონდა და ერთი ისე ძმურად შემოგვთავაზა, რომ უარი ვერ ვუთხარით, მეორე კი თავის მსახურებთან ერთად გაიყო... სადილზე სამივენი ნახევარ თევზს ან ნახევარ ქათამს შეჭამენ, ზედ დააყოლებენ ღვინოს და მეორე დღემდე ეს არის მათი საჭმელი . . . ორ დღეში ორმოცი ლიე გაიარეს და ორმოცდაათი კაპიკის მეტი არ დაუხარჯავთ“, გაოცებას ვერ მალავს გემრიელი სმა-ჭამის მოყვარული ფრანგი“.

ანუ, მინდა ვთქვა, რომ ანეკდოტები იმერლებზე კვების თავშეკავებული სტილითაა „შთაგონებული“.

სხვათაშორის, **ფსიქონალიზის თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, იმერლების სტუმრისადმი „გადაჭარბებულად გამოვლენილი სიყვარული“, ეკონომიკური სიღარიბის კომპენსაციაა;** ფსიქონალიზის მიხედვით ხომ ყოველი სათნოება მისი საწინააღმდეგო მანიკერებიდან იღებს სათავეს; მაგალითად, გმირობა არის მშიშარობის კომპენსაცია, გულუხვობა – სიძუნწის და ა. შ. ამ სადაო და არც თუ სასიამოვნო ინტერპრეტაციის აქ მოტანა, ანეკდოტების სფეროს არ მოუხდება, რის გამოც მისგან თავშეკავებას ვამჯობინებ.

რაჭული სიღინჯის ღიმილის მომგვრელი ეპიზოდები

რაჭველი ვაჟკაცი, ომის დროს, სხვა დესანტებთან ერთად, მტრის ზურგში გადასხეს. მას პარაშუტიანი ზურგჩანთა აჰკიდეს და თან აუხსნეს – ათამდე რომ დათვლი, ზონარს ხელი გამოჰკარი და პარაშუტი გაიხსნებაო (ის რაც მტრის ზურგში უნდა გაეკეთებინა, ზეპირად ჰქონდა ნასწავლი).

დესანტი რომ თვითმფრინავიდან გადასხეს, რაჭველის პარაშუტი არ გაიხსნა, დედამიწისკენ ქვასავით დაეშვა და რაჭველი ჭაობში თავით ჩაერჭო ისე, რომ მტრის ტერიტორიაზე ვერც მიაღწია.

მისიანები მისაშველებლად გაქანდნენ; ლაფში თავით ჩარჭობილი რაჭველი რის ვაივაგლახით ამოათრიეს – ქვე ააათი! ძლივს ამოთქვა რაჭველმა და გონი დაკარგა, ძლივს მოასულიერეს!

ერთხელაც, რაჭველები ონიდან შოვში სამუშაოდ მიდიოდნენ. მეორე მხარს რიონზე დაკიდული (ბეწვის) ხიდით უნდა გადასულიყვნენ. შეყოყმანდნენ, ხიდი

ნაკლებ საიმედოდ გამოიყურებოდა და მისი გამძლეობის შემოწმება მოინდომეს; ვიღაცამ თქვა – ქვე დავაზანზაროთ, თუ არ ჩაწყდა, ქვე გადავიდეთო!

შედგნენ რაჭველები დაკიდულ ხიდზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ მისი „დაზანზარება“ დაიწყეს, მანამ აზანზარებდნენ, სანამ ხიდი არ ჩაწყდა და რაჭველები ზედ მძივებივით დაეკიდნენ.

ერთ გოლიათ რაჭველს, სხვა დროს, მდინარეზე, სადაც ხიდი წყალს წაეღო, ხალხი გადაჰყავდა – თითო კაცს ორივე მხარეს ამოიღლიავენ და ორ-ორ მანეთად მეორე მხარეს უპრობლემოდ გადაყავდა.

ერთხელაც, შუა წყალში, რაჭველმა ცხვირი მოიფხანა, ერთი ამოღლიავებული კაცი კი გაუვარდა და წყალმა წაიღო. ნაპირიდან უყვირიან – არიქა უშველქო, წაიღო, წყალმა კაცი წაიღოო...

– ქვე ორი მანათის დედაც... ო, დარდიმანდულად ჩაიბურღუნა რაჭველმა და გზა განაგრძო.

იქ რომ ხალხი არ ყოფილიყო, ეს სახუმარო ამბავი ტრაგიკულად დამთავრდებოდაო.

თბილისიდან ონში დაბრუნებულმა რაჭველმა თავის მეზობლებში დაიტრაბახა

– თბილისში ტაქსის მძღოლი დავატყუანეო! (მოვატყუეო); – როგორაო?

– როგორ და, ფული მივეცი და შიგ არ ჩაგვჯექიო!

ერთხელ კი, რაჭველი თბილისიდან თავის სოფელში მაგრად გაღახული ჩავიდა.

– ქვე რა დაგემართა შე კაცო, ქალაქელი კინტოები ე მთა კაცს რავა მოგერიენო!

– ქვე გულის მოსვლა არ დამაცადესო, გაიმართლა თავი რაჭველმა.

ამ ანეკდოტების სიცილის ობიექტი რაჭველების შენელებული რეაქციებია, რაც მათი დაგვიანებული მიხედვითობის მიზეზად არის მიჩნეული. დაგვიანებული რეაქციები – ფლეგმატური ტემპერამენტის მქონე ადამიანებს ახასიათებთ.

ფსიქოლოგების თქმით **ფლეგმატური ტემპერამენტის ადამიანებს სიმშვიდე-სიწყნარისკენ მიდრეკილება აქვთ და შენელებული მოქმედებები ახასიათებთ; შეუძლიათ სტრესულ სიტუაციებს კარგად გაუმკლავდნენ; არ უყვართ გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება; მოწესრიგებულები და და მტკიცე ხასითისანი არიან; არ ახასიათებთ ლიდერობისაკენ სწრაფვა; საზოგადოების წინაშე თავისი აქტიურობის დემონსტრირების აუცილებლობისას დისკომფორტს განიცდიან; ბუჯითითები და შეუპოვრები არიან, რაც თავისი თავის რეალიზების აუცილებელი პირობაა.**

ამგვარი თვისებების გამო რაჭველები პირველობაში თითქმის არასოდეს არავის ეცილებიან, ნაკლებ კონფლიქტურები არიან და სულაც არ სწყინთ, როცა მათზე ხუმრობენ.

ამაყი სვანების ანეკდოტები და სიამაყის „საფრთხეები“

რომელიმე ხალხის სიამაყეზე როცა ვლაპარაკობთ, პირველ რიგში ამაყი სვანები გვახსენდება, ხოლო სვანებზე საუბარი იმ ანეკდოტებს გვახსენებს, რაც გასული საუკუნის ბოლოს და ახალი საუკუნის დასაწყისში ჩვენში ინტენსიურად „წამოვიდა“.

1. სვანებზე ანეკდოტები „დანგრატის ინციდენტით“ დაიწყო:

ტრასაზე სვანს მანქანის საბურავმა უმტყუნა; სვანმა შემხვედრი მანქანა გააჩერა და მძღოლს დანგრატი თხოვა; უცნობი მძღოლი შეწუხდა – დანგრატი არამაქესო;

– მაიტა დანგრატი! ბრაზი გაურია ხმაში სვანმა;

– რაც არ მაქვს, როგორ მოგცე! უკვირს იმ უცნობ მძღოლს;

მათ შორის ბრაზიანი დიალოგი ჩხუბში გადაიზარდა; გამვლელი მანქანა გაჩერდა – რაშია საქმეო?

გაჭირვებაში ჩავარდნილ მძღოლს გაეხარდა, იფიქრა მეშველო, მაგრამ იმ მანქანაშიც სვანები მსხდარან; რომ გაიგეს საქმე რაშიც იყო, ახლა ისინი აშარდნენ – მიეცი ჩქარა დანგრატიო! გადაირია ის უცნობი მძღოლი – ვააა! ეს ვის გადაეყვარე, ამ ხალხს ვერ გავაგებინე, რომ დანგრატი არ მაქვსო!

დაერივნენ სვანები იმ მძღოლს და ისე სცემეს, სასწრაფო დახმარება დასჭირდათ;

სასწრაფოს ექიმმა რომ ჩხუბის მიზეზი გაიგო, პაციენტს საყვედურით უთხრა – შე კაი კაცო, მიგეცა ეგ დანგრატი და ის იქნებოდა, ჩხუბიც არ აგორდებოდა და შენც შინ მშვიდობით დაბრუნდებოდიო!

მძღოლი ისე მაგრად იყო ნაცემი, რომ მალე გარდაიცვალა; დაკრძალვაზე დედა ტიროდა – შვილო, შვილო, ნეტავი მიგეცა ეგ დანგრატიო თუ რაღაც ჯანდაბა! ახლა ხო ცოცხალი მეყოლებოდიო!

სვანმა ქორწინების შესამე დღეს ცოლი მოკლა; – რათ მოკალიო?

– ქალიშვილი არ იყო!

– თუ ქალიშვილი არ იყო, რატო პირველ დამეს არ მოკალიო?

– მაშინ იყო! „გაიმართლა“ თავი სვანმა.

სვანმა მეგობარი თავის სოფელში დაპატიჟა, სვანეთში; ჯერ თვითმფრინაით იმგზავრეს, მერე ავტობუსით, მერე – ცხენით, მერე ორსართულიან სახლზე მიუთითა, გვერდს კოჭი რომ უმშვენებდა;

– აი ეს ჩემი სახლია, კოჭიდან რომ ქალი იცქირება, ის ჩემი ქალიშვილიაო! ამაყად აუხსნა სტუმარს;

– ქალიშვილი იქნება, აბა რა! ამ სიშორეზე რომელი კაცი ამოვიდოდა მის შესაცდენადო! დაუდასტურა სტუმარმა.

სვანი ცხენს მიაჭენებს. ხედავს, ენგურის პირას მეგრელი დამბაჩით ხელში ზის; დამბაჩას შუბლთან მიიტანს, ჩამოიღებს, მიტანს, ჩამოიღებს, თან ტირის;

– რაშია საქმე? ეკითხება სვანი;

– რა და, თავის მოკვლა მინდა, მაგრამ ვერ ვბედავ, მეშინიაო!

სვანი მეგრელს დამბაჩას გამოსტაცებს

– თქვენ ვინ მოგვით მავის ვაჟკაცობა! დაცინვით ეტყვის, – აი, მიყურე, ისწავლეთ მეგრელებმა ეს როგორ უნდა! დამბაჩას შუბლთან მიიტანს, სასხლეტს თითს გამოჰკრავს და მეგრელს ვაჟკაცობის მაგალითს უჩვენებს – ასწავლის როგორ უნდა დაიხალოს დამბაჩა!

სვანებზე გამოთქმული ანეკდოტების უმრავლესობაში მთავარი „გმირები“ სიამაყე მოჭარბებული სვანები არიან, რაც თავის მხრივ „ზომიერების პრინციპის“ დარღვევის და პატივმოყვარეობაში გადაზრდის საფრთხეს შეიცავს (ხშირად ამპარტავნებასაც).

საქმე იმაშია, რომ თვითპატივისცემის მოთხოვნილება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყველა ადამიანს აქვს. შესაბამისად, მის გამოვლენებს ხალხმა (ჩვენმა წინაპრებმა) „თავმოყვარეობა“ დაარქვა, უფრო ინტენსიურს – „პატივმოყვარეობა“, კიდევ უფრო ინტენსიურს – „ამპარტავნება“.

როგორც წესი, „თავმოყვარეს“ ისეთ ადამიანს ვუწოდებთ, ვინც იმის გამო, რომ თავი უყვარს „ცუდს არ იკადრებს“; მაგრამ როცა თავი „კიდევ უფრო მოჭარბებულად“ ანუ ამპარტავნულად უყვართ (ამპარტავნება – „თავისი ნაქმნარის მამწონემელი და სწავლების მოთაკილე“), ის მუდამ ეჭვშია – ხომ არაინ ემუქრება მის (ან წინაპრების) თავმოყვარეობას?

„უზომოდ თავმოყვარე“ (პატივმოყვარე) ადამიანების კონფლიქტური სიტუაციები, პატარპატარა გაუგებრობებს და სიცილს იწვევს, რაც ერთგვარი გაფრთხილებაცაა

და პრევენციაც, უფრო დიდი ცოდვის ჩადენისგან თავშეკავების საჭიროებას რომ მიანიშნებს, „უზომო პატივმოყვარეობა“ კი ამპარტაუნებაში გადადის და უფრო დიდი ცოდვის ჩადენის საფრთხეს ქმნის.

„მომეტებულად თავმოყვარე“ (პატივმოყვარე) ადამიანი აიკვირებს მტანჯველ ეჭვს. ეჭვი, ახალ ეჭვს ბადებს, რაკი ის თავის თავში გაზრდა-გამრავალფეროვნების ტენდენციას შეიცავს. რასაც შეუძლია „მოთმინება დააკარგინოს“ ადამიანს და დანაშაულიც კი ჩაადენინოს; ანუ, ეჭვი ფსიქიკას „ხურავს“ და ადამიანს გაგების უნარს უწლუნგებს; რაც უფრო მომეტებულად თავმოყვარეა (ამპარტაუნია) ადამიანი, მით მეტად აღარ ესმის მისი ეჭვის გამაბათილებელი არგუმენტები.

ხშირად ეჭვი იუმორის გრძობასაც კლვს; რაიმე დეტალის ასახვის ანეკდოტური ფორმა – ცალკეული ნაკლის თუ კომპლექსის უზომო გაზვიადება - იუმორი კი მას უფრო რეალურად აღსაქმელს და გასაგებს (მისაღებს) ხდის. იუმორისტული სიტუაციის წარმოდგენის (ხელოვნურად შექმნის) ხერხი კონფლიქტის პრევენციის საუკეთესო საშუალებად ითვლება, რასაც ანეკდოტური ასახვის ფორმით ზოგჯერ სტიქიურად, მაგრამ ალბათ ზოგჯერ გამიზნულადაც მიმართავენ ბრძნულად მოაზროვნე ადამიანები.

თავის მხრივ სიცილიც შეგლის „ფსიქიკის გახსნას“ – გაგების უნარს ამაღლებს, რაც შეგებს გერის, განწყობას უუმჯობესებს, შრომისუნარიანს, მოსიყვარულეს და ხალისიანს ხდის ადამიანს, რის გამოც ის ფსიქოთერაპიის კარგ საშუალებად არის მიჩნეული.

ამიტომ, ხშირად გაიგონებთ გამოთქმას – იუმორი გადაარჩენს კაცობრიობას! „გადარჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ, ალბათ, ცხოვრება უფრო აუტანელი იქნებოდა იუმორი რომ არ იყოს!

„ქვეიანურები“ საერთო-სახალხო ანეკდოტებში

ჯოჯოხეთში, ცოდვილების ეთნიკურ-ფსიქიკური თავისებურებები

ამ ანეკდოტში, ჯოჯოხეთში, ადუღებულ კუბრში, სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ცოდვილები იხარშებიან.

სომხების ქვაბთან ორი ეშმაკი დგას, ერთი – ცეცხლს დარაჯობს, როცა მიინავლება, შეშას უმატებს; მეორე ეშმაკს ხელში ფიწალი უჭირავს და ქვაბს

მეთვალყურეობს; სომხები ერთმანეთს ქვაბიდან ამოდრომაში ეხმარებიან, ფიწლიანი ეშმაკი კი მას ისევ უკან, ადუღებულ კუპრში აბრუნებს;

ქართველების ქვაბთან ერთი ეშმაკი დგას, ის მხოლოდ ცეცხლს უმატებს, ხოლო თუ ვინმე თავად მოახერხებს კუპრიდან თავის ამოყოფას, კუპრში მოთუხთუხე სხვა ქართველი მას ფეხში ხელს ჩააგლებს, დაქანავს და უკან ჩააბრუნებს ისე, რომ მეორე, ფიწლიანი მეთვალყურე საჭირო აღარაა.

რუსების ქვაბს არც ერთი ეშმაკი არ დარაჯობს; ისინი ადუღებული კუპრიდან რიგრიგობით ამოდიან, ცეცხლს შეშას შეუკეთებენ, მერე უკანვე ჩაბრუნდებიან და იხარშებიან.

ამ ძველისძველი ანეკდოტზე გულიანად ვიცინოდით; სიცილი განსაკუთრებით მაშინ იფეთქებდა, როცა რუსების „კანონმორჩილებას“ – რიგრიგობით ადუღებული კუპრიდან ამოსვლას, ცეცხლის შენთებას და ისევ საკუთარი ნებით შიგ ჩასვლას წარმოვიდგენდით.

ამ ანეკდოტში, „ეთნიკური სულისთვის“ დამახასიათებელი თვისება ისე გაზვიადებულად, ზოგადად და აბსტრაქტულად, იუმორითაა გაჯერებული, რომ რეალურობისგან შორსაა: თუმცა აშკარად ჩანს ყველასთვის ნაცნობი ნაციონალური სული ისე, რომ კონკრეტული ადრესატი არ ჩანს; ამიტომ, ის არც არავის წყინს. მიუხედავად ამისა, სამწუხარო დასკვნის გაკეთებაც შეიძლება – ქართველებს, თურმე, ერთმანეთის გატანაზე მეტად შური გვახასიათებს. სულხან-საბას მიხედვით შური არის „წუხილი სხვათა სიკეთესა ზედა“; ადუღებული კუპრიდან საკუთარი მცდელობით ამობობლებულ ქართველს რომ ქართველივე უკან ჩააბრუნებს, სხვა არაფერია, თუ არა შური.

სომხებს – სოლიდარობის, ერთმანეთზე ზრუნვის და „ურთიერთდახმარების სული“ უფრო პქონიათ, ხოლო რუსებს – კანონისადმი მორჩილების, რაც, ხშირად, ქართველისთვის სასაცილოდ უფრო აღიქმება, ვიდრე ღირსებად.

ვისაც მოსკოვში მცირე ხანს მაინც უცხოვრია, თვალში უსათუოდ მოხვდებოდა საოცარი წესრიგი – რიგები მაღაზიებში, ავტობუსის ან ტაქსის განხერხებზე, მატარებლების და მეტროს სადგურებში... რუსი მოქალაქეების რეპლიკებიც ეხსომება – როცა ვინმე ამ რიგს არღვევდა, მაღაზიაში ურიგოდ მიძვრებოდა, ავტობუსში ბილეთს არ იღებდა, ქუჩას უადგილო ადგილას გადაჭრიდა ან სულაც წითელ შექზე გადადიოდა, ვინმე უსათუოდ წამოიყვებოდა – ქართველი იქნებაო!

არც ის ანეკდოტი ლაპარაკობს ქართული სულის სასარგებლოდ, როცა „კანონმორჩილებას“ დავცინით.

მაგალითად, არის ასეთი ანეკდოტი: დაჯდა ქართველი სკამზე; შეერჭო ქნძისთავი; გაჯავრებული წამოხტა – ვინ ეშმაკმა დაარჭო აქ ქნძისთავი! – დაიდრიალა და ქნძისთავი შორს მოისროლა;

დაჯდა სომეხი; შეერჭო; – ვაა! ქნძისთავიი? გოცვებით თქვა და ქნძისთავი გულისპირში გაირჭო (გამომადგებო; სომხური წინდახედულება);

დაჯდა რუსი; შეერჭო; – ვა! ქნძისთავიი? ზნაჩიტ ტაკ ნუჟნა! (ესე იგი, ასეა საჭიროთ) თქვა, ისევ დაარჭო და ისევ ზედ დაჯდა! (რუსული კანონმორჩილება).

კიდევ ერთი ანეკდოტის მიხედვით, გოგონა დგას ქუჩაზე, გადასასვლელთან და ტირის; – რათ ტირიო, კეითხება უცნობი ძია;

– მამამ მითხრა მანქანა რომ გაივლის მერე გადადიო; რამდენი ხანია ვუცდი და მანქანა არ გამოჩენილა!

ამ ანეკდოტებს ჩვენი, ქართველების გულიანი სიცილი ახლავს. რუსები კი ამ ამნეკდოტებში სასაცილოს ვერაფერს ხედავენ (ვროპელები?), რაკი მათთვის „ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე“, გამონაკლისის გარეშე.

რომელი ჯობია, ქართული დაუდევრობა, თავისი მავნე შედეგებით თუ რუსული – თუნდაც უაზრო კანონის ერთგულება?

რატომ არ შეიძლება თეთრ დათვებზე ფიქრი ანუ რატომ ვერ შეძლეს ხელოვნურად

ოქროს მიღება: ანეკდოტის მთავარი პერსონაჟი ალქიმიკოსია, რომელიც

ხელოვნურად ოქროს მიღებას ამოდ ცდილობს. ის, ერთერთმა მისმა ავის მსურველმა მეფე ლუდოვიკო რომელიდაცასთან დაასმინა – ხელოვნურად ოქროს მიღების საიდუმლო იცის, მაგრამ არ გიმხელთო!

ლუდოვიკო (რომელიდაცა) გადაირია – რას ქვია არ მიმხელს, სანქაროდ აქ მომგვარეთო!

მოჰგვარეს; მეფემ უბრძანა სამ დღეში თუ ოქროს მიღების ფორმულას არ მომიტან, გილიოტინაზე დაამთავრებ სიცოცხლესო.

ალქიმიკოსი შეშინდა, მაგრამ არ დაბნეულა, დაფალების მიცემიდან მესამე დღეს ფორმულებით აჭრელებული ეტრატო მეფეს მიართვა და „ინსტრუქცია“ დაურთო

– როცა თქვენი ქიმიკოსები ოქროს მიღებას შეუდგებიან, არავითარ შემთხვევაში თეთრ დათვებზე არ იფიქრონო!

ეს იყო და ეს! როგორც კი ალქიმისტები „საქმეს“ შეუდგებოდნენ, მაშინვე თეთრი დათვები ახსენდებოდათ! ცხადია, ოქროც ვერ მიიღეს!

ასე გადაარჩინა ფსიქიკის „საიდუმლოების“ ცოდნამ ალქიმისტი!

ეს ანეკდოტი შუასაუკუნეების სიუჟეტზეა მოფიქრებული. მისი სადაურობის დადგენას, ამჟამად, არ აქვს მნიშვნელობა; ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ის კაცობრიობის ფსიქიკისთვის ერთნაირად დამახასიათებელ საერთო „საიდუმლოზე“ მიგვანიშნებს, კერძოდ, „აკრძალვის წინააღმდეგ წასვლის სურვილზე“; ესაა ფსიქიკური ფაქტორი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ როგორც „თავისუფლების ინსტინქტიდან“ გამომდინარე „მეამბოხება“ (რომლის მანიკერი ფორმა სიჯიუტეა), ისე ცნობისმოყვარეობა და აქედან მომდინარე ცოდნისმოყვარეობა!

ანუ, ეს ის „ეშმაკია“ რომელმაც დაგვარწმუნა, რომ რაიმეს აკრძალვა მისი დარღვევის სურვილის სტიმულია, განსაკუთრებით ეს აზროვნების სფეროს შეეხება. სწორედ მან უკარნახა „პირველ ადამიანს“ „დაუმორჩილებლობის ცოდვა“, რის გამოც ამბობენ – კაცობრიობის ისტორიას სამოთხიდან განდევნას უნდა ვუმაღლოდეთო (ერის ფრომი).

ექვსი გენოსი ებრაელის ანეკდოტი

ეს ანეკდოტი კაცობრიობის მამოძრავებელი სტიმულის ძიებას ეხება; ანუ, ესაა ანეკდოტური პასუხი კითხვაზე - რა ამოძრავებს კაცობრიობას, საიდან იღებს იმ ენერგიას, რომელიც მას შრომის, ძიების, ბრძოლისა და საერთოდ აქტიუობისათვის ჭირდება?

ამ კითხვის ანუ დოტური „პასუხი“ ასეთია:

ადამიანს აქტიუობისთვის საჭირო ენერგიას აძლევს:

ღმერთი (მოსე);

გონება (სპინოზა);

გული – კეთილი და ბოროტი ემოციები (იესო);

კუჭი (მარქსი);

კუჭის ქვემოთ რომ სართულია (ფროიდი);

ყველაფერი შეფარდებითია (აინშტაინი).

ესაა ანეკდოტური პასუხები, რომელიც ძალიან (ანეკდოტურად) ჰგავს მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ თეორიებს, „მცირე“ დაზუსტებებით;

მოდით დავაზუსტოთ:

რომელი გენიოსის პასუხია არასწორი? ცხადია ვუპასუხებთ, რომ ყველა სწორია, ამ ჩამონათვალთან ვერც ერთს ვერ ამოვიღებთ; მაგრამ თუ მათი სასაცოცხლო ფუნქციების მნიშვნელობებსაც გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ამ მხრივ განსხვავებებთან გვაქვს საქმე; განვიხილოთ ყველა მათგანი ცალცალკე:

კითხვაზე – თუ რა აძლევს ადამიანს აქტივობისთვის საჭირო ენერჯიას, ბიბლიური მოსეს პასუხია – **ღმერთი**, რაკი ყველაფერი, რაც ადამიანის თავს ხდება, ღვთის ნებითაა; რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს „უღმერთოდ“ არსებობა? ჩემმა თაობამ, ასე ასე თუ ისე, 70 წელი იარსება.

გონება? სპინოზას აზრით ადამიანს გონება კარნახობს და აიძულებს იშრომოს, იღვაწოს და თავად შეიქმნას არსებობის საშუალებები; რამდენად აუცილებელია გონება, აზროვნება, მეცნიერება ადამიანის არსებობისთვის? ალბათ უმისოდ წარმოუდგენელია თანამედროვე ადამიანური ცხოვრება, მაგრამ ხომ იყო პერიოდი, როცა უმისოდ ადამიანი ცუდად, მაგრამ მაინც არსებობდა?

გული (იესომ); მართალია, გული სისხლის მიმოქცევის მარეგულირებელი „უბრალო“ ანატომიური ორგანოა, მაგრამ ყველა ემთხვევა „მისზე გადის“, სიკეთე – აშენებს, აშვიდებს, ატკობს, იზიდავს; ბოროტება – ანგრევს, ტანჯავს; თავდაცვას, გაქცევას, ბრძოლას აიძულებს და თუ ამის გარეშე ადამიანს წარმოვიდგენთ, ცუდად, მაგრამ ერთხანს მაინც იცოცხლებს, ცხოველური სიცოცხლით.

კუჭი – მარქსმა; მართალია მარქსი მთლად ასე უხეშად ამას არ ამბობს (ესაა ვულგარულ-მატერიალისტური გაგება), მაგრამ თუ ამ ანეკლოტურ პასუხს ბოლომდე მივეყვებით, უთუოდ დავეთანხმებით; ყველა ამ ჩამონათვალში, დროითი განზომილების გათვალისწინებით, კუჭი ყველაზე უფრო პრეტენზიულია, რამეთუ, ზოგიერთი მონაცემებით ადამიანი, უსმელუჭმელად სამ თვეზე მეტხანს ვერ ძლებს (ხანდახან წერენ – ექვს თვემდე შეიძლება რომ იცოცხლოს, მაგრამ ეს აღარაა ადამიანური არსებობა, ესაა უმარტივესი – ჭიაყელას მაგვარი სიცოცხლე).

„კუჭის ქვემოთ“ არის გამრავლების ორგანოები. მათი ფუნქციების გარეშე, ალბათ, ასე თუ ისე, კაცობრიობა ას წელს მაინც იარსებებდა.

ამგვარად, აქტივობის წყაროებს შორის კუჭი და მისი მოთხოვნები იმდენად უფრო აუცილებელია, რომ უმისოდ, დიდდიდი სამ თვეს იცოცხლოს ადამიანი, ისიც ისე, როგორც უმარტივესმა ცოცხალმა არსებამ, ისეთმა, როგორც ჭიაყელაა.

რაც შეეხება აინშტაინის ვარაუდს – ყველაფერი შეფარდებითიაო, იმას ნიშნავს, რომ ადამიანებისთვის მართალია ყველა ამათგანი აუცილებელი მამოძრავებელი სტიმულია, მაგრამ, ზოგისთვის თუ გონების კარნახით აქტივობაა მთავარი (მაგალითად, იმანული კანტისთვის), სხვისთვის ღვთის ნებაა წარმმართველი (მაგალითად, განდევილისთვის, ვისთვისაც მთავარი სასიცოცხლო ენერჯის წყარო ღმერთის სამსახურია), ვიღაცისთვის – კუჭის პრობლემები დომინირებს (ლუარსაბ თათქარიძისთვის), ვიღაცისთვის კი – კუჭის ქვემო სართული (მაგალითად ვინ გამოდგება? კაზანოვა?).

გამოდის, რომ კუჭის (ეკონომიკის სინონიმად იხმარება) პრობლემები ყველაზე ადრე მოუღებს ბოლოს კაცობრიობას, თუ მან, ღვთის ნებით და ადამიანების მცდელობით, მისი გადაჭრის საშუალებების მოპოვება-გამრავლფეროვნება ვერ მოახერხა.

ასე და ამგვარად, ანეკდოტებში, ხშირ შემთხვევებში, სახალისოდ გამოთქმული „ჭკვიანურობები“ გადმოცემული და ისინი, ფსიქოთერაპია-გახალისებასთან ერთად შემეცნებით-ინფორმაციული ფუნქციების მატარებელნიც კი არიან.

თანამედროვე ანეკდოტი

ამ ანეკდოტში ბებია დგას მეტროს ვაგონში, ცალი ხელით თავს ზემოთ სახელურს ჩაკიდებული და იქეთ-აქეთ იყურება – იქნებ ვინმემ მოიფიქროს და ადგილი დაუთმოს;

მაგრამ ეს აზრად არავის მოსდის. ბებია აშკარად შეწუხებული ჩანს, მაგრამ მისთვის ადგილის დათმობას არავინ აპირებს.

ამ დროს პატარა გოგონა, რომელიც თავადაც საკუთარი ბებიის გვერდით ზის, უცხო ბებიას ინტერესით ასცქერის და როცა ფეხზე მდგარი უცნობი ბებიის მზერას შეხვდა, თამამად ეკითხება

– ბებო, ფეხები გტკივაა?

– ხო, შვილო, მტკივა! სწრაფად უპასუხა იმით გახარებულმა უცნობმა ბებიამ, რომ ვიღაცამ შეამჩნია მას რომ ფეხები ტკივა და უთუოდ ადგილის დათმობას აპირებს;

– ბებო, თქვენ რომ ბავშვი იყავით, უთმობდით ხოლმე ადგილს?

– ხო, შვილო, ვუთმობდი ხოლმე, უპასუხა კიდევ უფრო გახარებულმა ბებიამ;

– ხო, და იმიტომ გტკივათ ახლა ფეხები!

უტიფრად მიუგო ბავშვმა და მგზავრების თვალიერება განაგრძო.

ეს ანეკდოტი თანამედროვეობის შესაფერი მორალისა და ფსიქიკის მიერაა ნაკარნახევი. ენამოსწრებული ბავშვის საქციელს ე.წ. „ძველებურად მოაზროვნები“ მწუხარებანარევი დიმილით ისმენენ, „ახლებურად მოაზროვნები“ – თამამი ბავშვის გაბედულებით კმაყოფილი დიმილით.

ბუნებრივია ცხოვრების ახლებური წესი, ახლებურ მორალსა და ზნეობრივ ნორმებს კარნახობს ადამიანს, რაც ძველ თაობას ნაკლებად აწყობს; ორივეს აქვს თავის გასამართლებელი „საბუთი“ – ძველი თაობა მუდამ უთმობდა ადგილს უფროსებს, ისინი ახლა ახალ თაობას უთმობენ ადგილს, ყველგან – ოჯახში, სამსახურებში, ტრანსპორტში, ანუ, მათ სულ „ფეხზე დგომამ“ მოუწია, რასაც უსამართლობად განიცდიან.

ახალგაზრდებიც, თავისი „გადასახედიდან“ მართლები არიან – ყოველ დილით სკოლაში მიყავთ სახლიდან შორს, მეტროთი მგზავრობას თითქმის ერთი საათი **ჭირდება**, მთელ დღეებს „მჯდომარეები“ ატარებენ – სკოლაშიც, სახლშიც, გაკვეთილების მომზადებისას, ტელევიზორთან ან კომპიუტერთან; ეზოში იშვიათად ან საერთოდ არ ჩადიან, იქ ან მოზრდილი ბიჭები „აბირჟავენ“ და ამიტომ მშობლები არ უშეებენ, ან მანქანებს აქვთ დაკავებული მთელი ტერიტორია და მათთვის ადგილი აღრაა, ან ფასიანი სპორტული მოედნები და დარბაზები მათთვის ხელმიუწოდომელი, ძვირი სიამოვნებაა, ან ოჯახის წევრებს დრო არ აქვთ, რომ იქ ატარონ, ან ყველა მიზეზი ერთად; მოძრაობას გადაჩვეული გაუვარჯიშებელი სხეულები კი მათ ისევ უძრაობისკენ უბიძგებთ; როცა ამდენი პრობლემაა, რა დროს ზრდილობაა, თავადაც ფეხზე ძლივს დგანან! აი რას გვეუბნება ანეკდოტი, თუკი მის „გაშიფვრას“ მოვინდომებთ.

Comment [E1]:

დაფიქრებული „ასფეხას“ და „ბურიდანის ვირის“ ტრაგედია

„ასფეხა“ მუქი-ყავისფერი 3-4 სანტიმეტრიანი ჭიაა, უამრავი ფეხით; არ ვიცი ვინ დათვალა ან მართლა ასი ფეხი აქვს თუ მეტი ან ნაკლები, მაგრამ ისე სწრაფად ამოძრაებს თავის აბრეშუმივით მოლიველივე უამრავ (ას) ფეხს, თითქოს მისრიალებს.

სწორედ ამ უამრავ (ას) ფეხას ჰკითხეს – კი, მაგრამ, როგორ ათანხმებ ერთმანეთთან ამდენ ფეხს, რა იცი როდის რომელი უნდა გადადგა, არასოდეს რომ არ გეშლებო?

ასფეხა დაფიქრდა და... ველარ გაიარა!

ეს ანეკდოტი-ხუმრობა მეტისმეტად ფიქრიანი ადამიანის ტრაგიზმზე მიგვანიშნებს. ვინ არ ვიცნობთ დაუფიქრებლად გადაგმული ნაბიჯით უკმაყოფილო ადამიანს (ადამიანებს) და მათ ტრაგიკულ ბედს! მათი მაგალითი დაფიქრებისკენ, გონიერულობისკენ და სიდინჯისკენ მოგვიწოდებს; მაგრამ მეტისმეტი რომ არაფერი ვარგა, ესეც კარგად ვიცით – „მეტისმეტი – რეტისრეტო“ – უთქვამს ჩვენს წინაპრებს („რეტი“ – უგონოდ ყოფნაა. „რეტის დასხმა“ – უგონო მდგომარეობაში ჩავარდნა). ამ ანდაზის სათქმელი ანტიკურ ფილოსოფიაში „ოქროს შუაგულის“ ცნებით გამოხატეს.

„ოქროს შუაგული“ – ორ უკიდურესობას შორის სწორი არჩევანი ისევე რთულია, როგორც წრის ცენტრის მოძებნა სპეციალური ხელსაწყოთა დაუხმებლად.

ამგვარად ორ უკიდურესობას შორის არჩევანის პრობლემას მივადექით, რაც თავის მხრივ აგრეთვე რთული ამოცანის წინაშე აყენებს ადამიანს, რაც მხოლოდ ბრძენს შეუძლია, ისიც - მეტ-ნაკლები სიზუსტით!

იგივეს გვასწავლის „ბურიდანის ვირის“ ანეკდოტიც: ფილოსოფოსს, ვინმე ბურიდანს ვირი ჰყოლია, რომელიც თივით საესე თავლაში შიმშილით მოკვდა; იქ, სადაც ვირი იყო დაბმული, ორ კუთხეში თივა ეწყო; მოშიებულ ვირს ერთერთის ამორჩევა შეეძლო, მაგრამ ეს იმ უბრალო მიზეზით ვერ მოახერხა, რომ თივის ორივე გროვა – მარჯვნივაც და მარცხნივაც, ორივეგან ერთი ფერის, მოცულობის და სურნელის იყო; ვირმა ბევრი იფიქრა რომელი ამოერჩია, მაგრამ ასარჩევებს შორის განსხვავების საპოვნელად იმდენი იფიქრა, რომ ამასობაში შიმშილით მოკვდა. აქაც „მეტისმეტი ფიქრის“ ტრაგიკულობაზეა აქცენტი.

ამ ანეკდოტებით ნათქვამია, რომ სწორი არჩევანი შემოქმედებითი პროცესია და შეუძლებელია ის წიგნებში ამოიკითხო, ვინმეს რჩევით გააკეთო, ან „მეტისმეტმა“ დაფიქრებამ გიშველოს.

არჩევანს ბევრი რამ განსაზღვრებს, რის გათვალისწინება, წინასწარ, მხოლოდ ბრძენს შეუძლია (მინდა აქაც გავისხენოთ, ბევრი ინფორმაციის ფლობა რომ სიბრძნეს არ ნიშნავს); ამიტომ შეცდომები მრავალი ინფორმაციის მქონე ადამიანებსაც მოსდით. „ზომიერება“ კი ის იშვიათი განძია, რასაც მხოლოდ ბრძენი ფლობს.

დიდ ადამიანებს უთთქვამთ: „არა ვარგა უსაზომო... „ (რუსთაველი); „ვინც უარი თქვა ზედმეტობაზე, ის აკრძალვებისგან გათავისუფლდა“ (იმანუილ კანტი); „ზომიერება ნაკლოვანებებისგან საიმედო დამცველია“ (დეონარდო და ვინჩი); „ზომიერი ხასიათის ადამიანებს ცხოვრება მოწყობილი აქვთ“ (დემოკრიტე).

თავი 8. ქართულ ანდაზებში „დამალული“ ფსიქონალიზური (ვეროპული) სიბრძნეები

ადამიანის განათლება ანდაზებით უნდა დაიწყო
და აზრებით უნდა დამთავრდეს (სენეკა).

ფოლკლორი აზროვნებას გვასწავლის,
მეცნიერება – გამზადებულ პასუხებს
გვთავაზობს (რ.გ.).

„სადაც არის ბედი შენი...“ და „ოიდიპოსის კომპლექსი“

ადამიანის ფსიქიკის „საიდუმლოების“ ახსნა ქცევის არაცნობიერი სტიმულების გაცნობიერებას მოითხოვს, რის შესახებ მოძღვრება ზიგმუნდ ფროიდის სახელს დაუკავშირდა; თუმცა, როგორც ჩანს, კაცობრიობამ ოდიოგან იცოდა არაცნობიერი ფსიქიკის („აისბერგის წყალქვეშა ნაწილის“) „საიდუმლოები“ რაც ფოლკლორში აისახა – მითოლოგიაში, ანდაზებში, ზღაპრებში, ანექდოტებში, თქმულებებში და თვით ცრურწმენებშიც კი (სწორედ მითოლოგია დაიმოწმა ფროიდი „ინცესტის“ და სხვა „საიდუმლოების“ ასახსნელად).

მაგალითად, ოიდიპოსის მითის მიხედვით, ორაკულმა თებეს მეფეს თავისი ვაჟის ხელით სიკვდილი უწინასწარმეტყველა; ამის გამო, მითის ერთერთი ვარიანტის მიხედვით, როდესაც უფლისწული დაიბადა, მამამ იგი მონას გადასცა, მოსაკლავად (სხვა ვარიანტში – გადასაგდებად); მან კი ბავშვი სხვა სახელმწიფოს (კორინთოელ) მწყემსებს მიჰყიდა, რომლებმაც იგი თავიანთ უშიშრო მეფე-

დედოფალს მიჰგვარეს; ბავშვს ოიდიოსი დაარქვეს და როგორც საკუთარი შვილი, ისე გაზარდეს.

როცა ოიდიოსი დავაჟიკა, სამისნომ მას საშინელი ამბავი უწინასწარმეტყველა – შენ მოკლავ მამას, ცოლად შეირთავ საკუთარ დედას და გამეფდებიო. თავზარდაცემული ოიდიოსი „შინიდან“ გაიქცა, მაგრამ ბედისწერის ძალით, რასაც ახლა „ბიოლოგიურ მაგნიტს“ უწოდებენ, სწორედ იმ მხარეს წავიდა, საითაც მისი ნამდვილი სამშობლო იყო და სადაც მისი ბიოლოგიური მშობლები ცხოვრობდნენ. გზად მას ვიღაც დიდებული შემოხვდა; მასთან დავა მოუვიდა, კამათი ჩხუბში გადაიზარდა; ახალგაზრდა ოიდიოსმა სძლია ასაკოვან კაცს და შემოაკვდა კიდეც.

„გამარჯვებულმა“ ოიდიოსმა გზა განაგრძო და თებეს მიადგა; ქალაქის შესასვლელს, სფინქსი დარაჯობდა – გამეფელებს გამოცანებს ეუბნებოდა; პირობის თანახმად, თუ ვინმე მის გამოცანებს გამოიცნობდა, სფინქსი ქალაქს დაეხსნებოდა; მანმადე კი ხალხს ახალგაზრდა ქალვებით იკვებებოდა. რაკი გამოცანების გამოცნობა ვერაფერს მოახერხა, ქალაქი განადგურების პირას იყო მისული.

ოიდიოსმა გამოცანები ამოხსნა და ქალაქი სფინქსისგან იხსნა; მადლიერმა ხალხმა, უსახლკარო და უთვისტომო ოიდიოსი, თავიანთ ახლად დაქვრივებულ დედოფალზე დააქორწინა.

მოგვიანებით გამჟღავნდა – დიდებული, რომელიც ოიდიოსს შემოაკვდა, მისი მამა იყო; დედოფალი, ვისზეც დაქორწინდა – დედა, ხოლო ოთხი შვილი, რომელიც თავის დედასთან შეეძინა, მისი და-ძმები.

ამ მითში, ფსიქოანალიზის თვალთახედვით, ინცესტის – სისხლის აღრევის ცოდვის არაცნობიერი, ბიოლოგიურად კოდირებული ლტოლვაა ნაგულისხმევი, რაც მეცნიერებამდე იდეოლოგიაში ბედისწერის ცნებით გამოიხატებოდა.

ფსიქოლოგების აზრით, იმ გენეტიკურად კოდირებულ ლტოლვებს, რასაც კულტურამ ტაბუ დაადო და არაცნობიერში „ჩაკეტა“, ახსნა-გაცნობიერება არ სჭირდება – ბრძენი მას თავად ამოიცნობს და კულტურის მოთხოვნების ადექვატურადაც მოიქცევა; ხოლო ვისაც მისი გაცნობიერება სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლია (ასაკის, უგულისყურობის, გაუწვრთნელი გონების და ა.შ.), მან არც უნდა გაიგოს რა „უბედურებაც“ ადამიანის ფსიქიკაში იმალება, რადგან, შტაინერის აზრით „საკრალურ საიდუმლოებათა ნაადრევი გაცხადება“ (მანამ,

სანამ ადამიანის გონება მის ადეკვატურად აღსაქმელად მზად არ იქნება), „დაღუპავს კაცობრიობას“; მიიჩნიათ, რომ დღეს საზოგადოება იმდენად გათვიცნობიერებულია ანუ მომზადებულია „საკრალური საიდუმლოებებისთვის“ თვალის გასასწორებლად, რომ მასზე ღია საუბარი უკვე შეიძლება (ინცესტის თემამ ქართულ პოეზიაშიც, მითოლოგიასთან შედარებით უფრო ვულგარული ფორმით, არა ეთხელ გაიჟღერა).

ამავე მითში, ფსიქონალიზური გაგებით, მამრთა შორის იმთავითვე არსებული დაპირისპირების არაცნობიერად არსებობაცა არის ნაგულისხმევი, რაც მითის დასაწყისშივე, მეფე-მამის მიერ ვაჟიშვილის მოკვდინების ბრძანების გაცემითაა გამოხატული (იხ. მამათა და შვილთა ბრძოლა – განვითარების მექანიზმი). თავის მხრივ არც სფინქსის მისტერიაა ალეგორიულობას მოკლებული, რის შესახებაც საუბარი ზემოთ გვქონდა (იხ. „ჯვრის მისტერია მითოლოგიის საკაცობრიო „ოკეანეში“).

რაც შეეხება ბიოლოგიური მამის მიერ სასიკვდილოდ განწირული და შემთხვევით გადარჩენილი ყრმა ოდიპოსის გაქცევას „თავისი ქვეყნიდან“ რათა ბედისწერისთვის თავი დაეღწია, მან ეს ბიოლოგიური „მაგნიტის“ გამო ვერ მოახერხა; ეს „მაგნიტი“ იყო, რაც ახალგაზრდა ვაჟს სწორედ იმ მხარეს არაცნობიერად იზიდავდა, სადაც მისი ბიოლოგიური მშობლები „ეგულებოდა“.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (რაც მითოლოგიურმა აზროვნებამ ბედისწერად აღიქვა) „ბიოლოგიური მაგნიტი“ სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ფსიქიკაში კოდირებული ინცესტუოზური ლტოლვა საპირისპირო სქესის სისხლით ნათესავისადმი, თუნდაც ის მშობელი იყოს. იგი იქ იჩენს თავს, სადაც კულტურის დეფიციტია.

ფსიქონალიზი უფრო მეტი ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს – „ოდიპოსის კომპლექსის“ გვერდით შეიძლება მოვიხსენიოთ მედეას, ელექტრას, კაენის, ჰეროსტატეს და ა.შ. კომპლექსის ცნებები.

მითების „საიდუმლოებით“ ფსიქოლოგიის დაინტერესებას, როგორც ვიცით, დიდი რეზონანსი ჰქონდა. ამგვარი ინტერპრეტაციებისადმი საზოგადოების თავდაპირველი პროტესტის მიუხედავად, იგი ხელოვნების (და მედიცინის) თითქმის ყველს დარგმა გაიზიარა და მეთოდოლოგიად გაიხადა. უფრო მეტიც, ფსიქონალიზური თვალთახედვით ისტორიული მოვლენებისა და პერსონაჟების ნამოქმედარის გადასინჯვაც კი მოხდა (ხდება).

მაშასადამე მითოლოგიაში, ზღაპრებსა და თქმულებებში, “ცრურწმენებსა” და ანეკდოტებში, ალეგორიული ფორმით ის „საკრალური“ საიდუმლოებია “დაშიფრული”, რომლებსაც კულტურამ ტაბუ დაადო (ტაბუ – აკრძალვა, რის დარღვევაც მისტიკური ძალების მიერ ისჯება), ფსიქონალიზში ის მეოცე საუკუნეში გაცნობიერდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს „საიდუმლოები“, კაცობრიობამ, მათ შორის ქართულმა ცნობიერებამაც, ფსიქონალიზამდე უფრო ადრე იცოდა.

ქართულმა ფსიქოლოგიამდეც ცნობიერებამ ადამიანის ამგვარი გაუცნობიერებელი (ხშირად საბედისწერო) ღტოლვის რეალურობა გამოხატა ანდაზით – „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“; იგი, ფაქტიურად იგივე – არაცნობიერ ღტოლვას გულისხმობს, რაც ადამიანს მაგნიტივით („ბიოლოგიური მაგნიტი“) იქ იზიდავს, საიდანაც აღუქმელი საპასუხო სიგნალი მოდის, ანუ სადაც არაცნობიერი ღტოლვის ობიექტი იმყოფება.

„კოკასა შიგან რაცა დგას...“

კოკა - თიხის ჭურჭელია, რომელშიც გარკვეულ დრომდე არ ჩანს რაც შიგ ასხია (სანამ კოკა არ გადმოპირქვავდება). ვფიქრობთ, რომამ ანდაზაში ადამიანის ფსიქიკაში გაუცნობიერებლად არსებულ მოთხოვნილებებზე და მიდრეკილებებზეა მინიშნება.

ამ ვარაუდის ასახსნელად ადამიანის ფსიქიკის მოდელის გახსენება დაგვიჭირდება, რაც ფროიდმა და მისმა მოწაფეებმა თეორიის სახით ჩამოაყალიბეს: ფსიქიკა სამი შრისაგან შედგება; ესაა – ცნობიერი „მე“ (ლათინურად „ეგო“), არაცნობიერი – „იგი“ (ლათინურად „იდ“), რომელიც ორი ნაწილისგან შედგება - კოლექტიური და პიროვნული არაცნობიერისგან) და მათ შორის არსებული – „შინაგანი ცენზორისაგან“, რომელსაც „ზე-მე“ („სუპერ ეგო“ ანუ ის, რაც „მე-ზე“ უფრო მაღლა დგას) უწოდებს და რომლის ფუნქციაც არაცნობიერი ფსიქიკის კონტროლია (ქართულად – სინდისი; ილია-მართალი მას უწოდებდა - „პატარა ღმერთი ჩემში“).

კოლექტიურ არაცნობიერში საკაცობრიო გამოცდილებაა „შენახული“, რაც მოელ კაცობრიობას საერთო აქვს და რითაც ადამიანები ერთმანეთს გვანან, ერთმანეთს ენათესავენებიან მიუხედავად სქესობრივი, რასობრივი, კულტურალური, ეროვნული თუ ინდივიდუალური განსხვავებულობებისა.

პიროვნულ არაცნობიერში – ინდივიდუალური გამოცდილება იგულისხმება, რაც, მართალია, „ამჟამად დაიწყო უღია“, მაგრამ მისი გახსენება - შეიძლება, რაშიც მას მესხიერების უნარი ეხმარება.

რაც შეეხება კოლექტიური არაცნობიერის „გახსენებას“ აქ მესხიერების ფსიქიკური ფუნქცია უუნაროა; მისი „გახსენება“ მხოლოდ სიზმრებში, „წამოცდენილ სიტყვებში“ და „ასოციაციების მეთოდით“ შეიძლება, კარგი სპეციალისტების (ფსიქოანალიტიკოსების) მიერ.

ადამიანის კოლექტიური არაცნობიერი ფსიქიკის შესასწავლად, კარლ გუსტაფ იუნგმა სიზმრების შესწავლის მეთდს მიმართა; მან სამ მილიონამდე სიზმარი ჩაიწერა და გააანალიზა. აღმოჩნდა, რომ აფრიკელმა ზანგმაც იგივე სიზმარი ნახა (ვინც თავისი ტომის საცხოვრებელ ტერიტორიას არასოდეს გასცილებია და არც წერა-კითხვა იცოდა ინფორმაცია სხვა წყაროებიდან რომ ჰქონოდა მიღებული), რაც ინგლისელმა დიდგვაროვანმა; ეს იყო ბორბალზე გაკრული კაცი, რაც წმიდა გიორგის წამებას გამოსახავს.

სხვადასხვა ხალხების სიზმრების ამგვარი მსგავსებების აღმოჩენის საფუძველზე იუნგმა დაასკვნა, რომ კაცობრიობას „ერთი ძირი აქვს“; მათ შესახებ ინფორმაციას ადამიანის თავის ტვინი ინახავს; მასში რასობრივად, კულტურულურად, ეროვნულად, კუთხურად და პიროვნულად ურთიერთგანსხვავებული ხალხის გამოცდილებაა „შენახული“; მისი გაცნობიერება (გახსენება) სპეციალური მეთოდების გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

ადამიანის „კოლექტიური არაცნობიერში“ ის ინფორმაცია ინახება, რაც „საერთო წინაპრების“ გამოცდილებით არის ნაკარნახევი.

კოლექტიური არაცნობიერისგან განსხვავებით, პიროვნულ არაცნობიერში „შენახულია“ ცალკეული ადამიანის პიროვნული გამოცდილება, რაც ადამიანებს შორის კულტურულურ ფსიქიკურ განსხვავებულობებს ქმნის.

„ზე-მე“ კულტურის მიერ მიუღებელ, ინსტინქტური ლტოლვებით ნაკარნახევ ქცევა-მოქმედებებს ბლოკავს და ცნობიერებაში („მე-ში“) მათ „ამოსვლას“ (გაცნობიერებას) ხელს უშლის.

მაგრამ არაცნობიერიდან წამოსული იმპულსები მუდმივად „ცდილობენ“ ცნობიერში ამოსვლას: „ზე-მე“ („შინაგანი ცენზორი“, ანუ სინდისი) მუდამ „სადარაჯოზე“ (ან უნდა იყოს); ისინი მხოლოდ იშვიათად – ფსიქიკის შეცვლილ

მდგომარეობებში (სიზმარში, ოცნებაში, ფანტაზიაში, ჰიპნოზურ მდგომარეობაში, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ზემოქმედების დროს) ახერხებენ ცნობიერებაში შეღწევას (ისიც მეტწილად შენიღბული ფორმით); მხოლოდ აქ ჩანს ის, რაც „კოკასა შიგან“, ანუ არაცნობიერში დგას.

აქ მოტანილ ანდაზაში არაცნობიერი ფსიქიკის მთელი ეს „ანატომია“ გაანალიზებული არაა, მაგრამ მთავარი - ნათქვამია! კერძოდ ის, რომ ადამიანი ერთი შეხედვით არ/ვერ გამოიცნობა; ის, ბუნებრივი სახით მხოლოდ სიზმარში, ალკოჰოლურ მდგომარეობაში ან, მაშინ, როცა ფსიქოანალიტიკისის მიერ დასმულ მაპროვოცირებელ კითხვებს დაუფიქრებლად პასუხობს და თავს არ/ვერ აკონტროლებს („გადმოპირქვავებულია“).

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართული ფოლკლორი იმ საკაცობრიო ცოდნას ეხმიანება რაც მეცნიერებამ რამდენიმე საუკუნის შემდეგ აღმოაჩინა.

„ფუყე თავთავის“ „ალეგორია“

ერთხრღ, სტუდენტებთან, თავმდაბლობის სათნოებაზე ვსაუბრობდით. ამის მაგალითი აინშტაინის ცხოვრებიდან მოვიტანე: მას მეგობარმა წერილით აცნობა – ფიზიკის ენციკლოპედია მომზადდა, სადაც ფარდობითობის თეორია სხვისი ავტორობითაა შეტანილიო და სთხოვდა ზომები მიეღო და სამართლიანობა აღედგინა.

აინშტაინმა დაახლოებით ასე უპასუხა – ნუ სწუხხარ ჩემო მეგობარო! ხალხისთვის და ისტორიისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვისი გვარი იქნება მიწერილი თეორიის ქვეშ. ამ ფაქტით ცრუ ავტორის მეტი არავინ დაზარალებდა, რითაც თავადვე დაისჯება. რაც შემეხება მე, ჩემი წილი სიამოვნება უკვე მივიღე, როცა ამ თეორიაზე ვმუშაობდი. . . .

ჩემი ნათქვამი ქართული ანდაზით – „ფუყე თავთავი თავს მადლა ასწევს, სავესე კი მუდამ თავდახრილიათი“ „შევაბაგრე“.

ერთმა სტუდენტმა, რომელიც დიდ ყურადღებით მისმენდა, ჩემ ნააბობს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

– ის აინშტაინი იყო და ამ დათმობაზე ადვილად წავიდოდა; მე? მე რა ვქნა, უმნიშვნელო არსებამ! შეეძლება ასე დიდსულოვნად დაეთმო ჩემი რაიმე ფასეულობა?

ცხადია მის კომენტარს სიცილი მოჰყვა, მე კი ლექცია იმ კომპოზიციებზე გავაგრძელე, რაც ადამიანის არაცნობიერ ფსიქიკაში წარსულის გამოცდილებით იქმნება და მოზრდილობისას მის ქცევა-მოქმედებებს ისე განსაზღვრავს, რომ ადამიანმა ამის შესახებ არაფერი იცის.

ანუ, „მადლა თავაწუელში“ ის ადამიანი იგულისხმება, ვისაც საამაყო არაფერი აქვს – არც თანდაყოლილი ნიჭი და არც შექნილი სიბრძნე. ამიტომ ცდილობს საზოგადოების პატივისცემა ყოყონობით, ტრაბახით, ან ფულით დაიმსახუროს. სამწუხაროდ, შედეგი საპირისპიროა; მის საქციელს, საუკეთესო შემთხვევაში ღიმილი, უარეს შემთხვევაში კი კონფლიქტები ახლავს. ანუ, თვმდაბლობა – სიბრძნის შედეგია და თუ ადამიანს „თავ აღერილი ყოყონას“ რეპუტაცია არ სურს, სიბრძნის დაუფლებას უნდა ეცადოსთქო და საუბარი ამით დავასრულე.

ერთხელ ჩვენმა უსაყვარლესმა ლექტორმა – ბატონმა კოტე თქვა – თუ გინდა გამოიცნო კაცი ჭკვიანია თუ არა, მას თანამდებობა უნდა მისცე; თუ გაყოყონდა – ესეიგი, ჭკვიანი არაა!

„თვითპატივისცემის მოთხოვნილება“ და წარმატებების მიღწევის „შანსი“ ყველა ადამიანს აქვს, თუ სწორად „მიაგნებს“ და თავდადებული შრომით განივითარებს მას, რისი უნარიც აქვს (რაშიც, ცხადია მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები, კონკურენტები და ა.შ. ეხმარებიან). მაშინ მას ყოყონობა აღარ დასჭირდება და პატივისცემას ღირსეულად დაიმსახურებს.

აინშტაინის შემთხვევაში რეალიზებულ პიროვნებასთან გვაქვს საქმე, ვისაც რაიმე დამსახურების დათმობის აღარ ეშინია, ამიტომ ის „სავსე“ და „მუდამ თავდახრილია“. არარეალიზებული, „შეუმდგარი“ პიროვნება კი „ცარიელია“; ის თვალშისაცემი მცდელობით, სიცრუით, ძაღადობით, ნაცნობობით ან ყოყონობით ცდილობს ავტორიტეტის მოპოვებას, შესაბამისად, „მუდამ თავაწუელი“ და ყოყონაა.

სათნოებათა ასეთი ანალიზი შედარებით „ახალგაზრდა“ მეცნიერებების – ეთიკისა და ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება, არადა ქართულ გონს ის ჯერ კიდევ მეცნიერებამდელ პერიოდში აღმოუჩენია და ასე სხარტად, გასაგებად და ყველასთვის ხელმისაწვდომად (უფასოდ) გაუვრცელებია:

„ფუყე თავთავი თავს მადლა ასწევს, სავსე კი მუდამ თავდახრილია!“;

„ვინც თავს მადლა წაიდებს – ფეხს წაიკრავსო“;

„უფხო კაცს ტრაბახი საქმე ეგონაო“;

„თავმდაბლობას მთებიც მოუდრეკიაო“ – გვასწავლის ქართული ხალხური სიბრძნე.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ დღეს „თავდახრილობა-თავმდაბლობა“ სათნოებად აღარ ითვლება, ანდაზის დედააზრი მაინც დიდ ფსიქოლოგიურ მიხედვრილობად (აღმოჩენად) შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც იგი სხვა არაფერია, თუ არა ფსიქიკის ისევე ფსიქოანალიზური „საიდუმლო“ – **არასრულფასოვნების კომპლექსის კომპენსაცია**; ანუ ესაა „მაღლა თავაწეული“, ყოყონა ადამიანის მცდელობა, სხვებთან შედარებით თავისი უპირატესობის წარმოჩენის სურვილი, ადამიანის უსაფუძვლო, მონვენებითი და ხშირად გაუცნობიერებელი ლტოლვა, რაც ჭეშმარიტად დირსეულ, სიბრძნით „დამძიმებულ“ ადამიანს არც სჭირდება და არც ნაღვლობს, როცა მის „სისავსეს“ ვერავინ ხედავს და ვერევიან აფასებს.

ამ ანდაზის გაცნობიერება (მისი დედააზრს გაგება-შეგნება) ბევრ ხელმძღვანელს გადაარჩენს დაცინვისა და კონფლიქტებისგან.

„შარო, საიდან მოდიხარო“

ძველთაგანვე ცნობილია, რომ ზოგიერთი ადამიანი განსაკუთრებულად აგრესიულია; ამის გამო, ერთხანს, დამნაშავედ დაბადებულთა წინასწარ ამოცნობასაც კი ცდილობდნენ, მათი საზოგადოებისაგან იზოლაციის მიზნით, რაც გარკვეული დროის შემდეგ კაცობრიობამ დაგმო.

მოგვიანებით ადამიანის სისხლში აგრესიის პორმონი – ტესტოსტორონი აღმოაჩინეს (სხვაგვარად მას მასკულინური, მამაკაცური პორმონი უწოდეს). აგრესიისკენ მიდრეკილება (ტესტოსტორონი) გარდატეხის ასაკის ვაჟებში უფრო მაღალი ყოფილა.

ეს პორმონი ქალების სისხლშიც აღმოჩენილია, იმ განსხვავებით, რომ ქალებში მისი მაჩვენებელი გცილებით უფრო დაბალია; მეორე გარდატეხის ასაკიდან, რასაც ხალხი კლიმაქსს უწოდებს, პირიქით ხდება – კაცების სისხლში აგრესიის პორმონის შემცველობა კლებულობს, ქალებთან - მატულობს. (ამიტომაც, რომ მოხუცებულობაში, როგორც წესი, საქმე გვაქვს „ბუნნულა ბაბუებთან“ და „ქოფაკ დედამთილებთან და სიდუდრებთანო“ - იცინიან ფსიქოლოგები).

ანუ, ადამიანს აგრესიისკენ ტესტოსტერონი უბიძგებს და სურს თუ არა „საწყალ კაცს“ ბრაზიანი რომ იყოს, მისგან თავშეკავება უჭირს.

თავის მხრივ სისხლში ამ ჰორმონის მეტ-ნაკლებობას ის ინსტინქტები განსაზღვრავს, რაც სიცოცხლის შენარჩუნება-გაგრძელების მექანიზმის სახით კაცობრიობას შემოქმედმა უანდერძა. **რკი ადამიანს სოციალური გარემო – კულტურა ინსტინქტების ბუნებრივ ფუნქციობას უზღუდავს, ის იძულებულია თავი შეიკავოს; „თავშეკავებელი ადამიანი“ კი „უმიზეზოდ“ აშარებულა** – გაღიზიანებულია, რაც „აღქმის დამახინჯების საფრთხეს“ ქმნის – ეჭვიანია, ეჩვენება, რომ უსამართლოდ ეპურობიან, რაშიც, ცხადია „დამნაშავე“ სხვები არიან (შინაურები, მეზობლები, ხელმძღვანელები, მთავრობა და ა. შ.). ცხადია მას წარმოდგენაც არა აქვს სინამდვილეში რა ხდება, რაკი „ნამდვილი მიზეზი“ არაცნობიერია და ის „ნამდვილ“ მიზეზს მეტწილად სხვაში „პოულობს“ და კონფლიქტის მიზეზიც „სახეზეა“.

ჩვენს წინაპრებს შეუქმნევია – როცა „აშარების“ „ნამდვილი“ მიზეზი არ ჩანს, ის „სადღაც“ უსათუოდ „იმალება“, უჩინარია, ამიტომ დასვა კითხვა ჩვენმა წინაპარმა – „შარო, საიდან მოდიხარო?“

- აქ მიხოს ანეკდოტის გახსენება შეიძლება: მიხო აშარებულია და ცოლს სცემს;
 - მიხო, რად მირტყამ, „პრიჩინა“ (რუს. - მიზეზი) მაინც მითხარო, ბრაზობს თავის მხრივ მარო;
 - „პრიჩინა“ რო ვიცოდე, დედას გიტირებდიო! კახური ტერმინოლოგიით პასუხობს მიხო.

ეს ანეკდოტიც ადასტურებს, რომ ფოლკლორში გაცნობიერებულია არაცნობიერი ფსიქიკის არსებობა.

არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ მრავალ ფილოსოფოსს აქვს მინიშნებები, მაგრამ როგორც ზემოთაც ითქვა, მოძღვრების სახით ის მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ფსიქოანალიზის სახით.

„ტყუილად შრომის“ სიკეთე

ჩვენმა წინაპრებმა რომ არაცნობიერი ფსიქიკის შესახებ იცოდნენ იქედანაც ჩანს, რომ მისი „მართვის“ ერთგვარ საშუალებებს გვთავაზობდნენ.

ჯერ ვნახოთ რას გვიჩვენებს აგრესიის პრევენციის საშუალებად თანამედროვე ფსიქოლოგები: ჩვენ „თავშეკავებას“ კულტურის მიერ ტაბუდადებული ან შეზღუდული ბუნებრივი მოთხოვნილებების მართვას ვუწოდებთ; იგი იმ ენერჯის წყაროა, რაც ადამიანს აქტივობისთვის ჭირდება (ფსიქონალიზში, ამ ენერჯიას, „ლიბიდოს“ უწოდებენ); ანუ, თუ არის „შეზღუდვები“, ესე იგი არის აქტივობის მოთხოვნილება, ანუ პოტენციური ენერჯია – ლიბიდოც, რაც აქტივობის მოთხოვნილებად ცნობიერდება, რის „დახარჯვა“ კონსტრუქციულ (შექმნა-შენება) ან დესტრუქციულ (ნგრევა-განადგურება) საქმიანობაშია შესაძლებელი; მაგრამ ის, ვინც ამ ენერჯიას კონსტრუქციულ საქმიანობაში „დახარჯვას“ ვერ მოუხერხებს, ორმაგად იხჯება, როგორც კაცის, ისე „შინაგანი ცენზორის“ მიერ. ამიტომ, პუმანიზმი, პირველ რიგში ადამიანისთვის ამ ენერჯიის კონსტრუქციულად „დახარჯვის“ პირობების შექმნას – დასაქმებას გულისხმობს და არა „პუმანიტარული დახმარების“ სამსახურების გააქტიურებას.

ანუ, ადამიანს უნდა ჰქონდეს საქმე, რაშიც ის ფიზიკურ ენერჯიასაც „დახარჯავს“ და სასარგებლო პროდუქტსაც შექმნის, რასაც თანამედროვე ადამიანი თვითრეალიზაციას უწოდებს. ასეთი შეიძლება იყოს სპორტი, ხელოვნების ნებისმიერი დარგი და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, რაც მატერიალურ და სულიერ საზრდოსაც ქმნის და „ზედმეტი ენერჯიისგანაც (აგრესიისგანაც) გვათავისუფლებს! თუ ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა, ზრდასრული და ჯანმრთელია, მაგრამ ვერც ერთ ამათგანს ვერ ახერხებს, ის ან „აშრებულია“, ან „უკვე შარშია“ – ანგრევს, ჩხუბობს, ან ამისათვის ემზადება ისე, რომ მან ამის ნამდვილი მიზეზის შესახებ არაფერი იცის და მიზეზს გარეთ, სხვაში ეძებს.

ჩვენმა წინაპრებმა რომ ფსიქიკის ეს საიდუმლოები იცოდნენ, ამის „საბუთად“ სათაურად არჩეული ანდაზა მიმართავს – „ტყუილად ეოფნას, ტყუილად შრომა ჯობიაო“ იგივე ქვეტექსტი შეიძლება ჰქონდეს ძველქართულ გამოთქმას „წყლის გაშოლტვა“. რატომ? იმიტომ, რომ „დაუხარჯავი ენერჯია“ არის „აშარების“ მიზეზი, თავისი არასასურველი შედეგებით. „დახარჯვის“ შედეგი კი რაღაც უბედურების თავიდან აშორებას და მატერიალური ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას გულისხმობს (იმას, რსაც უსაქმური კაცი აკეთებდა, ისევე „წყლის გაშოლტვა“ ან „ტყუილად შრომა“ ჯობია). ანუ, ჩვენ წინაპრებს **„შრომა“ ფსიქოთერაპიის ერთერთ მეთოდად მიანდათ!**

ამასვე ადასტურებს ბრძნული გამონათქვამები – „შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“ (ქართული ფოლკლორი); „შრომამ შექმნა ადამიანი“ (ენგელსი); „შრომა აუცილებელია ჯანმრთელობისთვის“ (პიპოკრატი); „ნაკლოვანებები შრომით დაიძლევა“ (სენეკა); „შრომა არის ყველა უბედურებისგან თავის დაღწევის საშუალება“ (პემინგუეი) და ა.შ.

„ცოდვა – გამხეილი...“

ცოდვა – საეკლესიო სწავლებათა დარღვევას ნიშნავს, რასაც მონანიების გარეშე, თავისთავად ახლავს სასჯელი.

ვინც საეკლესიო ცხოვრებით ცხოვრობს, მან იცის, რომ, როცა ნებით თუ ნებლიედ სცოდავს, ეკლესიაში მიდის და მოძღვარს ამ შეცოდების შესახებ უამბობს; თუ გულწრფელად მოინანიებს, ცოდვა მიეტევება;

იოანე ნათლისმცემელს უთქვამს – როცა წარმატებული ხარ, არაფერი გამოგდის, დამარცხებული ხარ, მიმართე სინანულს; მოინანიე, გულწრფელად აღიარე ცოდვები, შეინანე მტრის წინაშეც და მოგეტევება და წარმატებებიც მოვაო.

აღნიშნული მოსაზრების ჭეშმარიტებაში შემდეგი დაკვირვება დაგვეხმარება: ბევრ ჩვენგანს გამოუცდია, ან თავად შესწრება – საზოგადოებრივ ტრანსპორტში ახლადშემოსულმა მგზავრმა ვიღაცას ფეხი უნებლიედ დაადვა; ის „დაზარალებულს“ მიუბრუნდა და გულწრფელად მოუბოდიშა. როგორც წესი, ამ დროს „დაზარალებული“, ასევე თავაზიანად „მიუტევებს“ – არაუშავს, არაუშავსო! თუმცა, შესაძლოა მის სახეზე ფიზიკური ტკივილი იკითხებოდეს. მაგრამ თუ „დამნაშავე“ თავის მართლებას მოჰყვება და იქეთ დადანაშაულებას შეეცდება – „წესიერად დაჯექი და აღარაინ დაგაბიჯებს“, ან, „თუ გინდა არაინ შეგაწუხოს, ტაქსით წაბრძანდიო“, ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მინი-კონფლიქტი განაღდება, რაშიც მგზავრების ურავლესობა ჩაერთვება ხოლმე.

მონანიება და მობოდიშება დანაშაულის ან რაიმე უზნეობის გამო წუხილს, სინანულს ნიშნავს; ჩადენილი დანაშაულის თუ უზნეობის აღიარება უკვე ერთგვარი სასჯელია, დამნაშავის მიერ ნაბაყოფლობით მიღებული, რის განმეორებაც მოსალოდნელი ნაკლებადია. ამიტომ მიეტევება ის მის ჩამდენს, რაც „დამნაშავის“ რეაბილიტაციის ერთგვარი ფორმაა (ცხდია ეს მას მძიმე ცოდვის ჩადენის შემთხვევაში კანონმდებლობისგან არ ანთავისუფლებს).

დანაშაულის სიმძიმეზეა დამოკიდებული რა დროით იმსახურებს ადამიანი თავისუფლების აღკვეთას; ამ დროში მან უნდა შეიგნოს თავისი სასჯელის სამართლიანობა, რათა „სულის ხსნას“ – ჭეშმარიტ თავისუფლებას მიადწიოს, უამისოდ ცოდვა არ ეპატიება („სულის ხსნა“ ანუ პატიება სუფთა სინდისის სახით განიცდება, რაც ჭეშმარიტ თავისუფლებას ნიშნავს და ის ადამიანს ნევროზებისგან იცავს; ნევროზი კი – თავის მხრივ, ყველა დაავადების საფუძველია).

დამნაშავის საპატიმროში იძულებითი გამოკეტვა, თუ პატიმარი ვერ შეიგნებს დანაშაულს (თუ თავის თავს არ გამოუტყდება, რომ დანაშაული ჩაიდინა, რასაც ნანობს), თუ თავი მართალი ჰგონია, თუ მას თავი უსამართლოდ დასჯილად მიაჩნია, საქმე ძალადობის განცდასთან, ფსიქიკურ დაძაბულობასთან გვექნება და არა შვებასთან, „სულის ხსნასთან“; ანუ, სასჯელი, ადამიანს, სულის ხსნასა და სიმშვიდის მოპოვებაში უნდა დაეხმაროს; ხოლო თუ დანაშაულისთვის სასჯელის მიღების აუცილებლობას თავად ვერ ხვდება, კარგი იქნება თუ ამაში მოძღვარი ან ჭკვიანი გულშემატკივარი დაეხმარება. შემთხვევითი არაა, რომ ზოგიერთ კულტურულ ქვეყანაში, პატიმრებს, ამ მიზნით სასულიერო პირები ემსახურებიან, რომლებიც მათ დანაშაულის გაცნობიერებაში ეხმარება.

დანაშაულის ეს „ფილოსოფია“ კარგად აქვს ნაჩვენები დოსტოევსკის, თავის გენიალურ რომანში – „დანაშაული და სასჯელი“, რომლის საბოლოო დასკვნა ასეთია – „სასჯელი არის დამნაშავის უფლება!“, ხოლო დაუსჯელი დანაშაული – ყველაზე დიდი სასჯელია, დედამიწის ზურგზე!

მთელი ამ ფილოსოფიის დედააზრი კი, ჩვენმა წინაპარმა ერთი მოკლე ფრაზით გამოთქვა – „ცოდვა გამხელილი ჯობიაო!“, „დამალულმა ჭირმა მოკლა კაციო“ და ა.შ.

ბერძნულ მითოლოგიაში ე. წ. შურისძიების ქაღალმერთები – ერინიები „ცხოვრობენ“. ისინი მოხუცი, მახინჯი ქაღალტონები არიან გველის თმებით, რომლებიც მუდმივად სხმარტალევენ, თავზარს სცემენ და მანამ სდვენიან დამნაშავეებს, სანამ ჭკუიდან არ შეშლიან და დაიღუპებიან (სწორედ ასე დასაჯეს ტროას ომის ერთერთი გმირის – აგამემნონის მკვლეელი ვაჟი ერინიებმა) უდანაშაულო ადამიანები კი მათ ვერ ხედავენ.

როგორც ქართული ეთიკის ფუძემდებელი – გელა ბანძელაძე შენიშნავს, ეს მითი იმ პერიოდშია შექმნილი, სანამ ძველი ბერძნები სინდისის – ამ „სასტიკი შინაგანი ცენზორის“ ცნებას და ფუნქციას გააცნობიერებდნენ.

მოგვიანებით მითოლოგიური ერთიების ადგილი სინდისის ცნებამ დაიკავა, რასაც ფსიქოანალიზში „შინაგანი ცენზორი“ ჰქვია, ილია ჭავჭავაძესთან კი - „პატარა დმერთი ჩემში!“.

გაუცხოებული კაცობრიობა თუ „რაც აკვანში, ის საფლაგში“?

ერთხელ მეგობრმა შემომნივლა – ჩემ ვაჟს საოჯახო საქმეები არ აინტერესებს, არანაირი პრობლემის მოგვარებაში არ მონაწილეობს; ათასში ერთხელ რომ რამე ვთხოვო, უსათუოდ რაღაცას მომიზივებს, თხოვნა რომ არ შეასრულოს; ორჯერ მძიმე ოპერაცია გადავიტანე, ისე, რომ საკუთარი ინიციატივით ოჯახში ერთხელაც არაფერი შემოუტანია; რომ დაოჯახდებოდა, არ ვიცი მის ცოლს რა ეშველებაო.

მე ტრადიციულად ვუპასიხე – ალბათ ბავშვობაში ანებივრებდი, საქმეს არაფერს ავაღებდი, ყველა პრობლემას უგვარებდი და ახლა – მოსწონს სხვები რომ ემსახურებიან; საჭიროების წინაშე რომ დადგება მოშვიდება ან შესცივდება და ა. შ., უსათუოდ ყველაფერს მოახერხებსმეთქი.

ჩემმა მეგობარმა – არაო, პატარა რომ იყო, მაშინაც, ვითომ არ ესმოდა რასაც ვთხოვდით, შეკითხვებზეც კი არ გვპასუხობდა; ერთი წლისას, თუ ვკითხავდით აბა შეილო, სადა გაქვს ყური? თვალი? და ა. შ., თითქოს ირონიულად იღიმებოდა, მაგრამ პასუხს არც აპირებდა, მხოლოდ მამამისის შეკითხვებს პასუხობდა. რაც თავად აინტერესებდა ანუ რაც შესამეცნებელი იყო, მხოლოდ ამაზე შეიძლებოდა მასთან „საუბარი“. ცხადია, ძალიან საინტერესო ბავშვი იყო, მაგრამ პრაქტიკულად საჭირო აქტიურობა – ჭამა, ჩაცმა, თავის თავის მომსახურება, არც საჭიროდ მიანდა და არც (ვერც) აკეთებდაო; ერთხელ, სამი წლისა რომ იყო, ეზოში, ჩრდილში ვისხედით. ის ეზოში თამაშობდა. მოვარდა, ჩამეხუტა და მითხრა – დედიკო, მიყვალხალო; ვიფიქრე – ახლა კი უარს ვეღარაფერზე მეტყვისო, ჭიკა ავიღე, მივაწოდე და ვთხოვე – მიდი შეილო წყალი მიმიტანე, ცუდად ვარ, შენი მოტანილი წყალი მომარჩენსო (წყალიც იქვე, ღია ონკანიდან მოქექვდა); მინდორზე გაგორდა – ვაი, ვაი, მეც ცუდად ვაღ, ლოგოლ მოგიტანო... მე, როგორც „ცუდადმყოფს“ შეეფერება, თავი მოვისაწყლე და თხოვნა გავუმეორე; მაშინ ის წამოხტა, თავქვე დაეშვა და მომაძახა – დე! ნიკო ჭულს ხდის (ჭურს, ანუ ქვევრსო), ჯელ იმას უყუდე და წყალს მელე მოგიტანო! – ღიმილით მიამბობდა ჩემი მეგობარი.

– როგორც ჩანს შენს ვაჟს მოსწონს შენი ღიმილიანი დამოკიდებულება, რამაც მიანვია თქვენი დავალებების არაღნაგდებას; თქვენს არასერიოზულ დამოკიდებულებას გრძნობს და თავადაც არასერიოზულად ეკიდება; თავიდანვე რომ პატრპატარა დავალებების შესრულება გესწავლებინათ, შექებით ან თუნდაც მცირე იძულებით თანდათან შეგეჩვიათ, როცა თავისი ქცევის კარგ შედეგებს შეხედავდა, კიდევ მოეწონებოდა, იქნებ ინიციატივა თავადაც გამოეჩინათქო, ვცადე ჩემი მეგობრის დადანაშაულება ოჯახური საჭიროებებისადმი შეილის გულგრილობის გამო.

– არა, იძულებით და შექებით კარგი არფერი ხდება. შეიძლება, როგორ არა, იძულებით და შიშით ადამიანს რაიმე გააკეთებინო, მაგრამ თუ ეს სისტემატურად ხდება, ნევროზები, მერე კი დაავადებები გაუჩნდებაო (ყველა დაავადება ნევროზების ფონზე ვითარდებაო, ამტკიცებენ თანამედროვე ფსიქოლოგები, რასაც მეც ვიზიარებ და შედიცინაც).

ჩემმა გეგობარმა, თავისი აზრის დასამტკიცებლად ავტორიტეტული უცხოელი ფსიქოლოგების სახელებიც მოიშველია. ისინი წერენ – ბავშვის ნამდვილი, ბუნებრივი სახე, 0-დან 5-6 წლის ასაკამდე ჩანს, შემდეგ, აღზრდის პროცესში, მას სოციალური როლების თამაშს ვასწავლით და ისეთ ადამიანებს ვზრდით, როგორც ჩვენ გვსურს – გაუცხოებულებსო.

ამ თვალსაზრისის მიხედვით ადამიანი, როგორც პიროვნება – როგორც დაიბადა, ისეთივე, უცვლელი რჩება.

მაგალითად, თუ ადრეულ ასაკში ბავშვი – დამკვირვებელი, ფიქრიანი, ინტერესიანი, მშვიდი და დამოუკიდებელია, დიდი ალბათობით მოზრდილობაშიც ისეთივე დარჩენს. მაგრამ თუ დაუფიქრებელია, ცეტი, ნერვიული, ჭირვეული, სხვებზე დამოკიდებული, ან აგრესიული, მეტ წილად დიდობაშიც ისეთივეა; თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ მან ისე მოქცევა ისწავლოს, როგორც მისგან მოითხოვენ და ელოდებიან; სხვაგვარად საზოგადოებისგან გაირიყება; მაგრამ ამგვარი „თამაში“ მას ძვირად უჯდება, რაკი „თავისი ბუნებრივი ცხოვრებით არ ცხოვრობს“; როგორც ფსიქოლოგები ვარაუდობენ, მისი „ბედი“ ნევროზები და ავადმყოფობებია.

მაშასადამე, კულტურული ანუ „კარგად აღზრდილი“ ადამიანი „გაუცხოებულ“ თავის თავისთვისაც უცხოა.

ეს ძნელად მისაღები, სადაო მოსაზრება ქართული ანდაზით მეტად მარტივად და ზუსტად გამოითქმის – „რაც აკვანში, ის საფლაფშიო“; ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი (ბავშვი) არ იცვლება!, ის ისეთივე “მიდის” ამ ქვეყნიდან, როგორც “მოვიდა”!

ერთი შეხედვით ამასვე ამბობენ ჩვენი წინაპრები ანდაზით: „ყვავს შევარდნად ზრდიდნენ და ისევ „ყვავს“ იბახდაო“; „ძაღლი რაც უნდა გაწვრთნა, ყვფას არ მოიშლისო“; „ძაღლის კუდი არ გასწორდებაო“; და სხვა.

მაგრამ ამ ანდაზების გვერდით ასეთებიცაა: „წნელი სანამ ნედლია, მანამ უნდა მოიგრისოსო“; „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“; „შეილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“, და ა.შ. ეს ანდაზები კი აღზრდის საჭიროებას გვასწავლიან.

ანუ აღზრდის საკითხებზე ქართულ ფოლკლორშიც ისეთივე აზრთა სხვადასხვაობებია, როგორც პედაგოგოკასა და ფსიქოლოგიაში; თუ ზოგი თანამედროვე ფსიქოლოგი პიროვნების უცვლელობის იდეას იცავს და ეჭვს გამოთქვამს აღზრდის მართებულობის შესახებ (პიროვნების გაუცხოების თეორიით „შეშინებულები“) ზოგიერთი ცნობილი ფსიქოლოგი, თავს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის წარმომადგენლად იმის გამო მიიჩნევს, რომ არა მარტო აღზრდის შესაძლებლობას, მის აუცილებლობასაც კი უჭერს მხარს და ამტკიცებს, რომ ადამიანს შეუძლია ისეთი გახდეს, როგორც მას სურს რომ იყოსო! სწორედ ესაა მიჩნეული ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მთავარ ღირსებად!

ცნობილ სოციალ-ფსიქოლოგს, დევიდ მაიერსს ამის მაგალითად ერთი ცნობილი ქალბატონის წერილი მოაქვს, სადაც ის ქალბატონი აღიარებს, რომ ახალგაზრდობაში, ის, თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა. მერე ერთი ტრადიციული ოჯახის შვილი, კონსერვატიულად მოაზროვნე ვაჟი შეუყვარდა და მის მოსახიბლავად მისი ღირებულებებით ცხოვრება გადაწყვიტა. „დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ „მე“ ვარ ეს „ახალი“ ლედი და არა ის, რომელიც ადრე ცხოვრობდა; მე ვიპოვე ჩემი ნამდვილი „მე“, რისთვისაც ბედის დიდი მადლობელი ვარ“ – წერდა ფსიქოლოგს ის ქალბატონი.

თანამედროვე ფსიქოთერაპიის ერთერთი პოპულარული დარგის – ბიჰევიორალური მედიცინის წარმატებული პრაქტიკის ერთერთი საიდუმლოც ისაა, რომ ის (ბიჰევიორალური მედიცინა) ადამიანებს არწმუნებს – თუ ისინი სასურველ ქცევა-მოქმედებებს რწმენით შეასრულებენ, ის ქცევა-მოქმედებები მათთვის არა

მარტო სასარგებლო და სასურველი, არამედ მათი ხასიათის ნიშანი გახდება, ანუ გარეგანი გადადის შინაგანში და ადამიანს ისეთი შეუძლია გახდეს, როგორც მას სურს რომ იყოს. ამ თეორიას ჰუმანისტურიც ამიტომ ჰქვიაო.

ახალგაზრდობაში, ხალხურ სიბრძნეში ამოვიკითხე – “დათესავ ქცევას, მოიმკი ჩვევას; დათესავ ჩვევას, მოიმკი ხასიათს; დათესავ ხასიათს – მოიმკი ბედს!”

ანუ, ადამიანს შეუძლია თავისი ფსიქიკის მართვა, ცხადია გარკვეულ ჩარჩოებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ამის მიხედვრას (თუ ადამიანს რა შეუძლია და რა არა), სიბრძნე და გაბედულება სჭირდება.

ხომ არ ჯობია დავიჯეროთ, რომ „აღზრდა ამო გარჯაა“ და იძულებითი აღზრდით ჩვენი შეილების გაუცხოებას, მისი სულის „დამახინჯებას“ ვუწყოთ ხელს? ამით რამხელა პასუხისმგებლობას ავიცილებდით თავიდან! სხვებიც მშვიდად იქნებოდნენ, რაკი ჩათვლიდნენ, რომ „ასეთი დაიბადა და რა მისი ბრალია თუ...“ დაე, პასუხი თავად შეილებმა აგონ, თუ სათანადო ადგილს ვერ დაიჭერენ ცხოვრებაში? ანუ, როგორც ანდაზა გვასწავლის „ურჩი მიუშვი ნებასაო?“

არადა რა საშინელებაა, ისევ უცხოელი ფსიქოლოგების მიერვე „დახატული ბუნებრივი ადამიანის სურათი!“, ესაა ინსტინქტებისამარა დარჩენილი ადამიანი თავისი აგრესიით, ინცესტუოზური ლტოლვებით, უპირატესობისაკენ სწრაფვისა და საკუთრების ინსტინქტით, ბუნებრივ მოთხოვნილებათა შეუზღუდველი დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვით და სისხლის აღრევის ცოდვიდან გამომდინარე ავადმყოფი ახალი თაობის გაჩენის საფრთხით!

მინდა მათ „ოიდიპოსის კომპლექსი“, „მედეას კომპლექსი“, „კაენის კომპლექსი“, საკუთრების, თავდაცვის, კვების და ა. შ. ინსტინქტებიც შევეახსენო, რაც ნაირ-ნაირი კონფლიქტების და აგრესიული ქცევების სტიმულებს წარმოადგენენ; თუმცა აქ ამის გამეორება საჭიროდ არ მიმაჩნია, რაკი ვინც „გაუცხოებული ადამიანის“ განსჯას ბედავს, მათ მშვენივრად იციან (უნდა იცოდნენ) რა კორექტივი შეიტანა (რა „შეცვალა“) აღზრდამ (რელიგიამ, მორალმა, სამართალმა და ა. შ. კულტურამ) ადამიანის ფსიქიკაში (შესაძლოა არ შეუცვლია, მაგრამ რომ ჩაანაცვლა, ფაქტია); „ბუნებრივი ადამიანის“ ნახვას ნამდვილად არავის ვუსურვებდი. ანუ, კაცობრიობის გადარჩენისთვის ნამდვილად „გაუცხოებულად ყოფნა“ სჯობს; აღარაფერს ვამბობთ კულტურული ადამიანის მიერ შექმნილ სულიერ და მატერიალურ სიკეთეებზე.

გადრა ამისა ისიც საკითხავია – რა არის „ბავშვის ბუნებრივი მონაცემები?“ არსებობს იმის გარანტია, რომ ყველა მშობელს შეუძლია მისი „ამოცნობა?“, ანუ,

აღზრდაზე უარნათქვამი ბავშვი თვითონ მიხვდება რაც მას შეუძლია და განიუთარებს? იმ ნორმებს, რაც ურთიერთობებს უსათუოდ ჭირდება, მოზარდი უფროსების დაუხმარებლად, თავად მიაგნებს და შეასრულებს?

ფიქრობ მათ, ვინც „ბუნებრივ ადამიანზე“ ოცნებობს, ასეთად ბავშვივით „უცოდველი“ მოზრდილი ადამიანი (ადამიანები) ჰყავთ წარმოდგენილი; მათ ავიწყდებათ ფსიქოანალიზმა რა საშინელებები აღმოაჩინა „ბუნებრივი ადამიანის“ არაცნობიერ ფსიქიკაში.

მაგრამ მაინც ვეცადოთ „გაუუცხოებელი“, „ბუნებრივი ადამიანი“ წარმოვიდგინოთ; თვალწინ საშინელი სურათი დაგვიდგება; აი მაშინ ნახეთ ძალადობები! მაშინ, ალბათ, ადამიანებიც გაზონებში გამრავლდებოდნენ; თუმცა ვილა გააშენებდა გაზონებს, ალბათ ტყეში მოგვიწვევდა გამრავლების პროცესის ნახვა, იქვე ჭამდნენ და კიდევ მოინელებდნენ; აღარავენ წავიდოდა სამუშაოდ (ბედნიერება?), საკვების გამო დახოცავდნენ ერთმანეთს, რაკი . . . თუმცა, სამაგიეროდ, აღარ იქნებოდა ტანჯვა საყვარელ ადამიანზე ეჭვიანობის გამო – თუ კონკურენტს მოეროდი, სიყვარულის ობიექტიც შენი იქნებოდა, მტანჯველი გრძნობების გარეშე; არც მედიცინა დაგვტანჯავდა, რაკი სიცოცხლაც აღარ გვენდომებოდა, თუკი ავად გავხდებოდით; აღარც კომფორტული ავტომანქანების, ძვირფასი სამკაულების და მოდური ნაცმა-დახურვის დაუკმაყოფილებელი ენებები...

ერთ იტალიურ ფილმში (სამწუხაროდ რეჟისორი აღარ მახსოვს), ჩელენტანოს მიერ განხორციელებული „გმირი“ მთაში, მწვემსებთან ერთად გაიზარდა. მას არ ესმის ქალაქში მცხოვრები ნათესავების საჭიროებები, ამიტომ, ცხოვრება ტყე-ველად, მწვემსებთან ერთად ურჩევნია, სადაც არავენ არაფერს ავადდებულებს და მუდამ იმას აკეთებს, რაც მოესურვება (ბუნებრივი ადამიანია). ერთხელ ის რაღაც „საქმეზე“ ქალაქში გააგზავნეს; გზად, მთის ფერდობზე, ბარში მცხოვრები მოსახლეობის ბოსტნებში ქალები მუშაობდნენ. მთაში, ტყესა და ველებზე გაზრდილმა „ბუნებრივმა“ ახალგაზრდა ვაჟმა რომ ისინი დაინახა, გადაირია, აწოკებულ ქალებს დაედევნა და ვისაც სად დაეწია იქ...

ფიქრობ, რომ რეჟისორმა ამ ფილმით „ბუნებრივობას“ მონატრებულ იდეოლოგიას აჩვენა რა საფრთხეებს შეიცავს ურთიერთობების მარეგულირებელი მექანიზმების გარეშე ცხოვრება.

იმავე ფილმში რელიგიური და მორალური ნორმების მიერ არაკონტროლირებული, საკუთრების ინსტინქტისადმი თავაშეებული ღტოლის საშინელებებიც ნაჩვენებია, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რა ბედნიერებაა ადამიანი რომ „გაუცხოებულია!“ ამიტომ, „შორს ადამიანი-ცხოველისაგან!“ ძალიან გვიყვარან „გაუცხოებული ადამიანებიც“ და ცხოველებიც, მაგრამ არავინ ვისურვებდით მათთან და მათსავით ცხოვრებას; ადამიანს ცხოველისაგან სინდისი განასხვავებს! – წერს დარვინი; სუფთა სინდისი ჰკლავს ჰკუამსუბუქი გართობების წყურვილს! – ამბობს ჟან ჟაკ რუსო.

თავის დროზე ჟან-ჟაკ რუსოს დევიზი იყო „უკან, ბუნებისაკენ“ დღეს კი ამ დევიზის პერიფრაზი – უკან, კულტურისაკენ – უფრო უპრიანია.

ამიტომ – უკან, კულტურისაკენ, „გაუცხოებისაკენ“, რწმენისაკენ! რელიგიური, ზნეობრივი, სამართლებრივი და თუ გნებავთ – პოლიტიკური წესრიგისკენაც!

„ყურძნის სიყვარულით ...“

ამ ანდაზაში ის დაკვირვებაა გადმოცემული, რაც, როგორც წესი, სიყვარულის ყოვლისმომცველ გრძნობას ახლავს. სიტყვა „ყოვლისმომცველი“ უკვე გვეუბნება, რომ ეს გრძნობა ყველაფერს მოიცავს სხეულებრივ (ბიოლოგიურ) სიყვარულსაც და სულიერ (კულტურულ) სიყვარულსაც – საყვარელი ადამიანის მშობლიურ ქვეყანას, კულტურას, ხალხს, მის ეზო-გარემოს, მეგობრებს, საყვარელი ადამიანის მშობლებს (ქორწინებამდე მაინც, მანამ, სანამ სიყვარულია!).

რას ნიშნავს „სანამ სიყვარულია?“ თუ ის იყო, მერე რა მოხდა, სად „წავიდა“

ამ კითხვას მრავალმა მოაზროვნემ უპასუხა და მეც ჩემებურად ვეცდები ვუპასუხო (ცხადია სპეციალისტების დახმარებით ჩამოყალიბებული თვალთახედვით):

სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ ჩვენს კულტურაში სწამდათ, „სიყვარული“ რომ სულიერ-ხორციელი გრძნობაა; ისინი უსათუოდ გულისხმობენ ერთმანეთს.

თანამედროვეობამ, სამწუხაროდ, სულიერება „გვერდზე გასწია“ და უპირატესობა ხორციელ ფაქტორს მიანიჭა, რაც საზოგადოებამ „სიხარულით“ აიტაცა; შედეგი – სავალალო; როცა სიყვარული ხორციელ ღტოლვასთან ანუ „ერთად დაწოლის“ სურვილთანაა გაიგივებული, ის, სპეციალისტების აზრით მალე ქრება და 3-4 თვემდე გრძელდება (აქედან წარმოსდგა სიტყვები – „თაფლობის თვე“); ამის მიზეზი ადაპტაციის უნივერსალური კანონია. სიყვარულის ფილოსოფია (რაც ადრე დიდ ყურადღებას იმსახურებდა) გვასწავლის, რომ

სიყვარულის ბიოლოგიური საფუძველი - შთამომავლობის გაჩენაა, რაც ქალს, არაცნობიერად, საიმედო პარტნიორის ძიებისკენ უბიძგებს.

„საიმედობაში“ მრავალი რამ იგულისხმება, როგორც ბიოლოგიური, ისე კულტურალური ღირებულებები – პარტნიორების ჯანმრთელობა, ურთიერთ შესატყვისი ხასიათები, გემოვნება, შეფასებათა სისტემა; „თაფლობის თვის“ შემდეგ შეყვარებულებს ერთად ცხოვრება უძნელდებათ, როცა ერთერთი ზარმაცია ან მეუღლის მიმართ ზედმეტად ეჭვიანია, ძუნწია ან პირიქით - ზედმეტად ხელგაშლილია; თუ ერთისთვის მეუღლის სულიერი ინტერესებია მთავარი, მეორის ცხოვრების სტილი კი - გართობა-დროსტარება, ქონებრივი მდგომარეობა, მეუღლის გარეგნობა, სოციალური სტატუსი, მორალური, რელიგიური, ესთეტიკური და ა.შ. ღირებულებები (ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება) მაშინ ოჯახის საიმედოობა ეჭვქვეშ დგება..

ცხადია, „საიმედობა“ ერთადერთი სტიმული არაა ისეთი დიდი მოვალეობისთვის, როგორც ახალი სიცოცხლის გაჩენა, მოვლა-აღზრდა-განვითარება; შემოქმედმა, ადამიანს „ჯილდოდ“ სხეულებრივი სიამოვნებაც „დაანათლა“ რის გამოც ადამიანი ახალი თაობის გაჩენა-აღზრდის „მძიმე მოვალეობას“ სიამოვნებით მაშინ ასრულებს, როცა დაწყვილების საფუძველი სულიერიცაა და ხორციელიც (გასათვალისწინებელია, რომ ადამიანი სიცოცხლის გაგრძელებისთვის შეიქმნა და არა სხეულებრივი ტკობისთვის).

რაც შეეხება „მელიას სიყვარულს“, მართალია „შეყვარებული მელია“ არავის უნახავს, მაგრამ ის კი ცხადია, შეყვარებულებს რომ საყვარელი ადამიანის გარემოცვაც უყვარს - უბანი, საღაც „ის“ ცხოვრობს, სახლი, კარი, მზე, ჰაერი, რითაც „ის“ სუნთქავს და თვით ღობეც კი, სანამ უყვართ! მაგრამ როცა „სიყვარული“ მხოლოდ „ხორციალია“, ის „სასიკვდილოდაა“ განწირული, ადაპტაციის უნივერსალური კანონის გამო და მის „სიკვდილს“, ამ ყველაფრის „სიკვდილიც“ თან ახლავს.

ცხოვრებაში კი, დღეს, გამოთქმას – „მელიას სიყვარული“, როგორც წესი, ანგარებიანი სიყვარულის სინონიმად ხმარობენ და მას „დიდ დღე არ უწერია“.

ახლა მინდა „საქმე გავიოლო“ და ამ თემაზე საუბარი აქ დავამთავრო; ანდაზა კი გაფრთხილებად მივიღოთ – თუ სიყვარულის საფუძველები (კულტურალურიც და ბიოლოგიურიც) მელიის სიყვარულს ჰგავს, ნამდვილ სიყვარულთან მას არაფერი აკავშირებს!

„კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო . . .“

ერთხელ, სტუდენტობისას, ერთი ჩვენ ლექტორზე შეყვარებული ქალი გვეწვია: მას ჩვენი ლექტორი ისე უიმედოდ შეყვარებოდა, რომ ტირილი დაიწყო – თუ შეველა არ შევიძლიათ როგორმე შემაძულეთ, თორემ თავი უნდა მოვიკლაო.

ჩვენ რა უნდა გვეშველა, თავადაც გამოუცდელი სტუდენტები ვიყავით! ბედად, ჩვენმა ერთმა „ხულიგანმა“ მეგობარმა ვულგარული ხუმრობა წამოიწყო

– გოგო, რა უნდა იმის შეძლებას, წარმოიდგინე შიშველი და მისკენ მიხედვაც აღარ მოგინდებაო, და ა.შ.

შეყვარებული ქალი ჯერ გაცოცხლებული შეაშტერდა „ხულიგანს“, მერე ისტერიული სიცილი აუვარდა; მერე ნელნელა დამშვიდდა, მაგრამ მხიარული განწყობილება არ განელებია, როცა ჩვენგან მიდიოდა, ბედნიერადაც კი გამოიყურებოდა.

ასე „ადმოვანინეთ“ ჯერ კიდევ პირველი კურსის სტუდენტებმა, მართალია ვულგარული და არც თუ უსაფუძვლოდ გალანძღული ფსიქოთერაპიის ერთერთი აპრობირებული ხერხი; თუმცა, მაშინ, ამგვარ „ეშმაკობებს“ ჩვენი ფსიქოლოგიის მასწავლებლები არასოდეს გვასწავლიდნენ. ჩვენ წინაპრებს კი საამისოდ მეტად მორალური ხერხი – არაკებით და ანდაზებით სწავლებები სცოდნიათ, თუკი მის პრაქტიკულ გამოყენებას თავად მიეხედებოდით.

მაგალითად, ანდაზა – „კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“ – გამოხატავს ფსიქიკის დამცავ მექანიზმს; იგი არაცნობიერად, ზოგჯერ ცნობიერადაც, მაშინ ამოქმედდება, როცა ადამიანს, წარუმატებლობისას გსასწარკვევთის საფრთხე დამუქრება.

იგივე აზრია გამოთქმული ცნობილ არაკში – „მელია და ყურძენი“, სადაც სულწასული მელია ამოდ ცდილობს მაღლარ ყურძენს შეწვდეს, „იხტიბარს არ იტესს“ და ამბობს – „მკვახე იყო ის ყურძენი, მომკვეთავდა კბილებსაო“. მსგავს „დამცავ მექანიზმებს“ სთავაზობენ დღეს თანამედროვე ფსიქოლოგები რაიმე მიუღწეველი სურვილებით (მიზნით) განერვიულებულ ადამიანებს

„აგადმოფიცი რომ მორჩება, ექიმი შეძულდებაო“

ერთხელ მეზობელმა ჩემგან ორი დღით 20 ლარი ისესხა. ერთი კვირის შემდეგ ქუჩაში ჩემთვის თვალის არიდება სცადა; მაშინ მას ოპერაცია ახლად გაკეთებული

ჰქონდა და ვიფიქრე – ალბათ გაუჭირდა, ფულს ვერ მიბრუნებს და ამიტომ ცდილობს წინ არ შემეფეთოსოთქო და მისი გამხნელება გადავწყვიტე.

რაკი მას ჩემთვის თვალის არიდება არ გამოუვიდა, გვერდით ჩავლისას მოკრძალებით გამიღიმა და საღამოთან ერთად, მობოდიშება დაიწყო – ვერ მოვიცაღლე თქვენთან რომ მოვსულიყავი და ვალი დამებრუნებინა, როგორ მრცხვენიაო!

გულწრფელად ვანუგეშე – ეგ თანხა წუხილად არ ღირს, თავადაც გადაწყვეტილი ჰქონდა არ გამომერთმია, წესით, ოპერაციაგაკეთებულისთვის ფული ისეც უნდა მენუქებინა, ალბათ უფრო მეტიცოთქო; მადლობა გადამიხადა და ჩემი შეთავაზებაც სიამოვნებით მიიღო, რაც იმით ახსნა, რომ ბევრი გაუთვალისწინებელი ხარჯი ჰქონდა და ბევრი უიმედო ვალიც „აიკიდა“.

ერთმანეთს კეთილად დავშორდით.

მას შემდეგ ის ქალბატონი, როცა ჩემთან შეხვედრის „საფრთხე“ აქვს, უსათუოდ შეუხვევს მაღაზიაში, შესახვევში, სადარბაზოში და ყველგან, სადაც შესაძლებლობა მიეცემა; თუ ამას ვერ ახერხებს, მესალმება, მაგრამ ისეთი ტანჯული სახე აქვს, რომ თავი დამნაშავე მგონია ასეთ უსიამოვნებას რომ ვაყენებ. აკი ნათქვამია „ავადმყოფი რომ მორჩება ექიმი შექულდებაო!“

მისთვის რომ „გამეგო“ და უმადურობაში ბრალი არ დამედო, ჩემი „თავის დადანაშაულებას“ შეუდევქი, ვეცადე მაშინდელი ჩემი თანაგრძნობით მიღებული გადაწყვეტილებისთვის მისი თვალით შემეხედა: ფული (ვალი) რომ შევაწიე, იქნებ ამით უნებლიედ, ჩემი უპირატესობა ვაგრძნობინე, რამაც მისი თავმოყვარეობა შებღალა? მსგავს შემთხვევებში ეს გრძნობა მათ უნდებოთ, ვისაც გამახვილებული თავმოყვარეობა კი აქვთ, მაგრამ ცხოვრება ისე ვერ ანებივრებთ, როგორც თავად სურთ (ანუ კომპლექსიანებს, შინაგანად შებოჭილებს; არ მინდა ვთქვა – ძუნწებსოთქო). გულუხვ, ხელგაშლილ, გულგახსნილ ადამიანს, ეს არ შეაწუხებს, მას სხვისგან მიღებაც ისევე ალაღად შეუძლია, როგორც გაცემა (უსინდისობა არ იგულისხმება, ის სხვა „ჭირია“).

იქნებ ახლა ის მეზობელი ჩემგან თავს „დავალებულად“ გრძნობს და აწუხებს სანამ „სამაგიეროს“ რითიმე არ გადამიხდის?

ერთხელ, მოსკოვში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ყოფნისას, იქაურმა მკვიდრმა თანაჯგუფელ მეგობრებს თეატრის ბილეთები მოგვიტანა, რასაც

მაშინ, იქ ახლადნასულები ძნელად ან საერთოდ ვერ ვახერხებდით (მაშინ ბილეთები ძალიან იაფი იყო, მოთხოვნები კი – დიდი).

მე, ჩემი ქართული ფსიქიკიდან გამომდინარე, ვერ მოვისაზრე მისთვის ფული შემეთავაზებინა – მეგონა, ამით შეურაცხოვას მივაყუებდი.

მაშინვე თბილისში დავერეკე (რაც 70-იან წლებში ასევე საკმაოდ რთული იყო) – არიქა, რაიმე „მაგარი“, ეროვნული სუენიერი გამომიგზავნეთ საჩუქრადთქო (რისი შერჩევაც, გამოგზავნაც და მიღებაც კიდევ უფრო რთული პროცედურა იყო). რამდენიმე დღიანი ნერვული გადარეკვა-გადმორეკვების შემდეგ უეცრად ერთი „ცოდელი“ აზრი დამებადა – არ ჯობდა ამდენ დავიდარბას ბილეთის ფული გადამეხადათქო? მერე „ეშმაკმა წამწურწულა“ – მერედა ვინ გითხრა ამაზე უარიო? ამოვისუნთქე! მორე დღევე იმ „მასკეიკას“ ფული უხერხულად მომდიმარმა გავეწოდე და თან „დიიდი, დიიდი მადლობაც“ დავურთე. მან, ყოველგვარი „კომპლექსების“ გარეშე, ფული ალალი დიმილით ჩამომართვა და საღამოს, სპექტაკლის დაწყებამდე 10 წუთით ადრე შესვედრაც დამინიშნა სხვა ჩასულებთან ერთად.

მაშინ გავაცნობიერე „გერმანული ანგარიშის“ სიკეთე, რაც მანამდე მე (ჩვენ, ქართველების უმეტესობას) არ გვესმოდა. – თურმე, როცა გერმანელი გეუბნება „ლუდი ხომ არ დავლიოთო“, იგულისხმება, რომ შენი დანახარჯი თვითონ უნდა გადაიხადო, მისი – მან! ვწურწულავდით ქართველები და ამგვარი მასპინძლობით განცვიფრებული ვიყავით. თურმე რა დიდი ბედნიერებაა, როცა შენ დანახარჯს თავად იხდი!

ახლა კი, როცა ამერიკელი ფსიქოლოგის, საზოგადოებასთან ურთიერთობების სპეციალისტის წიგნში ვკითხულობ – „მეგობარმა თუ რესტორანში ორჯერ ზედიზედ დაგაბტიყათ, ჩათვალეთ, რომ თქვენ უკვე მისი მეგობარი აღარა ხართო“, – აღარ მიკვირს, პირიქით, ჩემ გამოცდილებას მათ ვუზიარებ, ვისაც მსგავს სიტუაციაში „გერმანული ანგარიშის“ სიკეთე არ გამოუცდია!

მთელი ამ ფილოსოფიით (თუ ფსიქოლოგიით) იმის თქმა მინდა, რომ „ავადმყოფის მიერ ექიმის სიძულვილი“ იმ შემთხვევებს უკავშირდება, როცა ექიმებს მომსახურებისთვის ფულს ვერ უხდიან, რის გამოც ადამიანს „შინაგანი მსაჯული“ – სინდისი აწუხებს“, რაც ყოველთვის არაა გაცნობიერებული; იგი ადამიანს „აიძულებს“ სხვისი ღვაწლი დაამციროს, რათა თავმოყვარეობა

„გადიარჩინოს“ (ფსიქოლოგიაში ამას „ფსიქიკის დამცავ მექანიზმს“ უწოდებენ, ცხოვრებაში – უსინდისობას).

ამიტომ, როცა ვინმე ჩვენს მიმართ უმადურობას გამოხატავს, თავი შეურაცხოფილად არ უნდა ვიგრძნოთ; პირიქით „მას“ უნდა თანაუგრძნოთ, რაკი ესაა მისი შინაგანი სულიერი ტკივილით გამოწვეული, ფსიქიკის დამცავი ფუნქციით ნაკარნახევი, ფსიქიკურად სუსტი ადამიანის სულიერი მდგომარეობა. მათთან ურთიერთობის საუკეთესო ფორმა „გერმანული ანგარიშია“, რათა მის „თავმოყვარეობის კომპლექსს“ ანგარიში გავუწიოთ.

საბედნიეროდ, ამგვარი „უმადურობა“ ყოველთვის როდი ახლავს სიკეთეს. სულთ ძლიერ ადამიანებს „არ ეშინიათ“ „მიღების“, სხვისი ამაგი ახსოვთ და მუდამ მზად არიან უკუგებისათვის. მათ მაგალითზე ამბობენ ჩვენი წინაპრები – „მადლი ჰქენი ქვას დადვი, გაივლი და წინ დაგხვდებაო“.

ზემოთ მოტანილ საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას, იმ „საცოდაუმა თეატრის ბილეთმა“ რომ შემაწუხა, ჩემი სისუსტე ვადიარე – „მიღება“ მათ აწუხებთ, ვისაც ქვეცნობიერად იმის განცდა აქვთ, რომ „გაღება“, თავად უძნელდებათ ან საერთოდ არ შეუძლიათ; მათი „სასჯელი“ თავიანთივე განცდებაა. ამიტომ მათ მხარდაჭერა და გაგება-პატიება უფრო ჭირდებათ. ძლიერი სულის ადამიანებს კი (დიდსულოვანთ), სხვა ანდაზა ასე მოუწოდებს – „მადლი ჰქენი, ქვას დადვი, გაიარე და შედეგს არ დაელოდო“.

„კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“

ძველი სიბრძნეა – მოძღვარი მაშინ მოდის, როცა შეგირდის სული მზადაა სიბრძნის მისაღებადო; შტაინერი ამბობს – საკრალურ ჭეშმარიტებათა ნაადრევი გაცხადება დაღუპავს კაცობრიობასო.

როგორც ისტორიკოსები წერენ, აინშტაინმა, თურმე, თავისი გამოკვლევების ერთი ნაწილი დაწვა – ეს კაცობრიობას ჯერ არ ჭირდება, ხოლო როცა დაჭირდება, თავად აღმოაჩენსო.

ეს ფაქტები (თუ გამონაკინი?) აღქმის სუბიექტურობას გულისხმობს – ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილიდან ადამიანი მხოლოდ იმას აღიქვამს, რაც მისი არსებობისთვის აუცილებელია, რაც მას ჭირდება, რისი მოთხოვნილებაც მას გაუნნდება (პრაგმატიზმი).

დროთაგანმავლობაში იზრდება „მისი არსებობისთვის აუცილებელი“ საჭიროებები, რაც ახალახალი აღმოჩენების სტიმულია; ასე ნელნელა და თანდათანობით „იხსნება“ და ფართოვდება სამეაროს შეცნობის (აღქმის) უსასრულო საზღვრები; მომავალი თაობები ისეთი საოცარი და საინტერესო აღმოჩენების მოწმენი გახდებიან, რაზეც თანამედროვეობას ჯერ წარმოდგენაც კი არა აქვსო, ამბობენ ფსიქოლოგები (კარლ გუსტავ იუნგი).

ახლა ჩვენს ანდაზას დაეუბრუნდეთ, რომლის ღრმა აზრის გასაგებად ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი – აღქმის სუბიექტურობა დაგვეხმარება, რაც გვასწავლის, რომ ჩვენი ფსიქიკური ფუნქციები – აღქმა, ყურადღება, მესხიერება და აზროვნებაც კი, ჩვენს სუბიექტურ განწყობებზე, აღზრდაზე, გამოცდილებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობებზე და ა.შ. ბევრად არის დამოკიდებული (ცხადია ობიექტურ პირობებთან ერთად).

აღბათ ყველას ჰქონია შემთხვევა, როცა ერთიდაიგივე მოვლენა, ფაქტი, ნივთი თუ საქციელი სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვაგვარად აღუქვამს (რის გამოც, ზოგჯერ, კონფლიქტიც კი „აგორბეულა“. უცხოელი სოციალ-ფსიქოლოგები მსგავს ფაქტებს „აღქმის დამახინჯებას“ უწოდებენ). ამის მიზეზი სწორედ „აღქმის სუბიექტურობაა“, რასაც თავისი ღრმა-ფსიქიკური მიზეზები აქვს და ეს მიზეზები ზოგჯერ ცნობიერი, ზოგჯერ კი არაცნობიერია; ამის მაგალითად რამდენიმე ეპიზოდს გაეჩხენებ, რაც ჩემი სათქმელის უფრო გასაგებად გადმოცემაში დამეხმარება:

ერთხელ, დიდი ხნის წინ, როცა უმაღლეს სასწავლებლებში ესთეტიკას ასწავლიდნენ, ერთმა სტუდენტმა თავის ესთეტიკის ლექტორზე „იჭორავა“ – ტიტველი ქალების სურათები მოაქვს და გვიჩვენებს ხოლმეო. ჩაკვივი და აღმოჩნდა, რომ ლექტორს მათთან ლუერში დაცული ცნობილ მხატვართა შედეგების ალბომი შეუტანია, რათა მაშინ მათთვის ხელმიუწვდომელი ხელოვნების ნიმუშები ეჩვენებინა. იმ სტუდენტმა აღორძინების პერიოდის მხატვრობა-შედეგები „ტიტველ ქალებად“ აღიქვა; ანუ, ის, რაც მრავალთათვის აღფრთოვანებისა და სულიერი ტკბობის ობიექტია, ვიდაცისთვის ის მხოლოდ „ტიტველი ქალია“

მსოფლიოს კულტურულ ქვეყნებში ცნობილმა კარიკატურისტმა – პერლუფ ბიდსტრუმა, დიდმა მხატვარმა და ადამიანის ფსიქიკის კარგმა მცოდნემ, მთელი ეს ფილოსოფია წიგნის ერთ გვერდზე დააბთა; მის შედეგებს შორის ერთერთს ჰქვია – „ერთი და იგივე წიგნის მკითხველები“; წიგნმა ერთი მკითხველი

მეტისმეტად ჩააფიქრა; იგივე წიგნმა მეორე – გააღიმა, გააცინა, აახარხარა; მესამეს – მოქნარება მოჰგვარა და დააძინა; მეოთხე – განარისხა!.

ჩარლი ჩაპლინის ერთერთ შედევრში, ალასკაში ხელმოცარულ ორი ოქროს მაძიებელი მეგობრის „ტრაგიკომედია“ თავგადასავალში ასეთი ჩანახატებია: ორი მშვიერი მამაკაცი (ჩარლი და მისი გოლიათი მეგობარი) ტრაგიკული სახეებით ცარიელ მაგიდას შემოსხდომიან; ჩარლის გოლიათი მეგობარი, რომლის ბრიყვული გამომეტყველება მთლიანად შიმშილს „ყვირის“, ოთახში ბოლთისცემას იწყებს; ჩარლი უყურებს, უყურებს და მეგობრის ნაცვლად მსუქან ქათამს ხედავს, გაპუტული კურტუმითა და მსუქანი ბარკლებით... ანუ, „ხედავს“ – შიმშილი და არა ცივილური ადამიანი. ცხადია ესაა ასახვის მხატვრული ხერხი და რეალობისგან შორსაა, მაგრამ რაზეც ჩვენ აქ ვისაუბრეთ – აღქმას რომ ადამიანის სუბიექტური მდგომარეობა განსაზღვრავს, ამის გათვალსწინებებაში კარგად გვეხმარება.

მსგავსი მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ახლა, ისევე ბიდსტრუპის სხვა კარიკატურას მინდა დაეუბრუნდე: დადლილ-მოშიებული ნაშრომ-ნაჯაფი კაცი ხალხმრავალ სასაუზმეში შედის. ცარიელი მაგიდა არსადაა. მხოლოდ ერთგან ზის ასაკოვანი, მსუქანი ქალბატონი, რომელიც მოწყენილ-ჩაფიქრებული, იატაკს ჩასცქერის. კაცი ქალს უკმაყოფილო-უინტერესო გამომეტყველებით, მის მაგიდასთან დაჯდომის ნებართვას თხოვს. ოფიცინანტს კაცისთვის ლანგრით საჭმელი და გრაფინით თეთრი სითხე (ალბათ არაყი) მიაქვს. კაცი ჭამს; გრაფინში თეთრი სითხე ნელნელა დაბლა იწვეს და კაცსაც სიცოცხლის ხალისი უბრუნდება: ამნევს, რომ ასაკოვანი ქალი თანდათან „ლამაზდება“, მისკენ მაცდურად იყურება, ბოლოს, კაცის პირისპირ ულამაზესი ქალწული ზის, წელში გამართული, მოზრდილი მომხიბვლელი მკერდით და თვალებს ნაზად უყუყუნებს... შექვიფიანებული მამაკაცი მის წინ მუხლს მოიყრის და სავარაუდოდ ცოლობას სთხოვს. ბოლოს, ჩანს როგორ გადიან კარებში ხელგადახვეული კაცი და სქელი, ბებერი ქალბატონი. ანუ – ალკოჰოლმა „იმუშავა“, კაცის აღქმა მისი სურვილის შესატყვისად შეცვალა, თუმცა რეალურად, ხელთ ბებერი ქალბატონი შერჩა.

ხალხური თქმულებაა: ერთი ატირებული ქალი მოხუც კაცს შესწივის – ხბო დაეკარგა, ჩემი კაცი შინ რომ დაბრუნდება, უთუოდ მომკლავს ან სახლიდან გამაგდებსო; მოხუცი ქალს ამშივდება – დანაკარგის შესახებ ქმარს მანამ არაფერი

უთხრა, სანამ „ტკბილი წუთები“ არ დაგიდგებათ. აი მაშინ კი ის ყველაფერს გაპატიებსო! მართლაც, ქალმა ამ დარიგებით ისარგებლა და პასუხად ნუგეში და მოფერება მიიღო.

ახლა ქართველი ფსიქოლოგის, ბატონი შალვა ნადირაშვილის ექსპერიმენტი გავიხსენოთ: ცდის პირებს ხუთბაღიანი სისტემით შესაფასებლად ეძლევათ ცნობილი ისტორიული პირების მიერ სახელმწიფოს ძლიერებისთვის განხორციელებული დიდი ღონისძიებების ჩამონათვალი. ერთ შემთხვევაში ესაა დავით აღმაშენებელი. ცდის პირების ასი პროცენტი მას უმაღლესი ქულით აფასებს; მეორე შემთხვევაში, იგივე ღონისძიებების გამტარებელი შაჰ-აბასია. ქართველი ცდის პირების ასი პროცენტი მას უარყოფითად აფასებს.

სპარსულ ცდისპირებთან პირიქითაა – დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებებს ისინი უარყოფითად, ხოლო შაჰ-აბასის მიერ იგივე ღონისძიებებს უმაღლესი ქულით აფასებენ.

ერთერთ ექსპერიმენტში ცდის პირებს ასმენინებენ ჩანაწერს, სადაც ჯერ ქალი საუბრობს საკუთარ პრობლემებზე, მერე კაცი, იგივე ტექსტს კითხულობს. მერე ცდის პირებს თხოვენ შეაფასონ მოსაუბრეები. მოსაუბრე ქალმა გაცილებით უფრო მაღალი ქულა მიიღო, ვიდრე კაცმა, რაკი „ვაჟაკობის“ შესახებ გავრცელებული სტერეოტიპების გავლენით კაცს „პირველივე შემხვედრთან თავის პრობლემებზე გულახდილი საუბარი არ შეეფერება“; ის აღიქმება როგორც ნევროტიკი, სუსტი, დამოკიდებული ადამიანი.

ანუ, ჩვენს აღქმებზე გავრცელებული სტერეოტიპებიც ახდენენ გავლენას.

აღქმის სუბიექტურობას ნიშნავს სხვადასხვა ვარიაციებით გამოთქმული ერთი და იგივე აზრი, რაც ჩვენს წინაპრებს ფსიქოლოგიამდელ პერიოდში გაუცნობიერებია და რაც ანდაზების სახით დაგვიტოვებს: „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“; „ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო“; „ვისაც ვინ უყვარს, მისი ღამაზიც ის არისო“; „ვისაც ვინ უყვარს, მისი ჭაპაჭუპი ნაზ ჭამად ესმის, ბრაგაბრუგი - კეკლუც გავლადო“; „კაცს თუ კაცი სძულს, მისი ღაპარაკი რახარუხად და ჭამა – ჭყაპა-ჭყუპად ეჩვენებაო“.

მაშასადამე, ზოგჯერ, ჩვენს აღქმებს ჩვენივე სუბიექტური განცდები, აღზრდა-გამოცდილება და სხვა ფაქტორები განსაზღვრავს და დიდ სარგებლობას ვნახავთ, თუ ამ ცოდნას ურთიერთობებში გავითვალისწინებთ.

„ურჩი მიუშვი ნებასა...“

ეს ანდაზა უთუოდ იმ გაბრაზებული კაცის მოფიქრებულია, ვისაც ახლობლის ურჩობა-სიჯიუტემ გული უსაზღვროდ ატკინა. არადა ზოჯჯერ ის კარგიც კი არის, რაკი ზოჯჯერ არც ყველაფრის დამჯერი ადამიანი ვარგა! მას, ფსიქოლოგიაში – კომფორტულს უწოდებენ, რაკი მას საკუთარი აზრი და საკუთარი ნება არ გააჩინა.

სამწუხაროდ ურჩობა-ჯიუტობა ახალი თაობის ერთერთი გამორჩეულად დამახასიათებელი თვისებაა, რაც უფროსი თაობის მუდმივ საწუხარს წარმოადგენს (უფრო იშვიათად არც „ძველგაზრდების“ ურჩობა-სიჯიუტეა გამორიცხული და ნაკლებ გულსატკენი).

ჯერ გაენიხილოთ ახალგაზრდებში „ურჩობა-ჯიუტობის“ მიზეზები და შედეგები და მერე განვსაჯოთ – მიუშვათ ურჩი ნებას თუ არა.

ამის ასახსნელად ექსისტენციალიზმის ფილოსოფიის ავტორიტეტს გამოვიყენებ: საქმე იმაშია, რომ თითოეული ადამიანი უნიკალური, განუმეორებელი, დამოუკიდებელი ინდივიდია. რაკი ადამიანი სოციალური არსებაცაა, ურთიერთობების გარეშე მას არ შეუძლია, რაც ერთგვარ „მსხვერპლს“ – თავისი ინდივიდუალური მისწრაფებების დათმობას და სხვისი უფლებების პატივისცემასაც მოითხოვს. ამის აუცილებლობის გაცნობიერებამ ადამიანს ქცევის მარგულირებელი ნორმების დაწესება უკარნახა. ადამიანს უფლება აქვს თავის თავზე იზრუნოს, მაგრამ მას „უფლება არა აქვს“ მხოლოდ თავის თავს ხედავდეს (იყოს თავხედი), ანუ, რაკი მას „არ შეუძლია მარტოს“, ისე უნდა მიიღოს „სხვა“, როგორც მეორე „მე“, ანუ „მე“ და „შენ“ არის დიალექტიკური მთელი (ეგზისტენციალიზმში – ადამიანი ერთსა და იმავე დროს სოციალურიცაა და ასოციალურიც); ადამიანთა შორის ურთიერთობები მაშინ არის ეფექტური, როცა მათ გაცნობიერებული აქვთ სად მთავრდება „მე“ და სად იწყება „სხვა“, როდისაა გონივრული „მე მინდა“ და როდის – „შენ გინდა“ ან „მას უნდა“, რის მისახვედრადაც ნორმის ცოდნასთან ერთად სიბრძნე და გამოცდილებაა საჭირო.

ეს ფილოსოფოსობა საკმარისი არ იქნება, თუ ისიც არ აღვნიშნეთ, რომ ყოველი ადამიანი, როგორც უნიკალური არსება, თავისუფალ არსებად იბადება. თავდაპირველად მას აქვს მკაფიოდ გამოხატული სწრაფვა ფიზიკური თავისუფლებისაკენ – ახალშობილი სუსტად და გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს აღმზრდელებს, როცა მას სახვევებით ხელ-ფეხს

უკრავენ, მაგრამ ის „მაღე წყვეტს ბრძოლას თავისუფლებისათვის“ და „ბედს ეგუება“. ამ „ბრძოლის“ და „შეგუების“ ხარისხი ინდივიდის თანშობილ ბრძოლისუნარიანობაზეცაა დამოკიდებული – თავისუფლებთვის ზოგი სუსტად „იბრძვის“, ზოგი ენერგიულად, ზოგიც ისტერიული ტირილით გამოხატავს „პროტესტს“.

ინდივიდს კიდევ უფრო მეტი „მსხვერპლის“ გაღება უხდება მოზრდილობისას, როცა მისი ცხოვრების არეალი ფართოვდება; მაშინ მას წინ ეღობება უამრავი აკრძალვები და მოვალეობები, რაც მის სურვილებსა და მოთხოვნილებებს ზღუდავს. არადა „ცხოვრებასაც აქვს თავისი მოთხოვნები და უფლებები“, რაც ადამიანს ბავშვობიდანვე მოვალეობებს უწევს; ადამიანს აქვს არჩევანის უფლება – შეეგუოს, შეეწოს იმ მოთხოვნებს, რაც ამჟვეყნად მოვლენილს დახვდა (ამას „სოციალიზაციის პროცესს“ უწოდებენ) ან უარი თქვას მასზე და ცხოვრებას „ომი“ გამოუცხადოს.

ცხადია აქ „არჩევანზე“ საუბარი პირობითია, რაკი ახლადმოვლენილობის ასაკში ყოველგვარი „არჩევანი“ გამორიცხულია, მის მაგიერ ამას სხვები – მშობლები, სოციალური გარემო აკეთებენ. აღზრდის შედეგად, ზოგი „მეტად დამჯერი“, ზოგი „გონიერულად დამჯერი“, ზოგიც „ურჩ“, „ჯიუტ ადამიანად“ ყალიბდება; ეს დამოკიდებულია როგორც აღზრდის სტილზე, სოციალური გარემოს ზემოქმედებაზე, ისე თავად ინდივიდის თანშობილ შთაგონებადობის უნარზე; ეს კი, თავის მხრივ ინდივიდის ბუნებრივ, თანშობილ, საწყის – სასიცოცხლო პოტენციალზეა დამოკიდებული.

ხოლო ის, რაც „მეტისმეტად ბევრია“ ან „მეტისმეტად მცირეა“ ყველაფერი მანკიერებაა და გადახრად მიიჩნევა; „მეტისმეტად დამჯერი“ ადამიანები უპიროვნო, უინტერესო, არარეალიზებულ ადამიანებად ყალიბდებიან, რომელთაც საკუთარი არაფერი გააჩნიათ (ცხადია მატერიალური კეთილდღეობა არ იგულისხმება); როგორც წესი, ისინი ხელმოცარულად ითვლებიან, თუმცა შესაძლოა გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობასაც კი მიაღწიონ. ასაკის მატებასთან ერთად, მათ განუხორციელებელი მიზნებისა და ოცნებების გამო, იმედგაცრუებისა და დაუკმაყოფილებლობის განცდები და ნევროზები ემუქრებათ, რაც სხვადასხვა დაავადებების მიზეზად არის მიჩნეული.

ასევეა, მეტისმეტად ურჩი და ჯიუტი მოზარდები; ხშირად მათი სიჯიუტე ამპარტავნების ცოდვიდან იღებს სათავეს; სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით

„ამპარტავანი არის სწავლების მოთაკილე, თავისი ნაქმნარის მამწონებელი“, რასაც ხშირად მსხვერპლად ეწირება მოზარდის აზროვნების უნარი; აზროვნება ვერ ვითარდება, რაკი ამპარტავანს არ სურს ვინმეს მოუსმინოს, გაიაზროს რასაც ასწავლიან, რაკი მხოლოდ თავისი აზრი მოსწონს და სხვისგან ნასწავლებს ვერ პგუობს, ეჩვენება, რომ ამთ მისი „ამპარტავანი თავმოყვარეობა“ შეიღახება; ურჩები (ჯიუტები) ხშირად მშობლებთან, ახლობლებთან, თანამშრომლებთან და საერთოდ საზოგადოებასთან კონფლიქტში აღმონდებიან ხოლმე; მეტ წილად ვერც ისინი ახდენენ თვითრეალიზაციას, ცალკეული გამონაკლისების გარდა. მათი სახით ხშირად იკარგება ის ნიჭი და უნარი, რაც მათ შემოქმედმა უბოძა.

ამას გულისხმობს „ნებას მიშვებელი ურჩი“, რომელიც უსათუოდ ისჯება თავისი მანკიერების გამო (გავისხენოთ „ბოროტების კანონი“, რაც სიკეთე-ბოროტების რეგულირების ბუნებრივი მექანიზმია).

იგივე ითქმის „დედის წინ მორბენალ კვიცხეც“, რომელსაც, ხალხის აზრით „ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ძაღლი“; ანუ ის მოზარდი, რომელიც მშობლის, მეგობრის, მასწავლებლის ან სხვა „ჭკუაღამჯდარი“ და გამოცდილი ადამიანის რჩევა-დარიგებებს ყურად არ იღებს, აუცილებლად დაისჯება.

„ყურადღება“ ნიშნავს მოსმენას და სიბრძნის მიღებისათვის საჭირო მზაობას – განწყობას. თუ სიბრძნის მიღებისათვის მზაობა – განწყობა არ არსებობს, მხოლოდ მოსმენა იგეგვა, რასაც ხალხური გამოთქმა გულისხმობს – „ერთ ყურში რომ შეუშვა, მეორედან გამოუშვაო“, „შეაყარე კედელს ცერცვიო“ და სხვ.

„სინდისიც კაი საქონელიაო“

ამ ანდაზის დედააზრი, ჩვენში საბაზრო ეკონომიკის შემოდებადღე, ჩვენი მოქალაქეების დიდი უმრავლესობისთვის მიუწვდომელი იყო. როცა სკოლაში, სხვათაშორის მასწავლებელი ამ ანდაზის ახსნას შეეცადა, შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ სიტყვა „საქონელი“ თავლაში დაბმულ ძროხას ან ხბოს ნიშნავდა.

ცხადია ამ ანდაზის გაცნობისას პროტესტის გრძნობა არ გაგვჩენია – ძროხა, ხბო, ხარი და სხვა რქოსანი პირუტყვი მართლაც ქონებასთან არის დაკავშირებული,

მაგრამ თუ ეს სიტყვა – „საქონელი“ გასაყიდ პროდუქტს გულისხმობს, აზრად არავის მოგვსვლია, საბაზრო ეკონომიკის შემოსვლამდე! როცა ვინმეს ბრაზიანად ეტყოდნენ – შე საქონელი, ის „ვინმე“ თავს დიდად შეურაცხოფილად გრძნობდა; მაშინ გვიკვირდა – თუ ვინმეს ეტყოდნენ – „შე ვეფხვო“! ან „შე ლომო“, უხაროდათ; თუ ვეფხვს ან ლომს მისგავსება საამაყოც კი იყო, რატომაა საწყენი ჩვენს საყვარელ, ოჯახისათვის თავგანწირულად ერთგულ ცხოველებს თუ მიგვამსგავსებენ?

ჩვენში მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის გადმოღების შემდეგ გავაცნობიერეთ, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ამ ახალ სიტუაციაში ყველაფერი იყიდება – პროდუქტიც და მომსახურებაც, სტუმართმოყვარეობაც, ერთგულებაც, ნიჭიც, სიყვარულიც, სილამაზეც, ცოდნაც, გამოცდილებაც, სხვისი დარღების მოსმენის უნარიც და თვით სინდისიც კი, რაკი **სინდისი სარფიანი (მომგებიანი) ურთიერთობის აუცილებელ ფაქტორად არის მიჩნეული და თუთუ ადამიანს ამათგან რომელიმე აქვს, ე. ი. ბიზნესის წყაროსაც ფლობს დაა** შესაძლებელია, რომ ეს ყველაფერი „ბაზარზე“ გაიტანო და გაყიდო; მთავარია, რომ ვაჭრობა იცოდე! ალბათ ჩვენს წინაპრებს ასეთი ცხოვრების გამოცდილებაც ჰქონდათ, რაკი შთამომავლობას ანდაზა დაგვიტოვეს – „სინდისიც კაი საქონელიაო“! ანუ, ყოველ სარფიან საქმეს სინდისი უნდა არეგულირებდეს; როცა რაიმეს ყიდი ან ყიდულობ, უნდა იცოდე – ნივთის გამო ყველაზე ძვირფასი რამ – სინდისი არ დაკარგო, რადგან მუდამ უნდა გახსოვდეს – ისიც დიდი განძია! თანამედროვე წარმატებული ბიზნესის დევიზი კი ასე უდგეს – **მოგება კარგია, მაგრამ სინდისი – უმთავრესია! Совесть – лучшая политика** – ამბობდა სპენსერი; სინდისი –კანონთა კანონია! – უთქვამს ალფონს ლამარტინს; ჩვენთვის, ქართველებისთვის კი წინაპრებს ანდერძად დაუტოვებია – **სინდისიც კაი საქონელია და ამიტომ, მას არ უნდა შეეღიო!**

„წარსდგა მშვიერი და არა შიშველიო“

ბავშვობისას ოსკარ უაილდის ზღაპარში ამოვიკითხე „...ის კაცი ყველაზე ჭკვიანი იყო ჩვენ სოფელში, იმიტომ, რომ თითხე ზურმუხტის ბეჭელი ეკეთაო“, რაზეც მაშინ ბევრი ვიცინეთ.

მოგვიანებით მივხვდი, რომ დიდი მწერლის ირონია მხოლოდ ბავშვების გასამხიარულებლად არ დაწერილა, ის საზოგადოების იმ ნაწილზე იყო მიმართული, ვინც „კარგად ჩაცმულ ადამიანებს უფრო გულისყურით უსმენს“. ეს „ცოდვა“, მეტ-

ნაკლებად ყველას ახასიათებს ცხადია მანამ, სანამ გაიგებენ იმ „კარგად ჩაცმულ ადამიანს“ „თავში რა უყრია“.

აქ შეიძლება ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის სამაგალითო გმირობა გავისხენოთ, ვინც ემიგრაციაში მყოფი, პარიზში, ნახევრად შშიერი და „რიგიანად ჩაუცმელი“ ცხოვრობდა, მაგრამ თავისი ქვეყნის ეროვნულ საგანძურს ერთგულად იცავდა. ცნობილია, რომ, როცა სამშობლოში ეროვნული განძი ჩამოიტანა, მადლიერმა ქართველმა ხალხმა შეხვედრა მოუწყო; მან თავისი უარი ამ ანდახით გამოხატა - წარსდგა მშიერი და არა შიშველიო!

ახალგაზრდებს დიდხანს არც ამ ფრაზის სათანადოდ დაფასება გვესმოდა, რაკი ოფიციალური იდეოლოგია მეთოდურად გეინერგავდა თავმდაბლობას, მაგრამ როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში აღმოვჩნდით, სადაც წარმატებებს მხოლოდ კონკურენტუნარიანი ადამიანები აღწევენ, მივხვდით, რომ პუბლიკაზე პირველი შთაბეჭდილების მოსახდენად ჩაცმას და აქსესუარებს დიდი მნიშვნელობა ჰქონია.

ცხადია „რიგიანად ჩაცმა“ მაღალ გემოვნებას გულისხმობს და არა ძვირად ღირებულ სამოსს და აქსესუარებს (თუმცა, ახლა, ტელეეკრანებიდან თავს ძვირფასიანი სამოსით და სამკაულებითაც იწონებენ).

ჩვენი წინაპრები იმასაც გვასწავლიან – მივიღებენ ჩაცმულობის მიხედვით და გაგისტუმრებენ ისე, რისი ღირსიც სინამდვილეში ხარო! ამ სენტენციას არც საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაუკარგავს აზრი, თუმცა პირველი შთაბეჭდილება მაინც გარეგნულ ბრწყინვალეობას ენიჭება. ზოგჯერ, ამით გაღიზიანებული ახალი თაობა, ხაზგასმულად ცდილობს „გარეგნული ბრწყინვალეობის ეფექტს“ გაემიჯნოს და უსახურ, იაფ და არაპოპულარულ სამოსს განგებ იცვამენ (მაგ. დახეულ ჯინსებს) და ამ გამომწვევი თავმდაბლობის ფონზე, საკუთარ ღირსებებს განსაკუთრებულ ეფექტს, სძენენ!

„როგორც კერიო, ისეთი ბერიო!“

რომელიმე პოლიტიკოსის ქმედებები როცა არ მოგვწონს და მას რაიმეში ვადანაშაულებთ ეს ანდაზა მაშინ უნდა გავისხენოთ, რაკი ბრალი ჩვენც მიგვიძღვის.

რელიგია „თავის დადანაშაულებას - „საკუთარ თვალში ძელის აღმოღებას გვასწავლის“; ჩვენ, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხშირად პასუხისმგებლობას, მხოლოდ ხელისუფლებას ვაკისრებთ, ზოგჯერ კი თავსაც ვიდანაშაულებთ ანუ პასუხისმგებლობას ვინაწილებთ, რისთვისაც ჰეგელის ცნობილ ფრაზას ვიშველიებთ – „ყოველი ხალხი თავისი მთავრობის ღირსიაო!“

ეს აზრიც, ქართულ ცნობიერებას, შორეულ წარსულში გაუცნობიერებია და უთქვამს – „როგორც ერიო, ისეთი – ბერიო!“

ხელისუფლებასა და ხალხს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების „ტექნოლოგია“ კონფლიქტების მოგვარების ერთერთი ნაცადი ხერხია, მითუმეტეს თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისას. თუ „ხალხი“ დაიჯერებს, რომ არასასურველი პოლიტიკური ვითარების შექმნაში წვლილი თავადაც მიუძღვის და მის შეცვლაზეც იზრუნებს, ბევრად უფრო ადვილია „უკეთესი სამოქმედო პროგრამის მიგნება-შესრულება“, ვიდრე ხელისუფლებაზე ყველაფრის გადაბრალება და ლოდინი, „როდის დადგება გაზაფხული“. რომელიღაც პოლიტიკოსის ნათქვამია – „ნამდვილი რევოლუციები მოედნებზე და ქუჩებში კი არ ხდება არამედ – ხალხის შეგნებაშიო!“ **ჩვენ კი იმით მაინც შეგვიძლია ვიამაყოთ რომ ეს ჭეშმარიტება, ჩვენმა წინაპრებმა, ძალიან დიდი ხნის წინ გააცნობიერა და თუ ამ ცოდნას პრაქტიკაში არ/ვერ ვიყენებთ, ისევ ჩვენს თავს ვუსაყვედუროთ, რათა მისი დაძლევა მოვახერხოთ.**

„აკრძალული ხილის“ „ბუმერანგის ეფექტი“

ყველას გვახსოვს ადამიანის სამოთხიდან გამოძევების მიზეზი აკრძალული ხილით ცდუნება რომ იყო; თავადაც ყველას გამოგვიცდია რა მომხიბვლელი ძალა აქვს ყველაფერს, რაც აკრძალულია; ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ამის მიზეზი ადამიანისთვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობა და თავისუფლების ინსტინქტია; მისი საზიანო შედეგის თავიდან აშორება მხოლოდ იმ „ხილის გასინჯვით“ ან თავად „ცნობისმოყვარეობის“ მავნეობის გაცნობიერებით/შეგნებით არის შესაძლებელი.

ცხოველსაც და ადამინსაც, ცნობისმოყვარეობისკენ შესაძლო საფრთხის თავიდან აშორების ინსტინქტი უბიძგებს. ცხოველთან ეს თვისება მხოლოდ საფრთხის თავიდან აშორებით მთავრდება, ადამიანთან კი ის შემოქმედებითი პროცესის სტიმულიცაა – ადამიანის ცნობისმოყვარეობა აღქმულის სხვანაირად წარმოდგენა-წარმოჩენის სტიმულს აძლევს, რის გამოც ის განვითარების პროცესის ხელშემწყობად გვევლინება.

გარდა ამისა, ადამიანსაც და ცხოველსაც, დაუმორჩილებლობის (თავისუფლების) ინსტინქტი აკრძალვების წინააღმდეგ განაწყობს იმ განსხვავებით, რომ ცხოველი, შიშის გამო აკრძალვებს შედარებით ადვილად ეგუება, ვიდრე ზრდასრული ადამიანი. მაგრამ რა ვუყოთ თავად ცნობისმოყვარეობას, ის ხომ შემეცნების სტიმული და განვითარების მექანიზმია!

□ თუმცა, შემჩნეულია, რომ 2-3 წლის ასაკში, ბავშვს „ჯიუტობის ხანა“ აქვს და მეტწილად სწორედ იმას აკეთებს, რასაც უკრძალავენ; მაგალითად, მკაცრად ეუბნებიან - იცოდე, კარი არ დახურო! ბავშვი გარბის და კარებს ხურავს, თან, ამის გამო ძალიან მზიარულად გამოიყირება; ან: - იცოდე თითი პირში არ ჩაიდო! ბავშვი თითს მაშინვე პირისკენ გააქანებს!

როგორც ჩვენი დიდი მასწავლებლები ამბობენ, „კაცობრიობის ისტორია სამთხიდან განდევნით იწყებაო“; „სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვედრა კარგი იქნება, იქ კარგი ამინდი, სასმელ-საჭმელი, უსაფრთხო არსებობა და უსაქმურობა გველოდება, მაგრამ, საზოგადოებაა... საზოგადოება ჯოჯოხეთში უფრო საინტერესო იქნებაო“ (ჩარლი ჩაპლინი). ანუ, თანამედროვეობა, იმ სიკეთეების გამო, რაც ცნობისმოყვარეობას თან ახლავს, უარს არც მის უარყოფით შედეგებზე ამბობს, რაკი მას მრავალი სიკეთეც ახლავს, ისე, როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად.

ისევ ძველისძველ სიბრძნეს და პეგელის მიერ ფორმულირებულ – „დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლა-ერთიანობის კანონს“ მივადექით. ანუ, ცნობისმოყვარეობა-ცოდნისმოყვარეობას რომ ადამიანთა კეთილდღეობასთან ერთად მანვე შედეგებიც ახლავს, ადამიანმა ძველთაგან იცოდა; ბერძნული მითოლოგია „პანდორეს ყუთის“ მითში ადამიანს აკრძალვის დარღვევის საშიშროებაზე მიანიშნებს, მაგრამ ალბათ გვახსოვს მან (აკრძალვამ) რა შედეგი გამოიღო:

ბერძნული მითის მიხედვით პანდორე (ყველასაგან დასაჩუქრებულს ნიშნავს) – ზევსის ბრძანებით შექმნილი პირველი მოკვდავი ქალია, რომელიც ზევსმა ადამიანებს სასჯელად მოუვლინა; მას სილამაზე, მზაკვრობა, ცბიერება, სიცრუე და მჭერმეტყველება აჩუქეს. ზევსმა ის ცოლად მისცა ეპითემეს და მზითევში თავდახურული ყუთიც გაატანა, რომელშიც დამწვევადეული იყო ყოველგვარი უბედურება და ავადმყოფობა; თან მკაცრად გააფრთხილა ყუთისთვის თავი არ აეხადა. მაგრამ ერთხელ, პანდორეს, ქალური ცნობისმოყვარეობის გამო (დაუმორჩილებლობის ვნებისა და აკრძალული ხილისადმი ინტერესის გამოც) „სულმა წასძლია“ და ყუთი გახსნა. იქედან მაშინვე ამოფრინდა ყველა უბედურება და მთელს დედამიწას მოეფინა. ისინი ახლაც სტანჯავენ ადამიანებსო, მოგვითხრობს მითი (ყუთში მხოლოდ იმედიღა დარჩა, რომლის წყალობითაც დღემდე ცხოვრობს ადამიანი; ზოგჯერ ამბობენ, თუ ის ყუთი კიდევ გაიხსნა, იმედიც გაფრინდება და კაცობრიობას სასოწარკვეთა მოიცავსო).

მაგრამ ამ გაფრთხილების მიუხედავად კაცობრიობა სულ უფრო და უფრო „ფართოდ ხსნის პანდორეს ყუთს“; თუ მართლაც „ყოველი ახალი აღმოჩენა კარგად დაეიწყებოდა ძველის ხელახალი აღმოჩენა“, ფოლკლორული სიბრძნეებიც, ასევე კაცობრიობის „ძველისძველი და აწ კარგად დაეიწყებოდა გამოცდილება“, რის გათვალისწინებაც თანამედროვეობას არ აწყენდა; როცა ცნობისმოყვარეობა-ცოდნისმოყვარეობაზე საუბარი, ალბათ „ზომიერების ოქროს პრინციპი“ არ უნდა დაგვეიწყდეს, (არც ციცოკორე ძიას სიბრძნე გვაწყენდა – „ფრთხილად იყავით შვილოსა, ფრთხილად, ემანდ კატას არ წამოაველოთ ხელიო!“); ალბათ არც ქართული ანდაზა-გაფრთხილება უნდა დაევიწყოთ, რომელიც გვასწავლის – „მეტისმეტი – რეტის-რეტო“!

თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაში, „ახალახალ აღმოჩენათა“ უარყოფით შედეგებზე საუბრისას „ბუმერანგის ეფექტი“ ახსენდებათ (ბუმერანგი, გასროლის შემდეგ, სწამ საბოლოო სამიზნეს მიაღწევს, უკან ბრუნდება და თუ სათანადო სიფრთხილე არა, დამიზნებელს ხედება!).

მაგრამ ეს არ ნიშნავს, „აკრძალული ხილის“ გასინჯვას ცუდი შედეგი რომ ყოველთვის ახლავს! ჩვენი წინაპრები კიდევ „გვაცდუნებენ“ ის ხილი, რომელიც აკრძალულია, გემრიელიაო! ანუ, იმის ალბათობაც იგულისხმება – ვინც „გემოთმაძიებელია“ ის აკრძალვას არ შეუშინდება, გასინჯავს მას, რასაც,

მართალია რაღაც ხიფათი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ... უცოდველობაზე პრეტენზიაც ხომ მკრეხელობაა! შეცოდებას ხომ მონანიებაც ახლავს! ანუ ცოდვებისადმი ასეთი „ფარულად“ წაქეზება ერთგვარად ასტიმულირებს „საიდუმლოს ამოხსნის“, „დაფარულის გაცხადების“ ვნებას, რითაც წინსვლა-განვითარებისაკენ „მოზომილად“ სწრაფვის ვნებაც წახალისებულია.

აღბათ ამიტომ მოუწოდებენ ჩვენი დიდი მასწავლებლები - „პროგრესისაკენ ისწრაფე - ნელა!“

„ემიებლე და ჰპოვებდეთ“

ადამიანი თავისი ბუნებით მაძიებელი არსებაა; მას შემოქმედმა „მუდმივად მზარდი მოთხოვნისებები“ დაანათლა, ამიტომაც ის რომ მუდამ უკეთესის ძიებაშია, ამიტომაც, რომ მას „შენერება“ არ შეუძლია, უფრო სწორად - უჭირს შენერება.

მაგრამ „ძიება“ ყოველთვის როდია შედეგიანი, წინ მას უამრავი ობიექტური თუ სუბიექტური დაბრკოლება ელოდება.

ამ ანდაზაში მიზნის მიღწევის ერთერთ მეთოდზე - ძიება-აქტიურობაზეა აქცენტი გაკეთებული (თავისთავად იგულისხმება, რომ მიზანი არავისთვის საზიანო არ უნდა იყოს); „მიზნის მიღწევის ძლიერ სურვილს“ თანამედრვე ფსიქოლოგების რეკომენდაციებშიც ერთერთი საპატიო ადგილი უჭირავს, მისი მიღწევისთვის „შეუპოვარ ბრძოლასთან“ ერთად. ამბობენ ედისონს, თავისი ელექტრო ნათურა მეთათხე ცდაზე გამოუვიდაო!

იესო ქრისტეს იგავებში ვკითხულობთ: დარბ კაცს სტუმარი ეწვია - ღამე გამათევინეო; მასპინძელმა სტუმარი მიიღო, თან მოუბოდიშა - არაფერი მაქვს რომ გაგიმასპინძლდეო; სტუმარმა უთხრა - წადი და მეზობელს ესესხეო; მასპინძელი წავიდა და მალე ხელცარიელი დაბრუნდა - კარი არ გამიღესო; - კიდევ წადი და დაუკაკუნეო, ასწავლა სტუმარმა; მასპინძელი ისევ წავიდა და ისევ ხელცარიელი დაბრუნდა - კარებს არ მიღებენო; სტუმარმა ისევ გაგზავნა მასპინძელი პურის სათხოვნელად და თან დაავალა - არ მოეშვა, სანამ არ გაგიღებენო! მასპინძელი კიდევ წავიდა და პურით ხელში დაბრუნდა. მაშინ სტუმარმა უთხრა, დაიმახსოვრე - დააკაკუნე და გაგიღებენო! ფსიქოლოგები გვასწავლიან - ქვეყნად არ არსებობს ისეთი რამ, რისი მიღწევაც ადამიანს თავად, საკუთარი ძალებით არ შეუძლია, თუ საამისოდ ჭკუა, ნებისყოფა, შრომის უნარი და მიზნის მიღწევის უნარი ეყოფაო.

ამასვე გვასწავლის ქართული ანდაზაც - **ემიებლე და ჰპოვებდეთ!**

არადა, ბევრი ჩვენგანი მიხვეულები ვართ ყველაფერი სხვსგან – მშობლებისგან, ხელისუფლებისგან, ღმერთისგან ან ახლობლების დახმარებით მოვითხოვთ!

როდის არის „ჭირი მარგებელი“?

ამ საკითხს ჩვენ, ზემოთ – მრისხანების ცოდვიდვის „სიკეთეებში“, ნაწილობრივ უკვე შევხვით; ახლა ვნახოთ რას ამბობს ამ საკითხზე ქართული ანდაზები:

„ურია მთქვა – ღმერთო, ჩემი შვილი, პირველად, აზარალეო“;

„ურია მთქვა – ღმერთო, ჩემ შვილს, საქმეზედ რომ დადგება, პირველად ხელს ნუ მოუმართავ, თორემ გათამამდებაო“;

„სანამ ჭკვიანი დაფიქრდა, გიჟმა ხიდი გადაირბინაო“;

„სანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, გიჟმა შვილი კიდევ დაასახლაო“;

„სანამ ჭკვიანი მოიფიქრებდა, სულელი ფონს გავიდაო“;

„ხარმა ხარს ურქინა და საძოვარზე მიაგლო“;

„გაჭირებამ პატარძალთან დამაწვინაო“;

„უკბილემ სამი ლუკმით აჯობა კბილიანსაო“;

„ზოგი ჭირის სარგებლიანობის“ შესახებ მსგავსი სიბრძნეები, ალბათ, სხვაც ბევრია, რაკი როგორც ზემოთ ითქვა – არ არსებობს ცუდი, რისგანაც სულ ცოტა – ჭკუის სწვლა მაინც არ შეიძლებოდა. მაგრამ აქ მოტანილი ანდაზების გაანალიზება მაინც საინტერესოდ მეჩვენება. ამიტომ, ჯერ ის ვიკითხოთ, რატომ ითქვა ურია – „ღმერთო, ჩემი შვილი პირველად აზარალეო?“ (ურია – სარფიანად მოვაჭრე ებრაელი).

როგორც ანდაზაშია ნათქვამი, „საქმის“ დასაწყისშივე წარმატებული ბიზნესმენი, ვისაც კონკურენტებთან ურთიერთობების მწარე გამოცდილება არ აქვს (ანუ „ჭირი“ არ გამოუცდია), როგორც წესი „თამამდება“, რაც „საქმის“ საიმედოობას საფრთხეს უქმნის. თანამედროვე წარმატებული ბიზნესმენები ახალბედებს ურჩევენ შემხვედრი დაბრკოლებები გამოცდილების მისაღებად გამოიყენონ, რაც, როგორც ჩანს, ჩვენ წინაპრებსაც უთუოდ „საქმეში“ (თუ ბიზნესის გამოცდილებამ?) უკარნახათ.

შემდეგი „ჭირის“ სარგებლიანობა „სიგიჟეს“ ეხება, რც თურმე, ანდაზის მიხედვით, ზოგჯერ „ჭკვიანობაზე“ უფრო სასარგებლოც კი შეიძლება იყოს.

საქმე იმაშია, რომ ჭკვიანის ერთერთი მთავარი ღირსება მისი მოფიქრების, ფიქრის უნარია; წარმატებაც ხომ კარგად მოფიქრებულ საქმეს ახლავს! მაგრამ

ქართველ ხალხს ისიც უთქვამს – „მეტისმეტი – რეტის რეტიო!“ (ამაზე ზემოთაც ითქვა); ამ ანდაზაში სწორედ მოფიქრებით ზედმეტად გატაცებული „ჭკვიანის“ უინიციატივობაზეა საუბარი; წარმატებული საქმოსნები ახალბედებს რისიკიანობასაც ურჩევენ – „ვინც არ რისკავს, შამპანურს არ სვამსო“ – ამბობენ ისინი. ზოგჯერ „სიგიჟეს“ სწორედ რისიკიანობას უწოდებენ, რაც ფიქრით და წინდახედულობით მეტისმეტად გართულ ადამიანებს წარმატებების მიღწევაში ხელს უშლის.

ცნობილია ერთი ასეთი ფილოსოფიური ანეკდოტი: ასფეხას (ასე უწოდებენ მრავალფეხა ჭიას) ჰკითხეს – კი მაგრამ ამდენი ფეხის მოძრაობას ერთმანეთთან როგორ ათანხმებ, რა იცი როდის რომელი ფეხი უნდა გადადგაო? ასფეხა დაფიქრდა და – ვეღარ გაიარა! ანუ, ზოგჯერ დაფიქრება აქტივობის ხელისშემშლელი უფროა, ვიდრე საჭირო. არადა დაუფიქრებლად გაკეთებული საქმე არ გამოდის! ის, რაც ადამიანს (ჭიასაც) სიარულისთვის ჭირდება, არის – ჩვევა.

ჩვევა – ჩვენი აზროვნების „ეკონომიურობის“ მექანიზმია და ადამიანის ფსიქიკური ენერჯის ხარჯვას დიდ შეღავათს აძლევს. მაგრამ მას აქვს კონსერვატიზმის „საფრთხეც“, რაც „ხან კარგია, ხანაც ცუდი“. კარგზე – უკვე ვთქვით; ცუდი, ანუ ფსიქიკის კონსერვაციის ნაკლი კი ისაა, რომ ჩვევა ხელს უშლის სიახლეების შემოღება-დაფუძნებას; თაობათა შორის კონფლიქტის მიზეზებში ჩვევებს „ლომის წილი“ უჭირავს“ სოციალისტურ იდეოლოგიას შეჩვეულებს ძალიან გაგვიჭირდა „ახალ“ ცხოვრების წესთან შეგუება. არადა სოციალური რევოლუციების ბედი მოედნებზე კი არ წყდება, არამედ – ფსიქიკაში, რასაც ფსიქიკის კონსერვატული ბუნება ხელს უშლის.

ასფეხას ანეკდოტი გვარწმუნებს, რომ ის, რაც ერთ შემთხვევაში სიკეთეა, შესაძლოა მეორე შემთხვევაში საზიანო იყოს; ერთიმეორისგან მის გარჩევას ჭკუა, გულისხმიერება და გამოცდილება სჭირდება.

რაც შეეხება „მარჯვე უკბილოს“ უპირატესობის მიზეზს, ისიც „ზოგიერთი ჭირის“ სარგებლიანობაა, რაკი მან „სამი ლუკმით აჯობა კბილიანს“.

ამ შემთხვევის ასახსნელად თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ დამკვიდრებული „კომპენსაციის“ ცნება გამოგვადგება, რაც, როგორც წესი, რაიმე ნაკლის შემთხვევაში ადამიანს იმ ხარვეზს უცხებს, რაც მას ბუნებამ დააკლო.

ცნობილია, რომ ცუდი მხედველობის ადამიანს – სმენისა და შეხების შეგრძნებები მომეტებულად მგრძობიარე აქვთ; ზოგიერთი ნაკლის მქონეთ ჭკუა-გონება მომეტებულად უვითარდებათ; კარგი მესხიერების მქონეთ შრომის უნარი ნაკლებად უვითარდებათ და პირიქით – ვისაც ჩვენ „უნი-ჭოებს“ ვუწოდებთ, ხშირად შრომის უნარი შევლით და შრომის უუნარო ნიჭიერებზე უფრო დიდ წარმატებებსაც აღწევენ და ა.შ. მაგრამ „კომპენსაციის უნარი“ კანონის ძალის არაა; ანუ, ყველა უნიჭო შრომისუნარიანი არაა და ყველა ჭკვიანი – შრომის უუნარო. ამიტომ ვამბობთ – „როგორც წესი“, „ზოგი“ და არ ვამბობთ – „ყოველთვის!“

მაშასადამე, ყველა ჭირი მარტებელია – მისგან ყოველ-თვის შეიძლება „ჭკუის სწავლა“; თუმცა, „ჭირისგან ჭკუის სწავლა“ მხოლოდ ჭკვიანს, ბრძენს შეუძლია; ის, რაც ხალხურ სიბრძნეებშია ასახული, ყველასთვის ხელმისაწვდომია, რაკი ის ზეპირსიტყვიერების სახით, თავისთავად ვრცელდება; მაგრამ ამ სიბრძნეებით ყველა როდი ხელმძღვანელობს, რის-თვისაც წარუმატებლობით ისჯება, რაც მხოლოდ საკუთარ თავს (ზოგჯერ კი სხვასაც) უნდა დააბრალოს!

ცხადია მეცნიერული აღმოჩენებიც სხვა არაფერია, თუ არა კაცობრიობის პრობლემების გადაჭრის საშუალებების ძიება-აღმოჩენა-გამოყენების პროცესი. ამაში მას ხალხური „აღმოჩენები“, სხვათაშორის ცრურწმენებიც, ხელს სულაც არ უშლის, ვფიქრობ, რომ პირიქით!

„საზიარო ყანა...“ ანუ „საერთო საკუთრების ტრაგედია

„საზიარო ყანა თავგმა შეჭამაო“, „საზიარო მამულს ან ჩიტი შეჭამს ან ჭიჭიჭაიო“ – უთქვამს ჩვენს წინაპრებს; ამ ძველისძველ ანდაზებში გამოთქმულ სიბრძნეებს თანამედროვე ფსიქოლოგია „საერთო საკუთრების ტრაგედიას“ უწოდებს.

ფსიქოლოგებმა საერთო საკუთრების შედეგების შესასწავლად მრავალი ექსპერიმენტი ჩაატარეს; ერთერთი ასეთია: ას ფერმერს საერთო საძოვარს გამოუყვეს, რომელსაც ასი ძროხის გამოკვება შეეძლო. ფერმერებმა, ერთიმეორისგან დამოუკიდებლად, თითოეულმა საძოვარზე დამატებით კიდევ ერთი ძროხა გაუშვეს იმ იმედით, რომ „ერთი ძროხის მიმატება“ საძოვარს ვერაფერს

„დააკლებდა“ მაგრამ რაკი სხვა ფერმერებმაც იგივე ივარაუდეს, იქ ასის ნაცვლად ორასი ძროხა აღმოჩნდა. ამის გამო ფერმერებმა მოგების ნაცვლად – იზარალებს.

სოციალ-ფსიქოლოგებმა, „საერთო საკუთრების ტრაგედიის“ შესასწავლად მოდელირებული საერთო საკუთრების სხვადასხვა ვარიანტი შექმნეს, როგორც ინდივიდუალისტური კულტურის, ისე კოლექტივისტური კულტურის ხალხებში; შედეგი ყველგან ერთი და იგივე იყო – ექსპერიმენტის ყველა მონაწილე „მესაკუთრული“ ფსიქიკა გამოავლნა – მათ მოჭრეს და დაიტაცეს ხეები იმიტირებული „საერთო ტყიდან“, ქანები – რომელთა თავისუფლად აღების შესაძლებლობა მათ ჰქონდათ და ა.შ.

სოციალ-ფსიქოლოგებმა მსგავსი გამოკვლევებით დაამტკიცეს, საკუთრების ინსტინქტის ყოვლისშემძლეობა და ადამიანთა ამო მცდელობა ამ ინსტინქტის ჩასახშობად.

საკუთრების ინსტინქტის შეუფასებლობის „ტრაგედია“ მთელმა საბჭოთა კავშირმა გამოსცადა, რის გამოც ჩვენს ფსიქოლოგებს, დასკვნების გამოსატანად იმიტირებული სიტუაციების შექმნა და ექსპერიმენტები არც კი დასჭირვებიათ (ამისათვის საერთო სადარბაზოებში შეხედვაც საკმარისი იყო და არის); დასკვნებისთვის, დაკვირვების მეთოდთან ერთად იმიტირების მეთოდიც და ექსპერიმენტებიც კაპიტალისტური ქვეყნების ფსიქოლოგებს დასჭირდათ.

საკუთრების ინსტინქტის შეუფასებლობასთან ერთად „საბჭოური სოციალიზმის“ შემქმნელებმა არც ჩვენი საერთო წინაპრების აქ მოტანილი ანდაზები და გენიოსების გაფრთხილებები გაითვალისწინეს; „ბუნება მბრძანებელია“ (ვაჟამ), „ბუნება შურს იძიებს მასზე ყოველი გამარჯვებისათვის“ (ენგელსმა) და ა.შ.

მათ ნაცვლად გვქონდა ლოზუნგი – „ჩვენ ვერ დაველოდებით წყალობას ბუნებისაგან, ჩვენი ვალია – გამოვტაცოთ იგი მას“ (ტიმირიაზევი).

ჩვენ უკვე ვნახეთ რა შედეგები მოჰყვა ბუნების (მბრძანებლის) „საქმეებში“ უხეშ ჩარევას – როგორც სოციალისტური რევოლუციის, ისე ზოგიერთი „წყალობის გამოტაცებების“, შედეგების სახით.

სწორედ „ბუნებაზე გამარჯვების“ (საკუთრების ინსტინქტზე) ერთერთი მაგალითი იყო ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაცია, ხოლო „ბუნების შურისძიების“ ერთერთი მაგალითი – დროებითი წარმატებების მიუხედავად კოლექტიური

მეურნეობების კრახი, რასაც მასების კოლექტიური იმედგაცრუება, უინიციატივობა და პესიმიზმი მოჰყვა.

„ჯერ თავო და თავოო...“

ეს ანდაზა, უსსოვარ დროში, ინდივიდუალისტური ფსიქიკის საზოგადოების მიერაა გაცნობიერებული. არადა მიხნეულია, რომ კაცობრიობა კოლექტივიზმიდან ინდივიდუალიზმისაკენ მიემართება; თუ ამ დებულებას დაეფუძვრებთ გამოდის, რომ ჩვენ წინაპრებს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გაუცნობიერებიათ მომავლის ადამიანის ფსიქიკის საიდუმლოები.

რა განსხვავებაა კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ ფსიქიკას შორის?

კოლექტივისტური კულტურის ქვეყნების მოქალაქეების ფსიქიკისთვის ურთიერთ სოლიდარობა, „სხვისი ინტერესების გათვალისწინება“ დამახასიათებელი. ამ საზოგადოების დევიზია – „შენ მარტო არა ხარ ამ ქვეყანაზე; იქონიე პასუხისმგებლობა სხვების წინაშე“; „იზრუნე სხვებზე და სხვებიც იზრუნებენ შენზე“. „ზოგიერთ ქვეყნებში ჯერ გვარს წერენ, მერე - სახელს, რაც არაცნობიერად გვართან მიკუთვნებულობის და სხვისი/ნათესავის მოიმედულობის ფსიქიკიდან მომდინარეობს“ - ასე ხსნის ფსიქოანალიზი სოლიდარობის ფსიქიკის „საიდუმლოს“.

ინდივიდუალისტური კულტურის მოქალაქეების ფსიქიკის სპეციფიკა ინდივიდის მიერ საკუთარი თავის წინაშე პასუხისმგებლობის აღიარებაა. ამ კულტურის ხალხების დევიზია – „მე იმიტომ არ გავჩნდი, რომ შენი მოლოდინები გავამართლო; არც შენ არსებობ ჩემი მოლოდინების გასამართლებლად; შენ შენი გააკეთე, მე ჩემსას გავაკეთებ ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შევეშალოთ“.

ინდივიდუალისტური საზოგადოების პირობებში ადამიანს საშუალება აქვს (და საამისო პირობებიც) რომ „კოლექტივთან სოლიდარობა“ და მათი დახმარება არ დასჭირდეს. ანუ, მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ პირველში საზოგადოებაა მიზანი, მეორეში – „მე“, პიროვნება.

ამერიკელი ფსიქოლოგები, სტუდენტებს ღირებულებებითი ორიენტაციების შესწავლისას, ასეთ დავალებასაც აძლევენ: გთხოვთ დაამთავროთ წინადადება – „მე ვარ . . .“

„აღმოსავლური ქვეყნებიდან ჩასულები წერენ – „მე ვარ მაღაზიელი“ ან „მე ვარ ინდოელი“, „მე ვარ მართლმადიდებელი“ და ა.შ. ევროპული ქვეყნებიდან

ჩასულები კი, ძირითადად საკუთარ მახასიათებელს მიუთითებენ, მაგ: „მე ვარ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი“, „მე ვარ მაღალი“, „მე ვარ სპორტსმენი“ და ა.შ.

ევროპელი ფსიქოლოგების აზრით ესაა იმის მანვენებელი, თუ რომელი კულტურის ფსიქიკის ადამიანთან აქვთ საქმე. ამ ფრაზებში ჩანს **„მეს“ არაცნობიერი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი** – აქვს მას საკუთარი თავის იმედი თუ სხვისი მოიხედვა. როცა სტუდენტი წერს – „მე ვარ ქართველი“, **გაუცნობიერებლად**, ის თავს დაცულად გრძნობს – მას ზურგს საქართველო და „მისიანები“ უმაგრებენ.

ეს ის პრობლემაა, ვაჟამ რომ დასვა თავის პოემებში, რასაც სკოლაში „თემისა და პიროვნების დაპირისპირების“ სახით გვასწავლიდნენ; ევროპულმა ფსიქოლოგიამ ეს პრობლემა დანახვისთანავე აიტაცა და გააპიარა, ვაჟას კი არც ახსენებენ! უთუოდ იმის გამო, რომ ევროპა ნაკლებად იცნობს რუსეთის ყოფილი კოლონიების კულტურას.

არადა ჯერ კიდევ როდის უთქვამს ჩვენს წინაპარს – „ჯერ თავო და თავოო, მერე – ცოლო და შვილოო!“

ფსიქიკის კონსერვატიული ბუნება და - „სიბერემდე სწავლისთვის“

განწყობა

ცოდნის შექმნის საუკეთესო წლები ახალგაზრდობაა; ამ დროს ადამიანის ტვინი პირდაპირ ისრუტავს ინფორმაციას, მისი „გადამუშავების“ ანუ **აზროვნების პროცესი** შედარებით გვიან „მოდის“ - ზრდასრულობის ასაკში, როცა, როგორც წესი, ადამიანს ოჯახური ცხოვრების საზრუნავი უნდება და ინფორმაციის შექმნისთვის ნაკლები დრო რჩება – ძირითადად ადრე შექმნილი ცოდნის „ხარჯზე“ უხდება ცხოვრება.

ამასობაში ცხოვრება წინ მიდის, ძველის ადგილს ახალახალი აღმოჩენები, მიღწევები, ღირებულებები, ცხოვრების სტილი იჭერს. ადამიანი კი, ვინც „დროს ფეხი ვერ აუწყო“, ძველი ღირებულებებით ცხოვრობს – უჭირს ახალთან შეგუება, ხშირად მასთან ბრძოლის სურვილიც კი უნდება, რაც განვითარებასაც აფერხებს და კონფლიქტური სიტუაციების ერთერთი სერიოზული საბაბიც ხდება.

ამის მიზეზი მხოლოდ ახალახალი ინფორმაციის დეფიციტი არაა; როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, ამის მიზეზი ფსიქიკის კონსერვატიული ბუნებაა, ის

სიახლეებს ნაკლებად ეგუებაო; მაგრამ მიზეზი ამ „შეუგუებლობასაც“ აქვს და ესაა ჩვევა, რასაც შეიძლება „სიახლის მტერიც“ კი ვუწოდოთ.

როგორც ცნობილია ჩვევები ადამიანის ცხოვრებას აადვილებს; მისი წყალობით ადამიანს „უზოგება“ ფიქრისთვის საჭირო დრო და ენერგია, აღარ ჭირდება ნებისყოფის დაძაბვა, პირიქით, ჩვევით შესრულებული მოქმედებები სასიამოვნოდაც კი განიცდება (ბავშვებს, როგორც წესი, ეხარებათ ცივი წყლით პირის დაბანა, მაგრამ როცა ის ჩვევად ჩამოყალიბდება – კიდევ სიამოვნებთ).

- არისტოტელთან, რჩევის საკითხავად ერთი ახალგაზრდა მისულა – მოხუცებულები ოჯახში აუტანლები არიან, ვეღარ აზროვნებენ, ყველაფერი ავიწყდებათ ჰიგიენით დაწყებული პირადი ნივთების შენახვით დამთავრებული; არ მინდა მოხუცებულობამდე მივალწიო; რას მირჩევთ, მანამდე თავი ხომ არ მოვიკლაო? არისტოტელს უპასუხნია – თავის მოკვლა საჭირო არაა, სანამ ამ ჭკუაზე ხარ, სრულყავი შენი ჩვევები და მოხუცებულობაში აზრობნება და მენსიერება აღარ დაგჭირდება, ყველაფერს მექანიკურად გააკეთებ და აუტანელიც აღარ იქნებიო.

არისტოტელის ამ დარიგებაში დიდი სიმართლეა, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგიაც არ უარყოფს, რაკი აღზრდის პროცესში საჭირო ჩვევების გამომუშავებას დიდ დროს და ენერგიას ანიჭებენ.

მაგრამ ჩვევების გამომუშავების გაფეტიშება, ისე როგორც ყველაფერი „უზომო“, სხვა საფრთხეს შეიცავს, რასაც გაცნობიერება სჭირდება, რათა „ოქროს შუალედი“ არ დაირღვეს და ახალგაზრდობიდანვე უნდა „შევისისხლხორცოთ“ საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთ ჩვევაზე უარის თქმის „ჩვევა“.

პრობლემაც აქაა. რაკი „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“, ადამიანებს მასზე უარის თქმა უჭირთ; აქედან გამომდინარეობს – ფსიქიკის კონსერვატიული ბუნება, ძველის გაფეტიშების საფრთხე და სიახლეების მიუღებლობა.

ჩვენ წინაპრებს, ფსიქოლოგიამდე ეს საფრთხეც სათანადოდ გაუცნობიერებიათ და შთამომავლობისთვის სიახლეების მიღებისადმი მზაობა ანდაზის სახით უანდერძებიათ და უთქვამთ **„სწავლა – სიბერემდეო!“**

ბოლოთქმა

ერთხელ, როცა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი, დედამ მითხრა – მე ფსიქოლოგია არ მისწავლია, მაგრამ შენზე უკეთესი ფსიქოლოგი ვარო.

მეწეინა, მაგრამ როცა წყენამ გაიარა მივხვდი, რომ ვისაც ქრთული ფოლკლორი შეუსწავლია, შეეძლო „ფსიქოლოგობის“ პრეტენზიაც კი ჰქონოდა. ჩვენ წინაპრებს, ადამიანის ფსიქიკის „საიდუმლოები“, ჯერ კიდევ მეცნიერებადელ პერიოდში სცოდნია და ის რაც დღეს აღმოჩენებად მიგვაჩნია, მხოლოდ „კარგად დაიწყებული ძველი“ ყოფილა; უთუოდ ამიტომ გავრცელდა ფსიქოლოგიაში გამოთქმა - „ვიციდი, მაგრამ არ ვიციდი, რომ ვიციდი!“.

ამიტომ დამენანა „წყალს გატანებული“ სიბრძნეები, რის შესახებაც ახალმა თაობამ ძალიან ცოტა რამ იცის და მათი „გაცოცხლება“ გადაწყვიტე; ახლა, მინდა იმ „ცოდნებზე“ ვისაუბრო, რაც ჩვენმა წინაპრებმა ცრურწმენების, ზღაპრების, თქმულებების, ანეკდოტების და ანდაზების სახით გვიანდერძა ანუ, რაც „ვიციდით, მაგრამ არ ვიციდით, რომ ვიციდით“.

ამ ნარკვევების დაწერისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მეცნიერება – დიდი მასწავლებლების მიერ ამოხსნილ საიდუმლოებს გამზადებული სახით გვაწვდის! ფოლკლორი – აზროვნებას გვასწავლის, დაფიქრების სტიმულს გვაძლევს, რათა თავად მივხვდეთ დაფარულ სიბრძნეებს, განვიცადოთ მიხვედრით გამოწვეული სიხარული და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც გამოვიყენოთ.

ახლა კი მინდა ახალგაზრდებს ვურჩიო მეტი გულისყურით და სიამაყით მოეკიდონ ფოლკლორულ სიბრძნეებს! ჩვენი საუბრები კი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით დავასრულო - „რა განძი გვექონიაა!“

**Roza Gaprindashvili, professor
Georgian Technical University**

Psychoanalogi secrets in Georgian folklore

**Human education must begin in folklore
and must end in science
(Seneca)**

Explanation of human's psychic "mysteries" requires understanding of unconscious impetus of behavior, doctrine of which is related to the name of Sigmund Freud; though, as we can see, mankind from the ancient times knew the "mystery" of unconscious psyche ("bottom part of iceberg") that has been reflected in folklore – mythology, proverbs, tales, anecdotes, legends etc.

In this regard the Georgian folklore, where we met information on unconscious impetus of human's activity several centuries prior to psychoanalysis, is interesting.

In order to substantiate this opinion we must turn to psychoanalysis of some proverbs:

In the proverb "**your feet will bring you where your fate is**" – Georgian pre-psychological conscience suggested presence of human's unconscious, sometimes fatal strive that was expressed by term "fate" by our ancestors. Similar to famous Oedipus myth it virtually implies the strive that like magnet attracts human where unperceived reply signal came, i.e. where the subject of unconscious strive is placed (namely the mythology was used by Freud as evidence for explanation of "incest" and other psychical "mysteries").

We have to remember the model of human's psyche (which belongs to Freud and its followers) in order to explain proverb "**what is inside jar that comes outside of it**".
unconscious human psyche.

The proverb "**Empty ear always puts its head up, while full ear is always bows its head**".

"Human with its head high" implies the man who has nothing to be proud of: neither natural ability, nor acquired wisdom. That's why he/she tries to deserve respect in society using bragging that is mentioned as "wishful thinking" in modern psychology. Smile at the best case and conflicts at the worst follow the action of such human. Implementation of "self-respect demands", which are peculiar to human, accompanies only realistic estimation of own capacities and successes, if human is able to disclose and develop through hard-work the skill he/she has (in which parents, pedagogues, friends, competitors etc. will help him/her). In such case he/she will no longer need bragging and will worthily deserve respect.

„**One will lose footing who lifts his/her head up**”;

“Spineless human counts bragging as business”;

“Modesty moves mountains” – Georgian folk wisdom teach us.

Thus, despite the fact that today “modesty-humbleness” no longer counts as virtue, the central idea of proverb can be anyway interpreted as big psychological guess (discovery), since it is pure and simple psychoanalytical “mystery” again – compensation for inferiority complex.

Understanding and perception of central idea of this proverb will save many disappointed person from jeers and conflicts.

The fact that our ancestors knew about unconscious psyche is seen from the fact that they offered us some tools for its “management”. For example, in proverb – **“Useless labor is better than blank existence”** is given the mechanism of abstention (prevention) from instinctive strives unacceptable for culture. It implies restriction (control) of actions and behavior inadmissible for culture that makes it a source of potential energy and is perceived as activity need that is possible as a result of constructive (creation-building) or destructive (demolition-annihilation) activity; but the human who will not be able to spend this energy for constructive activity is condemned both by “the law” and “internal censor”. That’s why humanism first of all implies employment – arrangement of conditions for constructive “spending” of this energy.

The fact that our ancestors were aware of these mysteries of psyche is “evidenced” by the proverb **“Useless labor is better than blank existence”**. The same underlying idea may be found in ancient Georgian expression **“beat the air”**. Why? Because of the fact that “unspent energy” is the reason of **“groundless anxiety”**, accompanied with its undesirable effect. In its turn, result of “spending” implies getting rid of some troubles and opportunity of creation of material values, so our ancestors considered “labor” as one of the methods of psychotherapy!

The same is confirmed by the following wise saying – “Work ennobles man” (Georgian folklore); “Labor created man” (Engels); “Work is necessary for health” (Hippocrates); “Disadvantages are overcome by work” (Seneca); “Work is a way to avoid all troubles” (Hemingway) etc.

These proverbs are only small part of rich Georgian folklore that are quoted here as samples of pre-psychological psychology.

Psychological guesses of pre-psychology period are given not only in Georgian proverbs, but they also abundantly scattered in tales and legends; while in superstitions are given wonderful examples of introduction of values into human’s psyche, psyche management and psychotherapy are given, familiarization of which could enrich folklore thinking of all countries and protect humans from many risks and hazards.

Bibliography:

1. Gaprindashvili R., „Psychology“ in Georgian folklore, “Iverioni”, 2014 (p. 216).
2. Chikovani M., Georgian folklore, Tbilisi, 1946.
3. Freud S. Psychoanalysis, Publishing house of Tbilisi University, 2008.
4. Jung C.G. Fundamentals of analytical psychology, “Combine of printed word”, 1975.